

ცენტრალური

სვ

N 5

05/2010

1522
2010

სეროენება



ქაჯია

ვაჟა ოთარაშვილი
გიორგი შალაშვილი

სხილა

ნიკო გომელაური

სახილა

ბია შარაძე

ქაჯია


ლორთა აბაშიძე-შენგელია

ქაჯია

თემურ ყვითელაშვილი

ქაჯია

თემურ შავლაძე



ლორთა ავაშია-შანავლია "კეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები

ლიტერატურა და ხელოვნება

ISSN 1512-3189



N5(53)

5/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

დამფუძნებელი,
გამომცემელი და მთავარი
რედაქტორი

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ლორეცა აბაშიძე-შენგელია

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;

(+995 32) 31 70 47;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და
ხელოვნება“ გთავაზობთ
რეკლამის განთავსებას
ჟურნალის ფურცლებზე.
დანვრილებითი ინფორმა-
ციისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 31- 70 -47;

მობ: 899 25 60 14;

893 58 95 44;

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქრონოზ, ქოროზ

- | | |
|---------------------------------|--------------------------------|
| 3. ვაჟა ოთარაშვილი | - ლექსები |
| 7. ნოდარ ყობეხიძე | - აღდგომის ღამე ქაიხომი |
| 14. ქეთევან შენგელია | - ლექსები |
| 16. თინა ბიგანიშვილი | - უკან ითაჯაში |
| 28. გიორგი შაღაბუაძე | - ლექსები |
| 30. თემურ შავლაძე (შავხაძოვანი) | - ერთად მოვიდეთ
ჯოჯობეთიდან |

მოკლევები

- | | |
|---------------------|--------------|
| 36. ფილონ ხაღაშვილი | - ომი - მუხე |
|---------------------|--------------|

რეკლამა

- | | |
|-------------------|----------------------|
| 45. ენიზა სუმბაძე | - ქართული ბიზანტიზმი |
|-------------------|----------------------|

წერილები

- | | |
|---------------------|------------------------|
| 54. თამარი მახარაძე | - გიორგი შაღაბუაძე 100 |
| 56. მანა ცხეცვაძე | - ოხბელისანთუბანი |
| 62. ავტორთა ჯგუფი | - გუჩამ თოფუჩია |

ხსენება

- | | |
|-------------------|-----------|
| 65. ნიკო გომედაძე | - ლექსები |
|-------------------|-----------|

ფოტო და სურათები

- | | |
|-----------------------|---------|
| 67. ნოდარ მამისაშვილი | - IMAGE |
|-----------------------|---------|

პოეზია

- | | |
|---------------------|----------------------|
| 71. სალომე გოგოლაძე | - თემურ ყვირელაშვილი |
|---------------------|----------------------|

სახეობა

- | | |
|----------------|--------------|
| 74. მანა მიქია | - გია ფეხაძე |
|----------------|--------------|



მხატვრობა

- | | |
|-------------------|----------------------|
| 77. დავით ანდიაძე | - თეცა ქალი მხატვარი |
|-------------------|----------------------|

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა!“

რადიელ ერისთავი

ბამონცემლობა „ეროვნული მწერლობის“ 2010 წლის ბამონცემები



საუკუნის ბამონცემა!

ბამონცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ საზოგადოებას წარმოუდგინა „**უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიის**“ უნიკალური ბამონცემა. შედეგის მსურველები დაგვიკავშირდნენ რედაქციაში.

წიგნი 800 გვერდიანია, მაღალი კოლიბრაჟიული დონის. ანთოლოგიაში კომპლექსურ მნიშვნელობას ატარებს წარმოდგენილი ბამონცენილ ქართულ მხატვართა ნამუშევრების ფართო ილუსტრაციები.

იღმის ავტორი და მთავარი რედაქტორია ვაჟა ოთარაშვილი.

ანთოლოგია დაიბეჭდა ქ.თბილისის მერიის თანადგომითა და ხელშეწყობით.

**მკითხველი მაღე მიიღებს
„უახლესი ქართული პროზის“
ანთოლოგიასაც.**





ვასილ
 თარაშვილი

ლოცვა რუსთაველზე

ვიცი, ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
 ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
 რუსთაველზე ვნახე ნუხელ შოთა
 გვერდით ედგა მეფე ფარნავაზი...
 ილიას და ნერეთელის ძეგლთან
 თერგდალეულ ერის მამებს შევხვდი,
 „ვაჟა არ ჩანს“... — დავაპირე მეთქვა
 და შეირხა მთაკაცივით ვერხვი...
 გურამიშვილს მხარში ედგნენ ლეკნი,
 უფიცავდნენ ერთგულებას ყონაღს...
 სჭექდნენ სამას არაგველთა ლეკვნი:
 „არ ვიქნებით არავისი მონა!“
 აქ სრულიად საქართველო იდგა,
 წმინდანები ირგვლივ ჰფენდნენ ნათელს...
 დავით მეფე დიდგორულად, მედგრად,
 კვლავ ბრძოლისკენ მოუხმობდა
 ქართველს!
 გაბრწყინებულ ივერიას ვხედავ!
 თეთრ გიორგის ქაშუეთის კართან,
 ქრისტეს ლაშქრის სწორუპოვარ მხედარს,
 კვლავ იფარავს ღვთისმშობელის კალთა...
 ვიცი, ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
 ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
 სვეტიცხოველს ჯანღი გადაშორდა,
 საქართველოს ღვთის ბეჭედი აზის!

ნარილი დედას

ისევ ისე მენატრები, დედი,
 თითქოს შენი კაბის კალთას ვება...
 კასპის რუხი სასაფლაოს ხედი,
 თებერვალში თოვლმა გადაღება...
 არაფერი არ იცვლება თურმე,
 მხოლოდ დრო წნავს ტკივილების
 გვირგვინს...
 მიაგორებს ქარი ღრუბლის ურმებს
 და გათოშილ კლდეებს ზომავს ირგვლივ...
 დედაჩემო, დაიჩეხა ქართლი
 და რუსები ყაჩაღებად დგანან...
 სადარდებელს უკვე ველარ დათვლი,
 გულთან ასი მობჯენილა დანა...
 მე ამ ბარათს ანგელოზებს ვატან
 უფლისა და ქართულ სიტყვის მონა...
 ერთიანი იბერიის ხატი
 მინდა ვნახო, სანამ შენთან მოვალ...

უმაღურობის და ღალატის
 ვხედავ მე სცენებს,
 პირში გაქებენ,
 რომ ზურგსუკან
 ჩუმად გაგწირონ...
 როგორ მინდოდა,
 შე მურდალო,
 ისე მეცემე,
 რომ ველარ შესძლო
 ეგ ცბიერი თავი ასწიო...
 შენ შეგიძლია ორშაურად
 გაყიდო ქართლი
 და აფხაზეთის კვენესაც
 შენთვის
 მხოლოდ ფულია...
 ამ მიწის ნაჭრებს
 ჯვარზე გაკრულ იესოს ათლი...
 ივერთ აღდგომა —
 მომავალის სასწაულია!..

მნარედ ირონიული

იმდენ ხანს იდგა მთვარე სხვილოსთან,
 რომ წამოედო ქონგურებს ნამგლით...
 მუხების ქვემოთ შაშვი დაოსდა,
 ტბორში ჩაცვენულ
 ვარსკვლავთა მარგვლით...

რომ შესძლებოდა, რუსის ჯარს, მთვარეს
 დაუმატებდა, ალბათ, უროსაც...
 ძალღმა მიაფსა ოსების მხარეს,
 ფეხი ჩამოდგა და...
 თან უყნოსა...

27406

საქართველოს
 პარლამენტის
 ბიბლიოთეკა

მომენატრე, უცნაურად, მწველად
მეჩვენება, თითქოს შენთან ვწევარ.
ნერვიულად ვინყებ მერე წევას,
საფეთქლები იგრძნობს სისხლის წწევას...
ლამე ვნებას მტკივნეულად წელავს...
ნისლის ჯიქნებს ქარი დილით წველავს...
თენდება და გულში რჩება წყენა...
რატო შენთან ერთად არა ვწევარ...

მზერა $X \rightarrow \infty$
და ჩამოშლილ თმას
კისერზე აიკეცავ...
მარტო შენი სხეულის
დასანახად ღირს სარკე,
თუმცა...
უცხო თვალისთვის
არ გინდოდა მიგეცა...

რაც დათესეთ
ახლა იმას იმკით —
დაგიბრუნდათ ცოდვა
ბუმერანგად...
თქვენ ისმენდით
ვაჟბატონის კიკინს:
ძვირფასებო,
ახლა აღარ ვარგა?!

ანყურის ღვთისმშობლის თვალებით,
თითქოს დედაჩემი მიმზერდა...
ლანვზე ცრემლების ცვარები —
ნარეკლი ზეციურ მიზერთა...

ბელურები

ზამთარში როგორ უჭირთ ბელურებს,
არა სტოვებენ მშობლიურ ბუდეს...
ვდგავარ ყინვაში და ცას შევყურებ —
ჩიტების ფრთებით აღებულ ზღუდეს...
უბერავს ქარი — მკაცრი და ავი,
შეღინღლულ გულებს როგორ არ სცივათ?
მაინც ცისაკენ უჭირავთ თვალი
და...
ვარსკვლავების საკენი ცვივა...

საქართველო ქრისტესი?!

იესო ერთმა იუდამ გასცა
ჩემს საქართველოს გასცემს მრავალი...
რად უნდა დილა, იყივლებს ისეც
მოლაღატეთა ფერმა მამალის...
აქ საბუდარშიც მამალი ჯდება,
დედლებს პეპლავენ ვნებით დედლები...
საყურებად ჰკიდათ ჯვრები,
ფარისევლური ისმის ვედრება...
აღარ სჭირდებათ დედლებს კრუხობა,
რადგან არსებობს ინკუბატორი,
თეთრი კვერცხების არის უხვობა
და კმაყოფილი ყივის ბატონი...
ყივის ბატონი, ლამდება როცა,
როცა კნენას კვერცხებს მიუტანს...
ცას შელეკია ამო ლოცვა
თუ გათენებას ელის იუდა?!

მაცხოვარი ქკუით იცნეს,
რად უნდოდა მას იუდას ამბორი...
ოცდაათ ვერცხლს ვისაც მისცემ —
დღეს სუყველა იუდაა —
განყდა მათი მამგონი...

გაზაფხული არმაზისხევში

სიმარტოვეს ვერ იტანენ ძუძუები,
მოელიან მამრის კოცნა-აღერსს...
ვნების მგლები სერზე გადიძუნძულებენ,
აკვესებენ მობრიალე თვალებს...
ვაი დედა, ახლა რა დროს სიბერეა,
არმაზისხევს გაზაფხული ყლაპავს...
მიჯაჭვული ვის უნახავს იბერია...
ფეხზე დგება — ამირანი პაპა...

კოშკში ვარ გამოკეტილი —
ნინ წყალი, უკან — მენყერი...
ვზი მარტოსული მეტივე
და გათენებას შევცქერი...

არ მეშინია, სიკვდილო, შენი
და არც სიცოცხლე აღარ მაღალებს...
მწვანე ქათიბი მთებს ისე შვენის —
მინდა ფესვებში ვკოცნო ბალახებს...

მენატრები...
 მაგ უცნაურ თვალებს
 ჩემს სიზმრებში
 ზურმუხტისფრად ჩაღვრი...
 დრო გავიდა...
 უკვე დაგაქალე
 და ცხოვრება
 ძველებურად არ გლლის...

გტკივა — მარტო უნდა დაწვე,
 არავინ გყავს რადგან გვერდით...
 თუ შეგიტობს ცრემლი ღანავებს —
 ჩათვალე, რომ ჩვენ შევერთდით...

მე სიყვარულის შემხვედა სახადი,
 ჩემი სიშორე რად გაგიკვირდა...
 სანამდე კარგო, შენ არ გნახავდი —
 მე ვფლირტაობდი მხოლოდ სიკვდილთან...

ნარნარები კედლებზე

კედლებზე წერენ ბავშვები ცარციით:
 „ჯემალი + მზია“,
 „იამზე + დათო“,
 თამრიკო უყვარს ზვიადს,
 მერე... ოცნებებს ათოვს...
 „ციცინო + ნუკრი“,
 „ია + თამუნა = დებს“...
 და ისარს გულში ვუყრი
 და ცარცს კედელთან ვდებ...
 მერე... გადიან წლები
 და სასაფლაო უახლოვდება ქალაქს...
 იქ ის ბავშვები წვანან,
 რომ აბრაზებდნენ დალაქს...
 მხოლოდ შემორჩათ კედლებს:
 „ნუნუკა + გია“,
 „რამაზი + ნელი“,
 „მენდე, ძვირფასო, მენდე!“
 „გელი, ძვირფასო, გელი!“
 ვკითხულობ ცარცის სევდით
 უკვე მრავალი წელი...
 „ჯემალი + მზია“
 „ციცინო + ნუკრი“
 გულში დარდები ზიან
 და... ცარცის ისარს ვუყრი...

ჩემო კასპო

(ჰიმნი)

თრიალეთი, ძლევის ქედი, რკონი,
 ქვათახევი, სამთავისი, სხვილო...
 ჩვენ მოვიგეთ მტერთან ყველა ომი,
 ჩემო კასპო, აღარ მოიწყინო...
 დიდ ივანეს ნატერფალო ხოვლევ,
 მახვილივით მოზიდულო ნოსტევ,
 სააკაძის სადღეგრძელოს ხო ვლევ,
 მამა-პაპის ადათს ისევ მოვსდევ...
 და თედორეს საყდრის გუმბათს ვფიცავ,
 კასპის ციხეს — გორგასალის ნაბრძოლს...
 თხოთის მთაზე წმიდა ნინოს მინავ,
 მტრის ჯინაზე მარადისად გავძლოთ!..

სანამ გჭირდები,
 მომაჩვენე — გიყვარვარ ვითომ
 და ყალბი ვნებით
 დამინეჭი ხორცის რობოტი...
 ნუხელ ხეები
 ქარმა ძარცვა სულ თითო-თითოდ
 და ყვითელ ფოთლებს
 ფეხით შედგა ქარი — ბოროტი...
 ვითომ გინდივარ,
 ითამაშე ქარის დაკრულზე:
 შემომეტმასნე,
 შემომეჭდე,
 შემომესალტე...
 ღამით ქარებმა
 ეგ ხეები ისე წაკუზეს,
 თითქოს ლეკები
 სამართებლის პირებს ლესავდნენ...

თვალახვეული დადის თემიდა,
 თვალდახუჭული დადის სიმართლე...
 იქნებ, ბევრია ის, რაც მე მინდა —
 მინის სიმშვიდე და ცის სინათლე...
 უფალი განსჯის მტყუანს და მართალს
 და ჟამთა მტვერში ადგილს მიუჩინს...
 მე ეკლესიის გაღებულ კართან
 ამპარტავნების ვებრძვი სიურჩის...

ლოლოებს — ზამთრის გაყინულ ჯიქნებს,
 მზე ნელა წველის თბილი სიოთი...
 შენც დამიბრუნდე, ძვირფასო, იქნებ,
 უჩემოდ, ალბათ, როგორ გციოდა...

ვით თეთრი ფურცლის ბოლო ნაკუნი,
ბეჭობზე შერჩა თოვლის ნახევი...
და ვხედავ თვალებს როგორ ავინვაავს
ეს ლექსი — ჩემგან ნაკარნახევი...

თეთრი ბრალი

იქნება მხოლოდ თოვლის ბრალია
მოგონებათა ცრემლის სისველე...
თუ წამიერად აგაბრიალა
და შენ კი არა,
თოვლი მიხსენებს...
მე იმ თებერვლის ტკივილიც მახსოვს —
სულში მატყვია, როგორც ნახმლევი...
რაც არის, არის — მოინი ახლოს,
მოინი ახლოს... ხელი მახლევი...

რომი თუ იხსნეს ერთხელ ბატებმა,
თბილისს მრავალი წმინდანი ახსოვს...
ვინც კალას ხიდზე იქცნენ ხატებად
და დაემკვიდრნენ უფალთან ახლოს...
ვინაც კრწანისზე შერჩა იარად,
ანდა კოჯორთან მამულს იცავდა...
და ეგ ჭიქები ღვინით კი არა,
მებრძოლთა სისხლით გალიცლიცავდა...

სოფელი სოფლე

*„ზაქარია ფალიაშვილს, „ურმულის“
პირველი ნოტები, ივანე ჯავახიშვილთ-
ან ხოვლეში სტუმრობისას შეუქმნია“.*

სალამოს ბინდში კვართის საყდართან
ჯავახიშვილის აჩრდილს ვეხები...
მე ღვთისმშობელი პირჯვარს მსახავდა
და ორლობეში შემხვდნენ გლეხები...
ფალიაშვილი უკრავდა „დაისს“,
შვილმკვდარი მამის ისმოდა გმინვა...
ურემს ეფინა ნაბადი ღამის
და ვარსკვლავებად
ცრემლების ბრწყინვა...
ირმის ნახტომი წვეთავდა ციდან —
ადრე წასულთა შესანდობარი...
დიდი ივანე დარდის ჯამს ცლიდა —
ჭირისუფალი და მეგობარი...
ძეძენარს ეკიდა ციცინათელა —
ამაოების ყოფის ჯინჯილა...
ხოვლეში იდგა უფლის ნათელი
და საქართველოს მწუხრის ყიფინა...

მე კარგად ვიცი, რომ მილალატებ —
ყალბი სიცილი ქარში გაიბნა...
და შენი ქმარი, როგორც პილატე,
ჩვენი წარსულით ხელეებს დაიბანს...
სტრიქონებს რჩება დარდის ნამქერი
და ულამაზეს წუთების ნუსხა...
შენზე დანერილ ლექსებს ჩავცქერი
და მონატრების ეკლები მსუსხავს...

ივერიას

როგორც ადრე ოსმალო და ირანი —
ეხლა რუსეთ-ამერიკა გიყოფს...
ივერიავე, შე ობოლო ირემო,
ღვთისნიერო, მაგრამ მაინც ბრიყვო...
ვისი რა გჭირს მიბაძვა და სწავლება,
ან ლაქუცი ღვთისმშობელის ნილხვედრს...
„ჭირსა შიგან, ჭირსა შიგან“, თავნებავე,
საქართველოვ, უკვე დროა მიხვდე!

მთა-მთა, მთა-მთა,
ღრუბელ-ღრუბელ —
ნისლისფერი ყანებია...
გული შენთან
ისე გათბა —
თითქოს
არვინ ჰყვარებია...

კოლაუნადირაჰის გოლო მონოლოგი

ვიცი, უნდა დაგიტიროთ ყველა,
ვიცი, უნდა დაგიტიროთ მარტომ...
სადღაც ჩემი ბალდახინიც ელავს
და ქარონიც იწყებს თავის კანტურს...
მაჩაბელზე კვლავ გვინგრევენ ტაძარს,
აპრიალდა პიარების ბუმი...
მთანმინდაზე ველარ ვხედავ ანძას,
შენობების მოჩანს ყარაყუმი...
ეკრანიდან მიკითხავენ მორალს,
მე კი ცრემლით ვავსებ ცისფერ ყანებს...
საქართველო ისევ სისხლში ბოლავს
და მიხაკებს ტყვიის ჯერი არწევს...
რა ძნელია დაგიტიროთ ყველა,
რა ძნელია დაგიტიროთ მარტომ...
ჩქარა! ჩემი ბალდახინიც ელავს
და ქარონი იწყებს თავის კანტურს...



ნოდარ ციხურაძე

აღზომის ლამაჯი ჩიხოში, მამაჩეთა სასაფლაოზე

მძღვნევა თაობას, რომელიც გამოტოვებს

ვინ იცის, „თეთრი მელა“ რუსთაველის პროსპექტზე დაჩოქილ ხალხს აივნიდან, როს გადმოჰყურებდა, დიდი რომელი დიქტატორის სულას სიტყვებს იმეორებდა: „დამიკარით ცხვრებო ტაში, დამიკარით!“

როცა ამ სამარცხვინო ამბავს უყვებოდნენ, ლამის ტიროდა. თავი ასე დამცირებულად არასოდეს უგრძენია. იმავე დღეებში თავისი მეგობრის, გამოჩენილი ქართველი მწერლის შვილიც შესწირვდა მტრის ტყვიას. ერთდღერთი შვილის მამას უჭირდა წაგებულ ომში შვილის გაგზავნა, ბიჭი ავტოფარეხში შეპარულა, იქ გამოუცვლია ტანსაცმელი და ისე გაპარულა მტერთან საომრად. მეგობრის უბედურებამ მთლად ხელი მოუთავა. თავად დაჭრილმა (ბედად, შედარებით მსუბუქად), იმ უბედურებისგან ძლივს გამოაღწინა: გუდავაში ექვსადგილიან კატერში ოცზე მეტი კაცი ჩაჯდა და ასე სასწაულებრივად ჩამოაღწიეს ფოთში (ბედი გქონიათო, უთხრეს გოცებულმა მეზღვაურებმა, კატერი ზღვაში რომ არ ამობრუნდა და ყველა არ დაიხრჩეთო), ფოთში ჭრილობა გადაუხვიეს და ბათუმში გადაიყვანეს.

სამშვიდობოს კი გამოაღწინა, მაგრამ გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაენევაო — მის მეუღლეს სიმსივნე აღმოაჩნდა. მართალია,

მათ ურთიერთობას უფრო მეგობრული ეთქმოდა, ვიდრე აღმოდებული, ვნებიანი სიყვარული (ასეთი უკვე ორჯერ გამოსცადა და კარგად ახსოვდა რით დასრულდა ყოველივე), მაგრამ ამ ქალთან თავს ლამის ბედნიერად გრძნობდა და ამ თავზარდამცემმა ამბავმა ერთიანად დათრგუნა. ქალს სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა, საამისო ფული კი, აბა, საიდან გავჩინა? მდგომარეობა ქმნის შეგნებასო — გადაწყვიტა, ახლა მორიდების დრო აღარ არისო და თუმცა იცოდა, აჭარის ავტონომიის მეთაური მასზე ნანყენი იყო — უთქვამს კიდევ, ხომ გავაფრთხილე, ჩემთან შეუთანხმებლად ნურაფერს გადაწყვეტ-მეთქი და რას მიიპარებოდი იმ გაყიდულ ომშიო, მაინც გარისკა — ახლა ბუტიანობის დრო არააო და აჭარის ლიდერს მიღება სთხოვა. „ბაბუმ“ მიღებით არ მიიღო, ეს კია, საჭირო თანხა საბა-ფოს უფროსის ხელით გამოუგზავნა.

ეს ის დროა, როცა სამოქალაქო ომი მინავლებულია, ქვეყანა ავაზაკთა ხელშია, ისინი უნაპიროდ დათარეშობენ და მთელი საქართველო გავერანებულია. ეს იმ წამსვე იგრძნო, როგორც კი ავტობუსი აჭარას გასცდა. ჩაბნელებული, ჩამოღამებული სახეებიანი ადამიანი-არსებანი, გადაბუგული ქალაქები, ყოველ ქალაქთან შლაგბაუმები, სადაც ავაზაკები „მებაჟებოდნენ“ და ყოველი მანქანის გატარებაში უტიფრად ფულს ითხოვდნენ, კაცმა არ იცოდა ვინ იყვნენ, ან ვისი დავალებით „მებაჟებოდნენ“, რომ გითხრათ საშინელი სანახაობა იყო-მეთქი, ნიშნავს არაფერი გითხრათ. იგივე მდგომარეობაა დედაქალაქშიც — ბნელეთში მოქცეული სახეები, აქა-იქ ლამპისა და სანთლის შუქი თუ გამოკრთის, უკაცრიელი ქუჩები, აყევებული უკიდურესი სიდუხჭირე და ამ სახეთა გაღერებაში (ვისაც ქუჩაში თვალს მოჰკრავდი) იმედს ვერაფრით დაინახავდი. ადამიანთა ლანდები ჩქარი ლასლასით სახლებში შესაყუთვად გარბიან, იქნებ დაყაჩაღებას, მეტიც, ბრმა ტყვიას გადავურჩეთო, ტყვიები კი, იცოცხლე, ყოველ წამს ზუზუნებენ...

კიდევ კარგი, მეგობარი დახვდა, თორემ ქალაქში არც ტაქსი ჩანდა, არც ავტობუსი მოძრაობდა. მეგობარი გასამხედროებული ორგანიზაციის წევრი იყო. ამიტომაც ბედავდა ქუჩაში გამოსვლას, თუმცა ყოველი შემთხვევისათვის ორი შეიარაღებული კაცი მინც თან ახლდა. საქართველოში თუ კიდევ რამე არსებობდა — ეს მეგობრობა იყო. ონკოლოგიურშიც ისევ მან, მეგობარმა აიყვანა ცოლ-ქმარი.

საავადმყოფოში შუქი ხან ქრებოდა, ხანაც მოდიოდა. მორიგე ექიმმა დარჩენა ურჩია: დილით ანალიზები უნდა ავუღოთ და ამოსვლას მაინც ვერ შეძლებთ, ან დაავიანებთ, საავადმყოფო ნახევრად ცარიელია, პალატას გამოგიყოფთ და იქ მოისვენეთო. სხვა რა გზა ჰქონდათ, დარჩნენ. ის ღამე ძილ-ღვიძილში გაატარეს. დილით აივანზე გასულმა რვასართულიანი სახლის მეშვედე სართულის აივანზე მანქანას ჰკიდა თვალი — ვილაცას, იმისი შიშით არ გაიტაცონ, ან არ მოიპარონო, იმდენი მოუხერხებია, რომ მანქანა მეშვიდე სართულზე აუტანია და იქ დაუმაღავს. თვალში გადმოკარკლა. გვერდითა აივანზე მდგომმა ავადმყოფმა მის გოცებულ სახეს რომ ჰკიდა თვალი, მწარე ღიმილით გამოეხმაურა:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 3,4

მანქანა დღეს ნარკოტიკებში გადასაცვლელად ყველაზე „ხადავი ტავარია“, ცხინვალის გაივსო ქართული მანქანებით. ჰოდა, რა ქნას ამ ხალხმა, როგორმე ხომ უნდა დაიცვას თავისი ქონებაო. თავის კანტურით, უსიტყვოდ დაეთანხმა. პალატაში შებრუნდა. ვიდრე მეუღლე ანალიზზე ჰყავდათ გაყვანილი, ადგილს ვერ პოულობდა, მოუსვენრად სცემდა ბოლთას. დერეფანში ძველ ნაცნობს გადაეყარა. იმან რომ გაიგო, აფხაზეთში მიღებული ქრილობის გამო კოჭლობდა, ლამის უსაყვედურა: „რა გინდოდა, რას ეტენებოდი იმ უბედურებაში, განა არ იცოდი, გაყიდულები რომ ვიყავით?“ ამ სიტყვებმა პირველად შეაძებუნა, მაგრამ პასუხი უცბად გაიზარა: „არ გიცნობდე მაინც, ვინ ხარ, რითი სუნთქავ და შენ რომ ამას იტყვი, სხვა ხომ საერთოდ ხელს ჩაიქნევს, დაგვიკარგავს ქვეყანა და ეგ არის“. იმან ხელი ჩაიქნია და გასცილდა. თვალი გააყოლა, დერეფანში ბოდიალი განაგრძო. საკუთარ თავს გამალებით ელაპარაკებოდა: „ქვეყნად ნიჰილიზმი, ამორალური ნიჰილიზმი ბატონობს. თუ დროზე რამე არ შეიცვალა, ისეთ კიბოდ გადაიქცევა, — ონკოლოგიურში კიბოს ანალოგია თავისით ნამოვიდა — რომლის მეტასტაზები აუცილებლად მოგვიღებს ბოლოს. დღეს რომ ნაკუზულ ხალხში უზნეობა ზნეობრივ კატეგორიად მიიჩნევა, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ არ ვცდები“, — მტკიცედ დაასკვნა. თავი დაიჭირა, ეშმა აცდუნებდა: „ან გაიქეცი და მიატოვე ყველაფერი, ანდა ხელები ჩამოუშევი და შენც მთელის ძალისხმევით გადაეშვი იმ სიბინძურეში, მით უმეტეს რამდენჯერმე შემოგითვალეს, ოღონდაც შენ ჩვენთან მოდი და როგორ მიღებას მოგიწყობთ, ეს ჩვენ ვიცით“. ხელი ისე აიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო.

თორმეტი საათისთვის ძმამ მოაკითხა — ფეხებშია ავტომატი ჩაედო და ისე მართავდა მანქანას. ნამლების საშოვნელად ქალაქს მიაშურეს. უყურებდა ერთ დროს „მზის და ვარდების“ ქალაქის ქუჩებს და რწმუნდებოდა — უჟმური გამეფებულიყო თბილისში, უჟმური! ნაშუადღევს შემდეგ ამ მილიონახევრიან ქალაქში კაცი აღარ ჭაჭანებდა და თუ ვინმეს მაინც მოჰკრავდი თვალს, ისიც აჩქარებული ნაბიჯით, თვალის ცეცებით მიიძურნებოდა სახლისაკენ, იმ სახლისაკენ, სადაც არც დენი, არც გათბობა და არც გაზი დახვდებოდა და მაინც მისთვის იმ ერთადერთ ციხისიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც თავს მეტ-ნაკლებად დაცულად გრძნობდა. ხოლო როცა იმავე საღამოს, საავადყოფოში მორიგე ექიმი მოკლეს და უმძიმესი ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის განკუთვნილი მორფინი გაიტაცეს, იარაღი გადატენა და თავს უთხრა: „ეგენი ჩემიანები არ არიან (აქამდე დაზეპირებულივით იმეორებდა: ქართველს ვერ ვესვრი), ეგენი არ შეიძლება ვინმესიანები იყვნენ, ეგენი... უჰ, მე მაგათი დედა“...

ასე იარა ოთხი-ხუთი დღე, მერე დათვრა და ონკოლოგიურისკენ ფეხით შეუდგა ლისის გორის აღმართს. დადლილობისაგან სული შეეხუთა, ოფლში იწურებოდა, შეჩერდა, თვალი ავად მოავლო ჩაბნელებულ, გალურსულ კორპუსებს და მთელი ხმით იღრიალა.

„პირუტყვებო, პირუტყვებო, გამოდით! ვერ ხედავთ რას გიმერებიათ! გამოდით, მართლა

პირუტყვები ხომ არა ხართ, გამოდით! — შეიცადა და ისევ იღრიალა, — პირუტყვებო, გამოდით!“

სუნთქვა შეეკრა და...

დაინახა, დაინახა კი არა, მთელი არსით შეიგრძნო: დაბეჩავებულნი და დამცირებულნი ფანჯრებს გადმომდგარიყვნენ, უაზროდ გადმოჰყურებდნენ ერთ დროს მართლა ამაყი, რაინდი ერის შვილები და ახლა „დაჩმორებულნი“ და დაჩაჩანაკებულნი. მძიმედ ამოისუნთქა, შუბლზე მომდგარი ოფისი მოინმინდა. კიდევ უნდოდა ეყვირა, მაგრამ მიხვდა, ცოტაც და გული გაუსკდებოდა. ქუდი დაიხურა, კი არ დაიხურა ჩამოიფხატა, ყველაზე „მამაცო“ — ვისაც გაეებდა და აივანზე გადმომდგარიყო, მუქარის მზერა ესროლა და აღმართს შეუდგა.

მთელი ღამე იბორცა, დილით თავად გახდა მისახედი. რომ არა ექიმთა ძალისხმევა და თავის გამოდება, სულს განუტყვევებდა. მეორე ინფარქტმა იმ დღეს დაახანა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს „სიამოვნება“ სულ ცოტა ხნით გადაიდო.

მეუღლის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მალე სახლისკენ აიღეს გეზი. ჩოლოქთან მდებარე შლაგბაუმს გასცდნენ თუ არა, შვებასავით იგრძნო. თუმცა მანამდე აჭარის ლიდერს არ ამართლებდა — არ შეიძლება სახელმწიფოში ასეთი რამის აღმართვა, ეს გინდა — არ გინდა, სეპარატიზმის ნიშნების მატარებელიაო, — ფიქრობდა და ხმამაღლაც ამბობდა, კამათობდა კიდევ, მაგრამ თბილისსა და მთელი საქართველოს შემხედვარე დაარწმუნა, რომ არა ეს შლაგბაუმი, აქაც ისეთივე განუკითხაობა დაისადგურებდა, როგორც მთელს საქართველოში.

ლახტის წრეში შესვენების საათმა ჩამოკრა.

ნელინად-ნახევარი წყნარად იცხოვრა. „ბაბუც“ შეურიგდა, საზღვარგარეთაც იმოგზაურა. როცა მესაზღვრეებს პასპორტს უწვდიდა, მწარედ ჩაელიმა — აქამდე საბუთები მხოლოდ ციხის ბადრავი და უშიშროების თანამშრომლები უსინჯავდნენ. თვალწინ დაუდგა საბჭოთა ბანაკები, სადაც „ავჩარკათა“ გაბმულ ყეფაში ბადრავი არანაკლები სიავით იღრინებოდა: ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ და გაუფრთხილებლად ვისვრიო, ახლა კი სრულიად თავისუფალი, გალალბებული გრძნობდა თავს.

„კაცი არც ერთ დროში არ უნდა გაბოროტდეს. როგორც კი ამ დემონს დაემორჩილები, იმ ნამიდან იწყება შენი დაცემა, დაცემული კაცი კი ყველაფრის მკადრებელია“. — ჩაინიშნა მაშინვე გონების დღიურში. ჩაინიშნა და შემოჩენილ ეშმას იმ დღეს საბოლოოდ უგანა.

მართალია, მთელი ეს საზღვარგარეთული ვოიაჟი ბათუმიდან სულ რაღაც ორას კილომეტრზე მდებარე ტრაპიზონს გულისხმობდა, სიხარულს ვერ ფარავდა. ვინ იცის, ბიჭობაში რამდენჯერ უოცნებია ასეთ დღეებზე. ხოლო, როცა თურქეთში გადასულმა პირი იბრუნა და კომკურაზე ნამგალი და უროს მაგივრად საქართველოს სამფეროვანი დროშა დაინახა, თვალზე ცრემლი მოადგა და ხმამაღლა წამოსცდა: არც მასეა საქმე, მაინც რაღაცას მივალნიეთ! საზღვარზე აყოლილი სიამაყის შეგრძნება ისეთ ოპტიმიზმში გადაეზარდა, რომ მეუღლე გაოცებული უყურებდა — ასეთი გალალბებული არასოდეს ენახა.

ტრაპიზონში მყოფმა ისტორიის სანახებშიც იმოგზაურა, მაგრამ როცა ტრაპიზონიდან ორმოცდაათ კილომეტრში მალალი მთის ფერდზე მარადიულ ნისლში გამოხვეული სუმელას მონასტერი იხილა, ლამის ქადაგად დავარდა და ცოლს ისტორიული ექსკურსიებით გული შეუღონა. სუმელამ — რაც ლაზურად სამებას ნიშნავს, ქართული ხუროთმოძღვრული გენიის ამ სასწაულმა, თითქოს საუკუნეების სიღრმიდან ჩასჩურჩულა: ამის ამშენებელმა ხალხმა იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ბიზანტიელის თუ რომაელის ნასახიცი აღარ იძებნება, მან კი დღემდე მოაღწია, რა თქმა უნდა, ღვთის ნება იყო, მაგრამ ამასთან ამ ხალხს ისეთი თვითგადარჩენის უნარი დაჰყოლია, რომელიც უკიდურესის ფამს ისეთ ენერგიას გადმოსცემს, ერს ყოველგვარი ფამიანობისას რომ იხსნისო.

„მტერმა იარაღი სწორად შეარჩია, ჩვენი განადგურება მარტოოდენ დიდ ზნეობრივ მარცხს შეუძლია და ახლა გვიდგას სწორედ ასეთი განსაცდელი, — ენერა გონების დღიურში: დღეს გადამწყვეტი სიტყვა ქართულმა ეკლესიამ უნდა თქვას და მადლობა უფალს ისიც ნაბიჯ-ნაბიჯ ძალას იკრებს.“

პასუხი ექოსავით გამოეხმაურა — „საჭიროა ერის თითქმის ფანატიზმამდე მისული რწმენით დატვირთვა. ჭეშმარიტი რწმენით დამუხტული ერი აუცილებლად გაითავისებს და მალევე დაიბრუნებს მისიას, იყოს ლიდერი და მხსნელი კავკასიისა. ასეთი ქარიზმა ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ მისი უახლოესი მეგობრის და ფაქტიური ძუძუმტეს, ეროვნული გამირის სიკვდილის შემდეგ ეს მაღლი როგორღაც დაიპრიტა და ერთ რიგით პოლიტიკურ ლიდერად იქცა. აქედან დაიწყო მთელი საფუძვრები შეცდომებისა, თუმცაღა ჩეჩნეთიდან მობრუნებული თითქოსდა კვლავაც ზიარებოდა მოციქულთა გრძნულ წყაროს, იმწინამძღოლად გამოიყურებოდა, ღვთიური მისიის კისრება რომ შეუძლია, მაგრამ ქვეყანაში სხვა დრო დამგარიყო. ისეთი სულიერი დეგრადაცია დაწყებულიყო, როგორც ოცი საუკუნის წინ იუდეველებში, თითქმის ალტაცებით რომ მიაცილებდნენ მაცხოვრს ჯვარზე გასაკრავად და რაც მხსნელმა ვერ შეძლო, იმას უბრალო მოკვდავი როგორ მოახერხებდა? ასპარეზი პატარ-პატარა, ყველგან მოფენილ სინდიოფალებს ეპყრათ და მათ მიერ გამოწვეული სისხლმა ერის საღი გონი ისე შეასუსტა, რომ მას ჯანი და უნარი აღარ შესწევდა, დედოზარის შემორეკვას ვინ მოსთხოვდა, ტაატიტ მანც გაჰყოლოდა წინამძღოლს. მას შემდეგ სინდიოფალები პეშვებით ხვრეპენ ქართულ სისხლს. ისიც სიმბოლურია, კავკასიონის მთებში მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მოკლეს მონებმა, რომელთა უპირველესი იარაღი ლალატია“. — ტრაქტატივით ჩაინიშნა და პირველად ცხოვრებაში გაიფიქრა, ოდესმე ქალაღზე გადავიტანო. ფიქრობდა და გულის აჩქარებულ რიტმზე გრძნობდა — ახლოვდებოდა ლახტის წრეში ჩადგომის დრო.

— ბოლო ხანებში, სულ ჩაფიქრებული, მღუშარედ დადიხარ, მგონი დაგავინყდი კიდევო, — ცოლმა რომ უსაყვედურა, ჰამლეტის სიტყვებით უპასუხა:

„უფიქროდ სიტყვა ვერ მიწვდება ცას!“

სამანი ვადმოლახეს თუ არა, სარფში თავის ბიჭებს ჰკიდა თვალი. დავაჟკაცებულებენ, იმდენი ხანია არ ენახა, რომ თრთოლვამ შეიპყრო, დაუფიქრებლად მიეჭრა, ორივე გულში ჩაიხუტა და ცხოვრებაში პირველად ატირდა.

მთელი ეს წლები შეგნებულად არ ნახულობდა, ცხოვრება არ ავერიოო — ფიქრობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ ერიდებოდა მათ ნახვას, რაც ნაცოლარმა შემოუთვალა: ჩემს შვილებს არ გაეკარო, თორემ მხედრიონელებს ვეცყვი, თავს სააკაძის პაატაასავით ნაგაცლიან და მერე იმ „გოგრას“ მაგიდაზე დავიდგამო. გაცეცხლდა. ისიც კი იფიქრა — მოვკლავ მაგ ალქაჯად ქცეულ მდედრსო, მაგრამ მიხვდა, ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდა, ამ ნაბიჯით შვილებს სამუდამოდ გაუმნარებდა სიცოცხლეს, დედის მკვლელი მამა ვის რალად უნდოდა? არჩევანი არ ჰქონდა, უნდა მოეთმინა. სხვათა შორის, თბილისის ნაჩქარევად დატოვების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ. მისი ნაცოლარი, როგორც ამბობენ, ისე აღზევებულიყო, მალე მინისტრის პორტფელსაც გამოჰკრავდა ხელს. ამას წინათ ტელევიზორში იხილა — ქვეყნის მართვაში ვინც ხელს შეგვიშლის, პასუხს უმკაცრესად მოვთხოვთო — ბრძანებდა ქალბატონი. ოლონდაც რას ეძახდნენ ის და მისი კოჰორტა ქვეყნის მართვას, ეს ვერავის ვერ გაეგო. იქნებ იმას, ხალხი მიმშლითა და სიცივით რომ კვდებოდა, თავად კი პარიზსა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე შეძენილ სასახლებს „მორიდებით“ ქოხებს რომ ეძახდნენ?! ან იქნებ იმას, თბილისისთვისაც რომ ვერ მოევლოთ, დანარჩენ საქართველოში გამეფებულ განუკითხაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ან იქნებ იმას, „ოცდაათ ვერცხლზე“ იაფად რომ ყიდდნენ ქვეყანას, ხალხი კი შურის გაუთავებელ რიგებში რომ იხოცებოდა? ფარი-ვაუვლად ქცეულნი, აღსარებაშიც ცრუობდნენ, ხოლო ნაზიარებლები და მიტევების ინდულგენციებით აღჭურვილნი ძველებურად აგრძელებდნენ „ნარკობარონებთან“ და ქურდულ ავტორიტეტებთან ტრაპეზის გაყოფას.

ამაზე ფიქრმა შეზარა და გალახა კაცი, მაგრამ ახლა, სიხარულის წუთები დადგომოდა — საკუთარი სისხლი და ხორცი ჰყავდა გულში ჩაკრული.

მეუღლე შორიახლო მორიდებით იდგა. სახეზე სინანული ეხატა, სინანული იმის გამო, რომ შვილი ვერ გააჩინა და დედობით ვერ გაიხარა.

ბიჭების მოფერებით გული იჯერა. ერთხანს იფიქრა, გვერდზე მოვისვამ, კაცურად დაველაპარაკები კაცობაში შესულ ვაჟკაცებსო, მაგრამ არაცნობიერმა მიანიშნა, რომ ახლა არ შეიძლებოდა. ბიჭებში სათუთად ნაზარდი — მამის მითი არ უნდა შელახულიყო, ამას სიკვდილი ერჩია. თავი აიყვანა, შვილები გადაკოცნა, სხვა დროს უფრო მეტი დრო გვექნება სასაუბროდო, უთხრა, მეუღლეს მოუბრუნდა — ნავიდეთ, თოლიგეო, ტაქსი გააჩერა.

ბავშობიდან უყვარდა ახალი წელი. ნაძვის ხის მორთვას არავის დაანებებდა. ვიდრე ერთად ცხოვრობდნენ, შემოისხამდა ტყუპებს, რთავდნენ ოცნების ხეს და თან საიდუმლო, ნეტარ სურვილებსაც უთქვამდნენ. რაც ცოლს გაეყარა, ახალმა წელმაც დაკარგა ძველებური ნიბლი. თავს არ უტყდებოდა, მაგრამ ხომ აშკა-

რა იყო და ოცდათერთმეტ დეკემბრის საღამოს გამოსავალს მხოლოდ დაღევაში პოულობდა. შეგნებულად თვრებოდა, რათა ახალ წელს, ამ ცხოვრებიდან გაპარულ სიხარულს დაძინებული შეხვედროდა. დილით კი გაღვიძებულს საკუთარი თავი სძულდა. ასე ილეოდა წლები. მაგრამ იმ წელს გადანყვიტა დაედგა ნაძვის ხე. როცა ცოლს უთხრა, ნაძვის ხე და სათამაშოები უნდა ვიყიდოთო, მის გამოხედვაში ისეთი მადლიერების გრძნობა დაიჭირა, რომ გული ჩაენვა: ცხადად დაინახა, რომ არამარტო საკუთარი ცხოვრების ინკვიზიტორი გამხდარიყო, სხვასაც მწამებლად მოვლენოდა. თითქოს მათ შორის კედელი ჩამოინგრა და სივრცე გამოჩნდაო. ოცდათერთმეტ დეკემბერს მათი ბინა საამური ფერებით აკაშკაშდა. ცრემლთა მალული ყლაპვით მორთო, კი არ მორთო — მორთეს ნაძვის ხე, ბედნიერი წლის დადგომა ჩაუთქვეს. გვიან ღამით თითო ქიქა ხვანჭკარაც შესვეს და გაირინდნენ. ორივე, შეუმჩნეველად, ცხოვრების მდინარემ გაიტაცა და დელტებად დააშორიშორა.

რას ფიქრობდა, რას?

დაიღალა. ხშირად იმეორებდა და ახლაც გაიხსენა სენტენცია: სიცოცხლე იმას ჰქვია, შენ დღეს ხვალე ერქვასო. ერქვა კი მის სიცოცხლეს ხვალე?! არ იცოდა, გამოერკვა, თვალი ცოლისკენ გააპარა. ქალს თეთრი ფერი დიადემასავით შემორტყმოდა. იცოდა, ეს ავისმომასწავებელი ნიშანი კარგს არაფერს უქადდა. გვერდით მიუჯდა, მოეხვია, ცრემლი ნაქურდალივით დამალა.

მეუღლე იმ წელს, დიდ ხუთშაბათს გარდაეცვალა.

სარწმუნოებასთან თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა. საყდარში იშვიათად დადიოდა, მარხვა არასოდეს შეუწახავს, რადგანაც მიაჩნდა, რომ ყველაზე დიდი მარხვა კაცურად ცხოვრებაა და მას სიმძიმით ვერაფერი შეედრება. არც აღსარება უთქვამს არასდროს.

„აღსარება კაცმა საკუთარ სინდისთან უნდა თქვას და თუ მან შეგინდო, უკვე არავისი შენდობა აღარ გჭირდება, რადგანაც უფალმა სინდისი ადამიანს დედის საშოდან სწორედ ამიტომ დააყოლა, რითაც საბოლოოდ გამიჯნა ცხოველისაგან — სინდისი — ეს ღვთისბოძებული მადლია, კაცს კაცობას რომ უნარჩუნებს და თუ სინდისმა არ შეგინდო, შენს ყოფაში მარადიული სინანულის ჟამი დამდგარა და იმ დღიდან მოსვენება არ გინერია“, — ეუბნებოდა სტუდენტებს და ეს აზრი არასოდეს შეუცვლია. არც თვითმკვლელობაზე უფიქრია ოდესმე. ტკივილის, მარცხისა თუ უბედობის ჟამს მისი დაუდგარი ბუნება ბრძოლას განაგრძობდა და იმ ჩახლართულ, ღამის გაუფლავ ტროპიკებში, მისი სულის ღიანები რომ ერქვა, როგორღაც ყოველთვის იკვლევდა გზას. სიკვდილზე, როგორც ფენომენზე, იცოცხლე, ბევრი უფიქრია. განსაკუთრებით ბოლო ხანს და გონების დლიურში, გამოკვეთილი ასოებით ინიშნავდა: „ეს ქვეყანა ჩემამდისაც არსებობდა, მაგრამ სულაც არ მანაღვლებს, რატომ ჩაიარა ამდენმა ათასმა წელმა უჩემოდ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ისტორიულ კოლიზიაში თუნდაც წამით ყოფნა უდიდეს სიამოვნებას მომგვრიდა და ხშირად ამისი დაუძლეველი სურვილიც მქონია. მაგრამ ის ყოველივე უჩემოდ მოხდა

და რა გაენყობა. დღეს არავინ იცის საფლავი მაკედონელის, კეისრის, დიდი რუსთაველის, წმინდა თამარ მეფის, მაგრამ თავიანთ დანატოვარ სახელს ისეთი მნათობი აუნთეს, რომლის სიკაშკაშემ მარად თვალს მოსჭრის კაცობრიობას, ვიდრე ის იარსებებს. მთავარია, ისე იცხოვრო, როცა ყველაფერი დასრულდება, როცა მოვა ის, ქართველებმა გარდაცვალება რომ დაეარქვიო, მარადისობაში გადასვლის გასაიოლებლად, აქ როგორ სახელს დატოვებ. სწორია ხალხი: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასატოვებლად და მეორე თან ნასალები — უკვე მერამდენედ გაიმეორა — ამიტომაც, ეს არის არსთა-არსი, თორემ ეს სამყარო როგორც ჩემამდე არსებობდა, ასევე იარსებებს ჩემს შემდეგაც, აქაც ვერაფერს გაანყობ, ასე რომ გულის დანყვეტას „პერსპექტივა“ არა აქვს“. — ინიშნავდა, იმეორებდა ამ აზრს, მაგრამ მაინც სინანულის შეგრძნებას ვერ იშორებდა. უსაშველოდ ენატრებოდნენ მშობლები, ახლობელი ადამიანები, ღამის დანანევრებული სამეგობრო, თანამებრძოლები და ყველა, ვისაც კი ოდესმე პატივს სცემდა და პროტესტიც აქ იზადებოდა, პროტესტი იმისა, რომ დიდი უსამართლობა დამეკვიდრებინა არსთა გამგებელს, როცა ადამიანისათვის წესად დაედგინა — ერთხელ ნასულს მინა მიაყარე და ვეღარასოდეს ნახავო. ეს პროტესტი ცოლის დაღუპვის შემდეგ გაუასმამავდა. ერთ კუთხეში იჯდა, ღამის დაკუტდა და საერთოდ გამოეთიშა ცხოვრებას. შემდგომში ვერაფრით ივიწყებდა იმ წყეულ წამებს, არც ის ახსოვდა, ვინ მოვიდა, ვინ მიუსამძიძირა, ვინ რას ამბობდა, ან რას ეუბნებოდა. მხოლოდ ერთხელ გამოფხიზლდასავით და კატეგორიულად განაცხადა: არავითარი ქელეხი!

დაკრძალვის შემდეგ ღამე თეთრად გაათია და გარიჟრაჟზე ერთი ბოთლი ღვინით მიბრუნდა სასაფლაოზე. დიდხანს უხმოდ ელაპარაკებოდა, მტლად ედებოდა, ეკითხებოდა — რა ვქნა, აწი როგორ ვიცხოვროო. იქვე ჩათვლიმა. გაზაფხულის ჯერ კიდევ უძღურმა მზემ გამოაღვიძა. სიცვიისაგან ვათოშილი ერთთავად ცახცახებდა. შინ მობრუნებულმა, ატმორი ჩართო და შხაპში დიდხანს თბებოდა. იმ დღეს, არც მომდევნო ორ დღეს ლოგინიდან არ ამდგარა. არც ტელეფონს პასუხობდა, არც კარზე ზარს, მობილური საერთოდ გამორთო. მეოთხე დღეს ჩაიცვა და უნივერსიტეტში თავის სტუდენტებს მიაშურა. აღიზიანებდა, როცა ვინმე „გულმონყალე თანაგრძნობას“ უცხადებდა და ლექციას მორჩებოდა თუ არა, მაშინვე სახლს მიაშურებდა. იქ, გაშტერებული დიდხანს უაზროდ იჯდა. ხანდახან ნიგნს აიღებდა, გადაშლიდა და გაშეშდებოდა. არჩევნების შემდეგ თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. ბათუმში გული აღარ უდგებოდა. აჭარის ლიდერი კვლავ გაბუტვოდა, ოლონდ რისთვის ან რატომ, არ იცოდა. არც უცდია გაეგო. კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი ბუნება: ათასი კარგი უცბად ავიწყდებოდა, ერთ ცუდს უცბად იჯერებდა და გულში იდებდა. ექვიანობამ და დევნის ქიმერამ თავისი საქმე გააკეთა და მეოცე საუკუნის ბოლო არჩევნები, რომელიც ყველა გამოკითხვით ქვეყნის მასშტაბით მისი ტერიუმფით უნდა დაგვირგვინებულიყო, პირწმინდად ნააგო. „თეთრი მელას“ ხალხმა არჩევნებიც გააყ-

ალბა და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავ-
ლესობითაც მოვიდა. ხომ ცნობილია, გლალატო-
ბენ მხოლოდ შენები, თუმცა აჭარის ლიდერიც
ხშირად თავად უწყობდა ხელს, რომ ელაღატათ
და „ხელშეწყობილებმა“ მიჰყიდეს კიდევ (აბა, ამ
შანსს დაკარგავდნენ?) „თეთრ მელას“.

თბილისში, გარეუბანში ერთოთახიანი ბინა
ჰქონდა გამოკეტილი (მშობლების დანატოვარი,
დიდებული სახლი სოლოლაკში მეორე ცოლსა და
შვილებს უსიტყვოდ დაუტოვა — გადიდქალე-
ბულმა ცოლადყოფილმა მისი ხელმოწერა გააყ-
ალბა და ბინა თავის სახელზე გადაიფორმა. ხმა
არ ამოუღია) და იქ დაბინავდა.

მეოცე საუკუნე უკანასკნელ თვეებს ითვლი-
და. როგორც სახელმწიფოში, ასევე დედაქალაქში
ბევრი რამ შეიცვალა. რაღაცეები, ასე თუ ისე
დალაგდა. საძმოთა ბანდფორმირების თარეში
შენყდა, ოღონდ მანამდე, სამუხაროდ, ამ ბიჭებ-
მა ერთმანეთი ამოწყვიტეს, გვარდიის სარდლად
წოდებული აფრაკი მხატვარი და მხედრონის
მამობილი დრამატურგი (რომელსაც აყოლილი
მთელი თაობა დასამარდა, ამ სიტყვის ყველაზე
პირდაპირი გაგებით,) ციხეებში „ისვენებდნენ“.
ნამეგობრალეები (ასე ეძახდნენ პუტჩისტების
მხარეს მყოფ ძველ შეფიცულებს), რომელთაც
აგრესია განელებოდათ, ეუბნებოდნენ — ხომ
ხედავ, რამდენი რამე გაკეთდაო. ამას მწარედ
ეცინებოდა, ეზოში რომ წყალი შემოგვივარდ-
ება, კარ-მიდამოს და ნათესებს გაგინადგურებს,
მერე შენი ხელით გამართავ პატარა ჯებირს, ეს
ვისი დამსახურებაა — ხელისუფლების თუ შენიო
— პასუხობდა. მართლაც სახელმწიფო უმომავ-
ლობის განცდას დაატარებდა, ირგვლივ სრული
გულგატეხილობა დაიჩრდილებოდა და გალ-
ახულ, პანლურამოკრულ კაცს მოგაგონებდა,
რომელსაც დიდი ხანია პატივს აღარავინ სცემს.
აცნობიერებდა უბედურების სათავე სად უნდა
ეძებნა. ისინიც ფხიზლდებოდნენ, ვისაც შეც-
დომების აღიარება შეეძლო და იმ სინდიოფალა-
თა რიგში არ ჩამდგარიყო, რომელთა არსებობის
წესი, ერთ იმერულ სიმღერას მოგაგონებდათ:
მომიტხე ყველი, მოგიტხავ მჭადსა.

ქვეყანაში დაწყებული ეროვნულ ფასეუ-
ლობათა გადაფასება საშინ სახეს ღებულობდა.
ხალხის კოლექტიური გონი თაობიდან თაობას
დიდი სასოებით გადასცემდა ყოველივე იმას,
რამაც ის ერად აქცია, ახლა კი ეს ფასეულობე-
ბი დევაღვირებული და მასხრად აგებული
ჩანდა. არადა, ეს ფასეულობები იყო ის საუნჯე,
რომელთა სიმბოლოები ჩვენი თითოეულის რაო-
ბას ჰქმნიდა, რასაც ჩვენი წინაპრები სისხლით
იცავდნენ. იცავდნენ ისე, როგორც ძველი კოლხ-
ები „ოქროს სანმისს“, რომელიც საუბედუროდ,
კოლხი ქალის ღალატმა ბერძნებს ჩაუგდო
ხელში. აქედან დაიწყო კოლხურ-იბერიული
ტომების დიდი სულიერი კრიზისი. ქართველთა
ცნობიერებაში „ოქროს სანმისის“ ჩანაცვლება
ვერაფერმა შეძლო და აგერ უკვე სამი ათასი
წელია, მას მივტირით. მიჯაჭული ამირანი და
ოქროს სანმისი — ამ ორ სვეტშია ჩაგვირისტე-
ბული ქართველი ერის გენეზისი და ამ სვეტშია
აღმოცენებული ქართული სულიერება, მისი
უნიკალური ეთნოფსიქოლოგია, რაც ეროვნულ
ტრადიციათა ერთობლიობასთან ერთად კლდე-

ში ნაკვეთი გიგანტური მონუმენტით სახეა
ნაცისი.

„ამირანის ეპოქაში ქართველი კაცი საკუ-
თარი ვაჟკაცობის ჩრდილ-ნათელს ლანდავდა.
იქნებ ვცდები, მაგრამ დარწმუნებული ვარ,
დიდმა შოთამ თავის გამირებში აბორგებულ
ამირანის ნაშიერნი გამოძერწა (შეადარეთ:
ამირანი, ბადრი, უსუპი, - ტარიელი, ავთანდილი,
ფრიდონი), ნესტან-დარეჯანი ის „ოქროს სანმი-
სია“, რომელიც აუცილებლად უნდა გამოეხსნათ
გამირებს, რაც კი, ჩემი აზრით პირდაპირი მნიშ-
ვნელობაა იმისა, რომ თუკი ფეხზე წამოდგომა,
ძველი დიდების დაბრუნება გვინდა, უპირველე-
სად, „ოქროს სანმისი“ უნდა დავიბრუნოთ და
ეს მიზანი დედის მუცლიდან დაწყება ყოველ
ქართველს. თანამედროვე პოეტიც როცა ამბობს
— საქართველო იყო მათი საფიცარი სახელიო,
— სწორედაც მათ გულისხმობს. ამიტომაც, მი-
თური ქართველი გამირები ისე არიან შენიშნული
ჩვენს ხსოვნაში, რომ მათი მეხსიერება თითოეუ-
ლი ჩვენგანის მარადიული ჩრდილ-ნათელის
თანამდევია. თუკი ჰამლეტს მამის აჩრდილმა
მკვლელის ვინაობა გაუმხილა, ჩვენი მითური
გამირები სიფხიზლისაკენ და ჩვენი უმთავრესი
ორი სვეტის დაცვისკენ მოგვინოდებენ, თანაც
გვაფრთხილებენ — არავინ იცის, რა სახით
მოგვევლინებიან გარდასახული მტერნი, რად-
განაც: „გველი დასაბამისაი, რომელიც ეწოდა
ემშაკი და სატანა, ანუ რომელი იტყუოს თავსა
თავისა წინასწარმეტყველად და ასწავლის და
აცდუნებს ყოველსა სოფელსა“; — და იგი გველი,
შემოხვევია ქართველობას და ამთობს“. — გონე-
ბის დღიურში ამ ნააზრევს განსაკუთრებული
უფრა მიუჩინა და გულის სიღრმეშიც სათუთად
გადაინახა.

ამ ფიქრებსწონიდა, ალაგებდა, კომუნისტურ
ჯოჯოხეთგამოვლილ ქვეყანას კი თვითგადარ-
ჩენის იმუნიტეტი ამკარად დაქვეითებოდა. მალე
გონების ლიბრი, შესაძლებელია, გონების დამ-
ბლად ქცეულიყო, მით უმეტეს, რომ ბევრ ქარ-
თველს ქართული ჩამომავლობის მეფისტოფელ
სტალინთან სულიერი ხელშეკრულება ჰქონდა
გაფორმებული, მისი „ფეხი“ „თეთრი მელა“ კი
ყოველივეს შესანიშნავად იყენებდა: მისი და მისი
ლაქიების მეცადინეობით სასაცილოდ ქცეული-
ყო — პატრიოტიზმი, პატიოსნება, ტრადიციის
ერთგულება, ვაჟკაცობა, ოჯახის უზენაესობა
და სხვა ღირებულებები, რითაც საუკუნეების
განმავლობაში თავი მოგვექონდა. როცა ნაციას
ნაბიჯ-ნაბიჯ ყოველივე ფასეულს გაუფასურებ
და დაუბინძურებ, მაშინ შესაძლოა, ეს ფასეუ-
ლობანი, თავად მასვე გამოაცხადებინო ქიმერად
(მათ დაცვას ხომ, თავდადება, მუხლჩაუხრელი
შრომა და წესიერება უნდა, ეს კი ამ გადუხჭირე-
ბულ ცხოვრებაში ზედმეტ პრობლემას უქმნის
სწობად ქცეულ ოზივატელს) და როცა ეს მოხდე-
ბა, მიზანი მიღწეულია — მერე ამ ხალხს საითაც
გინდა იქით გარეკავ. აკი მიერეკებოდნენ კიდევ
— მართალია, თბილისის თავზე ქართველთა
მფარველად წარმომდგარი ქართლის დედის-
ათვის ხმლის მაგივრად გენიტალია რომ დაეჭ-
ვინებინათ ხელში და ქართული სუფრა, ეს
მონესრიგებული ზეიმის ნიმუში, ლამის ჰომო-
სექსუალთა თავყრილობად გამოეცხადებინათ,
მანამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ ფაქტია

ქვეყანა ამისკენ ნელა მიიზღაზნებოდა. თუმცაღა მანამდე, „თეთრმა მელამ“ — ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერს უწოდა რა „პროვინციული ფაშიზმი“, მთელს მსოფლიოში გაუტეხა სახელი და ეს შეგნებულად, გააზრებულად იქნა გაკეთებული. და თუ რატომ, ეს ყველასთვის ცხადზე ცხადია.

ოცდამეერთე საუკუნეც დადგა! ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ყველა მისი ძვირფასი ადამიანი, ვინც ამქვეყნად აღარ იყო, ან უკვე წინა საუკუნეში დარჩენილები, სამუდამოდ დაემშვიდობნენ და გასულ ასწლეულთან ერთად მარადისობას შეერივნენ.

„ახლა კი სულ მარტო ვარ, — უთხრა პირველი იანვრის დილას საკუთარ თავს — და ნეტავ, გზას თუ გავიგნებ?“

გზა როგორ უნდა გაეგნო, როცა არ იცოდა, რა უნდოდა და საერთოდ უნდოდა კი გზის გაგნება? ხომ ყოველთვის გაიძახოდა: „თუ მელანქოლია, გაჭირვება და ათასი ჯურის უბედურება კაცმა ცხოვრების წესად გაიხანდა, ის ნებაყოფლობით ადგება იმ მონის გზას, ყველაფერს რომ შეგუებია და ვისი დაისი და განთიადი ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება. ასეთი კაცის ცხოვრება წლებში განელილი კვდომაა, ამას კი ლახტის წრეში ჩადგომა სჯობს.“

გადანწყვიტა, შობა დღეს, რესტორანში დიდი წვეულება გაემართა და ვინც შემორჩა ყველა მიეპატიჟებინა. იმ ოთხი ათასი დოლარიდან, რომელიც მანქანის გაყიდვიდან დარჩა (მანქანა ორი წლის წინ აჩუქა აჭარის ლიდერმა, ამით ერთგულება დაუფასა. ერთ-ერთი თბილისელი ნაცნობის შემოთავაზებაზე, რალაც გაურკვეველი ბარათი შეეტანა აჭარის მეთაურთან და სანაცვლოდ ორმოცდაათი ათასი დოლარი აედო, უარი განაცხადა. ის, ჩათლახი ორმაგი აგენტი აღმოჩნდა და ნასიამოვნებმა „ბაბუმ“ საჩუქრად მანქანა გაუგზავნა,) ათასი დოლარი აიღო და რესტორანს მიაშურა.

ერთი „აჩემება“ სჭირდა — ლამაზი, ოსტატურად დამზადებული ჭურჭელი უყვარდა. ოჯახიდან წამოსულმა რაც რამ გააჩნდა, იქ დატოვა, მაგრამ დანაკარგი ნელ-ნელა ძველმანებლის ბაზრობაზე შექმნილი ნივთებით შეავსო და ბათუმიდან წამოსულმა, პირველ რიგში, ისინი წამოიღო. ამაში უდავოდ, ძველ რომაელ სარდალ ლუკულუსს ბაძავდა: მთელ რომში განთქმული იყო ლუკულუსის მდიდრული წვეულებები, სადაც ყველაზე ეგზოტიკურ კერძებს, სტუმრებს მთელს იმპერიაში საუკეთესო ჭურჭლით მიართმევდნენ. ერთხელაც, როცა მარტოს უნდა ესადილა, მონამ უბრალო ჯამებით გაუნყო მაგიდა და გაოცებული სარდლის სახეს რომ ჰკიდა თვალი, მორიდებით შეჰბედა, დღეს სტუმრები არა გვყავსო. დიდ რომაელს გაეღიმა, წამოდგა, გარეთ გავიდა, საპატიო შემოსასვლელიდან შემობრუნდა და მონას უბრძანა: აბა, შენ იცი, როგორ გაგვიმასპინძლდები — დღეს ლუკულუსი ლუკულუსთან სადილობსო. ჰოდა, რესტორანშიც საკუთარი ჭურჭლით გამოცხადდა.

საზეიმო სუფრას თავად გაუძღვა. კი არ ითამადა, ისარდლა. მაგიდას ისე წარმართავდა, თითქოს ომში ჯარის მანევრებს აწყობსო. ყოველ სიტყვას, ყოველ ჟესტს თავის სიმბოლურ დატვირთვას აძლევდა. ყველა სადღეგრძელოს

ისე კითხულობდა, ვითარცა მორწმუნე ფსალმუნს, შთაგონება ეწვია და დემოსტენემ თავისი კალთა გადააფარა.

ქეიფი კი არა, ერთი დიდი აღსარება გამოვიდა, სადაც დაურიდებლად ყვებოდნენ საკუთარ ცხოვრებზე და აჯამებდნენ მას. თითოეული მათგანი იმ რალაცას მისტიროდა, ასე ჩუმად რომ ვაჰპარვოდა და ამ გაპარულს სიცოცხლე ერქვა, სიცოცხლე, რომელიც ცხოვრებით უნდა დაეხარჯათ და არა იმ ფარსი სპექტაკლით, საკუთარ თავს რომ დაუდგეს.

იტალიელები თავიანთ მწარე და ტკბილ მოგონებებს ამარკორდს ეძახიან. დიდმა რომაელმა რეჟისორმა ამ სახელწოდების ფილმიც გადაიღო, ამათ კი იმ საღამოს მწარე და ტკბილი მოგონებებით დიდებული სპექტაკლიც გაითამაშეს და სეზონიც დახურეს!

მეორე დილით იავარქმნილმა ცხოვრებამ დაურიდებლად გამოაჩინა ბოროტი ჩანა და მეორე ინფარქტიც „ჩაახუტა!“

მთელი კვირა კარდიოლოგიური ცენტრის რეანიმაციის განყოფილებაში გაატარა. პალატაში გადაყვანილი, შვილების ხილვამ ცხოვრებისაკენ მოაბრუნა, ყოფილი ცოლის გამოჩენამ გააოცა.

— რა გინდა, რამეს ხომ არ ინატრებდი? — ჰკითხა ცოლ-ყოფილმა.

თავი გაუქნია. მარტო რომ დარჩა, მართლაც რას ვინატრებდიო, თავს ჰკითხა და პასუხიც მყისიერად მიიღო: ერთ დიდ კაცურ გამარჯვებას. ყოველთვის მიაჩნდა გამარჯვების გარეშე ვაჟკაცი, უნდა არ უნდა ცვედანობის გზას ადგება. ახლა ეჭვებმაც შეიპყრო, ეჭვებმა იმისა, რომ იქნებ ყველაფერი დამთავრდა. არა! — იყო პასუხი. ფრანგი იმპერატორის გადასახლებაში, კუნძულ ელბაზე ნათქვამი სიტყვები გაასხენდა — აუსტერლიცის მზე კიდევ ამოვაო. ამ სიტყვებით ხაზს უსვამდა, რომ ყველაფერი არ იყო დამთავრებული და მისი ყველაზე დიდი გამარჯვების დღე, აუცილებლად განმეორდებოდა და აკი აფრინა კიდევ არნივი, სწორედაც „არნივის გადაფრენა“ უწოდეს ისტორიკოსებმა ელბიდან გამოქცეული ნაპოლეონის თოფის გაუსროლად პარიზში — ტიულრის სასახლეში ას დღიან დაბრუნებას. ტკბილად ჩაელიმა და ოცნებათა გარემოცვაში ჩათვლიდა.

ის ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა. გამოფხიზლებულს საღატესავით შემოერტყა აზრი და მიხვდა: მისი დღევანდელი ყოფის ყველაზე დიდი მტერი ნუგეში იყო და იგი არავისგან არ უნდა მიეღო. ნუგემის მიღება დამარცხების აღიარებას ნიშნავდა, ის კი განმარტობას, სტრატეგიის შემუშავებას და ახალი ბრძოლისათვის მზადებას აპირებდა. „აუსტერლიცის მზე კიდევ ამოვაო“.

— დიდი იმპერატორის სიტყვები ისევ შესძახა თავს. არც მარტობის შინებია ოდესმე. მთელი ცხოვრება განა მარტო არ იყო? მარტობის შიშს სისუსტედ თვლიდა. „ხოლო სისუსტის გამოვლინება — ეს მხდლის თვისებაა!“ — არაერთხელ გაუმეორებია. მოკლედ, მარტობისა და ძალები მობილიზაციისთვის ემზადებოდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ბედ-მდეგარს სულ სხვა გეგმები აღმოაჩნდა. შვილების კატეგორიულ მოთხოვნას — მარტო ვერსად გაგიძვებო, სახლში უნდა წამოხ-

ვიდეო და ნაცოლარის „განცხადებას“, რომელსაც იმ ხანებში მინისტრის პორტფელი მოერგო — ახლა ამპარტავნობის დრო არაა, ნუთუ ვერ ხვდები, ყველას უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებ, წამოდი, გამოკეთდი და მერე, როგორც გინდა, ისე გადაწყვიტო, დანებდა! (გვიან როგორც სარკაზმით ამბობდა — სნობური მორჩილებით გავაკეთე ესო), დანებდა და შინ დაბრუნდა.

დაუბრუნდა მშობლიურ სახლს, სახლს სადაც გაიზარდა, რომელთანაც უამრავი თბილი მოგონება აკავშირდება. ამ ემოციათა ლამუნმა მოამჯობინა, გამოკეთდა, წამოდგა კიდეც და როცა თვისი კაბინეტის კარები შეაღო, ზღურბლთან გაშეშდა — ოთახში ყველაფერი ძველებურად იყო, ისე, როგორც დატოვა. იქ დაძინების ნებართვა ითხოვა, უარი არ უთქვამთ. ერთ საღამოს ცოლადმობრუნებული (ასე ეძახა გუნებაში ქილიკით), შემოვიდა, როგორც საქმიან მატრონას შეეფერება, სავარძელში უცერემონიოდ ჩაეშვა — უჰ, როგორ დავიღალეო, თქვა კაბინეტს თვალის მოავლო.

თვე გასულიყო, რაც სახლში დაბრუნდა და ეს პირველი შემთხვევა იყო, ცოლადმობრუნებულმა მისი ოთახის კარი რომ შემოაღო. ამდენი ხანი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ ცოლქმრულ ურთიერთობას ვინ ჩივის, აქამდე ერთმანეთისთვის ნესიერად ორი სიტყვაც არ უთქვამთ. გაუცხოების გრძნობას სათქმელი აღარ დაეტოვებინა.

„მიხარია, რომ მომჯობინდი, — საქმიანად მიმართა ცოლადმობრუნებულმა, — პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორს ველაპარაკე. ორშაბათს გელიან. შენი საყვარელი სულხან-საბას კაბინეტს ჩაგაბარებენ და ლექციებს ნაიკითხავ. ასე რომ, მომილოცავს...“

მორჩილად გადაუხადა მადლობა. ის კი არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, მხარზე ხელი მოხვია, კისერთან კოცნა მოუნდომა. ცოლადმობრუნებულმა სახე იმ მატრაკვეცა გოგოსავით აარიდა, როგორიც ახსოვდა და როგორიც უყვარდა, თან ღიმილს ვერ იმორებდა. ბოლოს ჩაირაკრაკა:

„კაი, კაი ახლა, ნუ გალალდები, აბა შენ იცი, ნავედი“.

სწრაფად წამოდგა ოთახიდან გამარჯვებული, მედიდური ნარნარით გავიდა.

პედაგოგიურ უნივერსიტეტში ელოდნენ. კარგადაც მიიღეს, ესეც საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

თითქოს ყველაფერი აენყო, მაგრამ ბიჭების ქცევა მოსვენებას უკარგავდა: ტყუპებს, რომლებისთვისაც დედის სიტყვა კანონის ძალას ატარებდა და საერთოდ, თითქმის მონინებით ექცეოდნენ, მამის რიდი, ელემენტარული რიდი გაპარვოდათ. ხშირად შეუმჩნევიან, დილით კაბინეტიდან გამოსული ფლოსტებს რომ დააფლასტუნებდა, შვილების სახეზე მსუბუქი ირონია. ხვდებოდა იმას, რისიც ასე ეშინოდა — ლეგენდა მამაზე, რომლის ვაჟკაცობითაც ამაყობდნენ, მათ წარმოსახვაში ნელ-ნელა ქრებოდა. მათთვის მამა ერთ დაინვალიდებულ კაცად ქცეულიყო, კაცად, რომელსაც დამარცხება ელიარებინა და საკუთარ ჭერქვეშ მხოლოდ იმიტომ შეეფარებინათ, რომ როგორც ახლად შემოსილი ტერმინი ასწავლიდათ — მათი „ბიოლოგიური მამა“ იყო.

არა, შეიძლება აჭარბებდა და სულ ეგრეც არ იყო, მაგრამ ამ შეგრძნებებს ვერაფერს უხერხებდა. პირიქით, თანდათან უმძაფრდებოდა. ერთხელ, როცა სამსახურიდან ბაზარში გაიარა და შუადღისას სახლში შემთხვევით შემორბენილ ცოლს ხილი გაურეცხა და ლანგრით მიართვა — დაღლილი ხარ გესიამოვნებო, ქალის სახეზე იმ ადამიანის ღიმილი დაიჭრა, სამადლოდ შემოკედლებულ შორეულ ნათესავს სულგრძელად რომ იტანს. ღიმილის კალამბურში გარკვევით იკითხებოდა — გაები, ჩიტო, მახემო.

თავი შეეზიზნა. სახეზე აღმოდებული, კუდამოძუებული ბებერი ლომივით ვალასლასდა თავის ოთახში.

არაცნობიერი განგაშს სტეხდა და მიანიშნებდა: ცოტაც, ცოტაც და სადაც წერილია, იქ განწყდება.

თავდაპირველად შვებას პედაგოგიურ უნივერსიტეტში, თავის სტუდენტებში ნახულობდა, მაგრამ თანდათან სიტუაციაში გაერკვა და გულს შემოეყარა: ჯერ ერთი, ქრთამის გარემოში თურმე სტუდენტობას ვერავინ ელირსებოდა, ეს მისაღებ გამოცდაზე, მერე კი სწავლისას, ლექტორებს ქრთამის აღების კიდეც ერთი დელიკატური ფორმა მოეფიქრებინათ — სემესტრული გამოცდის ჩაბარება თუ გინდოდა, ხელში გამომცდელის დანერილი, მისივე ფაქსიმილით დამშვენებული სქელტანიანი, ძვირად ღირებული ნიგნი უნდა გჭეროდა. ამაში შეიძლება ცუდი არაფერი ყოფილიყო, უმრავლეს შემთხვევაში ნიგნი მაღალ პროფესიულ დონეზე გახლდათ დანერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, სტუდენტს მის ნაკითხვას და ცოდნის მიღებას იმდენად არ ავალდებულებდნენ, რამდენადაც ნიგნის კოლოსალური თანხის გადახდას. ესმოდა, მასწავლებლის გამტყუნებით არ იქნებოდა ბოლომდე მართალი — იმდენად მიზერულ ხელფასს უხდიდნენ, გველის ხერელში ძვრებოდნენ, თავი და ოჯახი რომ როგორმე ერჩინათ. რიგით მასწავლებლებს კი არა, შიმშილით სიკვდილის სამიშროება ისეთ დიდ მეცნიერებსაც ჩასაფრებოდათ, როგორიც მსოფლიოში სახელგანთქმული ასტრონომი, მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, მრავალი აკადემიის აკადემიკოსი ბრძანდებოდა, რომელსაც კეთილმა ადამიანებმა, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრეს. ადამიანის ენა ვერ ჩამოთვლის ყველა იმ უმსგავსობას, რაც პედაგოგიურ უნივერსიტეტში ხდებოდა, მაგრამ... პედაგოგიური უნივერსიტეტი რა გამონაკლისი იყო? მთელი ქვეყანა გახრწნილიყო, სულეირად გადაგვარებულიყო. ყოველივეს თავი და თავი კომუნისტური საბჭოთა მენტალიტეტი და ის სისტემა გახლდათ, რომელსაც სათავეში „თეთრი მელა“ ედგა.

გაგრძელება იქნება



ქეთევან
შენგულაძე

აზარაკაზა

მაინც ჩამდგარა ქარი ავყია,
მინყდა ფეხის ხმაც, სუნთქვაც,
ჩურჩულიც,
დაუნდობელი და ამაყია,
ეს სიმარტოვე – თეთრი ურჩხული.

იტყვებს, ღრუბელს რა უნდა მეტი?!
ნისლებმა მთები ისევ დამალეს,
ვზივარ და ვფიქრობ: ვინ იცის ბედი,
როგორ გამითხრის გულში სამარეს.

* * *

არც მებრალეები, არც თავს ვიბრალე,
როცა დარდიანს, მტირალს გიყურებ,
ცხოვრების სუსხი ყინულზე გვისვრის,
მერე გვირიგებს ხოლმე ციგურებს.
ზოგჯერ ხომ ამსხვრევს ალაგ და ალაგ,
მარტი ამ მინას ჭრელი ყვავილით,
ნითელ ფერს უფრო ადვილად ამჩნევ
მოლზე, ვიდრე სხვას, კახა ქალივით.
ჩამომენაცრა ყველა სიმაღლე,

ხახმატის ჯვართან, ხატონ ხახულის,
დროშის მაგივრად ფრიალებს ჭინჭი,
იღვრება ღვინო გადანახული.
„ღმერთო მილხინე ცოდვილსა“ ახლაც,
თუ ვნებით კიდევ გამაჟრიალა,
დამიმეგობრე სიცვივის ნაცვლად,
ჭრელი ფოთლები შრიალ – შრიალა,
ნუ მინყენ, ისევ ცალად დავდივარ,
მგელივით ხორცი მაინც მშობდეს,
შენი მიწის ვარ, იცოდე, მუდამ,
სადმე სულიც რომ ამომდიოდეს.
უფალო, იქნებ მართლა მიშველო?!
შენდობა მაინც შენი ვალია...
მაკმარე, ვუძღვებ „ძაღლების“ მწარე
ნაკბენებს უკვე კარგა ხანია.
ჩურჩულით გეტყვი მაინც რალაცას,
გულს ნახანძრალი ისევ ატყვია,
შენ რომ მიმინოს მართვე მაჩუქე,
უკვე ნადირობს, განა ბარცყია?!
ფუტკარს ვაჭამე ნუგბარი,
ვაზი ავუშვი ჭიგოზე,
მიბოძე, ჩემო ბატონო!
რაც მე დავთესე, მიბოძე.

დაკარგულ „მეგობრებს“

მომკლა ლოდინმა, ამდენმა დარდმა,
უგულობამ და თქვენმა სიმკაცრემ
და მაინც, ჩემი ასფურცელები,
გზას გამიკვლევენ დილა-სისხამზე.
ხშირად გულია ცრემლის სათავე
და წვიმაც მოდის კოკისპირულად,
ცაო! შენ მაინც რა მოგივიდა,
ნაპირს რომ უნგრევე მტკვარს და ძირულას?!
მთაზე ვაგროვებ წვრილ ათინათებს,
გულში ვიკრავ და ისე ვწყნარდები,
აბა თქვენ მაინც ეკლები მოგაქვთ,
არ გემეტებათ ჩემთვის ვარდები. . .
ამდენ მტრობას და ლალატს რა ვუყო,
ამდენ ცრუ კაცს და შარახვეტიას,
მეტის-მეტია ყველა სიკეთე,
თქვენთვის, როგორც ჩანს მეტის-მეტია.
მომკლა ლოდინმა, მე მარტო ვცეკვავ,
ყინულზე ვცეკვავ უპარტნიოროდ
და ჩემი ძალა მხოლოდ თქვენშია:
ბზიფო, თეთნულდო, ოშკო, იორო!
მომკლა ლოდინმა, ამდენმა დარდმა,
უგულობამ და თქვენმა სიმკაცრემ,
და მაინც ჩემი ასფურცელები
გზას გამიკვლევენ დილა-სისხამზე.

„ფარავნის ტბასტან, ფოკაში,
სალოცავია ერთი,
მოდო, ახლავე ნავიდეო,
„მოვინახულოთ“ ღმერთი...“

მერე ხიხანში შევიდეთ,
 მერე მაჩვენე სხალთა,
 წითელი ყაყაჩოებით
 ამავსებინე კალთა.“

ღვინობისთვა

გადამსკდარია ყურძნის მარცვლები,
 მზეზე, ვით ქალის მკერდზე საკინძე,
 დადუღებულა „სამოთხის სითხე“,
 არც კი სცალია ახლა მასპინძელს.
 თარი კუთხეში აყუდებულა,
 დაუფენიათ ტახტზე ჭილოფი
 და ჭურის თავთან სადღეგრძელოა,
 მოშუშებული ყველა ჭრილობის.

მარამ

აჰა, შენგან ნიშნობისას მორთმეული მარამ,
 ნავალ, როგორც უცხო ქალი,
 შენი ფიქრისთანაო,
 არც მოგხედავ, არც ვიზრუნებ,
 ჩრდილებს ავეკიდები,
 ყოჩივარდის სურნელებით,
 ამევსება თითები.
 ქარმა ცხრა გზით დაუბეროს,
 სხვაგან გადამაფრინოს,
 ცისარტყელას ვუსახსოვრებ,
 ჩემს ძონებს და საფირონს;
 ვიცი, გზაზე ხან სემია,
 ხანაც იაფეთია,
 ათინათი ამაცილებს,
 უგულოს და ფეთიანს.
 მზეო, ისევ შენ გეკუთვნი,
 გულში მზიანეთია!

მოგვპორდი მტერო!

მთაშიც ბინდია, როგორც ჩემს გულში,
 მივდივარ მარტო, მოსულა დელგმა,
 ახლა ჩემსავით გადარეულმა, აზვირთე-
 ბულმა,
 რა გითხრა თერგამა?!
 რა გითხრა დეკამ, წყლის მათრახები,
 მდინარის ნაპირს როცა ლენავდა,
 სუსხის შურდულებს მეც ვამარცხებდი,
 უიარალო ბრძოლა მენადა.
 მოდი, დავდგები კოდორის ხიდთან,
 ნაცარქექიას ერთი მემკვიდრე,
 აქ წყალნალეებულ ხავსიან ნაფოტს,
 მინის სურნელი ასდის ჯერ კიდევ.
 ჯერ კიდევ უძლებს ჩანახლვას გული
 და საკრალური ხდება დაისი,
 ყოჩივარდების სურნელი მყოფნის,
 შორს... ციმბირული ედელვაისი.

პურის სურნელი

პურის სურნელი,
 სავსე თავთავი,
 ყანა და კალო, ნისქვილი,
 ვარცლი...
 ქართველზე უთქვამს უფალთან იღბალს,
 სიკვდილის წინო – სიმღერას ვაცლი.
 ამდენი ფიქრი და გამარჯვება,
 ამდენი მტრობა,
 ბრძოლა და მარცხი...
 მაინც ამ ცვრიან მიწას ქარგავენ:
 თიღვა, ქორეთი,
 კორტი და
 კაცხი.

აცვიდა

უკვე აცივდა. ტოტიდან ტოტზე,
 ხტუნავს პატარა ჩიტი, საწყალი ...
 მადარდებს ის, რაც ჯერ არ შემშლია
 და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.

ჩემი ცხოვრების გზაჯვარედინთან,
 შემომამყარა ბედმა ნაცარი,
 მადარდებს ის, რაც ვერ გავარკვიე
 და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.

დამნიფდა უნაბი

დამნიფდა უნაბი,
 ვაშლი და გულაბი,
 ქარვიფრად ღვივიან
 ზედაზნის მახლობლად,
 მადლობა შემოქმედს
 ამ თბილი მინისთვის,
 მტკვრისთვის და რინისთვის,
 ბზიფისთვის მადლობა.

მადლობა უშბისთვის,
 დიკლოსთვის, მუცოსთვის,
 ჯვრისთვის და როკისთვის,
 ცრემლისთვის მადლობა;
 უსმინე ნოემბერს,
 ნიაგმა
 ხრამუნა ფოთლები გაფანტა
 კოლხეთის დაბლობთან.

დამნიფდა უნაბი,
 ვაშლი და გულაბი –
 ღვივიან ტოტებზე,
 მზე ჩადის. ბინდია...
 მთებიდან, ფიქრებით
 დაღლილი ჩამოდის,
 უბელო თეთრონით,
 უხანჯლო მინდია.



თინა

ბიკანაძე

ჯან ითახაში

XI თაჰი

მერისგან განსხვავებით, პიტერ პერსონი შინ არ გახლდათ და არც სურათებს ათვალთვალდა. საოჯახო ალბომს რაც შეეხება, ის მან ბევრად ადრე გადაათვალთვალა და არათუ იპოვნა შესავსები ცარიელი ადგილი, არამედ საკუთარი თავიც ეზედმეტა. ამის შემდეგ კი მისი ძილი, თუნდაც სრული ბიოკანონით იყო ძილის იგივეობრივი მდგომარეობა, ის მაინც ჰგავდა ფხიზელ მოლოდინს, გაყუჩებულ ზავს პირობით შეწყვეტილი ომის გასაგრძელებლად*, სადაც მხოლოდ გამუდმებული ეჭვები, დარღვეული კავშირები და ოდესღაც დაწყობილი ცნობიერების ორპირლესული საჭრეთლები დათარეშობდნენ.

მისი წონასწორობის ცენტრი და კოორდინაციის საყრდენი ორ წერტილს შორის მოძრაობდა. ეს იყო მერი სტიუარტის სახლი და სისხლის კვლევის ლაბორატორია. პირველი ფლობდა საზარელ საიდუმლოს, რომლის პასუხიც მეო-

რეგან ეგულებოდა და პირიქით.

ქალაქის ქუჩებში დადიოდა პიტერ პერსონი და უკან ცოფიანი ძაღლები მოსდევდნენ. ესენი იყვნენ მისი ეჭვები. ის კი სწულ ფიქრებზე ამხედრებული ტვინის ოთხფეხა ცხოველს მიაჭენებდა:

„ყოველმომცველი ამაოების შემგრძნებ მზერაზე ვოცნებობ, მაგრამ არ გამოდის. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არის ღირებული ჩემთვის რაიმე ამ მზის ქვეშეთში. წამომენიეთ, წამომენიეთ, ან რას დამაკლებს თქვენი ცოფიანი ლაშები?! თქვენს მოსვლამდე ურჩხულს ხახაში ჩავუვარდი და ჩემს ნაცვლად ბრძოლა მასთან მოგიწევთ, მეც გადმოგხედავთ, ოღონდ მისი ეშვების გისოსებიდან. ჩემს მეგობარს კი, თვითმკვლელობის ფიქრით მონამლულს, ჰქონდა სუიციდური სულების მატთანე. ამიტომაც ბებერ ფაუსტზე მეტად მას უყვარდა ყმანვილი ვერტერი.“

პიტერ პერსონმა ელნათურებით აჩონჩხილ ღამეს გვერდი ჩაუარა და გზა განაგრძო. მასთან ერთად დადიოდნენ ასფალტიანი ქუჩები და მოაჯირები, ხიდის გარდიგარდმო.

„ჩემი თვალები აბრას ეძებს, ერთადერთ დაფას წარწერით: „ყვიდი მახვილს, ორპირლესულს. ის მხოლოდ ინცესტის მსხვერპლს გამოადგება.“ ნავალ ვიყიდი, ყველაფრის ფასად შევიძენ და საჩუქრად მივუტან მერი სტიუარტს. „მერი სტიუარტ, მე ვარ შენი ძმა და ეს მახვილი შენი საჩუქარია. ხელი გამომიწოდე! შენ ის მუცელში უნდა ჩაიცე.“

ამასობაში რამდენიმე საკეტი აჩხარუნდა. ქალაქი ღამის ცხოვრებისთვის ემზადებოდა. კარებებს შორის ზოგი დაიკეტა, ზოგიც გააღეს, მაგრამ ამათვან ქუჩაში მოარული ტვინგაპობილი მამაკაცისთვის გაილო არც ერთი. მას ყველა შესასვლელი გადაურაზეს, ამიტომაც უმიზნებდა ერთადერთ ცხრაკლიტულს. „გეზი იმისკენ! გეზი იმისკენ!“

„ველური მოდგმისთვის კლდეები გამოქეაბულს არ იშურებდნენ. ახალ ადამიანს კი მინის ქვეშ უამრავი ღრმული გაჰყავს – სიკვდილს სადმე რომ დაემალოს?! ისინი ჰგვანან სამოთხიდან გაძევებულ ადამს და ევას, ყველაზე უსახლკაროთ და ყველაზე მიუსაფართ სულიერთა შორის. ღამეს სად გაათევს დაკარგული ადამიანი? მას კი ცოფიანი ძაღლები მოსდევენ. „მე ვარ შენი ძმა, მერი სტიუარტ. შენი მუცელი კი ინცესტის ნაყოფს ატარებს.“* სად შეიძინე აი ეს მახვილი? ერთმა დახლიდარმა იაფად მომიყიდა. ამათს ყეფა კი სამყაროს აზანზარებს. ვინ გასცა ინცესტის საჩქცია? ერთმა ავსტრიელმა მოაზროვნემ. ყორანი გულ-ღვიძლს მიკორტნის, მე კი ჯაჭვების განყვეტას ვლამობ. არ მიყვარს ბებერი ფაუსტი. ჩემს სულს ვერტერი უფრო ესაღბუნება. გვირავს მოაპობს გრძელი მატარებელი, ელექტრო ელმავლით. მოვდივარ გზაზე და მახვილს მოვათამამებ. მაჩუქეთ თქვენი სატევარი. ვერ გავიმეტებ, სატრფოსთვის მინდა.“

არ სურდა ნაცნობებთან შეხვედრა და ცენტრალურ ქუჩებს გვერდი აუქცია. ვინრო გასასვლელებს გამოეკიდა. მას კი ქოფაკი ძაღლები მოსდევდნენ.

დასასრული იხ. №1,2,3

„გზას გადამიღობავს წყეული წარსული - არარსებულის არსებობა. მითხარით სიკვდილს სად დავემალო? მე მას ველი და მაშინებს. საწოლს გაეკრა მერი სტიუარტი, წელში გაიდრიკა და ყელი უკან გადაეზნეჯა - სატრფოს მოელის. ის გზაზე მოდის და მახვილს მოათამაშებს. წყეული წარსული, ნუთუ ჩემს გარეშეც განაგრძობს არსებობას?! მე კი ვოცნებობ მქონდეს მზერა ყოვლისმომცველი ამაოებით. ნუთუ რაიმე კიდევ მიღირს ამ მზის ქვეშეთში?! რა ღირს თქვენი დაშნა? მომყიდეთ. თქვენ ხომ არ იცით რისთვის მჭირდება. უკან მომდევნე ცოფიანი ძაღლები, მე კი ჩემს ფიქრებს მივაჭენებ. ესეც შენი გოლგოთა. სატრფოს ელოდება მერი სტიუარტი. გუშინ ის კაცი გარდაიცვალა, ისიც იმიტომ რომ სახლი თავის სოროებით აევსო. სიკვდილიც იქიდან შემოეპარა. რა გახდა ერთი მტაცებელი კატისებრთა ოჯახიდან? მის ხანგრძლივ ცხოვრებას უზრუნველყოფდა. ვიცი, რომ არ გიყვარს ბებერი ფაუსტი. მეც ყმანვილი ვერტერი მესალბუნება. ქამარს მიმშვენებს ბებერი დაშნა, ხვალ ამით სატრფო უნდა დავასაჩუქრო. როგორ მოჰყეფენ ეს ქოფაკები, მე კი ჩემს ფიქრებს მივაჭენებ. მე ჩემი გზა მაქვს, არ შემაჩეროთ. მერი სტიუარტი, ნუთუ გულს არ გიღრღნის ავი წინათგრძნობა? დგახარ და უცდი ჩემს გამორჩენას, მე კი სიკვდილს ველოდები. აი ცოტა ხანში ისიც ჩამოივლის და ერთად მოგაკითხავთ - დაისვენებ.“

პიტერ პერსონი მერი სტიუარტის სახლის წინ იდგა და ვიდრე ზარის ღილაკს თითით შეეხებოდა, ცნობას მოეგო. მიხვდა, რომ შუალამისას მათი გაღვიძება უხერხული იქნებოდა და სახლში შესაღწევად სხვა ღონეს მიმართა. აივნიან სართულზე სახანძრო კიბით ავიდა და ქალს შუალამით ისე გამოეცხადა, როგორც ჰადესის რომელიმე ტყვე ცოცხალთა შორის დროებით გამოხმობილი. ამის შემდეგ მერის ოთახი გაფართოვდა, როგორც ასურელი დედოფლის დაკიდული ბალები, სადაც ისინი დილამდე ირწეოდნენ...

დილით მერის მამაკაცის სუნი ასდიოდა. ტელამ იყნოსა და შეიმჩნია, თავისთვის ჩაილიმა. მერიმ აიღო ყდებმემოქექილი ვინჩენცო ბელინი და ამ მამაკაცის სუნიანი ხმით ნორმას არია შეასრულა. ეს იყო ნორმათა შორის უნაზესი, ნორმა ფაქიზი და სამამაკაცე. იმ დღეს, შუადღესაც და გვიან საღამომდე მერი სტიუარტის სახლში შეგედლოთ „ნორმა“ მოგესმინათ და კიდევ გეყნოსათ. ნორმას, ყველაზე გამჭვირვალეს, სიფრიფანას და ლანდგასულს, ნიავის ქროლვით გადაზნექილს, სუნთქვით მოცახცახეს - ნორმას მამაკაცის სუნი ასდიოდა.

- ტელმა, მიაბბე შენი პირველი სიყვარულის შესახებ. - სიტყვასა და სიტყვას შუა ჩაურთო და სიმღერა განაგრძო.

- ჯერ დაასრულე და მერე მოგიყვები. ვეჭვობ, ჩემი აკომპანიმენტი გინდოდეს. - ტელმას ისევე ჩაელიმა. მიხვდა, რომ მერი მამაკაცის სუნით იმაზე მეტად იყო გაჟღენთილი, ვიდრე ეს ცხვირის ნესტოებით იყნოსებოდა. საქმეს თავი მიანება და ჩამოჯდა. მერი ოთახიდან ოთახში დადიოდა და აქეთ-იქით ნორმას აპკურებდა. სახლის კედლები კი მამაკაცის სუნით იყო გაჟღენთილი. ამიტომ ისინი ერთმანეთს შეერწყა.

იმ დღეს მერის ოთახი, ვრცელი კიბე, სამზარეულო, ფართე დერეფანი, მისაღები ოთახი და ლაიზას ნამლებიანი საძინებელიც კი სურნელოვანი წყვილით იყვნენ გამომტყვარლნი - ეს იყო მამაკაცის სუნი და „ნორმა“.

- ტელმა, მიაბბე, თორემ აღარ გაეჩერდები.
- ჯერ გაჩუმდი და მერე გიამბობ.
- ჯერ მიაბბე.

- კარგი. მაშინ ჩურჩულით გეტყვი და ვერაფერს გაიგებ. - ტელმას გაახსენდა თავისი მხიარული წარსული და მთელი თავისი ხალისიანი მოგონებები მერის მოსვლამდე დააგემოვნა, ზოგმა შეულიტინა, ზოგმა ალაგზნო, ზოგმა თავბრუ დაახვია და სანამ მერი ნორმას მიმოზნევიტ გულს იჯერებდა, თავის ტანზე შემოცვეთილი სიყვარულის ვნებათა ტბაში ტელმა უკვე ყელამდე ტივტივებდა.

- მიაბბეეეეეე. - გააგრძელა მერიმ და ნორმა ისევე შემოაპკურა.

- ჰი, ჰი, ჰი... - ტელმამ ჩაიხიტიხითა და ტბაში ჭყუმპალაობა განაგრძო.

- პირველს რა ერქვა?

- ეგ რატომ გაინტერესებს? ჯობია ის მკითხო, რა მოახერხა.

- შენ გინდა თქვა, ანუ „რა მოგიხერხა“?

- ყველაფერი, ჩემო ტკბილო, რისი „მოხერხვაც“ იყო შესაძლებელი.

- მეორე დღეს არ მღეროდი, ტელმა?

- ჰი, ჰი, ჰი... მე მანამდეც მემღერებოდა. -

უთხრა ტელმამ, სავარძლის სახელურებს მოეჭიდა, ნამოდგა, ღრმად ჩაისუნთქა და მიტოვებულ საქმეს მიუბრუნდა. გულში კი იმაზე ფიქრობდა, რომელი ფზვილით დაეხება სახლის კედლები. ისინი მამაკაცის სუნით იყვნენ გაჟღენთილნი. ამბობენ, რომ სოდის და მარილის ნაზავი ყველანაირ ლაქას ამოაშორებს. ტელმამ ჭურჭლის სარეცხ საშუალებებს გონების თვალი გადააგლო, მაგრამ შესაფერისი ვერ ამოარჩია. შემდეგ ოთახიდან ოთახში მოფარფატე მერის გადახედა და გადაიფიქრა, მიხვდა, რომ მერი, ისევე როგორც მისი სახლის კედლები, ამ მამაკაცის სუნს ვერასდროს მოიშორებდნენ.

სალამოს მერი კლაუდიას ელოდა. მერის კი მასთან შეხვედრა არ სურდა. ტყუილს ვერ ეტყოდა, ამიტომ დროებით სახლიდან უნდა გაპარულიყო. დიდხანს ისეირნებდა, მანამ ვიდრე კლაუდია შემოივლიდა და ტელმასაც მისი მოტყუება აღარ მოუნებდა.

მერის და კლაუდიას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. მათ ერთმანეთი კაპელის შესარჩევ ტურზე გაიცნეს. კონკურსანტებს ძირითადად სერ თომას პენნერი ამონებდა. მერი მარტივად მიიღეს. ის მართლაც გამორჩეულ ვოკალს ფლობდა, მაგრამ კლაუდიას საკითხი ჯერ კიდევ გადასახვევტი იყო. მოგვიანებით, როცა გამოცდის ციბე-ცხლებდა დასრულდა, კლაუდია ყვებოდა, რომ რამდენიმე დღის ლამენათევს ხმა გამოეცვალა და შესარჩევ ტურზე გადაღლილი მღეროდა. გადამწყვეტი პასუხი მან მხოლოდ ერთადერთი შემთხვევის წყალობით მიიღო. სერ თომას პენნერს უტყუარმა ალლომ უკარნახა, რომ ეს ვოკალისტი მუზიქჰოლის კედლებს გარეთ არ უნდა დაეტოვებინა. და როცა მიმღები ჯგუფიდან ყველამ ერთხმად განაცხადა, რომ ამ

90472

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალბატონის ხმა კაპელას არ წაადგებოდა, სერ თომას პენნერმა ასეთ ხერხს მიმართა, მას უნდა გამოეცადა მომღერლის ინტელექტი, რომელიც საჭირო დროს ვოკალისტებს ხშირად დაღაბობთ, განსაკუთრებით კი სოპრანოს რეგისტრს.

სერ თომას პენნერმა კლაუდია კორრი სცენის შუაგულში გამოიხმო, ხელში ბახის სამხმინანი ინვენციის პარტიტურა დააჭერინა და ასეთი დავალება მისცა. კლაუდიას უნდა დაეწყოს სიმღერა შუა ხმით და შემდეგ, მოულოდნელად, როცა კი ამას კომისიის ნებისმიერი წევრი მოისურვებდა, მისთვის სხვა ხმაზე გადასვლის მითითება უნდა მიეცათ, თუნდაც შუა ტაქტიდან და თუნდაც მესამე ხმიდან - პირველზე. კლაუდიას კი ეს უნდა შეესრულებინა, თან ისე, რომ სიმღერა არ შეეწყვიტა.

დავალება საკმაოდ რთული იყო. კაპელის შესარჩევი კომისია შემოთავაზებას დათანხმდა. უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ქალი ამას ვერ შეძლებდა, განსაკუთრებით კი შუა ტაქტიდან, რადგან მელოდიის დეტალი დასრულებული არ არის, ჰარმონიული ნყოფა კი - თითქმის გაუგებარი. სწორედ ამიტომ სერ თომას პენნერის წინადადებას ისინი უყოყმანოდ დასთანხმდნენ, ზოგი აზარტითაც აივსო, რადგან კარგი სანახავი იქნებოდა, როგორ გააერთმევედა ამ ურთულეს დავალებას თავს კლაუდია კორრი.

სცენის გვერდით - ფარდის მიღმა, სადაც კონკურსანტები იცდიდნენ და სცენის ქვემოთ - პარტერში, სადაც გამომცდელი ჯგუფი იყო განთავსებული, სიჩუმე ჩამოვარდა, ოღონდ ეს არ იყო ჩვეულებრივი ეტიკეტური დუმილი განათებული რამპის წინაშე, არამედ ნერწყვებმომდგარი აზარტი, რომლის მიმართაც მადის აღძვრის უნარით, უფლებით და ექსკლუზივით მხოლოდ სერ თომას პენნერი სარგებლობდა.

კლაუდია კორრი დუმილს დუმილში შეეჯიბრა, აზარტი ათმაგი აზარტით გამოიწვია, ხელში აიღო ბახის სამხმინანი ინვენციის პარტიტურა და ნებისმიერი მოულოდნელი მითითების დროს ხმიდან ხმაზე ისე გადადიოდა, თითქოს ეს ინვენცია ოდესღაც იოჰან სებასტიანთან ერთად თვითონ დაეწეროს.

სკეპტიკოსები ბოლმით აივსნენ, აზარტულ მსმენელებს შერჩათ ადრენალინის მორიგი დოზა, ხოლო გამარჯვებულმა სერ თომას პენნერმა იმ დღიდან კლაუდია გამორჩეულად შეიყვარა და ეს ქალი გახდა მისი ფარული მრჩეველი და გონიერი მუზა.

კლაუდიამ კი კაპელის მუშაობის დაწყებისთანავე სულ სხვა ადამიანი გამოიჩინა. ეს იყო მერი სტიუარტი. გაცნობის შემდეგ ის მერის მუდმივად თან ახლდა, როგორც მფარველი ანგელოზი. და რადგან კლაუდიას ინტელექტი სიზუსტით და ხარისხით მერი სტიუარტის ხმას უთანაბრებოდა, ქალმა ჭადრაკის დაფის რამდენიმე კომბინაციით ამოხსნა პიტერ პერსონი.

მერი ამას გრძნობდა და ახლადმეძინილ ღამეულ სტუმართან სიახლოვის გამო კლაუდიას გაურბოდა. დღესაც სახლიდან უნდა გაპარულიყო, უმიზნოდ დიდხანს ეხეტიალა, დრო დაეთვალა, წუთები, წამები და შემდეგ იმ იმედით, რომ კლაუდია შინ არ დახვდებოდა, უკან

დაბრუნებულიყო.

დერეფნის კარი ფრთხილად გაიხურა და გარეთ ისე გავიდა, რომ ტელმას ვერაფერი გაეგო. ნისლიანი დღე ქუჩებში ფეხაკრეფით მიმოდიოდა, გამვლელებს აფრთხოდა და გრძნობებს უწამლავდა უგზოუკვლოდ მოხეტიალეთ. მათ რიცხვს მერი სტიუარტიც შეემატა. მისი მზერის წინხედი, გვერდხედი და ქვედხედი იყო სრულიად პირობითი, შემთხვევითი და სიმბოლური. სიმართლე რომ ითქვას, ის ნისლში უფრო უკეთ ხედავდა, ვიდრე დღისით, მზისით, ცხადად და თვალსაწიერის ბუნებრივ რადიუსზე. ნისლის იქით იდგნენ ორნი: კლაუდია კორრი და პიტერ პერსონი. ნისლის აქეთ კი მერი სტიუარტი. გაახსენდა ერთი რუსი პოეტი ქალი, თვითმკვლეელი ქალბატონი. მის ერთ-ერთ ლექსში ორი სული ისე ახლოა, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელი ან მარჯვენა და მარცხენა ფრთა, მაგრამ მათ შორის ნისლი და უფსკრული განოლილა. დედანში ჰქონდა წაკითხული და ძალიან უყვარდა. ლექსის სტრიქონებს ვადავზა იმეორებდა, ოღონდ გონებაში. გამოივლიდა რომელიმე ნისლით გულშენუხებული ფეხით მოსიარულე. მერი სტიუარტი კი თვალებით ლექსის ბნკარედს შეანათებდა, ოღონდ ხმამაღლა არა, ფიქრებში: „შენი სული ისე ახლოა ჩემთან, როგორც მარჯვენა ხელი მარცხენა ხელთან.“*

ამ დროს შესახვევიდან მანქანა გამოენთებოდა და გზას გაუყვებოდა შლიგინშლიგინით, თუხთუხით, რახრახით, ქლოშინით და კიდევ ყველაფრით, რაც მისი ქოტორის პრეროგატივაა. მერი სტიუარტი კი სიტყვებს დაადევნებდა, ვადნიერს და ტკივილიანს, წამებული სულის გულის სისხლს, გარდაუვალ უბედურებას და განშორების სილამაზეს, ოდესმე შეხვედრის განწირული ოცნებით: „ჩვენ შევედუღაბდით ღვთაებრივ მხურვალეობით, ვით მარჯვენა და მარცხენა თეთრი ფრთები.“*

ფართევიტრინებიანი მარკეტიდან ქალი გამოვიდა, საცხე პარკებით. მერის სახე შეუთვალღიერა, მოეწონა, სანდომიანი ჩანდა და სათნო. საჭიროების შემთხვევაში დახმარებაზე უარს არ ეტყობდა:

-გეთაყვა, ერთი წუთით აი ეს შეკვრა დამიჭირე, თუ არ შენუხდები.

მერიმ ქალადღით შეფუთული შეკვრა გამოართვა და თავის ქნევით დაეთანხმა, რომ მზად იყო სამსახურისთვის. სიტყვის დაძვრის უნარი წართმეოდა, რომც ეთქვა რაიმე, სულერთია, მაინც ლექსის ერთ-ერთი სტრიქონი წამოსცდებოდა და ამიტომაც ჯობდა, ხმა არ ამოელო.

-ეს პანია ონავრები ტკბილეულის ხეზე რომ შესვა, ალბათ ფოთლებიანად შეჭამენ, როგორც აბრეშუმის ჭიები. ბებო, შოკოლადი მინდა!.. ბებო შოკოლადი მიყიდე!.. ბებო, რა მომიტანე!.. მეც ვიმარაგებ, მუდმივად ყოფილი არ დამჭირდება. მოგეხსენებათ, ასაკს როგორ უყვარს გონებასუსტი პანდორა*, თავისი ჭირის ყუთით... აქ რევატიზმით, იქ ვენების გაგანერებაო, აქეთ მაღალი წნევაო, იქით კარს მომდგარი სტენოკარდია და სად არის შენი ტკბილი კამფეტები?! ფაფუ!.. შენი გემრიელი შოკოლადი ჭირმა წაიღო... ჰოდა მეც ვდგავარ და ვიმარაგებ, ყოველ წუთას მაღაზიაში შესვლა რომ არ დამჭირდ-

ეს. გმადლობ, გეთაყვა, კარგად მეყოლე.

ქალმა პარკები და ქალაქის რამდენიმე შეკვრა ჩანთაში მოათავსა და გზას გაუყვა. მერი ისევ თავის ქნევით დაემშვიდობა. მიმავალ ქალს დიდხანს უყურა, როგორც გალეულ ცხოვრებას, ნებისმიერ შემთხვევაში მაინც ჩვეულებრივს, ნებისმიერ შემთხვევაში მაინც ჩვეულებრივს და თითქმის არაფრით განსხვავებულს. შემდეგ კი სიტყვები დაადევნა, ისევე როგორც ყველა მგზავრს, ვინც კი ოდესმე ქუჩაში შეხვედრია და გონებაში გაივლო: „მაგრამ ნისლი წვეს და უფსკრულები გადვეს, მარჯვენა ფრთიდან დაჭრილ მარცხენა ფრთამდე.“*

მერის უყვარდა ეს რუსი პოეტი ქალი და ენანებოდა მისი სუიციდი.* გზას კი ნისლი უნათებდა. სკოლიდან მომავალმა ბავშვებმა ჩაირბინეს, ვეება ჩანთებით. მერის უნებურად გაელეხა და სხვა ლექსი აეკვიატა. ახლა გამვლელებს ამით გაუმასპინძლდა. მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. მისი ფიქრების ნაკითხვას ვერავინ შეძლებდა. ამიტომაც გაახსენდა კლაუდია კორრი და შინ დაბრუნდა.

XII თავი

პიტერ პერსონი თავსატეხს ჩასჯდომოდა, სულის თავსატეხს. დრო არ ითმენდა და არც მერი სტიუარტის განაჩენი. „რა უდრის სასჯელს? განაჩენის გამოცხადება თუ განაჩენის აღსრულება? იქნებ ლოდინი. სასტიკი განაჩენის მოლოდინი. მერი სტიუარტი, შენი სხეული მიხმობს. მკლავებგამოღობილი შემეგებე, ღიმილნარევი მზერით. ის ფიცრულს აგებს უფსკრულის პირას, წნელით შემოგრაგნილს, რომ კარის გაღებისთანავე გადაიჩეხოს. თუ რამეა, ამ უნებურ მარცხს სახლს დააბრალებს. იტყვის, რომ უბრალოდ ცუდ ადგილას იყო აშენებული. თავს გაიმართლებს. მერი სტიუარტი, თავი იმართლე! რედაქციის კარი რამდენიმე შემოალო, სამართალდამცავებს ჰგვანან. აქეთ-იქით მიმოიხედეს, დაძებნეს, გადაქექეს. რას ეძებენ? მე კლიტი გადმოძვებს, გასაღებიც... ერთი სახლის კარი უნდა შევალო. ის უფსკრულის პირასაა აგებული. ტერი კლე-მენის ნამოაყენეს. ცხვირზე სათვალე ჩამოეფხა. განიცდის. ხელში გეჭიროს ეგ საქალაქდე. ფურცლები გადმოუცვივდა. ეძებენ. მომწონს ამათი საქმიანობა – ეძებენ და რაც მთავარია, უმეტესად კიდევ პოულობენ. აბა მე რა უნდა ვთქვა?! – ვეძებ და ვერასდროს ვპოულობ. რატომ არა ვარ სამართალდამცავი! ჩემი ფიცრული უფსკრულის თავზე დგას. კარის ერთი გამოღება და წყვდიადი შიგ ჩამოძახებს. წნელითა შემოგრაგნილი, საკვამური აქვს და კაკლის ხის ავეჯი. ჯოსიფ ბრუნსიცი აიკლეს. ამასაც ელის სათვალეჩამოფხატული სახის ოფლიანი ცვარ-ნამი. უჯრები ამოქექეს. ოთხი რეცენზია და სამი რედაქტირებული ვარიანტი. დათვალეს. აბა, მობრძანდით! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ფიცრულში. კარგად მოკალათდით, ოღონდ ემანდ ხელი არ წაცვდეთ და კარი არ გამოალოთ, უფსკრულში მყისიერ ზღართანს მოადენთ. კარის შეღება ღმერთების საქმეა. ჩვენში სტუმარს „ღვთისას“ ეძახოდნენ. აქაც ქექავენ. ერთ-ერთს

მოხეზრდა. თვალი წიგნებისკენ გაურბის. შეგიძლია, არც იქ ეძიო, შვილო, რადგან უკეთუ აქ ვერას ჰპოვებ, იქაც ვერას იპოვი. ჩემს ფიცრულს საკვამური დავატანე. ზამთარში მენვიე, ცეცხლი ავაგიზგიზოთ. გაზაფხულზე ინვიმებს მერის განაჩენი. ფიცრულში მერიც ხომ არ შემოვიპატიყო? ერთად ჩავექვსკნელდებით, გავეწყვდიადებთ. რეცეფცია არჩევნის უუნაროა. არჩევანს გონება აკეთებს. ყურნი დაიხმე, მერი სტიუარტი! ანდა ისმინე სასტიკი განაჩენი. ფოტოს დახედა. ვინაობას მეკითხება. რა ვუპასუხო? საკმაოდ ზრდილია ეს სამართალდამცავი. კეფა მოიქექა. ოთახს თვალი მოავლო. ამჯერად ეძებეს და ვერაფერი იპოვეს. მე კი ფიცრული მიდგას უფსკრულის პირას. კარის ერთი გამოღებაც და წყვდიადი გამაუჩინარებს. თქვენს ფიცრულს საკვამური თუ დაატანეთ? ოქმი გაფორმდა. რედაქცია სუფთაა. კარი ჭრილით გაიხურეს. ტერი კლე-მენსმა ცხვირზე სათვალე მოიგრო, ცხვირის ძგიდეზე. საქმეს ჩაუჯდა. ამაოდ. თვალწინ ფორმიანი უდგას. ოფლის ცვარ-ნამით სახე მოუწყლიანდა. გეპატივებით ჩემს ფიცრულში! საღამოს ვანყო, გრილი სასმელით და მუსიკით. ყველა გავიღეშოთ და მერე ერთად შევალთ უფსკრულის კარები. გადავიჩეხოთ...“

- შემოსავლის ორდერები შეგვიმოწმეს.
- მერე ასე მოულოდნელად რატომ დავადგენ?
- რომ არ დაგვემალა.
- ტერი რამ ააფორიაქა?
- ეგ ყველაფერს განიცდის.
- რაო მერე, რა თქვეს.
- წესრიგშიაო.
- რეცენზიები მოეწონათ?
- ეგ ჩვენი საქმე არ არისო.
- მერე ვერ ჰკითხე, რატომ არ არის ეგ თქვენი საქმე-თქო?
- შენ ხუმრობ და მე დავიქანცე.
- კარგი, კარგი. გარეთ დაგელოდები. ერთად ვივახშმოთ.

„დრო ამოიწურა. ტკბილ ღამეებს თითებზე ჩამოთვლის მერი სტიუარტი. სარეცელს ემთხვევა, ნაოცნებარს. სად ვივახშმოთ? „ორიენტში“ ვვობა. მე მანდ მომსახურება არ მომწონს. არავინ მიღიმის. შენც ადექი და თავად გაუღიმე. ოდესღაც მიღიმოდა მერი სტიუარტი, ხვალიდან აღარ გამიღიმებს. ინებეთ მენიუ. თავად შეუკვეთე. დღეს ორდერებს დააცხრნენ. ეგ ჩემი საქმე არ არის. ღვინოც, თუ შეიძლება. კიტ ფოსტერმა პასუხი გამოაქვეყნა. ძაან კი მიგალანძლდა. აქ მაქვს. თუ გინდა წაგიკითხავ. ერთი გვერდზე გაიხედე. ვინ მოგვისკუბდა. ნამიკითხე. აი ეს აბზაცი ჯობია. „მეცხრეს ოდაში მოფარფატი ვიოლინოს თქვენი აზრი არად ანაღვლებს. ხელში კარგად ჩაბლუჯვით თქვენი ეკლიანი ინტერპრეტაცია და კარიც გაიჯახუნეთ. სულ ერთია, არავინ დაგადევნებათ! დიდი ხანია წყალს მიაქვს თქვენი უსაგნო რეცენზიები...“ არადა კარი თვითონ გაიჯახუნა. შუშხუნა თეთრი. მეც იგივე. მაინც არ მომწონს ამათი მომსახურება. ამ ღვინოს ზედ ღიმილიც რომ დააყოლონ კი არ აუძმარდებათ. შენც სახეზე არავის შეხედო. რამ გააკაპასა ეგ შენი კიტ ფოსტერი? ერთხელ ვკითხე და... რა ჰკითხე? სულ ერთია, მნიშვნელობა არ აქვს. შენ

გვერა სისხლის აღრევის? რა მკითხე? სისხლის აღრევის, ინცესტის. რა შუაშია? ღვინომ თუ გაგახსენა. ჰო კაი, დაივიწყე.

თეთრწინსაფრიანი ოფიციალტი ლანგრით ხელში სწრაფად მოიჭრა მაგიდასთან და ხელსახოცი ააფრიალა. არ ილიმის. ალბათ ფიქრობს, რომ სახეზე არავინ უყურებს. ნეტავ ამას თუ სჯერა ინცესტის? გვერდზე რომ გავიხმო და ჩავჩურჩულო? საპირფარეოს მოვიმიზეზებ. აღარ იტყვი, რა ჰკითხე ასეთი კიტ ფოსტერს? ერთი ნუთით გავალ და როცა დავბრუნდები გეტყვი. სად გკითხო? ჯერ წყალს მოვთხოვ. ვითომ გული შემიღონდა. აქეთ მოინვეს. შეკვეთა მოაქვს. ერთი ნუთით, აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება. დიახ, გისმენთ. შეგიძლიათ წყალი მომიტანოთ? რა თქმა უნდა. გაცქრიალდა. ნეტა ეჭვად მაინც თუ აქვს, რა ელის? მართლა წყალი მოაქვს. ბარმენი საეჭვოდ მიყურებს. ფიქრების კითხვა ხომ არ ეხერხება? მომიახლოვდა. ფეხზე ალბათ სწრაფმავალი წყვილი აცვია. ასე მგონია დაქრის. ინებეთ. გმადლობთ. მიდის. ერთი ნუთით, თუ შეიძლება, კითხვა მაქვს. დიახ, ბრძანეთ. თქვენ გვერათ სისხლის აღრევის? უკაცრავად?! ინცესტის, სისხლის აღრევის... ბარმენს ანიშნა. თეთრი ხალათი გვერდზე გადადო. ფორმიანი მიახლოვდება. ჩვენი მაგიდისკენ მიუთითეს. ანგარიში გამოგვინოდეს. ნუ გვაიძულებთ, ძალა გამოვიყენოთ. „ორიენტი“ დატოვეთ! რა ხდება? რა მოხდა? კაცმა წყალი ითხოვა... გადავიხდით... წყლის საფასურის გამო გვაძევებთ? ამიხსენი, პიტერ, რა ხდება... კარი გამოვალეთ, ხელის ერთი მოძრაობა და ქუჩაში აღმოვჩნდით. ასე ფალტიანი უსასრულო არარაობა. მართალი იყო კიტ ფოსტერი. მეცხრეს ვიოლინოს ჩემი აზრი არად ანაღვლებს. ასეთი რა უთხარი? ღვიმლის გამო ხომ არ უსაყვედურე? ვერ გამიგია, ჭიქა წყალი გამოგიტანეს და უცბად გაგვაძევეს?! ასეთი რა უთხარი?... მე აქ უნდა შევუხვიო. აბა კარგად! ნახვამდის, თუმცა ხვალ მაინც უნდა მითხრა, ასეთი რა აკადრე იმ ოფიციალტს, რომ გარეთ გამოგვაძევეს? არც არაფერი. უბრალოდ ვკითხე... გასაგებია.

გზა გრძელია მერის სახლამდე, როგორც საცალოფებო ბილიკი. ჯობია ფეხი ამერიოს, მხარი ვიცვალო. რა სასტიკია შენი განაჩენი, მერი სტიუარტი! შევძრწუნდი. ამაღამ მაინც გაგასამართლებ. უცნობი მომყვება. ალბათ იმ ბარმენის ნაცნობია. ჩამობნელებულა. ვერც კი ვივახშმე. მერისთან უნდა წავიხემსო. ჯერ სუფრას გამიშლის. საათის მომართვა დამავინწყდა. აღარ ნიკნიკებს. აქეთა გზაზე მოვმართავ. ისევ მომყვება. მერის სახლთან დამიდარაჯდება. იმაზე თუ მეტყვის. მეც ავდგები და გავისტუმრებ. მაგას რა ესაქმება?! კუჭი მიწრიალებს. უვახშმოდ დავრჩი. გზად ხომ არ წავიხემსო? რა გრძელი გზაა მერის სახლამდე, ვინრო და საცალოფებო. ეს კი მაინც მომდევს. თან არც ეზარება. ბარმენის ნაცნობი თუა. სახანძრო კიბით ავალ. ლაიზას ალბათ უკვე ძინავს. ტელმა წასულია. ფეხები დაუთბილა და წავიდა. იდგეს და მიყარაულოს. დილაგდე დავრჩები. ნათურა ანათებს. აივნიდან შევიპარები. შევამინებ.”

ზედა სართულზე კიბით აცოცდა, აივნი კარი შეაღო და მერის მკლავებში შეიმალა. ქალის

სხეულმა დილაგდე გაათბო გაცივული სისხლის აღმრევი. ბარმენის ნაცნობს სადარბაზოსთან ყურყუტი მოზეზრდა. სამეთვალყურეო პოსტი ღამითვე დატოვა. პიტერ პერსონს დილით გვიან გაეღვიძა, სახლში შევლა ველარ მოასწრო და რედაქციას მიაშურა.

მერი გასაღების ჩხაკუნმა გამოაღვიძა. კარი ტელმამ შემოაღო და სახლი მასთან ერთად ახმაურდა. პატრონის დანახვაზე ჭურჭელი აზრიალდა და შვრიის ფაფაც ღამის თავისით მოიხარშა, მაგრამ ქალბატონმა ტელმამ თავისი სამზარეულო უფლებები არავის დაუთმო, შვრიის ფაფასაც კი და ამ დილის უებარი საკვებით ახალგამოღვიძებულ მერის თავად გაუმასპინდლა.

მერი ლოგინზე საცვლების ამარა ნამოჯდა და ტელმას მორთმეული საუბზე სიამოვნებით მიირთვა. გარეთ შესანიშნავი ამინდი იყო და მერის გუნებაც – შესატყვისი. სანოლიდან ნამოიხლანა და სამზარეულოში გაფრატუნდა. ტელმას უკვე მოესწრო იქაურობის აოხშივრება, საბედნიეროდ, სასიამოვნო სურნელით. მერი კი ოხშივარს შეერია და სკამზე ჩამოჯდა.

-უცნაურია, გუშინ კლაუდია რომ არ გვესტუმრა. – თქვა ტელმამ, ვითომც სასხვათამორისოდ, თუმცა ცნობისმოყვარეობა კლავდა, იმდენად სურდა სიმართლე გაეგო.

-მართლა? მე კიდევ შენთვის უნდა მეკითხა, მეგონა მომაკითხა და შენ დაუხვდი.

-ჩემს აქ ყოფნაში არ მოსულა და მერე - არ ვიცი.

-დღეს ვნახავ და შევიტყობ რა მოხდა.

-იმედი მაქვს, რაიმე უმნიშვნელო და მეტი არაფერი.

-რა უნდა მომხდარიყო, ალბათ გადაიფიქრა.

ტელმამ დუმილით უპასუხა, რადგან იცოდა, რომ კლაუდიამ არ გადაიფიქრა, მაგრამ მერი ვერაფერს მიუხვდა. მისთვის ეს იყო მხოლოდ ტელმას ზერეულე ცნობისმოყვარეობა, რომელიც სულ მალე მოშუშული ხახვის სუნთან ერთად აორთქლდებოდა და მეტი არაფერი. სინამდვილეში ტელმამ ყველაფერს მიაგნო, და თან იმაზე ზუსტად და იმაზე მალე, ვიდრე ეს მერის სომნამბულურ ცნობიერებას შეეძლო.

კლაუდიას საგნებზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა. ის თვლიდა, რომ იდეისგან განსხვავებით, საგანი სივრცის და დროის საკუთრებაა, ისევე როგორც მოვლენა და მათი ყოველი ნახნაგის შესაცნობად ხშირად სხვადასხვა ათვლის წერტილია საჭირო. ამ თეორიას ის ძირითადად ალბერტ აინშტაინს დაესესხა და დარწმუნებული იყო, რომ მოვლენის შუაგული დროებით უნდა მიეტოვებინა, განზე გამდგარიყო და ყველაფრისთვის გვერდიდან ეცქირა, რათა დროისა და სივრცის კუთვნილი საგნების თუ მოვლენების ის მზარეც შეეცნო, რომელიც ცენტრისტული ხედვიდან სრულიად უჩინარია და განცალკევებულ ათვლის წერტილს მოითხოვს.

კლაუდიამ შორიდან სულ სხვა რამ დაინახა. ეს იყო პირად დრამას აყოლილი პიტერ პერსონი და ამ ტრაგედიის მორევში ჩათრეული მერი სტიუარტი. კლაუდიამ კარგად იცოდა მორევის თვისება. მბრუნავი ურჩხული არასდროს ენახა, მაგრამ წიგნებში წაეკითხა, ფილმებში ეხილა და

განზე დგომა ამიტომაც არჩია. მერი სტიუარტის გადარჩენის სურვილით მორევის გარდაუვალ სტიქიას მაინც ვერ დაძლევადა, მბრუნავ ურჩხულს მორევი არასდროს გამოეთხოვებოდა, რადგან ეს იყო მისი ბუნების არსებითი მხარე. და თუნდაც დიდი იყო მისი სურვილი, ცნობის-მოყვარეობა, აზარტი, ინტერესი და ყოველდღიური სპორტული ვნება, რომ ამ თავდავიწყებული სიყვარულის ყოველი წვრილმანისთვის თვალყური სწორედ რომ მოვლენის შუაგულიდან ედევნებინა, სანაცვლოდ კი ერთი აუნერეელი სიამოვნება მიელო, ის მაინც განზე გადავა, მაინც დაძლია საკუთარი ველური სტიქია და მორევისგან თავი სუფთად გადაირჩინა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ერთი ადამიანი მაინც ყოფილიყო ჩაკეტილ წრეზე მბრუნავი ურჩხულის კლანჭებს მიღმა... და როცა ყრუ და ბრმა სტიქია მსხვერპლის მონელებას შეუდგებოდა, კლაუდია კორრი თავისი მორევსმიღმა მდგომარეობით მერი სტიუარტს აუცილებლად გამოადგებოდა, ისევე როგორც - პიტერ პერსონს.

კაპელის სამუშაო შეხვედრის შემდეგ მერიმ და კლაუდიამ სავახშმოდ მოიცალეს, უფრო კი - გულითადი საუბრისთვის. მიკბულმოკბულ ოღროზოვებს ჩვეულნი არ იყვნენ. კლაუდიამ მოინყინა. იმ წუთას ყველაზე მეტად საკუთარ თავს ჰგავდა. უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, როცა თავის ანენილ ფიქრებში ასი წლის წინ გარდაცვლილ ფილოსოფოსებს ეკამათებოდა. თითქოს ყველა სათამაშო მობეზრდა, რაც კი ოდესმე ჰქონია. სიმართლის გაცნობიერებამ ხალისი წაართვა. იჯდა მერის პირისპირ და ტკბებოდა მის ირგვლივ მოფუსფუსე ფერადი ამაოებით.

-მე თუ მკითხავ, იმ გოგონას თმა მუქი ფერის საღებავით უნდა შეეღება, არ მეთანხმები? - ჰკითხა მერის და გვერდზე გაახედა.

-დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ.
-და ვინ გითხრა, რომ საერთოდ არის მანდ რაიმე განსხვავება.

-აბა რაღას ერჩი? ჰქონდეს ისეთი თმის ფერი, როგორიც მოსწონს.

-ოდესმე მაინც თუ შეგიღია მონასტრის კარები?

-არასდროს.

-გინდა ერთად შევალთ?

-როცა მეტყვი. ერთი თავისუფალი დღე გამოვინახოთ და წავიდეთ.

ამ დროს მათ სწორედ ის მომსახურე გოგონა მოუახლოვდა, რომელსაც თმის ფერი დაუნუნეს. როგორც ჩანს, ეს მაგიდა მის განკარგულებაში იყო, ან პირიქით, ეს გოგონა იყო აი ამ მაგიდის განკარგულებაში.

-რას მიირთმევთ? - იკითხა ოფიციალტმა.

კლაუდია გახალისდა:

-თქვენს მენიუში არის ისეთი კერძი, რომელიც ახლომყოფების თმის ფერის აღქმის უნარს წამართმევს, თუნდაც დროებით?

მერიმ ტუჩი მოიკვნია, მაგრამ ამაოდ. მომსახურე გოგონა ვერც ხუმრობის არსს ჩანვდა და მისამართს - მით უმეტეს. ჩათვალა, რომ ახირებული ქალბატონი რომელიმე მამაკაცის ჩაცმულობით ან ვარცხნილობით იყო გაღიზიანებული და კლაუდიას მსუბუქად შეჰღიმა.

-ბოსტნეულის სალათი და ხილის წვენი. -თქვა მერიმ.

ამჯერად გოგონამ მერის გაუღიმა, თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დაუკრა და წავიდა.

-მე შემინირავს აი ასეთი თავის ქალა, უფრო სწორად ამგვარი თავის ქალები. - თქვა კლაუდიამ და ამ სიტყვებზე გაეცინა.

-ესეთები თმის ფერს ხშირად იცვლიან. შენ არ იდარდო. თუ გინდა რამდენიმე დღის შემდეგ შემოვიაროთ და შევაპონმოთ. - გაუღიმა მერიმ და იქაურობას თვალი მოავლო.

-თუ დედამინა იმდენად მდგრადაა, რომ მოვლენების ჩემთვის აუხსნელ ჯაჭვს რამდენიმე დღეში აი ამ ქალის თმის ფერის შეცვლა ძალუძს, მზად ვარ მონაზვნად აღვიკვეცო და ამ ყოფაზე ვთქვა უარი, სამუდამოდ.

-აკი მხოლოდ კარის შეღებას აპირებდი, ისიც ჩემთან ერთად.

-ზოგჯერ ყველაფერი მხოლოდ კარის შეღებით წყდება, ჩემო კარგო, და იმის იქით სამოქმედო ადგილი აღარც რჩება.

-მონასტრებში მგონი უცხო პირებს არ უშვებენ.

-კარის შეღებამდე ყველა უცხოა, ჩემო სიხარულო. სწორედ ეგაა კარის ფუნქცია. კარი საოცრებაა, თუ არადა, წამო და შევალთ მონასტრის კარები.

-მგონი სამოსიც შესაფერი უნდა გვეცვას, არა? რაიმე უფრო მოკრძალებული.

-აუცილებლად, სიხარულო, აუცილებლად... აი ჩვენი შეკვეთაც მოსულა.

მომსახურე გოგონამ ლანგარი ჩამოცალა და სტუმრებს ისევ მომლიმარი სახით გამოვლიდა.

-მაინც არ იცის, ეს კერძი მისი თმის ფერის აღქმის უნარს დამაკარგვინებს თუ არა და აქ რა ჯანდაბა ესაქმება?! წავიდეს თმა შეიღებოს.

-გუშინ რატომ არ მოხვედი?
-სად?

-ჩვენთან. ტელმამ მითხრა, რომ არ იყავი. შინ მაინც ვერ დაგხვდებოდი, მაგრამ მეგონა გამოვივლიდი.

-შენ გინდა თქვა, რომ შინ არ იყავი, მაგრამ ჩემი სტუმრობა მაინც გინდოდა? მოდი, ერთად დავფიქრდეთ, რატომ?

-უბრალოდ, ისე... თან არც გადმორეკე...

კლაუდიამ არ უპასუხა, თავი ჩარგო და ბოსტნეულის ნაჭრები უგემურად გაღეჭა. ცოტა ხნით საუბარი შეწყვიტეს და ასე მდუმარედ და უგემურად ილუკმებოდნენ. ცოტა ხანში ამინდიც შეიცვალა. წვიმას აპირებდა და წასვლა გადანყვიტეს. ანგარიში გაისტუმრეს და ქუჩაში გავიდნენ.

-სანვიმარი არ წამომიღია. ჯობია სახლში დავბრუნდე. - თქვა კლაუდიამ და მერის გაუღიმა.

-მე გათხოვბედი ჩემსას. - უთხრა მერიმ გულითადი სიყვარულის გამომხატველი თვალებით.

-სანვიმარი მერე მათხოვე, როცა მონასტრის კარებს შევალბო.

-როგორც იტყვი. მაშინ ხვალ მაინც გამომიარე.

-ხვალინდელ დღეზე აღარ მაფიქრო. მოსანელებლად დღევანდელიც მეყოფა.

-კარგი, მაშინ მშვიდობით და ხვალამდე.
კლაუდიამ მერის აკოცა და შემდეგ მოღრუ-
ბლულ ცას გახედა.
-ინვიმებს. ქუჩაში აღარ იბოდიანო.
მერის გაელიმა. ერთმანეთს ღიმილით და-
შორდნენ.

XIII თავი

მერიმ სახლამდე ვერ მიასწრო. წვიმამ საცე-
ლებამდე დაასველა. იმ ღამეს თავი შეუძლოდ
იგრძნო და მალალი სიცხით ოფლში განურული
თავის ნაოცნებარ სარეცელზე დილამდე ბორ-
გავდა.

პიტერ პერსონი ზედა სართულზე კიბით
გამთენიისას აკოცდა. ნახევრად გათიშული და
გონდაკარგული მერი რომ დაინახა, ქალი ძილ-
ბურანში ეგონა, იფიქრა გავალვიძე, გამოფხი-
ზლება უჭირსო და ყურადღება არ მიუქცევია. ამ
ბნელ ოთახში ვერც მერის ოფლიანი სხეული და-
ლანდა. შემდეგ სიგარეტი გააბოლა, აივნის კარი
ოდნავ შეაღო და მერის განაჩენი გამოუცხადა:

- ჩვენ ერთად ყოფნას სისხლის ფორმულა
გვიკრძალავს. უნდა დავშორდეთ!

პასუხს ვერ მოუცადა, თუმცა პასუხი არც
იყო, რადგან ეს სიტყვები და მთელი ეს ხილვა
მერი სტიჟარტს მალალი სიცხით გამოწვეული
ჰალუცინოზი უფრო ეგონა, ვიდრე ცხადზე
უცხადესი სინამდვილე. და ვიდრე სახლში შემო-
სული ტელმა სარეცელზე გულშელონებულ მერ-
ის შემოუსწრებდა, პიტერ პერსონმა მოჩვენების
თვისება შეიძინა და მერი სტიჟარტის ცხოვრე-
ბიდან აორთქლდა.

ამის შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით
განვითარდა. ლაიზასთან შეხვედრამდე პიტერ
პერსონმა იმ სამშობიაროში შევლა გადაწყვიტა,
სადაც დაიბადა. იქნებ რომელიმე ექიმი ან ბები-
აქალი, ან თუნდაც სანიტარი ვიპოვნო, რომელიც
ჩემს ამქვეყნად მოვლინებას შეესწორო. ამბავს
გამოვკითხავ, ვთხოვ, დანვრილებით მომიყვეს
ჩემთან ერთად შობილი ბავშვის გარდაცვალებ-
ის შესახებ და იქნებ ჩემი გაშვილების საქმეზეც
ნამოცდეს რაიმე, უფრო მეტი საბუთი მექნება
მშობელ დედასთან შესახვედრადო.

სამშობიაროს მიმღები თანამშრომლები
საქმის ვითარებაში სწრაფად გაარკვია. არ-
ქივში პიტერ პერსონის დაბადების თარიღით
აღნიშნული საქალაქო მოძებნეს. დაბადების
გაფორმებულ აქტს ხელს რამდენიმე ადამიანი
ანერდა. ექიმი უკვე გარდაცვლილიყო. სამაგი-
ეროდ, ბებიაქალი, რომელიც იმ ღამეს მორი-
გეობდა, თურმე ახლაც აქ მუშაობდა და მიმღე-
ბის თანამშრომლებმა პიტერ პერსონს პირველი
სართულის ერთ-ერთი პალატისკენ მიუთითეს,
სადაც ეს ქალბატონი ეგულეობდათ.

პიტერ პერსონმა მხოლოდ ერთი რამ
გაიფიქრა: „ნუთუ სიმართლის გასაგებად ერთი
სართულით ზემოთ ასვლაც არ მომიწევსო“
და ოთახს მიაშურა. კარი იმდენად ფრთხილად
შეაღო, რომ მისი შემოსვლა ვერავინ გაიგო.
დაღლილი და ღამენათევი მედდები აქეთ-იქით
სავარძლებზე მისვენებულებიყვნენ. ზოგი სთე-
ლემდა, ზოგს მისავათებულ სახეზე ბინდი გა-
დაჰკვროდა და ქანცგანყვეტილის მზერით

მისჩერებოდნენ დროებით მათი მომსახურების
გარეშე დარჩენილ დემოგრაფიულ სამყაროს –
ყოველ შემთხვევაში, ამ სამყაროს მნიშვნელო-
ვან ნაწილს მაინც.

პიტერ პერსონმა საწადელი არსება სახეზე
ვერ იცნო და ამიტომ სახელით იკითხა:

-შარლოტა ვაიტმარი აქ ხომ არ ბრძანდება?

ტრანსნირვანულმა საზოგადოებამ თვალი
გაახილა, ისიც მყისიერად და იმთავითვე დროე-
ბით, როგორც მძინარე ციკლოპმა მზერის ერთა-
დერთი მრგვალი ორგანო, თუმცა მამაკაცისკენ
არავის გაუხედავს. იქვე ტახტზე მიგდებულ
ხანში შესულ ქალბატონს გადაუღულულედეს:
„შარლოტა ვაიტმარ, შენ გკითხულობენო“ და
ისევ სომნამბულში ჩაყვინთეს.

სახელისა და გვარის გაგონებაზე მოხუცი
შეხტა. ეტყობოდა, ჩასძინებოდა და ერთი შეძახ-
ილით უცბად გამოღვიძებისას შეშინდა. მშფო-
თვარე მზერა აქეთ-იქით მიმოავლო და სანამ
ვითარებას რაიმეს მაინც გაუგებდა, პიტერ პერ-
სონი თავზე წამოადგა და მიესალმა:

-დილამშვიდობისა. მე გახლავართ პიტერ
პერსონი. თქვენთან ერთი საკითხის გამო ვარ
მოსული და თუ შეგიძლიათ მომიხმინოთ.

ქალი ტახტზე წამოჯდა. გაბრუებულ სახეზე
ეტყობოდა, რომ გონს ჯერ კიდევ ვერ მოსული-
ყო. შემდეგ თვალეები მოისრისა, მნახველს დაა-
ვირდა და უცხო მამაკაცს სთხოვა, გეთაყვა, თუ
შეიძლება თავიდან გამიმეორეო.

პიტერ პერსონმა კიდევ გაუმეორა და კი-
დეც აუხსნა თავის დაბადებასთან დაკავშირე-
ბული ეჭვის საფუძველი. შემდეგ შეახსენა იმ
დღეს გარდაცვლილი ბავშვის შესახებ და კიდევ
აპირებდა რალაცის თქმას, რომ ამ ახირებული
უცნობის გაუგებარი ბოღვით თავმოებზრე-
ბულმა ქალბატონმა საუბარი შეანწყვეტინა და
მკვახედ მიუგო:

-გამახსენდა, გამახსენდა. ის ბავშვი
დღენაკლული იყო. იმ ქალბატონს...როგორო რა
თქვით?

-ლაიზას

-ხო, ლაიზას, მშობიარობა ნაადრევად დაენ-
ყო და ბავშვიც დაედუპა. – ქალმა თვალეები ისევ
მოიფშვნიტა, ტუჩებზე ხელი ჩამოისვა. შემდეგ
პიტერ პერსონი შეათვალა, როგორც სანა-
ტრელი ძილის დამფრთხობი საზარელი ახმახი
და უკმაყოფილების ნიშნად ერთიც ჩაიბუზღუნა:
„ძილსაც აღარ ვაცლიან“.

-დედაჩემის მშობიარობა თუ გახსოვთ, იქნებ
პირიქით მოხდა? ძალიან გთხოვთ, იქნებ გონება
დაძაბოთ. თუ გნებავთ გარეთ დაგელოდებით.
პირზე წყალი შეისხით, გამოფხიზლდით, მე არ-
სად მეჩქარება, მოსულიერდით. ალბათ ღამე-
ნათევი ბრძანდებით. სადმე ხომ არ შეგვევლო?
აქვე კარგი სასაუზმეა. ერთად წავიხემსოთ და
იქნებ სუფრასთან ყველაფერი უკეთ გაგახსენ-
დეთ...

არ ცხრებოდა სისხლის მძებნელი უფლისწუ-
ლი და დაკარგულ დრამას ხავსზე მოეჭიდა.

ვიდრე პიტერ პერსონმა ეს მუდარით და
განუზომელი მწუხარებით სავსე ტექსტი წარ-
მოთქვა, ქალმა გამოფხიზლება უკვე მოასწრო.
უცნობი ახმახიც კარგად შეათვალა და იმ-

ასაც მიხვდა, რომ ამ კაცის გონებრივი, უფრო სწორად კი, სულიერი მდგომარეობა მთლად წესრიგში არ უნდა ყოფილიყო. ერთიც ჩაეცინა და შემდეგ ზუსტად ისე, როგორც ყოველთვის – მტკნარად და უფერულად გაისმა ყოფის გარდაუვალი სიმართლე და აუტანელი ტრაგედია:

-დედათქვენი...მაპატიეთ, სახელი შემახსენეთ.

-კონსტანცა. – ამოიკვნესა პიტერ პერსონმა და ქალს მუდარით სავსე თვალები მიაპყრო.

-ჰო, კონსტანცა... და ისაა... ცოცხალია, თუ მინას მიაბარეთ?

-გარდაიცვალა.

-ჰო, მაშინ ღმერთმა გიცხონოს იმისი სული... ჰოდა... ისა, იმას ვამბობდი, რა ჰქვია... კ... რაო?

-კონსტანცა.

-ჰო კონსტანცა ანუ დედათქვენი მე ვამშობიარე. ლამაზი ქალბატონი იყო. თედოს თავზე ერთი უცნაური ნიშანი ჰქონდა, ვარდისფერი, ყვავილს ჰგავდა, ანდა პეპელას. ჰოდა, როცა ვაჟიშვილი, ანუ თქვენ შეეძინეთ, ყველანი იმაზე ვლაპარაკობდით, რომ ახალშობილს დედის მსგავსად ჰქონდა თედოს თავზე აი ეს ვარდისფერი ნიშანი. მაპატიე, ჩემო კარგო, ლამის მორიგეობა მქონდა და გადაქანცული ვარ, საუზმე კარგია, მაგრამ სხვა დროისთვის იყოს. ერთ რამეს კი გეტყვით. თქვენ დედათქვენის შვილი ბრძანდებით და მე არ ვიცი არავითარი სხვა საიდუმლო.

ამ დროს ერთ-ერთმა მთვლემარე ციკლოპმა ცალი თვალი გაახილა და შარლოტა ვაიტმარს შეჰპლრინა:

-საუბარი თუ გნებავთ, გარეთ მიბრძანდით. აქ ხალხი ისვენებს. – თქვა და ნახევრად მიძინარე სახე სავარძლის მეორე კიდეს დააყრდნო.

პიტერ პერსონი მიტკლისფრად გაიცრიცა. თავბრუსხვევა იგრძნო. თითქოს კლაუდია კორრის ვიზიტის შემდეგ ეს უკვე მეორედ უნოდეს იტაკის პრინცი ულისე. უცბად სისხლი მოანვა, რისხვის მდუღარე ლავამ თავი გადაუნვა და შემდეგ რაც მოხდა, თავად აღარც ახსოვდა, მაგრამ სომნამბულიდან მყისიერად გამოფხიზლებული მედეები ამ ამბავს შემდეგ ასე ყვებოდნენ: „აი ეს ბატონი მივარდა შარლოტა ვაიტმარს, სწვდა კისერზე, თან გუდავდა, ახრჩობდა და თან უყვიროდა: „გამოტყდი, რომ ის ქალი დედაჩემი არ იყო!.. გამოტყდი, რომ ის ქალი დედაჩემი არ იყო!..“ ხმაურზე თანამშრომლებიც შემოცვივდნენ... სანყალი შარლოტა ორი კვირა ყელმუხვეული დადიოდა. სულ უქმად. აბა მშობიარეს ხომ არ ეტყვი, ვილაც გადარეული მახრჩობდა და ისე უნდა გამშობიარო, თავს ძირს ვერ დავხრიო... ჰოდა ორი კვირა აი ესე უქმად მიმოდოდა ჩვენი შარლოტა. მევე კიდეც მოხსნეს ეს რალაც, ყელი რომ ჰქონდა შეხვეული და ესლა იცოცხლე, ისე მუშაობს, ბევრს ჩვენიარისაც აჯობებს, არა, შარლოტა?“ – მიახლოებით ამგვარი სიტყვების გამეორება უნევდა სომნამბულური საზოგადოების ყოველ ციკლოპს ჩინოსანი ცერბერების ნინაშე და სულ მალე პიტერ პერსონის სასამართლო პროცესიც დაინიშნა, მოხუცი ბებიაქალის მკვლელობის განზრახვის ბრალდებით.

„საკნის კარები ჭრიალით იღება. ქალაღდ-ისგან რომ გაეკეთებინათ ალბათ იჭრაჭუნებდა.

მივადგებოდი და აპლიკაციებს გამოეჭრიდი: „ჭრაჭ-ჭრუჭ, ჭრაჭ-ჭრუჭ...“ ეს კაცი მთელი ღამე ხვრინავს. გვერდზე გადააბრუნეთ. მაინც ზურგზე წევს. მაიკ ტეფტს საპონს დავაბარებ. კიდეე პირის საპარსს, კიდეე სიგარეტს... ეს კარები ქალაღდის რომ იყოს ხომ იჭრაჭუნებდა? ცხოვრების დიდ ნაწილს ცხაურს მიღმა გავატარებ. გააპოხეთ ეს ხმაურიანი რკინის ნაგლეჯი და სამუდამოდ გაიჯახუნეთ! არც არავინ გთხოვთ ამის გაღებას. მეგონა განაჩენი სხვას გამოვუტანე. იმ მოხუცისთვის არც არაფერი უნდა მეკითხა. ნეტა რა ახსოვდა მაგ გამოყრუებულ ბებრუტუნას?! ეს კაცი ზურგზე გადააბრუნეთ, მთელი ღამე ხვრინავდა. მაიკ ტეფტი საცვლებსაც მომიტანს, წიგნებსაც. გზადაგზა მოვიფიქრებ. სასამართლო დიდხანს გაგრძელდება, დრო მექნება. ეს ჭრაჭუნა ქალაღდის კარები აპლიკაციებისთვის გამომადგება. კედელზე გავაკრავ. იქნებ მერე მაინც გაპოხონ ეს უბადრუკი რკინის ნაგლეჯი. რას ბოდავდა, ნახევრად ეძინა, რაც ვუთხარი, ვერაფერი გაიგო... მე მოსამართლე ვარ. მკერდს ხშირად მიმშვენებს გახამებული თეთრი საყელო... ამათ სიგარეტს არ მოვანევიებ. ხვალიდან მაინც სხვაგან გადამიყვანენ. რას მომამტერდა? მიახლოვდება. შენ, ძიაკაცო, გერონტოფილი ხომ არა ხარ? სად ამოკითხა. რას მერჩის. ბებოს ახრჩობდი თუ სხვა რამეც გინდოდა? ხი, ხი, ხი... ბებომ, რაო, არაო? ხი, ხი, ხი... ბებოს ახრჩობდა. ფეხს თუ არ ჩანევს, ვუთავაზებ. იმასაც გაეღვიძა, აღარ ხვრინავს. მაიკ ტეფტი ბამბასაც მომიტანს. სმენის ორგანოები უნდა დავიხშო. რას ერჩოდი, მეთქი, ბებოს? ფეხს თუ არ ჩანევს ვუთავაზებ. მისი ვალია გახამებული თეთრი საყელო და მოსამართლის მანტია. ამას ღალადებს სარეცხი ფხვნილის რეკლამა. რა ღირს ეს თქვენი აპლიკაცია? არც არაფერი. ქალაღდის კარი დავაქუცმაცე, ციხის ჭრაჭუნა ქალაღდის კარები. რატომ იგვიანებს მაიკ ტეფტი? თუმცა სასამართლო დარბაზში მელოდება. ძიაკაცს ლაპარაკი დაავიწყდა. ფეხი ჩანით! ხი, ხი, ხი... ალაპარაკდა... რაო, ბებომ, არაო? ხი, ხი, ხი... ფეხი ჩანით! ეს ღერი ჩემთვის მინდა. ხელი არ ახლო. აბა, ერთი მომიკიდე, ვენევიგნება. უხ, შენი!.. ძან მომივიდა. ძირს აგდია. შემოცვივდნენ. ჩემგან შორს დაეცა. ვერ მიხვდნენ. იმას უყურებენ. ზემოთ უნდა ასულიყო, აცოცდა და გადმოენარცხა. ყოჩაღ, ეს კაცი ტყუილად არ ხვრინავს. ეტყობა, გონება უფრო ეხსნება. წყალი გადაასხეს. თვალი გაახილა. ცოტა ხნით მოგვაშორებენ. ქალაღდის კარი ჭრაჭუნებს, ჩემი სააპლიკაციო მასალა. ოდესმე გამოეჭრი. ჰა, გააბოლე! მეც ტვინი შემიჭამა. მე ვარ მოსამართლე და ჩემი საყელო გახამებული უნდა იყოს, თეთრი და ქათქათა. საამართლიანი რეკლამა სარეცხი ფხვნილისთვის. ადრე ვნახე, აღარც მახსოვს. ცხვირი სისხლიანი ექნება. დაიმსახურა. ძან კი მომივიდა, ვერ მოვზომე. რალას ყოყლოჩინობდა. შემეცოდა, რა წვრილფეხა ყოფილა. ისევ შემოვიდნენ. სამაჯური ჩემს ხელს, სამაჯური იმის ხელს. იმან დამატყვევა თუ მე დავატყვევე. ფილმი რომ ჩამირთონ, რაიმე ფილმი. ამდენი ხანი იქ რა გაძლებს. თან მოწმეებიც უნდა გამოცხადდნენ. ვინ მომასმენინებს უკანასკნელად ლუდვიგ ვანს? იქნებ ვიოლინომ

ჩემს თვალწინ კიდევ ჩაიფარფატოს. მართალი იყო კიტ ფოსტერი. მე არ ვანაღვლებ ლუდვიგ ვანის ვიოლინოს. სად გაახამეთ ეს მოსამართლის ლურჯი მანტია? მე თქვენ სარეცხი ფხვნილის რეკლამაში გიხილეთ. ნუთუ დააგემოვნეთ ის თეთრი ნივთიერება? როგორ გაგაკრიალათ – საყელოიანად გათეთრებულხართ. გთხოვთ, ფეხზე აბრძანდეთ! ესეც თორმეტი ნაფიცო მსაჯული. გახლავართ პიტერ პერსონი, გახლავართ პიტერ პერსონი. გახლავართ პიტერ პერსონი... ნუთუ თორმეტჯერ უნდა გავიმეორო! პროკურორს სათვალე ენისლება. ქმინავს. მაიკ ტეფტს ფანქარს და ფურცლებს დავაბარებ. ფიქრისთვის ბევრი დრო მექნება. მერე ყველაფერს მაგათთან დავებჭდავ. დღის რომელ ნახევარში? დილით, მორიგეობა ახალი დამთავრებული გვექონდა. ცივი იარაღი ხომ არ შეგინიშნავთ? არაა, მხოლოდ ხელებით, ცარიელი ხელებით... როგორ მეცნობა ეს მოსამართლე. მე თქვენ გიხილეთ – სარეცხი ფხვნილის რეკლამაში. რა კარგად გააქათქათეთ ლურჯი მანტია. იცნობდით ბრალდებულს? თმაც რომ შეუღებავს, ბებერი საფრთხობელა. ერთ ღერს გავაბოლებ. არაო. ხელებს მიმშვენებს ვერცხლისფერი სამაჯურები, ნიშნად აღკვეთილი თავისუფლებისა. დროებით ადამიანობას უნდა გამოვეთხოვო. მერე ისევე მომანიჭებენ. გქონდათ თუ არა რაიმე კავშირი ბრალდებულთან? მას შემდეგ, რაც დედამისი აი ამ ორმა ხელმა ამშობიარა, არასოდეს. საცვლებს მომიტანს მაიკ ტეფტი, პირის საპარსს და სიგარეტს. ვეტყვი ნიგენბიც წამოაყოლოს და კიდევ ზამბა, უნდა დავიხშო სმენის ორგანოები. თორმეტივე შემომცქერის. გახლავართ პიტერ პერსონი. მე თქვენ სარეცხი ფხვნილის რეკლამაში გიხილეთ. რა კარგად პრიალებს თქვენი მოსამართლის ლურჯი მანტია. უთუოდ ამ ფხვნილით გააქათქათა. შეიძინეთ სოდის და ქლორის ეს საუცხოო ნაზავი და თქვენ სამუდამოდ გასუფთავდებით! ნეტა სულ ყველგან ჭრიალებს ის საზარელი რკინის ნაგლეჯი?! მაიკ ტეფტს ხვრინვის საწინააღმდეგო აბებიც უნდა დავაბარო. თანამოსაკნეებს მოვამარაგებ. რა იყო მისი აგრესიის, უფრო სწორად, მკვლელური მცდელობის მოტივი? რას მომამტერდა. პასუხი იმან არ უნდა გასცეს?! თქვენ შეიძინეთ სოდის და ქლორის ნაზავი? მე თქვენ სარეცხი ფხვნილის რეკლამაში გიხილეთ. ამ დარბაზში ნახევარზე მეტი ველარაფერს ისმენს, სიგარეტის ღერები ელანდებათ. მონევის უფლება უნდა მოგვეცენ. ანდა ორი დარბაზი შეუკვეთონ, ერთი – მწველებისთვის, მეორე – მათთვის, ვინც არ ეწევა. რესტორნებში ძირითადად ასეა. ის ამბობდა, რომ დედამისი იყო ვინმე ლაიზა და არა კონსტანცია პერსონი. ხელებს მიმშვენებს ვერცხლისფერი სამაჯურები, ნიშნად დაკარგული თავისუფლებისა. ოდესმე დამიბრუნებენ. სიტყვა ეძლევა დაცვის მხარეს. ჯობია სიგარეტი მისცენ იმასაც და მეც. რატომ არა გაქვთ ორი დარბაზი. აქ ხომ უმეტესობა ეწევა... ნერწყვები მომდის პავლოვის ძაღლივით. ანთეთ ეგ წყეული ნათურა და მეც გადმოვაპურწყებ. მაშინ ურნები უნდა დაგვიდგათ... ან სიგარეტი მოგვანევი-ნოთ... ეს არის სისხლის კვლევის ლაბორატორიის მონაცემი. აქ ბრალდებული დანაშაულის

ჩადენამდე რამდენიმე დღით ადრე იმყოფებოდა. გენური ანალიზი მოითხოვა. გამოძიებას დაეხმარა უცნობი ქალბატონი. გვთხოვა, რომ მისი გვარი არ დაგვესახელებინა. მაინც მომაცნო... კლაუდია კორრი! დუმლის უფლება გამიგრძელეთ! ჩემს სათქმელს გეტყვით აი ეგ სისხლის კვლევის ლაბორატორია. დაცვის მხარე ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ითხოვს. პროტესტი არ არის. ბრალმდებელი თანახმაა. გვერდზე ურნები დაგვიდგით ან სიგარეტი მოგვანევიანეთ. აგვიკლო პავლოვის რეფლექსმა. გთხოვთ, ფეხზე წამოდგეთ! სიტყვა ეძლევათ ნაფიცო მსაჯულებს. ფსიქიატრიული ექსპერტიზა გარდაუვალია. შეშლილებს უნდა გავუშეშობლდე. ალბათ დროებით. მგონი იქ სიგარეტს სულ არ ეწევიან, არც ურნებს დამიდგამენ. დაუღუპე! იქ უფრო ადვილად მომაკითხავს მაიკ ტეფტი. მე თქვენ სარეცხი ფხვნილის რეკლამაში გიხილეთ. თქვენი თეთრი საყელო იქაც ასევე ქათქათებდა. დასრულდა!”

XIV თავი

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კლაუდია კორრი სასამართლო დარბაზში იჯდა. პიტერ პერსონმა ის ვერ შეამჩნია. სამაგიეროდ ის მაიკ ტეფტმა იცნო. კარგად ახსოვდა რედაქციაში მისი პირველი სტუმრობა. მართალია, უმრავლესობას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მაიკ ტეფტი იმ ნუთასაც და ყოველთვის იდგა უმრავლესობის გარეთ... რედაქტორის კაბინეტში ატეხილი აურზაურის მთავარი მიზეზი ხელიდან მხოლოდ მას ვერ დაუსხლტა და სასამართლოს შემდეგ მაიკ ტეფტმა კლაუდია ვახშმად პაემანზე დაითანხმა.

საქმე რამდენიმე სამხილის შეჯერებას ეხებოდა. მართალია, კლაუდიაც და მაიკ ტეფტიც სასამართლო დარბაზში წარმოდგენილი მასალის გარეშეც შეძლებდნენ ფონს გასვლას, მაგრამ იქ გაცხადებულმა წერილმანებმა მათი მიმართულება სწორად განსაზღვრა და ახლა, როცა გეზი ზუსტად აიღეს, აზრები უნდა გაეცვა-ლათ და საბოლოო დასკვნაზე მეთანხმებულიყვნენ.

რესტორნის სკანდალი მაიკ ტეფტმა იმ დღესვე შეიტყო. ინფორმატორი ამჯერად გახლდათ ჯეკ ეროუ. იმავე საღამოს მაიკ ტეფტი რესტორნის დირექტორთან საერთო ნაცნობის ძეხნას შეუდგა, რადგან ზუსტად იცოდა, რომ მსგავსი შემთხვევის შემდეგ რესტორნის პერსონალთან ცარიელი ხელებით გამოცხადება და სიმართლის გაგების სურვილი ზედმეტ გარჯად და საბოლოოდ ნამხდარ საქმედ დაუჯდებოდა. უარეს შემთხვევაში მასაც ინცესტის მძიებელ გარყვნილს უწოდებდნენ, რომელმაც ვითარების გამოძიება მხოლოდ საბაბად მოიძო, სინამდვილეში კი თავისი ბინძური სურვილების ირიბი დაკმაყოფილება განეზრახა.

„ორიენტის“ დირექტორი კიტ ფოსტერის დის ქმარი აღმოჩნდა და ამან საქმე ბევრად გაართულა, რადგან ქალბატონი ფოსტერი „ლიტერატურული დროის“ სრულიად რედ-კოლეგის მანყევარი და მთელი დარჩენილი

ცხოვრების მანძილზე შურისძიების გრძნობით აღვსილი ნოველისტი-პროზაიკოსი რიჩ გალაჰარს უთუოდ განაწყობდა მაიკ ტეფტის წინააღმდეგ, თუმცა ბედვრულ კიტს დედონაცვალმა ფორტუნამ ამჯერად მხოლოდ ცალყბად გაუღიმა და უახლოესი თვეების მანძილზე ჟურნალის ნომრებში გამოქვეყნებული მასალის სანაცვლოდ მაიკ ტეფტს რიჩ გალაჰართან შუამდგომლობას შეჰპირდა.

რიჩ გალაჰარი აზარტული კაცი გამოდგა და საქმის ვითარებით თავადაც დაინტერესდა. სკანდალური დღით გამორჩეული ოფიციალტი დირექტორის კაბინეტში დაკითხეს. მაიკ ტეფტი წვრილმანებამდე სიზუსტეს ითხოვდა. სურდა შეეტყო, სტუმრებმა რა შეუკვეთეს, თავიდანვე იგრძნობოდა მოსალოდნელი უსიამოვნება თუ არა. სად და როდის მოიხელთა ის პიტერ პერსონმა და კერძოდ რა ვითარებაში დაუსვა ის უცნაური შეკითხვა.

ოფიციალტი დაიბნა. დასაწყისში უფრო იმაზე ფიქრობდა, პასუხის რომელი ვარიანტი იქნებოდა ბატონი გალაჰარისთვის მისაღები. სათქმელი ბევრი არც არაფერი ჰქონდა, როგორც გაირკვა, პიტერ პერსონმა ჯერ წყალი მოითხოვა, შემდეგ ოფიციალტი გვერდზე გაიხმო და იღუმალ ჩასწურწულა, სისხლის აღრევის თუ გვერათო, მაგრამ ვიდრე შეშინებულმა და დაძაბული გარემოს წნეხით გაორებულმა საბრალო მიმტანმა თავისი ფუნქციის სრულიად უცოდველი პირობითობის გაცნობიერება შეძლო, ფაქტები ლამის სრულ გაუგებრობამდე დაამახინჯა. ბოლოს ისევ მაიკ ტეფტმა იმარჯვა, ოფლად გაღვრილ ოფიციალტს თხრობის ხელახლა დაწყებამდე მცირე ინსტრუქტაჟით გაუმასპინძლდა და აუხსნა, რომ მას მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის ზუსტი დიაგნოზისთვის საჭირო ცნობების გადმოლაგება მოეთხოვებოდა და ყინულიც დაიძრა. მიმტანის მეხსიერება ნაირგვარი კერძების სახეობებს, მუდმივ შეკვეთებს და სწრაფმავალი რიტმით მომსახურებას იმდენად გაეწაფა, რომ თხრობის დროს ყურადღების მიღმა არ დარჩენია არც ერთი წვრილმანი. როგორც აღმოჩნდა, პიტერ პერსონმა ჯერ მამაკაცთა ფეხსალაგს მიაშურა, შემდეგ გეზი შეიცვალა და წყალი მოითხოვა და როცა წყლით სავსე ჭიქა მიუტანეს, ოფიციალტი გვერდზე სწორედ მაშინ გაიხმო და საბედისწერო კითხვაც დაუსვა – სჯეროდა თუ არა მას სისხლის აღრევის.

მაიკ ტეფტს ეს დეტალები კლაუდიასთან შეხვედრისას ფრიად დაეხმარა მართებული დასკვნის გამოსატანად, თუმცა მან სრულებით არაფერი იცოდა სისხლის კვლევის ლაბორატორიასთან დაკავშირებული შემთხვევის შესახებ, რამაც პიტერ პერსონი ხანგრძლივი პატიმრობისგან იხსნა. ახლა კი მხოლოდ ერთნლიანი ფსიქიატრიული რეაბილიტაციის შემდეგ სამართალდამცავების მუდმივი ზედამხედველობა და მკაცრი კონტროლი ჰქონდა მისჯილი, რაც პირველთან შედარებით წარმოუდგენლად მსუბ-

უქი ტვირთი იყო. ამიტომ მაიკ ტეფტი, როგორც მსჯავრდებულის უახლოესი მეგობარი, კლაუდია კორრის წინაშე თავს ვალდებულად გრძნობდა და შიშველ ცნობისმოყვარეობაზე მეტად კლაუდიასთან შეხვედრის სურვილი მისდამი მაღლიერებამ აღუძრა.

კლაუდიას ეცვა ჭაობისფერი ნაქსოვი ზედატანი და მოყვანისფრო ქვედაბოლო. თმა თავზე სამაგრებით მოემგრვალეზინა და მუქი შინდისფერი საყურეებიც დაეხნია. ეტყობოდა, რომ მოინდომა. მაიკ ტეფტმა ქათინაურს თავი აარიდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ. ალბათ ეზედმეტა. უხერხულობა არც უგრძენიათ. საქმეზე სწრაფად გადავიდნენ. ცნობები გაცვალეს და დასკვნა უკვე მზად იყო. ერთმანეთს არც გაუმხილეს. ეს დასკვნა ხმამაღლა არ ითქმოდა. აჯობებდა ღუმულის შენარჩუნება და ღუმულთან ერთად საუბარი:

-თქვენ როგორ გგონიათ, მის ეჭვს ჰქონდა რაიმე საფუძველი? – იკითხა მაიკ ტეფტმა და მართალია მისი სიტყვები კლაუდიამ დედუქციის კანონების უხეშ დარღვევად მიიღო, მაგრამ ამჯერად შეკამათება გადაიფიქრა.

-ამ შემთხვევაში ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. არის შემთხვევები, როცა ყველა ადამიანის ცხოვრება ერთადერთი ზმნით გამოიხატება. აი ვთქვათ, „მე მიყვარს“, ანდა „მე მსურს“, ან „მე ვკვებები“... იმის ცხოვრებას ერქვა „მე ვეჭვობ“.

-„მე ვეჭვობ“, როგორც „მე არ მჯერა“ თუ „მე ვეჭვობ“, როგორც „მე აღარ მჯერა“. – იკითხა მაიკ ტეფტმა და კლაუდიას ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა.

-სწორად მიხვდით. ალბათ უფრო უკანასკნელი – „მე ვეჭვობ, რადგან აღარ მჯერა.“ – უპასუხა კლაუდიამ.

-თქვენ გჯერათ? – იკითხა მაიკ ტეფტმა და სიტყვებთან ერთად ქალს ღვინის ჭიქა შეუვსო.

-მაგაზე ხშირად მიფიქრია.

-მერე?

-მერე ის, რომ... – კლაუდია შეყოვნდა, ჭიქის ზედაპირს თითის წვერი მოავლო, თითქოს პასუხი წინასწარ დაიმორცხვა და განავრძო: - რომ არ მჯეროდეს იმის ბედს გავიზიარებდი.

-ვის ბედს? – ჩაეკითხა მაიკ ტეფტი, თუმცა კარგად ხვდებოდა, რასაც გულისხმობდა, მაგრამ ქალი სიტყვაძვირობდა, მას კი უზომოდ ხიბლავდა მისი საუბარი. ამიტომ მარჯვე შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ მის ბაგეებს სიტყვა დასცდენოდათ, თვალებს კი გამოხედვა - ჭკვიანური და უზომოდ მიმზიდველი.

-ითაკის პრინციის – ულისეს. – უპასუხა კლაუდიამ და პასუხი აღარ განმარტა.

-მე თქვენ მაოცებთ.

კლაუდიას გაეღიმა. შემდეგ ნისლიან ქუჩებზე ჩამონოლილ სალამოს გადახედა და სახლში წასვლის დროაო, გამოაცხადა. მაიკ ტეფტმა ანგარიში გაისტუმრა და შენობა უხმოდ დატოვეს. წასვლის წინ მამაკაცს სიტყვები არ უძებნია, კლაუდიას ისევ ოდნავ შესამჩნევად შეჰღიმა და სანადელი კითხვაც დაუსვა:

-როდის გიხილავთ?

კლაუდიამ თავი ველარ შეიმავრა და ამჯერად

გაეღიმა, ოღონდ ბევრად უფრო ფართე ღიმილით.

-კაპელის სამუშაო შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია და შეგიძლიათ მობრძანდეთ.

-გიხილავთ პარტიკრიდან.

-მე - სცენიდან.

-შეხვედრამდე. - და ორი სიტყვაძვირი ერთმანეთს დროებით დამორდნენ.

იმ საღამოს კლაუდიას სტკიოდა მერი სტიუარტის უბედურება, მაგრამ გულს უნათებდა საკუთარი ბედნიერების სიჭარბე.

„ლიტერატურული დროის“ რედაქციაში კი მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად მაიკ ტეფტი დაასახლეს. მაიკ ტეფტი პიტერ პერსონის მაგიდად არ მიუჯდა. მისი სურვილით ეს ოთახი დროებით გამოკეტეს. მაგრამ ტექნიკური საჭიროება მაინც თავისას ითხოვდა და აბრას წარწერით: „მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი მაიკ ტეფტი“ - ვერსად გაექცა. აბრა იმ დღესვე დაუშზადეს. მაიკ ტეფტს კი გულს უღრღნიდა უცნაური წინათგრძნობა. უშიზეზოდ აფორიაქდა. დაწინაურებას ვერ დააბრალებდა, რადგან ამის შესახებ წინასწარ იცოდა. ახალი სტატუსი დიდად არც ხიბლავდა, მაგრამ გულის გამანჯვრილებელ შფოთვას ძვრაც ვერ უყრ. ცრურწმენა ცხოვრებაში არ გამოუმჟღავნებია, მაგრამ როცა დასაბეჭდი მასალით ხელდამშვევებულმა კიტ ფოსტერმა რედაქციის კარი შემოაღო, ამ ქალის გამოჩენა მაიკ ტეფტს ისე ენიშნა, როგორც მანქანის მძღოლს გზის გადამკვეთი წვრილფეხა მტაცებელი კატისებრთა ოჯახიდან.

მაიკ ტეფტს გონება ერთმა აზრმა გაუნათა: „ცხოვრება მზიარულია და ფერადი, როგორც ბავშვი, უბრალოდ ჩვენ ვზრდასრულდებით და ვწყვეთ ბავშვობას... და მერე ცხოვრებაც უფერულდება. ალბათ ამიტომ ჰგავს სამყარო ბავა ბალის აღსაზრდელთა ცხრათვალა ნახატებს. მას ალბათ სურდა ბავშვობაში დაბრუნებულიყო...“

ამასობაში კიტ ფოსტერმა რედაქტორის კაბინეტის კარიც შეაღო და მაიკ ტეფტს ახალი სტატუსი მიულოცა.

გარეთ წვიმიანი შემოდგომა ქუჩებს გზადაგზა ატალახებდა, თითქოს მტირალა ქალწულმა უსაყვარლესი საყურე დაკარგა და ახლა ცრემლების ფრქვევით ეძებდა საბრალო დაკარგულ საყურეს. ნეტა თუ იპოვნის? - გაიფიქრა მაიკ ტეფტმა და წისლიან დღეს ფანჯრიდან გადახედდა.

-რა მოგვიტანე, კიტ?

-ნოველები, როგორც ყოველთვის. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ თანამდებობას. დარწმუნებული ვარ წინა რედაქტორისგან განსხვავებით არ გამანბილებთ. - კიტ ფოსტერმა საუბრის ნაცვლად ტუჩები ააცმაცუნა, როგორც ზაზუნამ. ყოველი შემთხვევისთვის მაიკ ტეფტს ასე მოეჩვენა. ზაზუნებს გალიაში თავზე ხელიც რომ გადაუსვა, შეიძლება თითზე გიკბინონ. „ნეტა თუ იკბინება კიტ ფოსტერი?“ - გაიფიქრა მაიკ ტეფტმა და ფანჯრიდან ისევ წისლიან დღეს გადააცქერდა.

-ამჯერად რას ეხება თქვენი ახალი ნოველა... უკაცრავად, ნოველები? - იკითხა რედაქტორმა

იმ იმედით, რომ კიტ ფოსტერი ამ კითხვაზე პასუხს ხანგრძლივი და უსაგნო ტექსტით უპასუხებდა, ხოლო მაიკ ტეფტს დრო დარჩებოდა პოეზიისთვის, რადგან მან ისევ წისლიან დღეს მიაშურა და შემოდგომის დაკარგულ საყურეზე ფიქრი განაგრძო.

ქუჩებს წვიმასთან ერთად მანქანებიც ალამაზებდნენ, გამვლელებს ტანსაცმელიც შეუფერინადათ. გოგონებს თხელი წინდები ტალახიანი შხეფებით დაენიწკლათ. მტირალა ქალწული კი დაკარგულ საყურეს ეძებდა შემოდგომის წისლიან ქუჩებში...

-...განსაკუთრებით თანამედროვე მორალი...

- ყური მოკრა მაიკ ტეფტმა და ბოლო სიტყვების გაგონებაზე გამოერკვა.

-საინტერესოა. თქვენ თვლით, რომ მორალი იცვლება?... კარგი, განაგრძეთ. - თქვა მაიკ ტეფტმა და ისევ წვიმიან ბურუსში ჩაყვინთა. კიტ ფოსტერმა ტუჩები ააცმაცუნა, როგორც ზაზუნამ. იქნებ თხილი ვუყიდო? გაიფიქრა მაიკ ტეფტმა და ნაბეჭდ მასალას გადახედა. ბლომად იყო. ზაზუნები იკბინებიან, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელს გადაუსვამ. ნეტა თუ იკბინება კიტ ფოსტერი? რომელ ნომერში დავუბეჭდო. მკითხველს ბოდიშს წინასწარ მოვუხდი, ქარაგმებით შევუთვლი ყოველ მყიდველს: „მე მაპატიეთ!“ - ამ სიტყვებზე ჩაეცინა.

-რა მოხდა, აქ იყო რაიმე სასაცილო? - იკითხა ქალბატონმა ფოსტერმა და სახე აელენა.

-არა, კიტ, დამშვიდდი, მანქანას ქალი შემთხვევით შემოეწუნა, აი ამ წამს, ქუჩაში და ისეთი სასაცილო იყო... მაპატიე, თავი ვერ შევიკავე. შენ განაგრძე, კიტ, მე გისმენ.

კიტ ფოსტერმა ერთ-ერთი ნოველა ამოარჩია, რომელიც ბევრად უფრო მცირეტანიანი იყო და კითხვას შეუდგა. მაიკ ტეფტი ფანჯრის მინებს შეაცქერდა. წვიმა ნელ-ნელა იცრემლებოდა, უჩუმრად, თითქოს ტირილი ჰქონდა აკრძალული, ანდა იმ ქალწულმა ვერა და ვერ იპოვნა თავისი დაკარგული საყურე. დრო გაინელა, უსაშველოდ.

უცბად ოთახში ქლოშინ-ქლოშინით შემოიჭრა ტერი კლემენსი და რამდენიმე სამართალდამცავს შემოუძღვა. ძლივს სუნთქავდა და სიტყვებს თავი ვერ მოუყარა. ეს მძიმე ტვირთი კი ისევ სტუმრებმა იკისრეს. უფრო სწორად, ბევრი არც არაფერი უთქვამთ. უბრალოდ, მაგიდაზე, რომელიც კიტ ფოსტერის ნაბეჭდი მასალით იყო მიმოფანტული, რამდენიმე ნივთი გადმოალაგეს და სათითაოდ დაასახლეს. ზედ რალაც ლუქის მსგავსი ბეჭდიანი შტამპებიც ეტყობოდათ. ეს იყო პირის საპარსი ხელსაწყო, რამდენიმე წიგნი, საცვლები, ფანქრები, რვეული და დამსხვრეული ლარნაკის ერთი ბოლო, მეორე ალბათ თან არ ჰქონდაო, დაამატა კეთილსინდისიერმა სამართალდამცავმა და შემდეგ განმარტა:

-რადგანაც თქვენ იყავით უკანასკნელი, ვინც პიტერ პერსონი სიცოცხლეშივე ინახულა, ამ ნივთებს კანონიერი მემკვიდრის გამოჩენამდე თქვენ გაბარებთ. გვამის გადმოსვენების უფლებით მხოლოდ შვილები სარგებლობენ. გთხოვთ, აი ამ საბუთზე ხელი მომიწეროთ. - თქვა ფორმიანმა მომსახურემ და მაიკ ტეფტს

რალაც ქალაქი გაუწოდა, შემდეგ ფურცლის იმ კიდეზე მიუთითა, სადაც ხელი უნდა მოეწერა, ნიშნად იმისა, რომ პიტერ პერსონის ნივთები უკლებლივ ჩაიბარა.

მაიკ ტეფტი აკანკალდა. კიტ ფოსტერი უხერხულობისგან აინურა. ტერი კლემენსი უკვე სლუკუნებდა. კეთილი გამოდგა სამართალდამცავი და რედაქციის ბეჭედი ქალაქს თავად დაასვა. მაიკ ტეფტის გვარი იქ კიდეც იყო მითითებული.

სტუმრებმა რედაქცია დატოვეს. მაიკ ტეფტი მაგიდაზე დახვავებულ ნარჩენებს დახედა, შემდეგ სახე ხელებში ჩარგო და შემოდგომის წვიმასთან ერთად ატირდა.

.....

დასრულდა კიდეც ერთი სიცოცხლის ამბავი, თუ ერთ-ერთი რიგითი სიკვდილის ისტორია? მინამ შესანსლა პიტერ პერსონი. გეა ყველაზე თავკერძა ოლიმპიელთა შორის. ერთ გოჯსაც არ დაგიტომობს, ყველაფერს უკან იბრუნებს. თუმცა შევცდი, დააბრუნა. ექვსი თვის შემდეგ, პიტერ პერსონის ცხედრის ნაწილი „დეენემის“ ლაბორატორიამ გამოიკვლია. მერი სტიუარტის ვაჟს მამის გვარი დაუმტკიცეს და გარდაცვლილი მშობლის სახსოვრად სახელიც მამის ერგო. ზეცამ გამოგზავნა ახალი პიტერ პერსონი, რომ წლების შემდეგ ისიც მინამ დაიბრუნოს, თავკერძა გეამ, ყველაზე ძუნწმა ოლიმპიელთა შორის.

კომენტარები

71. გვ. 56. „ზავს პირობით შეწყვეტილი ომის გასაგრძელებლად...“ – რემინისცენცია ნიცშეს მორალიდან: ზავი არის სამზადისი ომის განახლებისთვის.

72. გვ. 57 „შენი მუცელი ინცესტის ნაყოფს ატარებს...“ – პიტერ პერსონის ბოდივითი აზრები, რომლებიც ინცესტს უკავშირდება, არის ფსიქონალიზის ერთ-ერთი საფუძვლის „ოიდიპოსის კომპლექსის“ ერთგვარი პაროდია.

73. გვ. 60 „შენი სული ისე ახლოა ჩემთან, როგორც მარჯვენა ხელი მარცხენა ხელთან“ – ნაწყვეტი მარინა ცვეტაევის ლექსიდან. თარგმანი ეკუთვნის ავტორს.

74. გვ. 60 „ჩვენ შევდუღაბდით ღვთაებრივ მხურვალეობით, ვით მარჯვენა და მარცხენა თეთრი ფრთები.“ – იქვე.

74. გვ. 61. ასაკს როგორ უყვარს გონება-სუსტი პანდორა...“ - მითის მიხედვით გონება-სუსტი იყო პრომეთეს ძმა ეპიმეთე, თუმცა ამ ატრიბუტით ავტორი მოიხსენიებს ეპიმეთეს ცოლსაც – პანდორას.

75. გვ. 61. „მაგრამ ნისლი წევს და უფსკრულები გადავეს მარჯვენა ფრთიდან დაჭრილ მარცხენა ფრთამდე.“ – დასასრული მარინა ცვეტაევის იმავე ლექსისა.

76. გვ. 61 „მერის უყვარდა ეს რუსი პოეტი ქალი და ენანებოდა მისი სუიციდი.“ – იგულისხმება მარინა ცვეტაევა.



კოორკი
შალაშვილი

კაბარე

კვამლი დგას თუთუნის, ოთახი ჩუმია,
ჭერიდან ობობა მიყურებს ლორწებით,
რადიო-ორკესტრმა ბგერების მუმი
აპლოდისმენტებს გადასცა კონვერტით.
ჯაზმენი ჯენლტმენი სცენაზე ავარდა,
თითები სანთლებად დაადნო საქსაფონს,
მაგიდის მწკრივებში შამპანი გავარდა
და ხმა ჩაუნყვიტეს ხრიალით გრამაფონს.
წყვილები ცეკვავენ, წყვილები ბევრია,
ფოქსტროტი გარინდულ
გარემოს აღვიძებს,
შრიალა კაბებზე სურნელი შეცვლია
მადმუაზელ ფერმკრთალებს — კოცნაში
ჩალვრილებს.
ლაცურებს ბერავენ ოქროს ტრომბონები,
კონტრაბასს ტრიალით მუცელი გაუცვდა,
ბოდლერს უკითხავენ ვაჟებს გოგონები,
მაესტროს ტურჩებთან სიგარა აუცდა.
კვამლი დგას თუთუნის, ოთახი ჩუმია,
ჭერიდან ობობა მიყურებს ლორწებით,
რადიო-ორკესტრი, ბგერების მუმი
აპლოდისმენტებო, გახსენით კონვერტი.

შენიშლთა რაქვიამი

სიჩუმეში გაიჟღერებს
ვალტორნების არია,
აფეთქდება მყისვე მაჯა,
ანთებული მაესტრო,
რადგან დგომა ცის კიდეზე
მე უფრო მიხარია,
მოვიგონებ უცხო სიზმარს,
ცას მიწისთვის გაესწრო.
მინა ბრუნვით გადაღლილი
თითქოს შავი კუპრია,
მთელი ტანი გადაიქცა აბრაამის
სამსხვერპლოდ,
მკლავი მახვილადმართული
თვით ანგელოზს უპყრია,
მინდა, ჩემო აღმაფრენავ,
შენი სუნთქვით დამსეტყვო,
შეყოვნებით გაირინდა როიალის პროფილი
და ნოტების ფერმკრთალ
სახეს აეტმასნა მინორი,
მე მიჭირავს ახლა გული —
ორად გადაყოფილი
და ევგენი მიქელაძის
შუბლნადენი მირონი.
ხეში დადის სულთა სიმზე და
იმხვერპლა ალეგრო,
დახეული პარტიტურა,
რექვიემის გრიგალი,
ვისაც შესვლა ამ მუხისკის სამოთხეში
არ ერგო,
დაუამეთ ჭრილობები
ცრემლნადენი ყვრიმალთ.
ახლა ვნატრობ ხილვას, უცხოს,
ანგელოზთა კაპელას,
როცა მართავს დირიჟორი
ცეკვას არამინიერს,
ამ ნეტარი სიმფონიის
საიდუმლოს გამხელას
დავუმონებ ფიქრთა როკვას და
სურვილებს ბინიერს.
შენიშული ტიტანები ცამ უბეში ჩაიწყო,
ახლა გუნდის ჯერი დადგა,
რექვიემი დაიწყო.

დაიბინდა ლიმნისფერი
მზის სხივების ჯერი,
ღრუბელს თვალი გაუსწორა
ქარავიანის ასხმამ,
სხვადასხვაა ჩემთვის ახლა
ყველა დილის ფერი,
ქარის ნისქვილს თავს დაესხა
ლურჯი ნვიმის თავსხმა.

უპატრონო ზანზალაკებს
დანგრეული სახლის
აბლაბუდა შეესია,
მათში სახლობს მტვერი,
ცისარტყელებს ველარ ვხედავ,
ჰორიზონტის სახნისს,
სად სახლობდა ერთგულება,
დღეს ბინაა მტერის.

ჩამოჰკარით ზარებს ისე,
რომ შეირყეს ქერი,
რომ ზეცაში დავარღვიოთ
ვარსკვლავების თვლემა,
მომეკიდა სიმარტოვე, ჩემი სულის გერი,
ტვინს მილაღავს ფიქრთა
ჯოგის თქარა-ბქური, რემა.

მინდა მინას დავუბრუნდე,
ფრენით მიხურს კეფა
და სასთუმლად მე მეყოფა
ერთი ადლი მინის,
თუ არ იქნა ირგვლივ ბორგვა,
ქაოსი და ყეფა,
მერე მშვიდად დავიძინებ,
თუ სხეულზე მიწვიმს.


IN VINO VERITAS

დამთავრდა ზამთარი, იფეთქებს მაისი,
სიფხიზლის მიზეზი გათავდა, დამისხი!
ამდენი ღვინის სმით გაშორდა ფერი კანს,
მე მაინც ვიძახი: in vino veritas.
სული დაუძღურდა, ვამძიმებ სამყაროს,
ვის უნდა სიფხიზლის ბორკილი ამყაროს?!
მე ამით ვშველი სულს,
მე ამით ვშველი ტანს
და უფრო ვრწმუნდები —
in vino veritas.
მუდამ გავურბოდი რეალურ პროფილებს
და გულებს შურისგან
ზიზლით გაყოფილებს,
ტვინი დაიღალა, სიფხიზლეს ვერ იტანს,
ამიტომ ვიძახი: in vino veritas.
მე არ ვცნობ შეხვედრებს ყალბსა და
დაზაფრულს,
მე მიყვარს ქალი რომ გაჩუქებს
გაზაფხულს
და სულში მისივე სურნელს რომ შეიტანს,
მაშინაც ვიძახი: in vino veritas.
უბრალო თვალების მე უფრო მეტი მნამს,
in vino veritas, in vino veritas.
გულწრფელი სალამი ამ ქართულ ელიტას:
ინ ვინო ვერიტას! in vino veritas!

ყავა გავიყავით

ერთი ღერი სიგარეტის კვამლი
და მხურვალე გალიანოს ტანგო,
ერთი ქალი, სიყვარულით მთვრალი,
მითანხმდება გული უნდა ვანდო.
ვიღაც გოგომ ვიღაც ბიჭის ხელზე
უხერხულად ააცურა ტანი,
მერე ჩუმად გაისტუმრა სხვენზე
და კოცნებით დაუნამა კანი.
როცა მწვადის მოიტანეს კერძი,
ყველა იყო უზომობით მთვრალი,
თამადასაც დაეკარგა ღერძი
და ბალიშად ეყო თეფშის ძვალი.
მერიქიფემ გაიღიმა ზანტად,
დავათვრეო, ვერ გამიძლო სმაში,
სიმღერისთვის აიზღაზნა ტლანქად,
მერე ბზარიც შეეპარა ხმაში.
ღონეს კრეფდა გალიანოს ტანგო,
წყვილებს ცეკვით დაუსველდათ თმები,
ზოგმა ღვინოს ამჯობინა მანგო,
ზოგმაც სუფრას — აბასთუმნის მთები.
ხმაურისგან დავვიარა რეტმა,
გავირიყეთ პოეზიის ნავით,
მე და ჩემმა მეგობარმა ერთმა
ერთი ჭიქა ყავა გავიყავით.

მივდივარ მარუხს, მივდივარ კრწანისს,
მე ყველა გოჯი ამ მინის მერწყმის,
დრო არის ხმალთა კვეთების წამის,
დრო არის ციხე-სიმაგრის ძერწვის.
დადექი ქარში, დადექი ზღურბლზე,
ქართული გენის შეაღე კარი,
მე სინდისივით დავინერ შუბლზე
დრომას, რომელიც ცას ავაკარი.
მომაქვს სხეული —სამსხვერპლო ნერვი,
მომაქვს ლალადი ქვისა და მინის,
ჩემი წინაპრის ავსილი ქვევრი
ჯერ არდაღვრილი სისხლივით იწვის.
დრო არის ბუკის, დრო არ მაქვს ქნარის,
უზანგდანყვეტილ ცხენების დროა,
ავლესე ჯიშის ქართული ხმალი,
გავთელე ფლოქვით ურდოთა გროვა.
მივდივარ მარუხს, მივდივარ კრწანისს,
მე ყველა გოჯი ამ მინის მერწყმის,
დრო არის ხმალთა კვეთების წამის,
დრო არის ციხე-სიმაგრის ძერწვის.



თქვენ
შავრადი
(შავრადიძე)

ჩინო მოხიზაჩი ჯოჯოხითიან

შესავლის მაგიარ

ქრისტე ყველა დროის ყველაზე დიადი ადამიანია; ამქვეყნად ოდესმე შობილთა ყველაზე საუკეთესო თვისებების შემკრებ-შემავსებელი. სწორედ იგია ადამიანობის მაგალითი, ადამიანი-იდეალი...

მაინც რითი?!

კანონისადმი პატივისცემით!

უნდა აღსრულებულიყო ღვთიური კანონმდებლობა — „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“, — რომელიც დედამიწაზე მკვიდრი მოკვდავებისათვის იყო განკუთვნილი... დედამიწაზე კი — ფიზიკურად — ყველა მოკვდავია!

სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი!

ქრისტემ იცოდა, რომ ოცდაცამეტი წლისას უნდა აღსრულებინა ეს კანონი, რომ ტრიადა: ღვთაებრივი — ხორციელი — ღვთაებრივი, ჰარმონიაში მოსულიყო კვლავ; თორემ, კაცო-

ბრიობა — ღვთაებრიობის ნაშენი, საბედისწერო უფსკრულთან იდგა, ჯერ სულიერად, რა თქმა უნდა.

ქრისტეს კანონი უნდა აღსრულებინა!

ქრისტე ღმერთის ნაშიერი იყო, — მამა ღმერთის!

მამა ღმერთს გამორჩეულად უყვარდა შვილი — იესო დედამიწაზე...

სხვებიც უყვარდა — მილიარდობით სხვა მოკვდავნი, როგორც მისი ნების ნაშიერნი, მაგრამ უძლებნი და ნების თავისუფლების ბოროტად მყოფელნი...

ქრისტეს კი მათი ცოდვებიც უნდა ეტვირთათ...

ოცდაათი წლის მანძილზე, ქრისტე, თითქმის უცნობი იყო; მხოლოდ ბოლო სამი წლის მდინარებაში გახდა ცნობილი.

დამდგარიყო ჟამი ნების აღსრულებისა...

ეს ნება, კანონი, მას უნდა აღსრულებინა, ღმერთის ნაშიერს, — ნებისა და კანონის უზენაესობის დასამტკიცებლად, დასამკვიდრებლად.

თუ არ აღსრულებდა, ყველაფერს ფასი ეკარგებოდა, თვით სიცოცხლესაც კი, რადგან, სიცოცხლეც კანონია, უფრო სწორედ, კანონია — სიცოცხლე!

...და მან გასწირა თავი — სიცოცხლის კანონიერებისათვის, დედამიწაზე სიცოცხლის კანონად ქცევისათვის; ასევე, კანონის სიცოცხლედ ქცევისათვის; საერთოდ — ადამიანების სიცოცხლისა და კანონიერებისაკენ მოქცევისათვის... სწორედ ამიტომ დაიბანა პილატემ ხელი. სწორედ მან, პროკურატორმა, იუდეაში რომის იმპერიის უპირველესმა დესპანმა, ვერ შესძლო თავის თავზე აელო კანონიერების სიცოცხლედ დაკანონება და უკანონობის მთელი სიმძიმე ხალხს აჰკიდა ცოდვის ტვირთად, ეგონა, თვითონ უცოდველი დარჩებოდა თუ იქნებოდა, უბრალოდ, ცოდვას გაექცეოდა და დაემალებოდა...

ბარაბას, ქურდს, ავაზაკს ანაცვალეს ძე ღვთისა!

ბარაბაზე გაცვალეს ქრისტე!

სწორედ ამ დროს აღსრულდა ღვთაებრივი მისტერიის პირველი დიდი კანონიერი აქტი! მაგრამ, ამოდ! ხალხი ვერ მიხვდა, და რომ ვერ მიხვდა, უნდა აღსრულებულიყო... მეორე — გოლგოთაზე ჯვრით ასვლა... მესამეც — ჯვრის აღმართვა და წამება! და მეოთხეც, მეხუთეც... და ა.შ. დაუსრულებლად, დღემდე!

ათასი წელი — ვითარცა ერთი დღე!

ქრისტეს, უცოდველს, შეიძლო შენდობა-პატიება ეთხოვა მამისათვის და არ გაკრულიყო ჯვარზე, არ ეხილა ადამიანური უსუსურობა და ტკივილი! უბრალოდ. არ გამოეცადა და არ ეხილა ადამიანთა იუდობა!

მაგრამ კანონით იყო დაწერილი — უნდა ეხილა და გამოეცადა და აღდგომის შემდეგ კვლავ სიყვარულით აღენთო კაცობრიობა — როგორც მათ ცოდვათა მიმტევებელსა და გამ-

ზიარებელს!

ქრისტე არ გაექცა კანონს! არადა, თვით ჯვარზე მიღურსმულსა და გაკრულს, შეეძლო გაუჩინარება, გაქრობა, გაქცევა! მაგრამ ვის გაექცეოდა, ხალხს, — ცოდვილიანებსა და უცოდველებს, ჭეშმარიტად მისი ტანჯვის გამ-ზიარებლებსა თუ გასართობად და ეჭვების გან-საქარვებლად მოსულთ, — მართლა ღმერთია თუ არა იესო?... და თუ ღმერთია, თავს რატომ არ უშველისო?!..

კიდეც ვის გაექცეოდა — ჯალათებს? ჯარისკაცებს? დიდებულებსა და მდაბიოთ? ვის გაექცეოდა, მათ, ვინც ის განირეს?! — ვინც ვერ შეიცნო იგი, ვერ შეიმეცნა, — სიკეთის წილ ბოროტებით გადამხდევნელებს გაექცეოდა? არადა, ის ხომ ამ ხალხის სიკეთისაკენ, კანონისაკენ, წესიერებისა და წესრიგისაკენ მოსაქცე-ვად იყო მოვლენილი ზეციდან — ქვევით, დე-დამინაზე! ამათ გაექცეოდა?! არა, არ უნდა გაქ-ცეულიყო, პირიქით!.. უნდა ეგრძნობინებინა, გაეცნობიერებინა მათთვის, რომ მისი ტკივილი ამათ ტკივილიც იყო, ყველას ტკივილი!.. არა-და, როგორი დაჟინებული აღტაცებით ყვიროდ-ნენ — ჯვარს აცვი ეგე! ჯვარს აცვი ეგე!

ღვთაების კანონს ვერ უარყოფდა შვილი ჭეშმარიტი — ვერ გაექცეოდა ზნეობას, არ გაექცეოდა!..

...და აჰა, იყო იგი ჯვარზე გაკრული...

...რომ აღსრულებულიყო კანონი!

...აღმდგარიყო კანონიერება!

...აღმდგარიყო სიცოცხლე — სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი!

და, აჰა, იყო იგი ჯვარზე გაკრული...

ირგვლივ თითქმის ყველაფერი ცეცხლს მოეცვა... ინვოდა, ინგრეოდა, იბუგებოდა. მტერი მუსრავდა ხალხს. არ ინდობდა ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. ახალგაზრდები აღარსად ჩანდნენ; ეტყობა, შეჰკვდომოდნენ მტერს. ჯერ კიდეც წინა დღით ეგონათ და სჯეროდათ, რომ მტერი ვერ შემოაღწევდა მათთან; სიახლოვეს კი იყო ბრძოლები, მაგრამ, რატომღაც, ომი მაინც არ იყო (რატომღაც!) ომად აღქმული, თითქოს ის სრულიად სხვაგან ხდებოდა, სრულიად სხ-ვასთან, თითქოს სრულიად სხვა სამყაროში და არა იქ თუ აქ, მათ გვერდით, — თითქმის ყურის ძირში და სიახლოვეს. რატომ ეგონათ, ან რა-ტომ უნდა ჰგონებოდათ ასე, თვითონაც არ უნ-ყოდნენ. მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო... გვიანი იყო განსჯა-ბაასი... აღარც დრო იყო და აღარც საშუალება. მტერი მათ საუფლოში სიკვდილს თესავდა, — შემზარავ, უღმობელ და დამამ-ცირებელ სიკვდილს. მტერს, თურმე, ღირსე-ბა არ გააჩნდა: ფატრავდა ფეხბმძიმე ქალებს, ჩვილისხლიან ბავშვებს მუცლიდან უღებდა და ღობეების გისოსებსა და მარგილებზე აც-ვამდა; ზოგს იქვე ცეცხლში ჰყრიდა... ეტყობა,

სიამოვნებდა ხორცის ოხშივარი. ქალწულ და ჯერ კიდეც ბავშვ გოგონებს სადაც წაასწრებდ-ნენ, იქვე აუპატიურებდნენ და შემდეგ ხორ-ცით და სისხლით მთვრალგალეშილნი იქვე ხვრეტდნენ... მათი სიავით ჰაერი სისინებდა და იკლაკნებოდა... წიოდა... ცეცხლს აფრქვევდა. ირგვლივითი გვამებით იყო მოფენილი. არ იყო დანდობა, შენდობა... და ყოველივე ღალატის ბრალი იყო, ძმათა ღალატის...

...სიკვდილის ცელი იმასაც უნდა მისწვდო-მოდა, ისარი ეკრა ან ბრჭყალი ჩაესო... მაგრამ დაინდო განგებამ — ისიც და ბავშვიც. ის ჯერ ბავშვს გადაეფარა, მკერდით გადაეკრა. იმე-დოვნებდა, რომ მტრის ტყვიისაგან დაიცავდა, დაიფარავდა ბავშვის სხეულს... მტერს კი უნ-დოდა მისი სხეული ბავშვისაგან გამოეცალკეე-ებინა, განეშორებინა, აეგლიჯა; ჯერ არ ეს-როდა. პირიქით, ორივე ხელით დასწვდა ქალის ზურგს... და ამ დროს ერთდროული და რამ-დენიმეჯერადი დარტყმით, თავზე დარტყმით, უგონოდ გადაანვა ქალის სხეულს. კაცმა კიდეც ერთხელ დაჰკრა თავში და გადმოაბრუნა. იქვე კუთხეში მიათრია და ჯავშანხალთსა და დესან-ტის ფორმას დაუნყო გახდა, თან გონსჯერვერ-მოსულ ქალს ჩუმად, თითქმის ვედრებით მი-მართა: „ნუ გეშინია, მგონი ღმერთმა გვიხსნა, ამჯერად გადავრჩით“. ქალი მთლად კანკალბე-და, ბავშვიც. ბავშვი სამიოდე წლის თუ იქნებო-და, შესაძლოა არც — კი! კაცმა იარალი აჰყარა მოკლულ მტერს და ქალს მიმართა: „როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი, როგორმე უნდა გად-ავრჩეთ... თავი დავაღწიოთ ამ ჯოჯოხეთს... ალბათ აქაური ხარ და გეცოდინება ტყეში შესაფარი გზა ან ბილიკი“... ქალს, წამიერად, სახეზე იმედის ნათელმა გადაჰკრა, თითქმის დამშვიდდა, გაფითრებამაც გადაუარა, ბავშვი მკერდს მიიკრა და მტკიცე შურისმაძიებლის იერით მშვიდად წარმოთქვა: „კარგი, წავიდე, უნდა გადავრჩეთ...“.

კაცი მალალი იყო, ახოვანი — ახლა უკვე დესანტისფორმიანი, იარაღში ჩამჯდარი. წინ მკერდსმიკრული ბავშვიანი ქალი მიდიოდა, უკან ავტომატმიშვერილი მედესანტე მისდევ-და... შორიდან ერთმა მედესანტემ გადმოსძახა, თან ბავშვზე ანიშნა, ესროლე, მოიშორე, ხელს შეგიშლისო! თან გადაიხარხარა. კაცი არ გაეპა-სუხა. იარაღშემართულმა თავის დაქნევით ან-იშნა, გმადლობ, ვიცი ჩემი საქმეო... „თავისიანი ვგონივარ ამ გველისშვილს... ო, რა საცოდავია ის ერი, ვინც ამნაირ ცოდვის ბორბალს ატრია-ლებს... შეარჩენს კი ღმერთი? არა, არ შეარ-ჩენს!.. მაგრამ, ჯერ მე არ უნდა შევარჩინო... ჯერ უნდა ვიხსნა ქალი და ბავშვი...“.

...თანდათან უკან რჩებოდა ნასაცხოვრალი, უკან რჩებოდა გმინვა, წიოკი, წყევლა, გოდება, სროლა, ლანძღვა, გინება... კიდეც რა და კიდეც რა... გამოსცდნენ სოფელს. ხევს ჩაეფარნენ. ქვემოთ, დაბლა, წყაროსთან, კაბაშემოფლეთი-ლი ახალგაზრდა ქალის გვამი ეგდო. იქვე ვილაც სხვა დესანტისფორმიანი წყალს ენაფე-

ბოდა. კაცმა ქალი შეაჩერა. ბავშვიც თითქოს ხვდებოდა ყოველივეს და ქალის მკერდს მდუმარედ ეკვროდა. კაცმა დააცადა ნყურვილმოკლულს ნამოდგომა და ესროლა... თავის ქალა ორად გაეყო მტერს, ახადა. ცოტა შეიცადა და იარაღი აპყარა მოკლულს. გულს აზიდებდა. აღმართს შეუდგნენ. ბილიკიდან მოშორებით იწყეს სვლა. ჩქარობდნენ... ჩქარობდნენ... ჩქარობდნენ... კაცს კი ეკეთა საათი, მაგრამ გაჩერებულყო, შესაძლოა აღარც მუშაობდა. ბნელდებოდა. ჩქარობდნენ, ბნელი ბლანტდებოდა... ჩქარობდნენ... დაღამდა, ოდნავ იგრძნეს შვება. მაინც ჩქარობდნენ. ღამე ბნელი იყო, შავად ბნელი, უმთვარო; ისინი მაინც მიინევდნენ ზევით, მთისკენ; ჩქარობდნენ. კაცმა ქალს ბავშვი გამოართვა, მე ვატარებო, თან ერთ-ერთი მოკლულის იარაღი მიანოდა. ქალს იარაღი უფრო ემძიმა, ვიდრე ბავშვი, მაგრამ გამოართვა...

ჩქარობდნენ. „ნეტავ, თუ გავედით სამშვიდობოს, ან გზა ხომ არ აგვერია, მხარი ხომ არ გვექცა, წრებრუნვაში ხომ არ მოვყევით?“ — იკითხა კაცმა. „არა მგონია. უღელტეხილისაკენ მიდის ეს ბილიკი. გათენებისას სამშვიდობოს ვიქნებით“. კვლავ ჩქარობდნენ... ვერ გრძნობდნენ დაღლას და მაინც გრძნობდნენ, უკვე ეტყობოდათ. „ხომ არ შეგვესვენა მცირე ხანს?“ — მუდარასავით წარმოთქვა ქალმა. „თუკი კიდევ შეგვიძლია სიარული, თუ კიდევ შეგვიძლია, მცირე ხანს კიდევ ვიაროთ, თითოეულ ნაბიჯს, ალბათ აქვს მნიშვნელობა, ყოველი წინადადებული ნაბიჯი — სიცოცხლისაკენ გადადგმული ნაბიჯია... თორემ, თუ ახლა შევისვენებთ, დაღლილობა დაგვძლევს, ხელს ნაგვართმევს, ფეხებს მოგვეკვეთავს და ძნელად, რომ გავაგრძელოთ გზა“. კაცმა ქალს იარაღიც გამოართვა, მეორე მხარზე გადაიკიდა და ბავშვიანად განაგრძო გზა. ჯავშანხალათი ხომ საშინლად ამძიმებდა, ამძიმებდა და ამძიმებდა... იფიქრა კიდევ, მოდი, მოვიხსნი და გადავავადებ, შევმსუბუქდებო, მაგრამ გადაიფიქრა, მე თუ არა — ჩემიანებს გამოადგებაო. მაინც მიდიოდნენ, მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ბავშვს ღრმად ეძინა. ისიც საოცრად დამძიმებულიყო. „უკვე აღარ შემიძლია, იქნებ შევისვენოთ“, — შეევედრა ქალი, — „თანაც, მგონი, უკვე გამოსულნი ვართ სამშვიდობოს“, — დაამიდა კაცი. ქალს, რა თქმა უნდა, არ შეუმჩნევია სიმწრის ტკივილი კაცის სახეზე: „კარგი, შევისვენოთ... უკვე აღარც მე შემიძლია სიარული, ფეხი საშინლად მტეხს და მტკივა. კაცს მართლა ახლალა გაახსენდა ფეხის ტკივილი, უფრო სწორად, ნატყვიარი ფეხის ტკივილი. ექვსი თვის წინანდელი ჭრილობა კვლავ ახსენებდა თავს. ვინ იცის, იქნებ ნამსხვრევიც კი ჰქონდა მოხვედრილი ფეხში, მაგრამ ახლა, უკვე ამაზეც აღარ ფიქრობდა. ჯავშანხალათი ქალსა და ბავშვს დაუფინა, ხეს ზურგით მიყრდნობილმა ცას ახედა. მთვარემ როდის-როდის ოდნავ გამოანათა ღრუბლებიდან და ხეთა მაღალი კენწეროები

ჩამოანთო სივრცეს. გრილოდა, უფრო ციოდა. კაცი ფიქრობდა... და განგებ ფიქრზე ფიქრით სიფხიზლეს აფხიზლებდა... და სიფხიზლეში ჩაეძინა.

ღლით ხმაურმა გამოაღვიძა, უფრო სწორად, მუჯღუგუნმა. მზის სხივთა ლივლივში წრედშეკრული ათიოდე კაცის ბუნდოვანი სილუეტი დაღანდა. უნდოდა თვალი მოეფშვინტა, სადღა იყო თვალის დახამხამების დრო. იარაღისკენ წაიღო ხელი... სადღა იყო იარაღი. ქალისკენ გაიხედა, რომელიც იქვე, ცოტა მოშორებით იდგა და კვლავ ბავშვი ჰყავდა მკერდზე მიკრული. ბავშვს ისე ეძინა და კაცმა გაიფიქრა: „სულ როგორ სძინავს ამ ბავშვს, იქნებ აღარც კი არის ცოცხალი... ანდა... იქნებ აღარც სურს გამოღვიძება იმ საშინელებათა მხილველ-განმცდელსო...“ კაცი ერთხანს იწვა და ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინა საიმედო. ხან ქალსა და ბავშვს აკვირდებოდა, ხან შეიარაღებულებს, ვერ ამოეცნო, მტერი ადგა თავზე თუ მოყვარე. „პური“ — აი, რაც ახლა გაუსაგნობრივდა კაცს. „პური“... და წამოინია... წამოდგომა სცადა... ფეხი ეტკინა... სიმწრისაგან ბაგე მოიკვნითა. „კარგი, კარგი, თუ გინდა, იწევი, შენთან ვართ, იარაღი მაინც აგყარეთ, რა ვიცოდით თუ ვინ იყავი... ეს ქალიშვილი მოგვიყვანა ყველაფერს“...

კაცი ახლალა დააკვირდა ბავშვიან ქალს. იგი მართლაც საოცრად ახალგაზრდა იყო და ღამაზე, შეიძლება ძალზედ ღამაზიც... ან იქნებ მხოლოდ მზის ფონზე ჩანდა ანგელოზივით. მაგრამ არც ფიქრი აცალეს და მზერაც მოაცილებინეს ქალისაგან: „იცი რა, მეგობარო? ახლა რაკი სამშვიდობოს ხართ გამოსულნი, ამ ჯავშანხალათსა და ამ მართლა „სუპერიარალს“ ჩვენ დაგვიტოვებ... შენ კი ეგ ერთი ავტომატიც გეყოფა... ზევით უკვე აღარ არის საშიში... უღელტეხილი ლტოლვილებითაა სავსე. მდევარი აქამდე ველარ მოძრაობს, ვერ აღწევს... და თუ ამოაღწევს, ჩვენ უნდა დაგვხვდეთ... ასე რომ, გვიტოვებ... ნებით ან ძალით...“.

კაცს გაეცინა: „რა გაეწყობა. ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ... თუ მაგ მიზნისთვის გინდათ, ალალი იყოს. მე მაინც იმიტომ წამოვიღე, რომ ნაღდ მეომარს კეთილ საქმეში შეშველებოდა... დანარჩენი თქვენ იცით. ისე კი, ძნელი ყოფილა კაცისათვის, მით უმეტეს მეომრისთვის იარაღის აყრა, თუმცა, მე ხომ არც ვარ მეომარი... ღმერთმა სასიკეთოდ მოგახმაროთ... მხოლოდ ერთს გთხოვთ, რა თქმა უნდა, თუ გაქვთ საშუალება, უარს ნუ მეტყვით... ბავშვისათვის იქნებ პური ან რაიმე გენილადებინათ...“.

„ნუ გეშინია, მაგისტვის უკვე ვიზრუნეთ. ჰო, კიდევ, აი, ეს ერთი „ბუმლატიც“ და კარგად იყავით... აბა, ნახვამდის... მშვიდობიან შეხვედრამდე. აი, ის ბილიკი უღელტეხილისაკენ მიდის. რაც დროზე ნახვალთ, უკეთესია. ვინ უწყის, ბუნებას როდის რა მოებუნებება... აბა, თქვენ იცით“. მეომრები ჯოჯოხეთის მიმართულებით

ემვებოდნენ. ჯერ კიდევ აღწევდა ზევითკენ მათი ხმები. დარჩა კაცი ქალთან და ბავშვთან ავტომატისა და ტყვიებით სავსე ორი მჭიდის ამარა. „კიდევ კარგი, ეს მაინც დამიტოვესო...“ ახლა რატომღაც ეს ფიქრი აეკვიატა. იარაღი იმედი იყო, დიდი იმედი. მაინც კმაყოფილი ჩანდა, მაგრამ რით უნდა ყოფილიყო კმაყოფილი, საბოლოოდ მაინც ვერ აეხსნა. წამოდგომაში ქალი შეეშველა, კაცმა ქალს ბავშვი გამოართვა, რახან ასე შეემსუბუქედი, მე ვატარებო. ბავშვი არ გასძალიანებია, პირიქით, მიეთბილა და მხარზე ნიკაპი ჩამოადო. კაცი ახლალა დააკვირდა ქალს და... თეთრი თმები რომ არა, მის წინ ბავშვობის ასაკს არც თუ დიდი ხნის წინ დამშვიდობებული ქალიშვილი იდგა. „ადრე გქონდა თეთრი თმა“ — თავისდაუნებურად ჰკითხა კაცმა. ქალი, ეტყობა, არ ელოდა ამგვარ შეკითხვას და უნებლიედ შეცბა: „არა, არა მგონია, რალაც არ მახსოვს...“ კაციც დაიბნა: „არა, ისე უბრალოდ გკითხე... ალბათ მეც უკვე საკმაოდ გამომერიჩა ჭაღარა...“ კაცმა პურს ყუა მოატეხა და ბავშვს მიანოდა, მერე ქალს. სამივე დალოდლნი ჩანდნენ, განსაკუთრებით კაცი. კოჭლობდა. თითქოს ფეხს მიათრევდა კიდევ. ისე უკვე აღარ ჩქარობდნენ, როგორც ადრე, მშვენიერი ამინდი იდგა, მზიანი, თბილოდა, ბუნება ზეიმობდა სიცოცხლეს, სილამაზეს. იქ კი — ქვევით, სამშვიდობოს იქით, — სიცოცხლე და სილამაზე სიკვდილად დათესილიყო. „აქ“ თითქოს არაფერს არ ემჩნეოდა თუ რა იყო „იქ“.

ეტყობა, სამოთხიდან ჯოჯოხეთამდე ერთი ნაბიჯია, ერთი გადასახედი. აღარ უნდოდა კაცს სიკვდილზე ფიქრი; თითქოს ფიქრებშიც გაურბოდა გუმინდელ ჯოჯოხეთს და ფეხს უჩქარებდა. აღმართი კი დამლელი იყო, ძალიან დამლელი. ტყე მეჩხერდებოდა, ხეები კლებულა. ინყებოდა ალპური ზონა. ალპური ზონა თუ ალპური ზოლი... — ახლა ეს ფრაზა აეკვიატა კაცს. მზე ჯერ კიდევ მწველი იყო, მაგრამ ნიავეში უკვე მძვინვარებდა სიცვიის სუსხი. „მთავარია, ბავშვი არ გაგვიცივდეს... ჩვენ როგორმე გავუძლებთ... კიდევ კარგი, „ბუშლატი“ მომცეს იმ დალოცვილებმა... მაინც როგორი ეჭვიანია ადამიანი. მაინც რატომ მეგონა თუ მგონია, რომ ის ბიჭები არ იყვნენ მეომრები? იქნებ იმიტომ ეჭვიანობ, განგებ, იარაღზე გწყდება გული? იქნებ იმიტომაც ეჭვიანობ და გწყდება გული, ვაი თუ ღირსეულს არ ჩაუვარდესო? ღმერთმა ჰქნას, რომ ვცდებოდე... ამ „ბუშლატს“ რომელი იარაღი შეედრება ახლა, აქ, ვინ უწყის როგორ ყიამეთში...“ ფიქრობდა კაცი. „ჩამოსვი ბავშვი, ცოტა ფეხითაც გამოიაროს, მუხლს გაიმარებს“, — შეეშველა ქალი.

„ჰო, ეგ კი ვერ მოვიფიქრე“, — თითქოს მოიბოდიშა კაცმა, ჩამოსვა ბავშვი და გაელიმა

„გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო“. ქალსაც გაელიმა. მაგრამ, უმაღლვე, კაცმა მის სახეზე დალანდა რალაც იმგვარი ტკივილი, უფრო სულის სიღრმიდან დაძრული

ტკივილი, რომლის არც ახსნა და არც სიტყვიერად გადმოცემა არც აუცილებელი იყო და არც შესაძლებელი. მაგრამ იგრძნობოდა, რომ ქალი თითქოს იბოდიშებდა ვინმესთან ან ვიღაცასთან გაღიშების გამო. და ქალს თვალწინ წარმოესახა გუმინდელი დღე... ალბათ, ეს დრო იყო... მტრის შემოსვლა... ტანკები, შვეულმფრენები, დესანტი, მკვლევები... მისი ოჯახის განადგურება: მოკლული მშობლები... გაუპატიურებული და დახვრეტილი და... მოკლული და დასახიჩრებული ძმა და სიძე... ბავშვი როგორღაც თვითონ გამოიტაცა... და მისი დის განწირული კვილი — „ბავშვი როგორმე გადაარჩინეო...“ დესანტის ფორმიანმა ადრევე შენიშნა მისი გამოქცევა, მაგრამ არ ესროლა. ხელსაყრელ დროს დაელოდა... მოკვლა-დახვრეტას ხომ ისედაც მოასწრებდა, ყოველთვის... სად წაუვიდოდა ან გაექცეოდა უმწეო ქალიშვილი, მით უმეტეს, ბავშვთან ერთად. მაგრამ, შემდეგ რაც მოხდა, უკვე ამ კაცთან იყო დაკავშირებული. „ჩემი მხსნელი, ბავშვის მხსნელი... ღმერთის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი, ზუსტად იმ დროსა და იმ წამში, თორემ, შემდეგ... და უკვე აღარ სურდა წარმოესახა, თუ რა იქნებოდა შემდეგ... და უკვე მერამდენედ ცოცხლდებოდა წინა დღით განცდილ საშინელებათა ახალ-ახალი კადრები... და უფრო მეტად იპყრობდა შიში — „ეს კაცი რომ არ გამოჩენილიყო... და კვლავ აღარ სურდა წარმოსახვა, თუ რა მოხდებოდა, რომ ეს კაცი არ გამოჩენილიყო... ახლა ქალს აეკვიატა ეს ფრაზა — „ეს კაცი რომ არ გამოჩენილიყო... ყველაფერი დამთავრდებოდა... დამთავრდებოდა ყველაფერი... იქნებ ჯობდა კიდევ, რომ დამთავრებულიყო, მაგრამ ბავშვი... ბავშვი... ბავშვი... ბავშვი...“ და ბავშვი ძალას მატებდა, სიცოცხლისაკენ აბრუნებდა... უნმოდ მიუყვებოდა უღელტეხილის საცალფეხო ბილიკს. ეს ადგილი მართლაც საშიში იყო. შესაძლოა ფიქრის სიმძიმესაც კი გადაექანებინა კაცი უფსკრულისაკენ. ქარი სისინებდა, ადგილ-ადგილ ნიოდა კიდევ. კაცს კი, რატომღაც, თითქოს დავით გურამიშვილი ასდევნებოდა ლანდად, თითქოს მასთან ერთად მოდიოდა, თითქოს ჩურჩულებდა, თავისთვის ჩურჩულებდა, მხოლოდ ისე, მის სმენასაც მისწვდენოდა... ან იქნებ კავკასიონის ქედმწვერვალებს შერჩენოდა მხოლოდ „დავითიანის“ მოთქმა-გოდება! კაცი წინ მიდიოდა... გამოხედავდა ხოლმე ქალს. ქალი კი მშვიდად და მძიმედ მოაბიჯებდა... კაცს უნდოდა რალაც ეთქვა, დალაპარაკებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო, რადგან ქარს მიჰქონდა ყოველი სიტყვა. და კაცი ისევ ფიქრს მიეძალა, თან ბავშვს, როგორც ბარტყს ბუდეში, ისე ითბილებდა... „ვეფხისტყაოსანი“ კი, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ დღეს „დავითიანის“ ქართლის ჭირი ვინმემ ზეპირად იცოდეს. ან რატომ ვსწავლობდი? ან როგორ? იქნებ ამ დღისთვის? ან ვინ მაძალებდა სწავლას?... არავინ, რა თქმა უნდა... მაინც რა უღმერთოდ გვიცხოვრია თურმე! იქნებ ამიტომაც დავისაჯეთ... დღევან-

დელი დღეა, აბა რა არის: „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა, ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა: ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა, ტყვეობა, მოკვლა, ტაცება — ქერივთა, ობოლთა, მწირისა“... დღევანდელი დღეა სწორედ, რა თქმა უნდა, დღევანდელი დღე... არადა, იმ დღიდან ამ დღემდე 270 წელია გასული... თუმცა რა, თუ ათასი წელი — ვითარცა ერთი დღე, 270 წელი თვალის ერთი დახამხამებაა. ღმერთისადმი შეცოდება კი გრძელდება... „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა; ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა; ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა. მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა“. მართალი ყოფილა ეკლესიასტე — არაფერი არ არის ახალი ამქვეყნად.

პოეტურადაც არ უღერს ურიგოდ: „ის რაც დღეს არი, იყო ოდესღაც, და რაც იქნება, ისიც დღეს არის...“.

...კაცი თავის ფიქრებით მიჰყვებოდა უღელტეხილს, ქალი თავისით;

მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კაცს ბუშლატში ჩაფუთვნილი ბავშვი მკერდზე ჰყავდა თასმებით შემოკრული. ბიჭუნას მხოლოდ თვალები უჩანდა. საოცრად მშვიდი იყო, უწყინარი. ბნელდებოდა. ციოდა. „სადმე თუ არ შევეფარეთ, გავიყინებით ამაღამ... რალა სიცივით მომკვდარხარ და რალა ტყვიით... არადა, სად გინდა, რომ თავი შეაფარო... თანაც რა ხვავრიელად თოვს...“ ქალი კი ისე იყო დაღლილი, რომ აღარ გამოეპასუხა, იქნებ ვერც გაიგო, ან იქნებ კაცმა ვერ მიაწვდინა ხმა... ანდა, იქნებ ხმა არც კი დაუძრავს კაცს და მხოლოდ ფიქრში გაესაუბრა... და კაცს მოეჩვენა, რომ თუ უკვე არ იყო არეული, ალბათ მალე აირეოდა ცხადი და წარმოსახული, რეალური თუ ირეალური, განცდილი თუ განსაცდელი...“ საჭიროა თავს ძალა დავატანო... ძალა დავატანო... მე თუ არა, ესენი დაიღუპებიან... ეს ბიჭუნაა გადასარჩენი...

სიბნელესთან ერთად ქარიც ძლიერდებოდა... ფიფქები ეკლბოვით იკანრებოდა. ქალი სადაცაა წონასწორობას დაკარგავდა. კაცს ხელჩაკიდებული მიჰყავდა იგი, ესმოდა მისი გახშირებული სუნთქვა და ამხნევებდა: „წარმოიდგინე, არც გვცივა, არც გვშია, არც გვწყურია... რომ პირიქითაა ყველაფერი... რომ ჩვენ უბრალოდ, არ გვაქვს არც გაყინვის, არც გათოშვის, არც შიმშილის და არც დაღლით უიმედობის უფლება... ჩვენთან ხომ ბავშვია. თანაც ისეთ ჯოჯოხეთს დაუუსხლტით, ახლა მხოლოდ სიცოცხლის უფლება გვაქვს, რადგან, ჩვენდაუნებურად, ღვთის შემწეობით, დავიმსახურეთ იგი... მაშინ თუ ღმერთმა გვიხსნა, ახლა ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი თავი... სიცივეს როგორ ვერ უნდა გავუძლოთ და ყინვას... მთავარია, რომ ბავშვია თბილად... ჩვენ კი როგორმე უნდა ვიაროთ გათენებამდე, მზის ამოსვლამდე... მზემდე... იცოდე, მზე სიცოცხლეა... დილით ჩვენ მას პირისპირ შევხვდებ-

ით... ალბათ, კოსმიური მშვენიერება სწორედ მზის ამოსვლაა.. არ გაინტერესებს, თუ როგორ ამოდის მზე... იცი, რა ვეებერთელა სილამაზეა? თავად ნახავ... ოღონდ უნდა გასძლო დილაამდე... მზემდე... მზემდე“ ლაპარაკობდა კაცი. მართალია, ქარი ბგერებს იტაცებდა, მაგრამ იმდენად ახლოს იყო ქალი კაცთან, ყველაფერი ესმოდა. თანაც ეს სიახლოვე სითბოს ბადებდა, სითბურ ველს ქმნიდა და სიცივისაგან იგარსებოდა. ახლა უკვე კაცი, ქალი და ბავშვი ურთიერთს მიკრულნი აგრძელებდნენ გზას. დიდი იყო სიცოცხლის სიყვარული, ბავშვის გადარჩენის სურვილი!.. არ ჩერდებოდნენ, მიდიოდნენ. „კარგი იქნებოდა ახლა კარავი“, — ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა. „რას ვიზამთ, უნდა გავძლოთ უკარვოდაც“, — მშვიდად წარმოსთქვა კაცმა.

მაგრამ, სიზმარი იყო თუ ცხადი, სინათლის რამდენიმე მქრქალად მბჟუტავი სვეტი დალანდეს მალლით, არცთუ ძალიან შორს. თვალი ხომ არ გვატყუებსო, შედგნენ და დაჟინებით მიაცქერდნენ ნათელს, რომელიც ხან კაშკაშებდა, ხან კი მინავლდებოდა, მაგრამ მაინც ჩაუმქრალად ენთო. იდგნენ, შეჰყურებდნენ და დუმდნენ. გაცემა გაცემა ფარავდა, მაგრამ კაცს ამ დილით იმ ბიჭების ნახსენები ლტოლვილები გაახსენდა და... ალბათ ისინი იქნებიანო, წინ წარდგა ფეხი, მაგრამ წუთიერმა შეყოვნებამ თითქოს მიწას მიაჯაჭვა ორივე ფეხით, თითქოს უჭირდა არა მარტო წინ სვლა, საერთოდ დაძვრაც კი... ჩაყინული იყო თუ ჩაკირული თოვლიან მიწას, ველარ გაეგო... ნვალობდა... თითქოს ოფლად იღვრებოდა თუ სანთლად იღვრებოდა... ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თითონ ანათებდა უკვე... სიცივის თქმაც უჭირდა. არა, რალაც ნამდვილად სჭირდა, მაგრამ რა, ვერ გაეგო და უეცრად საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, დიდი შვება, რალაც ნეტარების მსგავსი... ქალი ექაჩებოდა, ევედრებოდა გადმოედგა ნაბიჯი, აფხიზლებდა, არ ჩაგეძინოს, გაიყინები, მე მომეყრდენიო... და უეცრად საოცარი, აუხსნელი სიმსუბუქე იგრძნო, რალაც ნეტარების მსგავსი დიდი შვება... და წინ წადგა ნაბიჯი. ახლა უკვე ქალს მიჰყავდა იგი... ისინი თითქოს განსაწმენდელისკენ მიდიოდნენ, თითქოს მისკენ მალდებოდნენ... და მიილტვოდნენ ზევით... მეტის მონდომებით, სურვილით, ძალითა და ენერგიით... მიუახლოვდნენ კარავს, შევიდნენ.

იყო კარავი და არც იყო კარავი, სადაც თითქოს „მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი...“ არავინ იყო, თბილოდა. მთავარია, ღამის გათენება შეიძლებოდა, დაძინებაც.

ქალმა ბავშვი კალთაში ჩაისვა და კაცის მხარს ზურგით მიეყრდნო.

კაცის გულმა იგრძნო ქალის მინავლებული სიმხურვალე. გულის მზერით იგრძნო, რადგან დაღლილ-დაქანცულს, გაურკვეველ საგანზე, ქვაზე თუ კედელზე ზურგმიყრდნობილს უკვე ეძინა. სადღაც გარეთ კი თმაგანწილი ქარი

ექებდა ძეს კაცისას, რომ ალერსით მოეშო, მოეთოშა და სამუდამოდ გამყინვარებული აქ დაეტოვებინა, როგორც მარადიული სატრფო და მიჯნური... და ქარი წიოდა, კიოდა, მრისხანებდა... და დაექებდა და დაექებდა ძეს კაცისას... ვინ იცის, ან იქნებ ღმერთ-ქალი დალი დაექებდა მონადირეებს...

თუ რამდენ ხანს ეძინათ, თავადაც არ უწყოდნენ. ძილი, ალბათ უსასრულო იყო თუ იქნებოდა, ბავშვს რომ არ გამოეღვიძებინა. მზის სხივი, ალმაცერად დახრილი, ანათებდა ქვაბულს. ეს არ იყო კარავი, როგორც ეგონათ თუ მოეჩვენათ... აქედან, ერთი ხელის განვდენაზე თოვლიანი მწვერვალი წამომართულიყო. ისინი თითქოს ღრუბელზე იდგნენ. ქვევით კი, ქვევით სადღაც შორს, ქვევით, დარჩენილიყო გმინვის სამყარო. კაცი წამოდგა. კოჭლობდა. უჭირდა ფეხის გამართვა. ქალი გამხმარ პურს უფშვნიდა და აჭმევდა ბავშვს. კაცი კოჭლობითვე გამოვიდა გარეთ და — ჰოი, საოცრებავ: ეს იყო დიდი ლოდი, რომელსაც უფსკრულის პირას — ქვესკნელის ხახისაკენ, თითქოს ცის უხილავი თოკი იჭერდა, იმაგრებდა თუ ამაგრებდა. ეს იყო ლოდი-ქვაბული. და კაცს შეეშინდა: ვაი თუ ქალის და ბავშვის სიმძიმით ლოდი უფსკრულისკენ გადაქანდესო... და მოეჩვენა თუ ნათლად შეიგრძნო, რომ მართლაც ქანაობდა. მაგრამ დამშვიდდა, რადგან ქალი და ბავშვი გარეთ იდგნენ და მას შესცქეროდნენ, თან ისეთი დაკვირვებით თუ გაკვირვებით, კაცმა უნებურად გაიფიქრა: „ჭკუიდან ხომ არ შევიშალე ან რაიმე ამგვარი ხომ არ შემამჩნიესო...“ არადა, ქალი თითქოს რაღაცას უმტკიცებდა, თითქოს რაღაც დაუჯერებელზე ესაუბრებოდა თუ მიუთითებდა: „თავი სიზმარში მგონია, რეალობის შეგრძნებას ვკარგავ... აი, ახლაც მომეჩვენა, თითქოს შენს უკან, შარავანდედიანი კაცი იდგა და ნათელში ლივლივებდა... და კიდევ, თითქოს მთელი სამყარო ირყევა. ალბათ სიცხე მაქვს. ღმერთმა არ ინებოს, რომ ბავშვი გამიცვიდეს...“ კვლავ ჩაესმოდა ქალის მშვიდი და აუღელვებელი საუბარი. და კიდევ, კაცმა, მისდა გასაოცრად, ისიც შეამჩნია, რომ ქალს წარმოდგენაც არ ჰქონდა უფსკრულის ხახაზე მოქანავე ლოდი-ქვაბულის შესახებ, არათუ შიში და ძრწოლა... და კიდევ: ქალს ქვაბულისკენ არც კი გაუხედავს, ისე განაგრძო მკერდსბავშვიკრულმა გზა უღელტეხილზე...

მათ თავზე, მაღლა, შვეულმფრენი გამოჩნდა, მაგრამ, რომც შეემჩნია მფრინავს ისინი, აქ, ამ ფხისპირზე დაშვება და დაჯდომა შეუძლებელი იყო... კაცს უნდოდა ავტომატის ჯვრით

შეხმინებოდა, მაგრამ გადაიფიქრა... ვინ იცის, ვინ იყო — მტერი თუ მოყვარე. უკვე არავის არ ენდობოდა. და მაინც გზა ისე დამლელი აღარ ჩანდა, როგორც ადრე. ახლა უკვე ქვევით ეშვებოდნენ, მომცრო ტაფობისაკენ. ნელ-ნელა მიუყვებოდნენ დაღმართს. დუმდნენ. დუმიდა ბავშვიც. „ეს ბავშვი ჩემი დისშვილია!“ — რატომღაც თავისდაუნებურად წარმოთქვა ქალმა, იქნებ იმიტომაც, რომ დუმილი დაერღვია, ანდა, უბრალოდ მობეზრდა მდუმარება.

— შენი დისშვილი? — ჰო, ჰო, ჩემი წამებული დის შვილი! და ქალი უყვებოდა კაცს მტრისა და თავისიანთა სივერაგის შესახებ, რომელსაც ლალატსაც ვერ დაარქმევდი; ის უფრო სხვა რაღაც იყო, უფრო სხვა, უსახელო. და იგი არც მოთქვამდა, არც ტიროდა; უბრალოდ, მშვიდზე მშვიდი იყო და ალბათ, ასევე უბრალოდ ემშვიდობებოდა წარსულს, სადაც, სადღაც ჯერ კიდევ საშინელი რეალობა რომ ცოცხლობდა. და კაცმაც თავისდაუნებურად ჰკითხა ასაკი. „თქვენი ნყალობით, რადგან დაეუსხლტი იმ ჯოჯოხეთს, იმედია, ოცდაერთისაც გავხედები...“

კაცს აღარაფერი უთქვამს. არც ქალს. ბავშვის ისევ ეძინა.

ეტყობა, დიდი შვებაა დუმილის ჟამი.

...შვეულმფრენი ქვევით ეშვებოდა, ტაფობისაკენ. დაშვებასთან ერთად ხალხის გნიასიც მატულობდა.

...ესენი იყვნენ იმ ჯოჯოხეთს გამოქცეული, გამოღწეული, თავდაღწეული, ლტოლვილი და განტოტილ-განტოლვილი ხალხი...

კარი ხანშიშესულმა ქალმა გააღო. კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად, ცრემლიანი, გახევებული, ესლა ამოილულულა — „ღმერთო... რომ მშვიდობით დამიბრუნე შვილი...“

და ახალგაზრდა კაცი დიდხანს ჰყავდა დედას ჩაკონებული: „...შვილო, როგორ გაჭაღარავებულხარ, თავიდან ვერც კი გიცანია... დღეს ხომ შენი დაბადების დღეა... ოცდაექვსისა გახდი...“ „მართლა, სულ დამავიწყდა...“

ქვედა სართულებიდან მეზობლების ხმაური ისმოდა. ალბათ, შეეტყვოთ მისი დაბრუნება.

— დედა, ეს ქალი, ბავშვთან ერთდ, ჩვენთან დარჩება. აქ იცხოვრებს... გთხოვ, მიმიხედე... ერთად მოვდივართ ჯოჯოხეთიდან...

15-17 ოქტომბერი, 1993 წელი



ფრიდონ
ხაჩვანიძე

ომიხი – ბეოხი

ყიამეთის ღამე ათათურქის ბამზირზე

სტამბულში რასიმ ხალვაშის სასტუმროში მივედი. ჩვენი მერი მახლდა. 1994-ის გაზაფხულია. რასიმი იზმირელია. სარფის კარის გაღების შემდეგ, ერთხელ, მემლექეთ-საქართველოში იყო ჩამოსული. ისიც აქედან ოდეს მუჰაჯირად გადახვენილი ორთაბათუმელ ხალვაშის ბადიშისბადიშია. ჩვენებური სიტყვები კარქათ დაკოდულ-დაფხვილები და ერთობ შეწუხებულებიც, მაინც ახერხებენ მისი მონატრებებით მოფორიაქე სულის გადმოდულებას. გვენათესავება. ჩემთანაც მოიყვანეს ბათუმში. მერე ისტანბულში სადღაც, შუაგულის ალაგებში, პატარა, ძველი ჰოტელი უყიდა. ვინრო და მყუდრო სოქაქზე (ქუჩა).

როგორც დაგვინახა ველარ მოისვენა. ოთახი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 3

მიგვიჩინა და მაშინვე, უკან, თავის სამყოფში შეგვიძღვა. დავსხედით. სუყველანი ხალვაშები ვართ. ისტანბულია. გვიხარია. რასიმი კარზე მომდგარ თანამოსამსახურეს რალაცას ანიშნებს. მერე, შემოვა ქალი და ჩვენ წინ მაგიდას აალაგებს. მომცრო-მოდაბლო მაგიდაზე მალე, რაკა-რუკით, ჭურჭელი იწყობა. ხაოიანი, ხრაშუნა ხელსახოცები წინ დაგვიფინეს. მალე, ვხედავ, წითლად შეპინკინებული დედალი პირდაპირ შამფურზე მრგვალად წამოცმული, შემოაქვთ. ყველაფერ ამას რატომღაც მოტლანდიური ძვირფასი ვისკიც მოაყოლეს. (თურმე, როცა რასიმი ბათუმში გვეწვია, ჩემთან ორთაბათუმელი ოთარი ხალვაში მოყოლია, რომელსაც, ალბათ მასპინძლობაში რომ შემშველებოდა, მოტლანდიური ვისკი თან მოუტანია, რაც თურმე საგანგებოდ შემიქია. ჰოდა, რასიმს ჰგონებია მე ვისკზე ვგიჟდები).

ერთი სიტყვით, მშვენიერი პურმარილი გაიმართა. მახსოვს, რასიმი ჩვენში ყოფნისას ხშირად აღნიშნავდა, — კაცო ეს რა მარიფათიანები ხართ აქავრებიო. ჩვენ ამფრათ ვერ ვაფერებთ თურქეთში. (სტუმრის დახვედრაზეა ლაპარაკი). ეტყობა იმ საღამოს „მოაფერა“. მართლა ძალიან ეცადა.

საქართველოდან ჩასულები თურმე ბლომად მიდიან სწორედ მასთან. მის სასტუმროს აკითხავენ. კლასით მოდაბლოა და ფასითაც ასატანი, მაგრამ ზოგნი, რასიმის ხათრიანობით შეფერებულნი, ხანდახან თლათ მუქთადაც ცდილან ცხოვრებას. დიდი კრძალვით შემოგვიჩვილა რასიმმა. შემოსავალი ჰოტელის შენახვის ხარჯსაც ვერ მისტორებსო. — ჰამა ფარა თქვენგან მაიცნა არნა ევლონაო, მოაყოლა. (რამდენიმე დღის მერე, წამოსვლის წინ, მერიმ ჩუმად უჯრაში ჩაუტოვა, მაგრამ მიმხვდარა, მიუგნია და ფული აეროპორტში წამოგვანია).

აჰა, ახლა კი მივადექით იმ ამბავს, რაც დაგვემართა და, რაც, სანამ საკმაო დრომ არ გაიარა, გულმშვიდად ვერც მოგყვივი.

ზენგინებთან (კორტანიძეებთან) დავრეკე. (ხომ გახსოვს, წინა „ომრში“ ხუთ ძმა კორტანიძესთან ქართველი მწერლების 1968 წლის შეხვედრა აღვწერე). ჰოდა, ახლა, კაი ოცდაათი წლის მერე, ვრეკავ. ჰაიდარი შინაა. მოით, მოითო, ძალიან მოგვაჩემდა. ამოვიდე ილლიაში ლექსების ერთი ჩემი ბოლო წიგნი და, მერისთან ერთად, გავუდექით გზას.

ჰაიდარი ხუთ ძმაში ყველაზე უმცროსია, მაგრამ ახლა უკვე თავადაც კარქა შეხნიერებული. შვილი, ვაჟი, ცალკეა, სხვაგან, ოჯახით. ეს კი, ჰაიდარი, „დედაბერთან“ ერთად, აქაა, ძველ სახლში.

ვეება დარბაზს რომ გავხედე, ვიცანი. ეს ხომ ის დარბაზია, თითქმის ორმოცი წლის წინათ, 1968-ში, ჩვენი მწერლების ჯგუფი (ი. ნონეშვილი, ნ. დუმბაძე, ბ. ჟღენტი, კ. კალაძე, ა. სულაკაური, გ. ბათიაშვილი, ვ. გოგიჩაიშვილი) ვიყავით და „ერთი ლექსის საღამო“ გავმართეთ. ის დრო სხვა სევდის და სხვა ტკივილის დრო იყო. საბჭოელები ვიყავით, კაგებეს აგენტებით გარემოცულები. დღეს ჩვენი ღარბი სახელმწიფო, ძლივძლივობით გვპატრონობს. უცხო-

ეთში წავალთ, აღარაფერს გვავალებს. არც შინ დაბრუნებას გვავალებს. გეგონება კიდევ ან-ყოფს ხელისუფლებას, თუ რაც შეიძლება მეტი ქართველი უცხოეთებში გადაქაჯდება. ერთი სიტყვით, ვართ თავისუფლები, თუმცა — თავისუფლები ყველაფრისაგან.

04.06.09

ამ დღის დღიურსაც გასული წლის ამ დღის დღიურით დავინწყებ:

04.06.08

უბრალოდ, გულსატკეპნი და ძალიან სანყენია, — ოპოზიციის „კაი ბიჭები“ (ლევან გაჩეჩილაძე) ნარკო-მარგოს ნაზიარები აღმოჩენილა. არა, თავის ტკივილის ნამალი მივიღეო და ალბათ იმან დამიბოვო, — დარცხვენილად, ბრალიან ბალანასავით, ჩაიკრუსუნა სანახევროდ პირმიბრუნებულმა. კიდევ ერთმა მისმა თანაგუნდელმა, — კარგიო, თუ ასე ეჭვობთ, კოლეგებს უხერხულობა რომ ავაცილოთ, უარს ვამბობ პარლამენტში ყოფნაზეო. რაა ეს?! ამ ხალხზე სამშობლო ინდობა?! საით მიძვრებოდნენ, რას გვპირდებოდნენ? სირცხვილი! ჯერ ერთი, — სულ გავაუქმებ პრეზიდენტის ინსტიტუსო, — იმუქრებოდა „გრეჩისა“ — გაჩეჩილი. (თავმოხვიტირებულია, მაგრამ ტანხელფებითა თვისითა სავსე.)

მერია სააკაძის მოედნის ე.წ. „შრომის სახლში“ დანტეს „ჯოჯოხეთი“ მეგონა. არც მწერლობამ, არც... (გამიჭირდა და პოლიციელს ჩავჩურჩულე, ასეთი ნოდებების ვარ და შემიმშვი-მეთქი) არც დედაქალაქის საპატიო მოქალაქეობამ არ გაჭრა.

რიგითი ნომერი — 255, მომაჩეჩეს, უყურე ეკრანზე, ეს ნომერი რომ დაინერება, მიადგები დახლთან მსხდომ ქალს და გადასცემ თხოვნის წერილსო. მირბი-მორბიან ჟრიაშულით. გამკითხავი არავინაა. ნაცნობიც გამოერევა, მაგრამ როგორც საიქიოში, განკითხვისჟამს (ყიამეთში), ყველა თავის სულის დარდშია. (ყურანიც კი, ბიბლიურად, აშნაირად გვიხატავს). იქნებაო, იქ სულმა სული იცნოს, დედამ შვილი, შვილმა მშობელი, თუმც შეჩერება, რაიმე კითხვა-საუბრის თავი არავისა აქვს, ყველას, თავის წერას თუ ბედსდამორჩილებულს, თავის სასჯელისკენ მიეჩქარება. ამდღივნიელ ახლობლისთვის, აღარ ცალია.

ჩავაგდე ჩემი ნომერი სანაგვეში და თავს ვუშველე. პრეზიდენტის ახალ სამყოფელსაც მივადექი. შავ-შავი ლაპლაპა ავტომანქანები გარსემორტყმოდ და უმთავრებელ, იერუსალიმის შუაგულში მდგარ ოქროსგუმბათთან მეჩეთს მიმგვანებულ, უფერულგუმბათოსანს.

ჭიშკართან ახლო არ მიმიშვეს, დაცვის მოსაცოდავო ვილაც ბიჭს, გაოფლილ მოჭუჭყიანო ხელში დაკეცილი წერილი ჩავუტოვე და იქაურობას გავეცალე.

გუშინ რუსეთის ახალ დიმიტრი-პრეზიდენტს და რუსის მაღალჩინოსანზე კარგა მალაღ, მიშა სააკაშვილს, ტელეფონით უსაუბრიათ.

მაღე, პეტერბურგში შეხვედრაზე ლაპარაკის გაგრძელებას დაგვირდნენ. აფხაზეთში რახანია მემშვიდობედ მეომრები დგანან. ჰოდა, იქ მდგომ „საღდათს“ რომ დავინახავ, მგონია ომს ვხედავ ჩემკენ წამოსულს. „მიშა მაგარია“, მაგრამ რუსს მიშა ვერ ეუბნება იმას, რაც ქართველს სურს.

ხშირად ჩემთვის მიფიქრია: ქვეყანა ქვეყანას (საქართველო რუსეთს) კი არა კაცი კაცს (ქართველი რუსს) უნდა დაელაპარაკოს. „ერთ-მორწმუნე“ და თანაც იმდენხანს „უფროს ძმად-ნაფიცი“ თუ ხარ, ძმაო რუსო, ცოტა ჩემკენაც თქვი. რამდენიც არ უნდა იქვედაკაცო და იქვენარმავლო, ვერ გამოძვრები. არ მოვტყვილდეები. ქართველსა და აფხაზს თუ ოსს შუა შენ მომრიგებელ-მემშვიდობედ ჩავაყენა ერთა კავშირმა, შენ კი ჩვენ უფრო გადაგვიკიდე ერთმანეთს, უფრო დაგვაპირისპირე. შენ ცდილობ ჩვენ გვახოცინო ერთმანეთი, რათა, შემდეგ, ჩვენ, კიდევ უფრო დაცოტავებულები სულ ამოვიძირკვოთ და ეს ჩვენი მთიან-ზღვიანეთი უძღებ შენს რუსეთს მიუერთო. (ეს აგვისტოს ომამდელი ნაწერია).

XXX

ჰო, დიას, „თავისუფლები ყველაფრისაგან“. — ფიქრობ ზენგინ-კორტანიძეთა დიდ „მეიდანოდაში“. „ერთმანეთისგანაც თავისუფლები“ — ვამბობ ჩემად ჩემთვის. აბა, — ერთი სისხლი, ერთი ხორცი, ერთი ენის და ჯილავის შვილები, ასე სხვადასხვანაირად „ჭკვიანები“, უფრო ვუშორიშორავდებით ერთიმეორეს ვიდრე ვუახლოვდებით.

ჰაიდარი მექაში ყოფილა, ფეილამბერის (მუჰამედის) მეზერი (საფლავი) მოინახულა. ე.ი. ჰაჯს იყო და თავადაც უკვე ჰაჯია. ეს თითქმის მაჰმადიანურ წმინდანობას ნიშნავს. ის „ხუთ ვახტს“ (ხუთჯერ ნამაზს) ყოველდღე ლოცულობს. ყვითელ, დიდგანაკაკლება ქარვის თესპას (კრიალოსანი) ჭახა-ჭუხით აკორნიალეს თითებში.

ჩაი გავგინყო. სხვა სასმელებს აღარ ვეკარებო, — ჩავგიფურჩულა ხმადაბლა, ჰაჯმა. ცხელ ჩაიში ორი კენჭი შაქარი ჩაუშვა და სანამ ის კენჭები ჩაუშუნ-ჩადნებთან, ისევ ჩემი „გენაცვალეს“ ამბავს იმეორებს. თბილის-ბათუმის მატარებლის კუპეში ორი უცნობი დამგზავრებია, მორუსულენი. იმათთან ვერგამოსულ ლაპარაკობას ვუზურგეო და, თავმესაქცევად, ნაჩუქარ შენ წიგნში ლექსის „გენაცვალეს“ კითხვა ავიჩემეო. ჰოდა, სურამის გვირაბამდე, ესე იგი ძილობამდე, ზეპირად დამესწავლაო. და, ახლა, ერთხელაც, „დასაღვეუქონელმა“, ჩემი გულის მოსაღობად, ეზბერაი (ზეპირად) ჩავგიენატკბილა „გენაცვალე“.

მასლაათში... „იოლ ბირ, მასლაათ-იქი“. სიტყვასიტყვით, — გზა ერთია, საუბარი — მეორე. ე.ი. გზა ერთი გვაქვს, საუბარიც ერთი გვექნებაო. ჰოდა, თავის მასლაათში ჰაიდარმა ისიც გამოურია, აჭარა და იმერხევ-ტაო-კლარჯეთი მერვე საუკუნიდანაა მუსლიმანი და არა მეთექსმეტე-მეჩვიდმეტედან, როგორც „თქვე-

ნი მეცნიერები“ ამტკიცებენო. ასე რომ ჩვენო (ე.ი. გურჯებმა) გავამუსლიმანეთ თურქები და არა პირიქითო. ცოტა პირზე ავიპუნკე. შემხედა, ჩემი არმონონება არ მოენონა. ვეუბნები: — აბა, მაშინ, იმხელა ქრისტიანული ქილისები (ტაძარ-ეკლესიები), — ტბეთი, იმხანი, შატბერდი, ხახული, ხანძთა და სხვები „მუსლიმმა გურჯებმა“ რაფრათ ავაშენეთ?! — ვეკითხები. ის დუმს, ილიმება. მგონი ვეცოდები, რომ „სხვის ანკესზე“ წამოგვებულვარ და სინამდვილე გამიმრუდებია. აღარ კამათობს. ჰო, კაიო, თქვა. ხელიც ჩაიქნია. არადა, მაგრა ვანათლებულია. სტამბულის უნივერსიტეტდამთავრებული. თანაც კაი ქართველი. მუდამ საყვარელი, სანატრელი ჩვენებური.

ამასობაში, ერთჯერ „ძანქ“ გაირაჟუნა კედლის საათმა. ლამის პირველია. მერიკო აცმუკუნდა, ავქანდი მეც. აჰ, ვერ გაგიშვებ, ეს ერთი ღამე ჩემთანო, — გადაგვიდგა ჰაიდარი. ზუსტად ამ დროს დარეკა რასიმ ხალვაშმა. ვახშამი, კაი ვისკი და მე, რა ხანია გელითო. ჩვენ ჭამა რალათ გვინდა, მარა რასიმი შეგვებრაღა. ისედაც ფეხზე წამომდგარები ვეღარ მიგვაბრუნა მასპინძელმა. მაშინ, მე წავიყვანო და იჩლოლი (კურტაკი) მოიგდო მხრებზე. ჩავედით ეზოში. ახლა აქ პანაზე მომიცადეთ არაბას (მანქანა) გამეყვანონაო. მართლაც, ძალიან მალე, ფერმოკამკამე, ცქრიალა, სულ ახალთახალი, თურქული, „ჯიპი“ გამოსრიბინდა. მე, წინ, გვერდით, დამსვა. გადმოიხარა, ღვედი მოწინა, მიეკოჭე თვარა პოლიცია დაგვებერავსო. მე ხელი წავატანე ღვედს აბზინდზე, ვეძებე ჩასართავი, მაგრამ ხელის ცეცებით რომ ვერ მოვინახე, ღვედი ჯერ ხელში (ვითომ ჩაბმულია) მიჭირავს. სადღაც ცენტრალური ისტანბულის პროსპექტით მივქრით. — ესათათურქის გამზირია, — ჩვენებურა გვიხსნის ჰაიდარი. წინ, ქუჩათფვარედინის თავზე შუქნიშანი ყვითელ გამაფრთხილებელ თვალს აფახურებს. გვიანზე ხომ ასეა, ნითელს მწვანე აღარ ენაცვლება. პროსპექტი თითქმის ცარიელია, სისწრაფე თავისით მატულობს. ოდნავ კი ვლელავ, მაგრამ ჰაიდარისთანა ჩვენებურის, სტამბოლელის, ხელში რა მაშინებს. სასაუბრო-სამუსაიფოდ პირი მისკენ მივაბრუნე. უკან მერი ზის. მოძრაობა ქუჩისა თითქმის თლათ მინელებულია. ვგრძნობ უფრო მოვუჩქარეთ. და, მესმის, უცებ, მერი აყვირდა: — ჰაიდარ, გვეჯახებიაან!..

და, იმნამს საშინელი ბათქი ჩამესმა. მხოლოდ ეს ჩამამახსოვრდა. მეტი აღარაფერი მახსოვს. ალბათ მე მაშინვე გავითიმ-დავიბნიდე. (მერე, გვიან, დადგინდა: მისაკრავი ღვედი ჩაკეტილი რომ ყოფილიყო, ე.ი. ხელში რომ არ მჭეროდა, დაჯახებისას შესაძლოა წელში გადამწყვეტდა. ახლა კი ადვილად ავუგლეჯავუქენევივარ მალდა, თავით მივტაკებოვივარ ჰაიდარის მანქანის ქერს. იმ დაჯახებულმა ჩვენი მანქანა თურმე თხუთმეტზე მეტი მეტრის სიგრძეზე ისროლა.

ვინ იცის რამდენი საათის მერე, ოდნავ მოსულიერებული, ვიღვიძებ. საკაცზე ვწევარ. ირგვლივ თეთრხალათიანები მადგანან. იმ-

წამსვე, იქვე, ვხედავ, მოტირალი მერი უხმოდ ფლიკვინებს და თან ჩაშავებულ-ჩაკუპრებულ თვალებიდან სისხლებს იხოცავს.

— რა გეჭირს. სად ვართ? — დაახლოებით ასე ვიკითხე. ეტყობა, მერის მკვდარი ვეგონე, ჩემი ხმის გაგონებაზე თავისი ნატკენები დაავინყდა, — ვაიმე, ცოცხალი ხარ, მამიკო?! შენი ჭირიმეო, — გადმომემხო კლინიკის კარებში გაჩხერილ საკაცზე. ტირის, მეხვევა.

დამესიენ საავადმყოფო ექიმები. მხარი, თავიც შემიხვიეს. პასპორტი ამოელოთ. გურჯი, გურჯისტან, — გაიძახიან.

— ჰაჰ, ჰალვაში?! — აწვრილხმოვანდა ერთერთი ექთანა. — ეს ჩემი ჰისიმი (ნათესავი) ყოფილა. ნენევე, მეც ჰალვაში ვარო. — გამოუსწრო ჩემს მერის, დამხედა, გამილიმილა და ჩამეხვია. (თურმე ღაზი ყოფილა).

რასიმას ჰოტელში ყოფნა ვამჯობინეთ. ხუთ დღეში შინ გამოვემგზავრეთ. ტრაპიზონამდე ჰაეროპლანით, იქიდან — ავტობუსით სარფამდე. სარფში დამხვდნენ.

ვერ ვიყავი კარგად, მაგრამ თუ რამე მჭირდა სამიში, ან მომელოდა, ამაზე არავის გვიფიქრია.

ასე, 15-20 დღეში, უცნაური ბურუსები ჩამანვა თავში და თვალბში. ფეხზე დგომა ვეღარ შევძელი. ნავიქეცი. აზროვნება დაიბორკა. მესხიერება ჩაიპუნკა. თუნთული ჩამოიყვანეს სოფლიდან. მწოლარემ შევხედე, მეუღლე ვერ ვიცანი თურმე. მახსოვს, მზია მეუბნება, — მამა, ეს დედაჩემია. — და ჩემ დასამშვიდებლად იცინის, სინამდვილეში მტირალ პირს მიმალავს.

იმუამად საქართველოში ყველგან, ქალაქებშიც, საზიზლარი სიბნელე, უშუქობა სუფევდა. მესმის ბინდბუნდში ჩურჩულებენ, — წასაყვანია. დავანვინოთ. ვაჩვენოთ... შველა უნდა, ჩქარა. გასაკეთებელია, თვარა წასულია ხელიდან...

ვიღაც ექიმი მოიყვანეს. ვიცანი, მაგრამ არ ვიცი ვინაა. დამხედა, შემათვალეირა. მობრუნდა. რა უთხრა იქმდგომთ ვერ გავიგონე. თავი, სხეული ჩემია, თანაც თითქოს აღარაა ჩემი. აბა, რომ ვარ და თავს ვგრძნობ, ეს რაა. სიცოცხლე ხომაა ეს?! — ვმუსაიფობთ ჩემში მე და მე. არავინ ჩემკენ აღარ იყურება. მე სხვაგან წასულად მთვლიან? ერთმანეთს ერურჩულებიან, ფუთუნებენ, ჩურჩუნებენ. რალაცა ხდება ჩემს გამო. ვხედავ ყველას. ვერცერთს ვერ ვცნობ.

თავისქალის კომპიუტერული სურათი უნდა გავაკეთოთო. ამბობს, ის, ახალმოსული. სადღაც დარეკეს, იმ ძალის დენი, შუქი სადაა, რომ კომპიუტერი ჩავრთოთო, ტელეფონში უთხრეს. ეს საზღვაო კლინიკა ყოფილა. ვიღაცამ ზურგზე ბავშვივით მომიკუჭა და კიბეზე ჩავყავარ.

ვიღაც ამბობს, — რუსთავს ვთხოვეთ და ფრიდონ ხალვაშისთვის დაგვითმობს ერთი საათით დენსაო. გაჩახახებულ ჯურღმულში შემადვრინეს. თითქოს იმდუნისას, საიქიოს შევყავდი. არავითარი სიცოცხლის ჩამიჩუმი ირგვლივ. თეთრ, კაშკაშა სივრცეებში მართოდმარტო ვარ. განათებული, გასხივოსნებულ

სამყაროში. ირგვლივ მკვდარია ყველაფერი, დუმილია, მეტი არაფერი. საიდანღაც, შორეული წკაპა-წკუპი ძლივსძლივობით აღწევს ჩემ ყურამდე. დამაბრუნეს ბოლობოლო სიცოცხლეებთან. ვწევარ, დამცქერიან. აღარაფერი მეტი. აღარც ხმა, აღარც მოძრაობა, აღარც ღიმილები სახეებზე. სახეგაყინულ-გაშეშებულიები მადგანან. მალე ღია თვალებში ისინი გამიქრენ. ერთი რამ კი ნალდად ვიგრძენი, ამნიეს. ორმა-სამმა, ხელით გამიყვანეს, მანქანაში სანოლზე დამანვინეს, დილაა. ზღვას მოვკარი თვალი თუ ცას, ვერ მივხვდი, სადღაც მზემ გაივლივა. ისევ თეთრხალათიანებში ვარ. თოვლივით თეთრ და ცივ მინდორზე ვაგდევარ, ხრამი-ხრუშით დააბიჯებენ. მესმის: თუ ახლავე არ დავინყეთ, ორი-სამი საათის შემდეგ გვიანი იქნება. ორ საათზე მეტს ველარ გაატანს... თუ მენდობით... დამიჯერეთ... ჯობია, თორემ. მერე...

თლათ წასული არ ვარ. მარა აქაც აღარ ვარ, საცხა სხვაგან ვარ.

— მოდიან. ზაზას თბილისელი სამი პროფესორი მოყვება. — ამბობს ვიღაც.

— მანქანით? მაგენი ექვს-შვიდამდე ვერ ჩამოვლენ, ეს, მანამდე ვერა, ველარ...

და, აღარ მახსოვს მეტი აღარაფერი. ვიღვიძებ. სულმთლად ჩავფლულვარ თეთრში. უფრო თოვლში ვაგდევარ მგონი. თავი გაკოჭილ-შესუდრული მაქვს. სქლად, მძიმედ, გადმოვაბრუნე ოდნავ ხაპერი ბალიშზე. უცებ თვალმა შენიშნა, — იატაკზე მუხლმოყრით თუნთულია, ჩემ ლოგინზე თავმოდებული. ძინავს. ჩემი რხევა აღვიძებს. ნენე! ცოცხალი ხარ, ჭო? — შეიფართქალებს და გუგებიდან სისველეებს ხელის გულებით იმშრალებს.

იმდუნნიდან მოსულივით, გაკვირვებული შევცქერი ამდუნის სიცოცხლეებს.

— რა მჭირს, გამიკეთეს? — ვეკითხები.

— ჰო, ჰო, გაკეთდა. მარა შენ თლათ წასული მეგონე. აღარ გელოდი. ეს რას ვხედავ, ჭოვ, — ცოცხალი ხარ!

— ისინი და ზაზა რომ ჩამოვიდენ, ოპერაცია გაკეთებული იყო. დაგხედეს, თქვეს, კარქათ მიდის საქმეო და წევდენ.

მიყურებს თუნთული. უხარია. უკვირს და ეშინია.

— ნუ იყურები ასე შეშლილად, — მთხოვს. ხელი ჩემ გულზე უდევს.

XXX

ორი-სამი თვის მერე, საღსალამათადმყოფი, ჩემს ქირურგთან მივედი ქალაქის საავადმყოფოში, ვნახავ, მადლობას ვეტყვი, ნიგნს ვაჩუქებ-მეთქი. ილია ჩოთრაძეა მისი სახელი-გვარი. დღეს რომ მე ცოცხალი ვარ, ეს ილია ჩოთრაძის ნყალობითაა. შევალე კარი. წამოდგა, მომხვია. ვხედავ, მაგიდაზე ჭახადა-ჭახადად დანმენდილ-დამშრალებული მონიკელებული, ცივად მოცქირილად ინვენტარი აწყვია. იქვე უბრალო ბურღებს ვხედავ. სადურგლო-საუსტიო ჩვეულებრივ ბურღს თავისი საბრუნავი სახელურით. ესაო, — მეუბნება ილია ჩოთრაძე, როცა შენიშნა ბურღს დავცქეროდი, — შენი

თავის ქალა ამ ბურღით გაიბურღაო.

ხელით აღარ წავეკარე იმ ბურღს. შემეშინდა, მეუხეშა. კიდევ შემებრალა ამ შიშველ მოლაპლაპე პირმოლესილებში ჩავარდნილი ჩემი თავი. და მაინც თვალი მადლიერი მოვავლე იმ ცივ დასკვანჯულ რკინის გრეხილებიან იარაღებს, ჩამოვჯექი. ვისაუბრეთ კაიხანი. რაღაც-რაღაც სატკივარებისა საკუთრისა აქეთ შემომჩივლა ილია-ექიმმა.

სანყალი! — რამდენიმე თვე რომ გავიდა, ქუჩაში ვიღაცამ, — ილია ჩოთრაძე აღარ გვყავსო. მთელი ჩემი ოჯახი, ერთად, წავედით. კახაბერშია მისი სახლი. კარგი ოჯახი დამამახსოვრდა, კარგი ეზოკარი. ო, ღმერთო, ღმერთო, ჩემი სიცოცხლისათვის უცოცხლია ჩოთრაძე ილიას! გაანათე მისი სული!

04.06.09

თვალი გადავაპარე რვეულში, შარშანდელ დღეის თარიღიანში ჩამინერია:

04.06.08

დილით დისშვილი, ტატუნა (ღეილა კეკელიძე) ვეძებე. მას ხომ ეორგანიზატორა უნდა „ფრიდონობაზე“, 17 მაისს. მისი შვილი, ზურაბი, კარდეოლოგებთან ჰყოლია, თბილისს. მას, თავადაც ავი ავარია დამართნია. ხაშურთან.

თბილისში ვარ.

მარი აბრამიშვილი გარდაცვლილა, 85-ისა. ვახტანგ ჯავახაძე, ემზარ კვიციანიშვილი, მე, პანაშვიდზე მივედით. მარი, მართალი და თავისთავადი იყო, „გულაგებშიც“ კაიხანი ნაგულავები. ჯანმრთელი და პატიოსანი მისი ლექსი მეც მომხმარებია ხანდახან.

უნმიდესი სამებაში ვნახე დღეს, წირვაზე. ხვალ ამალღებაა. ლოცვის შემდეგ, 200-ზე, საპატრიარქოში შევხვდეთო, მთხოვს.

მამა-მირიანს ახალი სასულიერო-საზოგადო ყურნალისთვის სახელად „არსიანი“ ვურჩიე. მთა — არსიანი! მირიანის ხულოელმა მეუღლემ, ნანამ, ახალი ყურნალის მაკეტები მომახარა და ხულო-დიდაჭარის ბოლოჟამის გულისმადონებელი „ხაბრებიც“ მომაჩივლა.

ანდრია პირველწოდებულის დღეობისას იქაურ ხოჯას ეული-იქინდის (შუადღის ნამაზები) ეზანის ხმებით შეკრებილ მოზეიმეთა სიტყვები გადაულეკიო.

მამა მირიანის მეუღლე, ხულოელია, მაგარ-ნამუსლიმარმშობლების აღზრდილი, უსპეტაკესი ქრისტიანი. აკვნესებულ-ანუნუნებული, მე, თავისიანს, მიყვება ზემოაჭარული მოხვენილი ქართულით ყოველივეს. გთხოვთ, თანამოკალმენო, — იცოდეთ, (ვნერდი ამას არა ყვირილით, არამედ — ტირილით) თქვენ მაინც გააგონოთ იქნებ ხელისუფალთ, მიხედონ საქართველოს.

„... ისე დავბერდი, ვერ ვინახული ტბეთი, შატბერდი“-ო, ნუხდა გოგლა ლეონიძე.

მე კი, ხანდახან, დღევანდელ ჩემ კუთხეს რომ წარმოვიდგენ, მიხდა ვთქვა: „ისე დავბერდი, საქართველოდან საქართველოში ველარ დავბრუნდი“. და, მგონი, მეც, მალე, ემილ ზო-

ლასავით, ვიყვირებ: ბრალს ვდებ!..
ვის და რაში?! მიმხვდარი ამასაც მიხვდება!

ართვინი და ვინაა შანვიარი, — (შალვა თაყაიძე?)

ცხრაასოთხმეცდაცხრაში, სარფის კარის გაღებისთანავე, ჩვენ, — მე, თუნთული, მერი, — ართვინის მერის, ყადირ ხალვაშის მიწვევა-თანხმობით, (მისი მანქანა დაგვხვდება გაღმა სარფში) გადავკვეთთ საზღვარს. (ერთი პირველნი ხართო, გვითხრეს გამოღმაც, გაღმაც). გაზაფხულის თოვლები თეთრად იყურებიან კარჩხალიდან და შავშეთის მწვერვალებიდან. კი, ვყოფილვარ თურქეთს, მარა ეს რალაც სხვა ყოფნაა. მთელი სიცოცხლე იმ ჩვენებურ გაღმეთს, აგერ აქვე რომაა, თვალით ვხედავ, ფეხს ვერ ვაკარებ.

რალაც სხვანაირი ჭინჭრები მისუსხავენ სხეულ-ნამსხმანს. (1878-ში, რუსმა წაართვა, მაგრამ 30-40 წლის შემდეგ, ვერშემდგარმა ქართულმა ძლივნაჯახირევემა, თოთო სახელმწიფომ, ისევ დაუთმო აქაურობა ოსმანას).

ჰოდა, აი, მინას რომ აბიჯებ, გრძნობ ფეხქვეშ კენჭის გახაჭუნებაც რალაცნაირს ჩვენებურს ამბობს. მოვწყვიტე თელას პონკი ფერინი, ლოყაზე მოვიძრაშუნე. გვეამა როგორ, იცი, ერთმანეთი მე და ფოთოლს? ჩემი სულის ამოთქმით შეკანკალებული თელას ფურცელ-ფვერი ბაგეზე მომეთათუნა, თანაც, მონატრებასავით, თითქოს სულის შებერვით მომეწიავა.

— რას უღლიმავ (სრესა) მაგ ფვერს. — მეკითხება აფორიაქებული თუნთული. ნახე, იცანი რა სუნი აქვს-მეთქი. ცხვირთან მივუტანე. ნენეს ფორკის (საშინაო კაბა) სუნი მეცაო — მომახარა.

კი, გამოუგზავნია ყადირ ხალვაშს მანქანა. გამოგვეცხადა შავ-ხოშორნარბება თურქი შოფერი. „ჰევეთ, ჰევეთ“ (დიახ, დიახო) — ყოველ სიტყვაზე მოფერებით აყოლებს. სადაური ხარ-მეთქი, — ვკითხე. ჰემშილლი ვარო, — მომახარ-მომახარისა მაშინვე. (ჰემშილლი მუსლიმი სომეხია). ყადირ-ბეი ართვინს გველოდებო, მიგვახვედრა.

მაღე, მოსახვევში, ვილაცამ გაგვაჩერა. თქვენი კაი გამარჯობანა ვთქვანაო, მოგვესალმა ქერამოყირმიზო თმინ-ულვაშიანი, ხოშორმხარბეჭიანი ახალგაზრდა კაცი. გაგვილიმა. ქართულინა ვილაპარაკონაო, — მოგვეჩვენებურა წინასწარ. ამბობს:

— მე შენი ხისიმი (ნათესავი) ემიაშვილი (ბიძაშვილი) ვარ. ჰო, აბა! მე ხალვაში ვარ, ართვინელი. ჰამა, ბაბაი ბორჩხელია!.. ბაბას ბაბაი, — მარადიდელი, ახმედ ხალვაშია. თქვენი აჭარლებით, შერიფ ხიმშიაშვილთან ერთად, რომ თიფლისს, მაშინ, გირგოლ ორბელიანს და აკაკი წერეთელს შეახვდინეს, იმათთან იყოო. (მისი ქერთმიანობა ერთობ მეუცნაურა).

— მე შავ-შავ ხალვაშებს ვარ მიჩვეული, თვარა გიცნობდი თავიდანვე — გავეხუმრე.

ხელის გული, მგონი დარცხვენით გადაისვა

თმაზე და ჩახანაში შეგვპატიჟა. წელწვილიად გამოყვანილ ჭიქებიდან მალე სურნელიანი ჩაის ორთქლი აიკლანა.

— ყადირ-ბეი ანკარელ ჰუქუმათ — თავრობის კაცებს გაყვა და სალამომდე ჩემი მუსაფირები (სტუმრები) ხართ. — მობოდიშებასავით გამოგვიცხადა. აჰმედი მქვია მე. გერჩექ (დასტურ) ხალვაში ვარ. აქ ძველი გვარები ყველას გამუშუცვალეს. ეს ჩვენი გვარი ამფრადი ხელწუქარებლად დავატყვევით. ხომ კაი გვიქვია?!

— ძალიან კაი გვიქვია, მარა როგორ მოხერხდა? — ვკითხე.

— აჰა, იშტა! — (რატომღაც ნკიპარტი ნკიპარტს მოუტკაცუნა, — ლაზებიც, იქ, დაბლა, ზღვიპირაი, ხალვაშები ბრეველი არიან. ხალვაში — სოფელიცაა რიზესთან).

სალამოს, მართლაც, ყადირთან, შინ მიგვიყვანეს. ყადირი გვიან დაბრუნდა. თმები სველად უციმციმებდა. რალაცა თურქულად ჩაიდუდუნა. მისი ხანუმი ამბობს, გარეთ გათოვებულაო. ალბათ თმებს ართვინული თოვლის ციმციმები შემოყვა.

შემოვუსხედით გემრიელად ასუნელებულ სუფრას. გეგონებოდა ასობით წლების უნახავები, ერთი დედამისი შვილები, შევიყარენით და ერთმანეთით ველარ ვძღვებოდით. იქაურული და ჩვენებური ქართული, ნამალ-პან-პანაიობით ერთიმეორეს მკურნალობენ, ეთბუნებიან, ერთიმეორეს ტკივილებს ულოკავენ. სიტყვები სიტყვებს მონატრებით ეთამაშებიან, სიტყვები სიტყვებს ეხუტებიან. ხმას ხმა უნდოდა, ხმა ხმას ეხმატკიბებოდა; ხმა გადავინყებული, ხელახლა ახმინებული, ჯერ ჰაერში აბურგალებოდა, შეესხმებოდა კედლებს და მერე, სულდათქმული, თავის ძველ, ჯანაიან, ჯიმ-ჯილაგების თუ გაფითრებულ-დაცქვეტილი ყურებისკენ გამოფინებოდნენ, რომ ჩვენი ადამიხნის გამოგვალული გულები და სულები თავიანთი სიცოცხლების მქეფარებით მოერწყოთ. ყადირის დედა ხელტრით რომ მატყლს ართავდა, მომეჩვენა, თან ჩვენს ქართულ ლაპარაკსაც ლაზლის ძაფით კვირთავზე ახვევდა.

მე და ყადირი დილას, აივანზე გავედით. დაბლა, უჩრუმ ხევში ჭოროხი მიხუხუნებდა, თანაც მისი დამსხვრეული სხეულიდან აბლისფერი ფუტ-ორთქლი ცაში ამდგარიყო. ჩემი თვალი აღმა აჰყვა ხეობას და იქ, შორს, მოქუფრო სერზე, ჩვენებური სოფლის ოდასახლები შევნიშნე. ეგაო, სოფელი მამანმიდააო, ძვილად ამისხნა ქართულად ყადირმა. აი, აქ ობამდე არ ვამიხვლია, რომ ყადირ ხალვაშმა, ართვინის მერმა დედაენა კინაღამ სრულებით აღარ იცის. დედამისს, დას, მის მეუღლეს მშვენივრად ესმით და უბნობენ ქართულს. ყადირი ისტანბულს სტავლობდა და „იმდენ თურქულ სტავლაში ქართულად დაივინყო.“

XXX

დილით ტყემლისყვავილისფერი თოვლით მოფიფლულ გზაზე გავიდა ჩვენი ავტობუსი. ტრაპიზუნ-ფაცისკენ გზა დაგვილოცეს.

იქ, ფაცაში, თავის სიმამრის სახლში, შან-



ვერ აკინი (შალვა თევზაძე) გველოდება.

ფაცვა, პატარა ზღვისპირის ქალაქი, სულ ჩურჩუგსულებსაა. (ჩურჩუგსუს ანუ დამპალი წყალს ეძახოდა ოსმალთა ქობულეთს). ქობულეთელი მუჰაჯირები, ვისაც თურქი შორეულ სამხრეთისკენ, ინეგოლ-ბურსას გადაღმეთებისკენ მიერეკებოდა, რათა გურჯი თავის მშობელ ალაგებს და ამ, თავის ძველ ტაო-კლარჯულ-ლაზურსაც მოწყვეტოდა. მაგრამ, ზღვის ფელუკადან ქობულეთისნაირი სანაპიროები რომ დაუნახიათ, მუჰაჯირები აყვირებულ-ატირებულან, აქაურობა მემლექეთს გავს, აქ გაგვიყვით ხმელეთზეო. ხელით და ფეხითაც ისე მიბლაჭებიან, მინას ველარ მოგლიჯეს თურმე და, რალა ექნათ, დაყარეს მუჰაჯირები ამ ტიალ ყარა-დენიზთან (შავ ზღვასთან). და მუჰაჯირის ხელმა დაბადა ფაცვა.

შანვერი, 80-86 წლებში, თურქეთის მთავარი გაზეთის „ჯუმჰურიეთის“ საკუთარი წარმომადგენელი იყო სკანდინავიის სამ ქვეყანაში (შვეცია-ნორვეგია-ფინეთი). და, აი, 1987-ია. ერთ დღეს ბათუმში მირეკავენ თბილისიდან, — შენტან ჩამოვა თურქეთელი ჩვენებური, ჟურნალისტი, შალვა თევზაძეო.

შანვერი ჰელსინკიში მაშინდელ საბჭოთა საელჩოში გამოცხადებულა და შალვა თევზაძის სახელზე საბუთის გაფორმება უთხოვია. ქართველი ვარ, სამშობლო მინდა ვნახო და გამიშვიო საქართველოშიო. საელჩოს თანამშრომელმა რუსებმა ეს, ეტყობა, საბჭოური საქმისათვის გამოსადეგ შემთხვევად ჩათვალეს და ჩვენი ძმა, შანვერ-შალვა, საბჭოურად გაფორმებული საბუთებით, საბჭოთა საქართველოში სიამოვნებით გამოამწესეს.

ბათუმის „ინტურისტში“ შევხვდი. გაუცნობლად მიცნობდა. სინოპელი ვარ, ბაბამ დამაბარაო, „ჯუმჰურიეთის“ კაცი იმდენ ქვეყანაში ხარ და ერთი ჩვენი „ესკი მემლექეთიც“ (ძველი მამული) მოინახულეო და გეიგე საქართველოში ქართულად ლაპარაკობენ თუ რუსულათო. — აი, ასე, ჩამიჭიკჭიკა ჩვენი ნახვის სიხარულით გულამომჯდარმა შალვამ.

მახსოვს, ამ უსათნოესმა, ნამეტნავად გაკულტურებულ-გაევროპელებულმა თურქეთელმა ჩვენებურმა, უცებ საათზე დაიხედა, წამოდგა, თავის ვეება მელნისფერ ჩანთასთან მივიდა, „ზმეიკა“ ისეთი ფრანუნით ჩახსნა, მეგონა ჩახია-მეთქი. ჩანთიდან რალაც სქელი გობელენივით ნახიშლ-ნახატებიანი საგები ქსოვილი ამოაძრო. მიიტანა სანოლის გვერდით, ძირს დაფინა, სამხრეთისკენ, ე.ი. „ციბლასკენ“ პირი ჰქნა და ნამაზის ლოცვას შეუდგა.

22.06.08

ისევ ნამძლია ცდუნებამ. სამების დარბაზში „ომრის“ წარდგენ-დალოცვა („პრეზენტაცია“ ეს, მარა ამ სიტყვის პრეტენზიულობა მჭიჭკავს) აზრად ჩამეზარდა. ახლა, ამ დილას კი, გადავიფიქრებ-მეთქი ვნადინობ. რატომ? რატომ და თავი ხომარ მოვაბეზრე საზოგადოებას. ამ ბოლო ხანობა რალაცა ნამეტანს ვქაქანებ. კი,

ბატონო, ეგება არაუშავი დამინერია, მარა თავად მენ იყურე, — სხვამ თქვას, სხვამ დაგიძახოს. კი, მარა, მეორენაირად რო ვთქვათ, რამდენხან ვიყურო. თავდება უკვე ჩემი ომრი, ხომ? ჯობს ყოფნა სიხარულით მოვირწყო და ეგება ჩემ თავს კიდო რამე კაი შევადლებინო; არ ჯობია?!

და, იესოსი არ იყოს, თავს ვეცყვი, — გიყვარდეს მტერი შენი და შურიანი შინაური ახლობელიც! და, ჩვენს ერთ, ბერ, ჩვენსავით არა „ბრველ“ მეზობელზე ჩამაფიქრა ყადირ ხალვაშის მოფერთან, ჰემშილთან (მუსლიმ სომეხთან) იმ არაფრისმთქმელობით ბევრისმთქმელმა ერთმა შეხვედრამ. (სომხისანა ვთქვანა)

ახლობელია მეზობელი. კარგია, ძალიან აუცილებელიც, ჩემთვის, (ჩვენთვის). ნიჭიერია, მშრომელია, ჯიბრიანია, ჯიუტია, გამტანია, გამძლეა, ძველია, თავისითავის ერთგულია, გაჭირვებით ნაპოვნის ყადრიმცოდნეა. რალაცა სხვაფრათ, მარა მაინც ხომ ქრისტესმლოცველია! ჩვენ, ერთმანეთი ერთმანეთის მცველებად რომ ვიგულოთ, ეს ღმერთსაც, ერსაც, დუნიას მთელსაც გააუკეთესებს, გაამადლიანებს. ჰო, ჰო, საქართველო-სასომხეთოზეა. კი, გვისვრია კიდევ ერთმანეთისთვის. მაგრამ, როდის? მაშინ, როცა პროლეტრეოლოგიის ხანძარი წაეკიდა კავკასის სამხრეთსაც და საუკუნეთა შემდეგ, თავთავის სახელმწიფოობას, თავთავის ქვეყნობას, თავთავის ხალხობას დანატრებულებმა, თავთავისად ყოფნის გემოთ ოდნავ ძლივს რომ ვეზიარეთ და ახალმა პროლეტხანძარის მოცხუნებამ აგვრია, დაგვაბნია, ერთურთს დაგვაჯახა. ვინ არ გვეომბა. ვინ არ გვემეგობრობს.

XXX

შალვამ, ფაცვაში, სიდედრ-სიმამრთან მიგვიყვანა. დიდი ფაცი-ფუცი ატყდა. სადილად ჩორბა ცხელწვნიანი იყო. მერე ზღვასთან ნიჟარასავით მიდებულ ქალაქი გვაჩვენეს. ჰო, ჰო, — აივნიდან.

24.06.09

ნუ გაიკვირვებ და ნუ გამამტყუნებ, ემინ! ამფრათ წერის წესი მარტო ამ რამდენიმე გვერდისთვის ამომიჩემდა. თავს დამდგარ ნადილს ვერ აღვუდექი. ამბები ფიქრის ლარდებში მოედინებიან, დრო-სივრცით მონინსკლული ალაგები თუ არ დავახვედრე, დავიცარიელებ თავს. ისევ გასული წლის დღევანდელ დღეს მივცემ სიტყვას:

24.06.08

ჩემი მობილურის ეკრანზე, ნომრის აკრეფის წინ გამოსაჩენად სალომეს მიერ გუშინ-წინ, ამორჩეულ-დაყენებულ ღვთისმშობელის, მარიამის გამოსახულებას დავცქერო. მაგონდება, შარშან, ბათუმში, თურქეთის საკონსულოს ხელშეწყობით, „ინტურისტის“ მრგვალ დარბაზში, სტამბულიდან ჩამოტანილი ერთი „მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის“ ჩვენება.

იმ ფილმის ავტორები ძირითადად იქაური ჩვენებურები იყვნენ.

მოსანვევ ბარათებზე, როგორც მახსოვს, ღვთისმშობელი ეხატა და თურქულ-ქართულად ეწერა, — „წმიდა მარიამი მუსლიმანი ქალის მაგალითია“. აი, ასეთი სახელწოდებით შეუქმნიათ იქაურ ჩვენებურებს, ანუ ქართველებს, უფრო სწორად, — მუსლიმანებს, — ფილმი. ახლა, აქ, კარგად, ღრმად, ფაქიზად თუ ჩაუფიქრ-ჩაუკვირდები, — რაა მიუღებელი?

ქალი თავისი თავდახურულ-გულმკერდ-მოფარებულობით, რიდით, თავის ქალსურობის ერთგვარი მალვითაც, სინდისნამუსიანობის განსახიერებადაა აღიარებული ისლამურ სამყაროში. ჰოდა, ამ ფილმით ეს უნდათ გვითხრან. მერე? — გვითხრან! კარგია ეს! მე ასე ვფიქრობ. მე ძალიან მაგრად ვიცი ის, რაზეც ვსაუბრობ. ესე იგი, ვიცი რას გულისხმობენ თურქეთელი ქართველები ასეთი ფილმის ჩვენებით აქ. ზოგჯერ, ახლანდელი საქართველოდან ჩასული ზოგი ქალი თურქეთის ქალაქებში ისე იქცევა, რომ ამით იქაურ ჩვენებურს არცხვენს. ჰოდა, მუსლიმან ქართველს სურს მუსლიმან თურქს აჩვენოს, როგორია ნამდვილი ქრისტიანი ქართველი ქალი, მისი, — თურქეთელი ქართველის, სისხლი და ხორცი.

აბა, ერთი შევხედოთ დღევანდელ მონაზვნებს, ახლანდელ ჩვენს მონასტრებში რომ არიან. განა თავდახურულ-გულმკერდმოფარებულობით, სისადავით, თავმდაბლური თავიანთი სისპეტაკით ჩვენს კრძალულ პატივს უფრო მეტს არ იმსახურებენ?! მე მგონია ჩვენ უნდა დავეხმაროთ ქართველ მუსლიმანს და ქართველ ქრისტიანსაც, განთავისუფლდნენ სხვადასხვა გადანაშთების გავლენებისაგან და თავთავიანთი სარწმუნოებებით, როგორც ერთი ხალხის შვილთ, უყვარდეთ ერთმანეთი. მით უმეტეს დავეხმაროთ უნდა მუსლიმ ჩვენებურს ისლამით გადასხვაფერ-გადაგრილებული გული თავისი ისევე, ნელნელა, თავისიანთ სი-ახლოვის გრძნობას დაუბრუნოს. დღევანდელი ქართველი ქალი, ვიმეორებ, საქართველოდან თურქეთში ჩასული, (ყველაზე ვერ ვიტყვი), ხშირად, სახელს უგონჯებს „დიდ მემლექეთს“, რაც ასე ენატრებოდა ცრემლიანს, გულმდულარე მუჰაჯირს.

მე მგონია, ფილმის ავტორებს უნდათ გვითხრან, ქრისტიანო ძმანო, თავდახურული ჩვენი ქალები, წმიდა მარიამის მსგავსად, იმოსებთან. თქვენც ქალებს თხოვეთ ასე მოიქცნენ (ნამეტანს ნუ გაიტიალებენ ყელ-მკერდ-მუხლ-ჭლიკებს) და უფრო გაადვილდება სიახლოვეც, ახლობლობაცო.

თუ მუსლიმანი ქალის სამოს-სახურავი ჩამორჩენილობაა, რატომ ასე გვხიბლავს და მოწინება-პატივს გვაძლევს, თანაც რაღაც უწმიდეს სიფაქიზისადმი მორჩილებად განგვანყობს წმიდა მარიამი?!

დანარჩენი უთქმელად ნათქვამია.

XXX
01.07.08

სალამო ტელევიზორში. (I არხი). ვუყურებ-დი კინომცოდნის გიორგი გვახარას გადაცემას. ზაირა არსენიშვილი იგონებდა იშვიათ პატიოსან-დემოკრატ რედაქტორს, ვახტანგ ჭელიძეს. რომანი მოენონა, მაგრამ ვერ დამიბეჭდაო. „გამოუვალი მდგომარეობა“ გინერია, შეცვალეო. ვუთხარი, როგორ შეეცვალეო, როცა გამოუვალი მდგომარეობაა-მეთქი. დღეს? — ჰკითხეს დიდ მწერალ ქალს. — დღესო უფრო მეტად გამოუვალი მდგომარეობააო, — იყო პასუხი.

მაშინ, შევარდნაძე, რა უცნაურადაც არ უნდა აღიქვათ, გამოუვალიდან გამოსავლის ძებნაში უფრო ქმედითი იყო, ვიდრე დღევანდელი ზემდგომნი არიანო, — დაამთავრა ზაირა არსენიშვილმა. დამაფიქრებელ-გადასარევი: — მალაღნიჭიერმა მწერალმა ქალმა, ვისაც სოცრეალიზმის ეპოქაში თითქმის არაფერი გამოუქვეყნეს, (კინოსცენარის გარდა) შემოქმედ ადამიანებთან ურთიერთობის მაშინდელი ატმოსფერო ახლანდელზე მაინც უფრო მისაღებ-მოსათმენად მიიჩნია.

XXX

ჰოდა, შანვერ აკინი (შალვა თევზაძე) ფაცაში დაგვხვდა. საუბრისას არცერთხელ ახმედ მელაშვილი არ უხსენებია. არადა, იქ, სტოკ-ჰოლმში, ე.ი. სკანდინავიაში, „ჯუშმჭურიეთის“ საკუთარ კორესპონდენტად ყოფნისას, ახმედ ოსკან-მელაშვილის მიერ ბურსაში შედგენილ-მომზადებული ჟურნალის, „ჩვენებურის“ პირველი ნომერი ხომ თავად გამოსცა. თურქ ხელისუფალთ, რა თქმა უნდა, შანვერის (შალვას) საქართველოში, შეცვლილი სახელით, ჩამოპარვასთან ერთად, არც ეს დარჩენიანთ ყურადღების გარეთ. ამიტომ, ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების მიწურულს, იგი სამსახურიდან გადააყენეს, თან უკან, სამშობლოში (თურქეთში) გაითხოვეს, მაგრამ შანვერი მიხვდა რა ხაფანგშიც ჩავარდებოდა. ამიტომ სტოკჰოლმში დარჩენა ამჯობინა. ნარმოიდგინე, შვედურს ისე ფლობდა, იქაურ დიპკორპუსის თანამშრომელთა ბავშვებისთვის მოქმედ სკოლაში ამ ენის მასწავლებლობა მიანდეს. მაგრამ ამასობაში დადგა მლელვარე და, თურქეთისთვის საშინლად სისხლიანი — 1980. ნაციონალისტ-მოფაშისტო ახალგაზრდობამ ცეცხლი და მახვილი დაატრიალა გურჯ (ქართველ) და სხვა, იქ მცხოვრებ, მცირე ერების იმ წარმომადგენელთა ამოსაუფლეთად, ვინაც თავის ეროვნულ მეობას ოდნავ მაინც გულში გაივლებდა. აი, მაშინ იმ ქვეყნის არმიის გენშტაბმა, კონსტიტუციის ნებით, მთავრობა თავის პრეზიდენტიანა ძალით გადააყენა და ხელისუფლება თავის ხელში აიღო; ძალადობა, ტერორი მაინც კაიხანის მძვინვარებდა. გავიხსენოთ, ერთ გამთენიას, ავტომატიანები როგორ მიადგნენ ბურსაში, ახმედ ოსკან-მელაშვილის სახლის კარებს. წიხლები დაუბრაგუნეს, გააღვიძეს, გარეთ

გაიყვანეს და ახმედი იქვე დაცხრილეს, ხოლო შვილი, იბერია, (ხომ გახსოვს?) დაჭრილი, მეგობრებმა გერმანიაში ძლივს გადააფრინეს და ძლივს გადაარჩინეს.

შალვა თევზაძემ (შანვერ აკინი) მაშინ შვედეთის მოქალაქეობა მიიღო და თავიც ამით გადაირჩინა. ხოლო, ამჯერად, ფაცაში, მისიანებთან ჩვენი სტუმრობისას, მელაშვილს შეგნებულად არ ახსენებდა, რადგან ახმედ მელაშვილის სახელი თურქ ხელისუფალთ იმხანადაც (დღესაც ასეა) აღიზიანებდა. ამიტომ შალვა ფრთხილობდა.

20.08.09

თბილისი გასხვანაირებულია. წელან, დაფურეკე თამაზ ჩხენკელს. ვნეწარ, შეუძლოდა ვარო. აბა რომ გნახოთ დღეს მე და ემზარმა-მეთქი. ოჰ, კაი ძალიანო. ვერ წარმომიდგენია ჩხენკელი, თამაზი, ავადმყოფი. ის ხომ მუდამ ბიჭივით თვალწინმოცქრიალე, ზარფი, კოდალივით დასასხლეტად მომართულია. ჩინური ლექსი რომ საჩინოდ გადმოაჩვენებურა და, ფაქტიურად, ქართულ ლექსს ახალი ხმა გამოაღებინა, ეს უნდა ითქვას. გეგონება ჩინელი ჩვენებურად წერდა. შარშანდელ, ომამდელ ერთ დღესაც აქ გავიმეორებ:

11.07.08

დილა ახალპირდაბანილ ბავშვივითაა. ჩუმადაა ასახმაურებლად. მზე არსიანის ქედებს გადაღმიდან ამოებლატა და გადმოიხედა. ბოსტანში ახალათქვირული კიტრები მელოდებიან. დაკრეფა უნდათ. ნახავ თითისიგრძე ჭიპა დაკიდებულა პრუნზე, ყვავილმიყვითლებული. არ წყვეტ. ცოდვაა. მეორე დილით მტკაველაზე გრძელია. რა მალულად დიდდება. ერთხელ, — მიფიქრია, — ჩაუჯდე უნდა, უყურო როგორ იზრდება. ზრდას ვერ შენიშნავ. ზრდა არ დაგენახებდა.

ვინმე რომ მყავდეს, ჩაის წყალს რომ ამიდულეზდეს! საცვალს გამირეცხ-გამიშრობდეს, მე, ამ დროში მიფუჯდები გუშინდელ მიტოვებულს. გავალვიდ-ავასიარულეობ სიტყვებს. ცოცხალია და კეთილშობილი ნაწერი, როცა ნახულ-განცდილით სუნთქავს. დიდი ხნის წინანდელს ახლასხვაგვარად, უფრო ფაქიზი სიფრთხილით, უყურებ და გიხარია, თავისთავი რომ ისევ იქ, შორსდარჩენილ შენს ძველ მტერმოყვარესთან დაიბრუნე. იმ ძველს ახლა ახალსაც მიუმატებ, რა თქმა უნდა; ამიტომ ამბავიც უფრო ენერგიული, ბუნებრივი, სულამოთქმული გამოვა. ალბათ დიდი მწერლები ადვილადაც, ღონივრადაც მაშინ წერდნენ, როცა თვალ-გონში ნამდვილი სინამდვილის აღდგენა-განმეორება სურვილად ბოხოქრობდა. ყირიმის კამპანიაში მონაწილეობა ტოლსტოის ალბათ ბოროდინოს და სხვა ფრონტების აღწერაში მოეხმარებოდა, უფრო — „ომსა და მშვიდობაში“. ასე, რომ ყველას თავისი ომი და მშვიდობა აქვს.

XXX

ოთხმოცდაცხრაში კი, ჯერ ისევ საბჭოთაკავშირელებად ვითვლებოდით, მაგრამ სესერეკა უკვე შინაგანად ისე მოჩონჩვილებულიყო, ჩვენ ალბათ არტახებმოძვებულ აკვანში მხოლოდ ჩვილ ბალებს ვგავდით.

ფაცადან ავტობუსით ნავედით. სტამბულში ოსმან მერჯანს თავის სახლში მივყავართ. ის ჩვენებურთა შორის ყველაზე არაჩვენებურად დამახსოვრებული მყავდა. შეხედულადაც თითქოს უფრო თურქი იყო. ახლა კი გვეუბნება მეოთარ იმედაშვილი ვარო. ვუთხარი, — აჭარაში ამ გვარისანი არ გამიგონია-მეთქი. არაო, მე აქეთაური, კლარჯეთელი იმედაშვილი ვარო.

შუა სტამბულში სოფელივით ალაგინახეთ. პატარა შეღმართ ხევში პატარა ღელე მოშხიფინებს. გაღმა-გამოღმა სოფლური ოდასახლები შორიშორ დაუნმატებულან და აუკლაკინათ ცისკენ თავთავისი ფუტ-კვამლები. ის ადგილი შუა სტამბულში სოფელივითაა და მას ბებექს ეძახიან. გადაღმა-გადმოღმა კი დიდი ქალაქის დულილის ქაფულია.

ამინა ჰქვია ოთარის მეუღლეს. თურქი ქალი თბილი ალერსიანობით ქართულისადმი კრძალვა-პატივით იყო განათებული. ხშირად გაგვიმეორებს, — „გურჯილერ ჩოქ სევიერუმ“ (მიყვარს ქართველები ძალიანო). ვახშამს კი სულ თურქულად გაგვიშლის, გემრიელ-გემრიელებს მოგვართმევს. ესაო, თურქულად თარგმნილი ქართულიაო, გვეტყოდა საჭმელებზე. — ამინ! ამინ! — ვეტყოდი პასუხად მისსავე სახელს.

ასე რომ საგანგებო ვახშამი თავისი სიგემრიელებით ყოველ მოლოდინს აღემატა. ოსმანი (ოთარი) შფოთით კითხულობს: საქართველო შეძლებს გამოცალკეებულობის შემთხვევაში თავს ეპატრონოს და მოუაროს? მერე, დინჯად, მოულოდნელად:

— ხვალ ბატონ ფრიდონს ათათურქის სახელობის სემინარიაში კარქი შეხვედრანა იქნას. რას იტყვის ბატონი... — აცხადებს წითელი თურქული ღვინის მეორე ჭიქის შესმისთანავე.

ტანში მოცივო ჟრუანტელმა დამჯინჭრა. ჯერ ხომ ჩვენ საბჭოურ ნამსხვრევებში ვგორაობთ. კავებეს თვალი ჯერ კუჩხიდან იჩყიტება ჰელბეთ. (იმხანობა ოსმან-ოთარი უკვე ჟურნალ „ჩვენებურის“ პატრონ-გამომცემელ-რედაქტორია). ვფიქრობ, — ოსმანთან ერთად ყველგან წაისვლება. ის იმათი თუა, ჩვენიცაა, გარიგებულია შუაში. თურქული კულტურის ცოდნა-დაფასებაში ვინ შეედრება. და, ვატყობ, რა თავგანწირულობით ცდილობს ქართულიც, თავისი ძველი, იბერიულ-ივერიულ-ქართული ნაკვერცხალი ახალი სულისშებურვით გაანთოს, ისევ მას მიეცხუნოს, რათა მშობლიურ ღვიდაროზე გაითბოს სხეული და სულიც.

მივყვები და ჩემთვის ვფიქმანია. — რათ ვუნდივარ ათათურქის სემინარიას. ან მე რანა ვთქვა იქა, თურქულა იმდენს ვერ მოვაფერებ. სწორედ ამაზე ვეკითხები ოსმანს. არა, რათ გინდა თურქული, ქართული თქვიო. მე წარგადგენ, შენ კი — გურჯიჯა გამოი. იმათაც ძალიან უყვართ, ძალიან ეინტერესებიან ქართულის

გაგონებაო.

შემიყვანეს კლასში, პირდაპირ გაკვეთილის დროს შემიყვანეს. ყველა ფეხზე წამოიჭრა. მალე სემინარიის დირექტორიც შემობრძანდა. გადამეხვია, უღვაში ლოყაზე მომეფაშრა. სულ გურჯისტან, გურჯისტანო, პირზე ღიმილშემსკდარი უმეორებდა მონაფეებს და მალე სიტყვა მასწავლებელ ქალს, მემუნს, გადააბარა.

ოთარი (ოსმანი) გადმომიჩურჩულებს, მაფრთხილებს, სიტყვა მოგეცემა, ქართული თქვამ და მე ვუთარჯუმებო (ვუთარგმნიო). გამომაცხადეს თუ არა, წამოვდექი. რა ვთქვი, აღარც მახსოვს. ქართულ-თურქული ენების მეზობლობა-გავლენაზე რაღაცა ჩემებურის გამჟღავნებამ, მახსოვს, მოკლე წატაშუნებაც გამოიწვია. მგონი ერთი-ორი ლექსიც გავაჟღერე ქართულად. მოულოდნელად წამდვილი აღტაცება იყო, რამაც ძალიან მასიამოვნა. ბოლოს პირზე „ჭოროხის ხეაშიადი“ მომადგა. „... მოაქვს შლამი და გოროხი, ესეც ხომ ჩვენი მინაა?!“ — ჩავათავე თუ არა, ოსმანი, გვერდით, ზედმინეწით თარგმნის. ვხედავ დირექტორიც ფეხზე წამოდგება და ჩემკენ გამომვერილ ხელებს უტაშუნებს. მოინონა. მე კი ვეჭვობდი (ლექსი თითქმის ზუსტად გადაილო ოსმანმა თურქულზე), იქნებ ამ სტრიქონებში გამოთქმულით გაჯავრდეს-მეთქი. მაგრამ, შევატყვე, თურქეთიდან საქართველოკენ მიმდინარე ჭოროხზე დაწერილი ჩემი ძველი ლექსი, ჩვენებური ძველი მინების სევდად კი არა, თურქეთისადმი ჩვენს ხოტბად ჩათვალა.

რა მენალვლება, — როგორც სურს-მეთქი. მერე, უკვე თლათ ქართული „გენაცვალე“ ისე გამომივიდა, თარგმანის გაგონებამდე ტაშმა იფეთქა. ოსმან-ოთარი ძლივ-ძლივობით ასწრებდა გადათურქულებას, „გენაცვალეს“ ყოველ წარმოთქმას, ბავშვებიც იმეორებდნენ.

22.08.09

აქედან, ერთხანს, ისევ შარშან დაწერილებს გავაყოლოთ თვალი:

15.07.08

გუშინ რამაზ სურმანიძესთან მაგიდაზე შევნიშნე უსაშველოდ სქელი და ბნელი წიგნი სათაურით „Батум во времена османской империи“ — ავტორად ვილაც „Заур Маргиев-აზის. ალაგ-ალაგ ჩავიხედე. დიდად არც თურქთ სახეიროებია შიგა. ვთხოვე, მათხოვე-მეთქი. წიგნი, მძიმე და ცივი, საკუთარ კუბოსავით მიმქონდა.

ეს რუსულად ნაწერი წიგნი, თურქეთის ბათუმელ გენკონსულს დაუფიანსებია და, წარმოიდგინე, ანკარაში დასტამბულა.

მთელი საღამო აღმა-დაღმა ვაჭყენე თვალი რუსულ-თურქულ როყიო სიტყვების იმ ლელურდნებში; აგდებულ-დამახინჯებულ, მიკუდისძირებულ თუ ნაცემ-დასაცოდავებულ ქართულ სახელ-გვართა და ტოპონიმთა ნამსხვრევებში.

ამ სულის მძიძგელი წიგნისთვის, ამას წინათ, აქაურ უნივერსიტეტში „პრეზენტაცია“ გაუმართავთ.

არ შემიძლია, ამასთან ერთად, გადარევა-გაკვირვება არ გავამჟღავნო საარქივო ჯურ-ღმულებიდან ამოდენა მასალის მოძიების და მისი, გინდაც არაკაცური ტენდენციურობით, ჩვენებურისადმი სიძულვილნარევი ასეთი თავდადებისა და ამსისქის „ქითაბად“ აჩურჩხლვის გამო. ვინ აჩხრეკია ამდენი სიძველეები ზაურ მარგიევს?!

გაგრძელება იქნება



ფენიზა სუბაძე

ქართული ბიზანტიზმი და ახალი ქრისტიანული ფანოჯნოლობის საფუძვლები

ახალი ნინო

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ერის სულიერი მისია „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს ავტორის მიერ გაცხადებულია ქართული ენის მისიაში, რამეთუ ქართული ენა განმარტებულია ენად მეორედ მოსული უფლისად. კაცობრიობის ცნობიერებაში ოთხი ათასეული წლის განმავლობაში დამარხული* ქართული ენის აღდგინება მოხდებოდა უფლის მეორედ მოსვლისა და ამ გზით ყოველივე საიდუმლოს განმარტების ჟამს. ეს ოთხი ათასეული წელი ავტორისაგან ითხოვს ამ „დამარხულობის“ შემეცნებას, ანუ ამ დამარხულობის ისტორიის, მისი სანყისისა და განვითარების გაცნობიერებასა და ამოკითხვას: რას ნიშნავს: „დამარხულ არს ენაი ქართული“. და რას ნიშნავს: „ენა უფლისა“ იესო ქრისტესი მეორედ მოსვლის ჟამს?!

როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, ნაგიძღვებათ თქვენს ყოველი ჭეშმარიტებისაკენ, ვინაიდან თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც მოისმენს, იტყვის და მომავალს გაუწყებთ თქვენ. ის მადიდებს მე, ვინაიდან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.“ ვკითხულობთ სახარებაში. (იოანე 16,12-14) რატომ არის იგი, ქართული ენა დამარხული?! და რას ნიშნავს დამარხულობა ენისა?! ამ თვალსაზრისით საინ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ.N#4

ტერესო უნდა იყოს „„ქებაი“-ს კიდევ ერთ-ერთი უმთავრესი დებულება, მოცემული ქართველთა განმანათლებლისა და ქრისტეს რჯულზე მომაქცევლის, წმ. ნინოს დამახასიათებელ ისეთ განსაზღვრებაში, როგორც არის „ახალი ნინო“, რაც მექანიკურად უშვებს „ძველი ნინოს“ არსებობასაც და ამ „ძველი ნინოს“ შემეცნებისაკენ აბრუნებს ქართველთა გონებას, იქითკენ, როცა „ძველი ნინო“ და ოთხიათასეულის წინარე ქართული ენა იყვნენ ერთად. სად ერთიანდება „ძველი ნინო“ და ოთხი ათასეულის წინარე, ანუ „დამარხვამდელი“ ქართული ენა?!

აკადემიურ მეცნიერებაში ცნობილია, რომ „ნინო“-ში მოცემული ფუძე „ნინ“, იგივეა, რაც „ნან“ და „ნენ“, და რომ ისინი ერთი და იგივე ძირის ფონეტიკურ სახესხვაობებს წარმოადგენენ და ცივილიზაციათა ყველაზე არქაულ ეტაპზე, წინარე, ანუ ღრმად წინარე ქრისტიანულ ცნობიერებაში, დედალვთაების ცნებასთან არიან გაიგივებულნი. ასე, რომ წმ. ნინო წარმართული დედალვთაების მოსახელეა. ამაში სადაო არაფერია, მაგრამ საკითხი ეხება არა მხოლოდ მექანიკურ გამეორებას დედალვთაების სახელისას, არამედ რაღაც უფრო მეტსა და მნიშვნელოვანს. მართალია ეს მეტი და მნიშვნელოვანი ეხება წმ. ნინოს სახელწოდების სახოტბოსა და საგალობლისეულ აღზევებას, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ რაღაცა ფორმით ეხება წმინდა ნინოსეულ ფუნქციონალურ ჩანაცვლებასაც ნანაში, რაც უფლებას აძლევს საგალობლის ავტორს, ისაუბროს „ახალი ნინოს“ შესახებაც.

პროფესორმა რევაზ სირაძემ, წლების წინ, თავის გამოკვლევაში წმ. ნინოზე, საგანგებოდ და დამაჯერებლად წამოსწია საკითხი დედაუფლისეული ატრიბუტებით წმ. ნინოს შესხმათა და აღმკულებათა შესახებ. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, თავის დროზე შევნიშნეთ, რომ „ძველი ნინო“, როგორც უხილავი და ნაგულისხმარი ცნება „ქებაი და დიდებაი“-ს ავტორისა, უნდა იყოს მხოლოდ დიდი დედა ნანა, ქართველთა დედალვთაება და უძველესი სალოცავი, რომელიც ქრონოლოგიურად, რელიგიური ცნობიერების ეტაპობრივი განვითარების გზაზე, წინ უსწრებს მამა-ღმერთის ბიბლიურ, უფრო ზუსტად, ძველი აღთქმისეულ ერთპიროვნულ აღიარებასა და თავყვანისცემასაც.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, როგორც ეზოთერული, ანუ საიდუმლო თხზულება და ავტორისეული იდეალური ხედვა ქრისტიანული მსოფლიოს განვითარებისა, ჩვენის ფიქრით სიღრმისეულ კავშირში უნდა იყოს დავით აღმაშენებლის მიერ ჩაფიქრებულ და „სხვად ათინად და მეორე იერუსალიმად“ წარმოსახულ გელათის აკადემიის იდეალთან: „სხვა“, ანუ „ახლისა ათენისა“ და მეორე, ანუ „ახალი იერუსალიმის“ იდეებთანაც. მითუმეტეს, რომ ვიცით: „ახლისა ათენისა და მეორე იერუსალიმის“ იდეის ავტორი — საქართველოს დიდი მეფე — დავით აღმაშენებელი — სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ათონის მთის ქართველ მამებთანაც და ბიზანტიის თეოლოგიურ — ფილოსოფიურ სამყაროსთანაც. ეს არის ეპოქა, როცა ეროვნული ცნობიერება ქართუ-

ლი მონასტრებისა და საქართველოს სამეფო კარისა ერთიანია და ერთი სულისკვეთებით სუნთქავს და ბუნებრივია ესოდენ სიღრმისეულად განათლებული და განსწავლული მეფის — დავით აღმაშენებლისათვის, ცნობილია თვითმხილვარება ათონელი მამებისა, რომლითაც ისინი დაუფარავად ღალადებენ თავიანთ წარმომადგენლობას „ახალი ღვთაებრივი ერისას“ და თავიანთ პოეტურ საგალობლებში შესთხოვენ უფალს შეწევნასა და მფარველობას „ახალი საღმრთო ერისას“, ანუ საკუთარი მშობლიური ქვეყნისა და მშობლიური ხალხისას. „ახალი ერი“ ათონელი ქართველი მამებისათვის ეს არის იბერიელი ხალხი — ანუ დღევანდელი ქართველი ერი.

იელოვა და ქრისტა ანუ: ბიბლიური ღმერთის შესახებ, რომელთან მიმართებაშიც გაცხადდება ქრისტესმიერი გაგება სამყაროს უზენაესი ძალის

ბიბლიის პირველი სტრიქონი: „პირველითგან ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი“ — უკვე გვაუწყებს, რომ ამ წიგნის უზენაესი არსება არის ცისა და ქვეყნის შემოქმედი, და ღვთაებრიობის უწინარესი თვისობრიობა ეს არის შემოქმედებითობა. ამ თვისობრიობის გარეშე ბიბლიური თეოლოგიის უზენაესი არსება არ მოიაზრება და არ არსებობს. თეოლოგიური შინაარსი და რაობა ამ ბიბლიური შემოქმედი ღმერთისა, როგორც უმაღლესი რელიგიური არსების, გადმოიცემა მოსე წინასწარმეტყველის გამოცხადებებში. შეიძლება ითქვას, რომ გასაღები ბიბლიური ღმერთის თეოლოგიური რაობისა არის მოსე წინასწარმეტყველის იმ გამოცხადებაში, რომელიც ბიბლიური გადმოცემით შედგა ხორების მთაზე, მაშინ როდესაც მან, მოსე წინასწარმეტყველმა მიიღო ზეციური ხელთდასხმა თავისი მშობლიური ხალხის განთავისუფლებისათვის ეგვიპტური ტყვეობიდან. უფრო ზუსტად: ხელთდასხმა და ბრძანება — ერის წინამძღოლობისა. ეს ხელთდასხმა და ბრძანება არის ამავე დროს ღვთიური დავალება და მისია, რომელიც წინასწარმეტყველმა უნდა აღასრულოს. მისტერია ამ დავალების გამოცხადებრივი მიღებისა აიძულებს მოსეს თავის მბრძანებელსა და ამ საკრალური მისიის მომნიჭებელ ზეციურ ძალას, ანუ ებაელთა ღმერთს, ჰკითხოვს მისი ვინაობა და სახელი. ამ კითხვაზე პასუხის მიღება ნიშნავს თავად მბრძანებლის დაფარულ ვინაობასთან ზიარებას, საიდუმლოს მიღებას, ხელთდასხმასა და ცხებას ღვთიური უზენაესი ძალის სიტყვიერ საიდუმლო განსაზღვრულობასთან. ბიბლიურ სამყაროში ამგვარი ზიარებისა და ცხების ღირსება და პატივი აქვს ერთადერთ პიროვნებას: ეს მოსეა. ამ მისტიური გამოცხადებით განდობილი საიდუმლო, თვითგანსაზღვრება უფლისა და შემოქმედის, ვახლავთ: „მე ვარ, რომელი ვარ“, (Évay εἰμι ὁ ἄν), ანუ: „მე ვარ ის, რომელიც არის“ — ღმერთი არის ის, რაც არსებულა.

— როგორ ვუთხრა ხალხს შენი სახელი?!

როგორც ჩემი შემნესი და ჩემი განუყრელად თანმხლები სულის?! ვინ მავალებს და მავალდებულებს ჩემი ხალხის გამოსხნას ეგვიპტური ტყვეობიდან?! — ეკითხება მოსე უფალს მისი გამოცხადების უამს ხორების მთაზე, და უფალი უპასუხებს: — შენ გავალბესო ამას თავად „მე ვარ-ი“, ანუ „ის, ვინც არსებულა“ (დღევანდელი ქართულით!). სხვანაირად: ის, რომელმაც სამყარო შექმნა. ანუ რომელმაც არსებობა მიანიჭა ყველაფერს. რუსთაველის ფრაზით რომ ვთქვათ: „რომელმან შექმნა სამყარო“, თავად არის ის, რაც არსებობაა თავისთავად, ანუ ის, რაც „არსებულა.“ სიტყვა „არსებული“ აქ ასომთავრულით დანერვილად უნდა ვიგულისხმოთ.

შემთხვევითი არ არის, რომ პლატონს უწოდებენ საბერძნეთის მოსეს. მოსე წინასწარმეტყველის ხუთნიგნეულში გადმოცემული, ხორების მთის გამოცხადების ეს ფუნდამენტური მნიშვნელობის თეოლოგიური ფორმულა სამყაროს შემოქმედი ღმერთის განსაზღვრებისა, როგორც „რომელი ვარ“ — ისა, ანუ „არსებულის“ (ὁ ἄν-ის), ხდება ქვაკუთხედი მთელი პლატონური ფილოსოფიისა და შემდგომ კი მთელი დასავლეთ ევროპული ფილოსოფიური აზროვნების.

τί τό ὄν αἶψί γένεθ' ὄν δ'ε οὐκ ἔγνων καί τί τό γιγνόμενον μὲν αἶψ' ὄν δ'ε οὐδ'ἔνοστε. - ამ ფორმულირებით დასვამს ამ საკითხს პლატონი: „რა არის ის, რაც მარად არსებულა, სანყისის არმქონე, და რა არის ის, რაც მარადქმნადია და არასდროს არსებულა?!“

განსხვავებით იმ ბიბლიური ცნებისაგან, რომელიც ხორების მთის გამოცხადებაში, შემოქმედი ღმერთის საიდუმლო სახელწოდებად გვევლინება (ე.ი. განსხვავებით ὁ ἄν-ისაგან, რომელიც ბერძნულ ენაში მამრობითი სქესის მიმღებობას წარმოადგენს, რადგან მამალმერთის აღმნიშვნელი გასახელებული ზედსართავია), პლატონის ცნობიერებაში გადმოიცემა საშუალო სქესის გასახელებული ზედსართავით: ბერძნული ენა ამის საშუალებას იძლევა — τὸ ὄν-ით. იმისათვის, რომ „არსებობის“ ღვთაებრივი და მარადიული შინაარსი მინიური, ანუ ამქვეყნიური და ცვალებადი არსებობისაგან განასხვავოს, იმ ცვალებადი და მარადქმნადი არსებობისაგან, რომელიც სწორედ ამ ცვალებადობის გამო საერთოდ ჰკარგავს „არსებულის“ მნიშვნელობას, პლატონი მას მოუძებნის ახალ განსაზღვრებას, ახალ ეპითეტს და უწოდებს „ჭეშმარიტად არსებულს“, ანუ „ნამდვილად არსებულს“. ასე მივიღებთ ბერძნული ფილოსოფიის უმთავრესი ფილოსოფიური ცნების, ქვაკუთხედი ცნების პლატონურ სახეობას: „ნამდვილმყოფს“, ანუ ბერძნულად „to ontos on“-ს.

ბიბლიურ-მონოთეისტური თეოლოგია τὸ ἄν-ის, ანუ ამ მამალმერთული „არსებულის“ თეოლოგიაა, იგივე ასომთავრულით დანერილი მამა-ღმერთის აღმნიშვნელი ბერძნული მამრობითი სქესის მიმღებობის, ისევე, როგორც თავად ბერძნული და შემდგომ მასზე დამყარებული მთელი დასავლური ფილოსოფიის ისტორია არის პლატონის „ნამდვილ მყოფის“ (τὸ ὄν-ის) შემეცნების ეპოქალური ეტაპების ისტორია. მაგრამ კაცობრიული ცნობიერების τὸ ὄν-ისადმი მი-

მართება, ანუ კაცობრიული წინაქრისტიანული ცნობიერების წყურვილი ნამდვილ ყოფნის რაობაში გარკვევისა და წვდომის, ვერ იფარგლება მისი ევროპულ ფილოსოფიური განგრძობით. მთავარი სწორედ ის რელიგიური განგრძობა და რელიგიური მიმართულება ხდება კაცობრიობისათვის, რომელიც დაკავშირებულია ქრისტეს მოვლინებასთან და ახალი, ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებასთან, იმ ადამიანურ ყოფიერებაში, რომელშიაც „არსებული“, ანუ „მყოფი“ დამკვიდრებულია უზენაეს ძალად მთელს უსასრულოდ განფენილ სამყაროში.

სწორედ მოსეს ხალხში, სწორედ იუდეური თეოლოგიისა და იუდეური რელიგიური ეთიკის წიაღში განხორციელდება მაცხოვრის, იესო ქრისტეს მოვლინება სრულიად ახალი მოძღვრებით, ახალი თეოლოგიითა და ახალი ეთიკით, რომლითაც იგი, იესო ქრისტი, როგორც ძე ღვთისა და ტოლი ღვთისა, ამ მოვლენის შემოქმედია ხდება. როგორც კი ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე, იმპერატორი ბიზანტიისა — კონსტანტინე დიდი — მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე 318 მამას დაითანხმებს ფორმულირებაზე, რომ იესო ქრისტი არის თანაარსი მამისა, („homousius“ — ბერძნ. ტერმინით), უკვე ეკლესიის მამათა ცნობიერება შეითავსებს მამალმერთის აღმნიშვნელ ამ ბიბლიურ სახელსაც: „არსებულსაც“ (ὁ ἄνω-საც) და იესო ქრისტი მთელ ქრისტიანულ თეოლოგიაში და, აქედან გამომდინარე, მთელ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ხდება აგრეთვე ὁ ἄνω-ი, ანუ „არსებული“, ის, ვინც არსებულია, „არსებული“ — დანერგილი ასომთავრული ქართულით, იგივეობრივი იმისა, „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა“. ძისა და მამის ერთიანობის ლოგიკა კი ნავა იმდენად შორს, რომ ეკლესიის მამებს სავედრებელ ლოცვებში სამყაროს შემოქმედი მამის თანაარსს — იესო ქრისტეს წარმოაჩენინებს უკვე როგორც თავად ებრაელი ხალხის გამოყვანს ეგვიპტური ტყვეობიდან.

წინამდებარე მოხსენების მიზანს არ შეადგენს წარმოჩინება იმისა, თუ როგორ დაუპირისპირდა იუდეურ ეთიკას ქრისტეს ეთიკური მოძღვრება. წინამდებარე მოხსენების მიზანი თეოლოგიური ჩვენებაა ლოგიკური დაპირისპირებისა, რომელიც სახეზეა ძველი აღთქმისეულ თეოლოგიაში ბიბლიის პირველსავე ფურცელზე. კიდეც გავიხსენოთ იესო ქრისტეს სიტყვები, სახარების გზით მოღწეული ჩვენამდე: „ესე ჩემი მოძღვრებაი არა ჩემი არს, არამედ მომავლინებელისა ჩემისა“.

ჩვენს წინაშეა ერთი და იგივე მომავლინებლის ორი მოვლინებული: წინასწარმეტყველი მოსე და თავად იესო ქრისტი. ამასთან არჩევანის წინაშეა ორი სხვადასხვა რელიგიური მოძღვრება: პირველი — იუდეური, მეორე — ქრისტიანული. ორივე მოძღვრების პირველი უზენაესი სტატუსია ὁ ἄνω-ი, ანუ „არსებული“, „მყოფი“, „ის, რაც არსებულია და მყოფი“.

იესო ქრისტეს თეოლოგიური მოძღვრების მთავარი სამიზნე ხდება ერთპიროვნულობა ამ „არსებულისა“ ანუ საკუთარი მომავლინებლისა: გარდა იმისა, რომ იესო ქრისტი თავად აცხადებს თანაარსობას მამასთან, როდესაც ბრძანებს: „მე და მამაი ერთნი ვართ“, თავადვე აცხადებს თა-

ნაარსობას სულიწმიდისასაც მამასთან: რადგან იესო ქრისტესთვის არ არსებობს მამა სულიწმიდის გარეშე; სულიწმიდა ქრისტესთვის არის თავისთავადი და განუყრელიც მამისაგან, თვითპიროვნულიც და თანპიროვნულიც, მაშინ როდესაც, იუდეურ გაგებაში სულიწმიდის ინდივიდუალური მნიშვნელობა და პიროვნულობა გამოირიცხულია. იუდეური გაგება მამისა და სულიწმიდისა, არა თუ არ უდრის ქრისტიანულ გაგებას მამისა და სულიწმიდისა, არამედ უპირისპირდება მას. ეს ორი გაგება, იუდეური და ქრისტიანული გაგება სულიწმიდისა გამოირიცხავს ერთიერთს. მიუხედავად იმისა, რომ თავის ვინაობას თავის ხალხს იესო ქრისტი განუმარტავს, როგორც მთლიანობაში მყოფს მამალმერთთან და ამცნობს მათ, რომ „მე და მამაი ერთნი ვართ“, იმასაც დასძენს, რომ — თქვენ მოგეტყვებათ ჩემი გმობაც და ვერცნობაც, მაგრამ თქვენ დაგმობილი გყავთო სულიწმიდაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ მიუტყვევებელი ცოდეგაქვთო ჩადენილი. „დაგმობილი“ ნიშნავს ოდესღაც „არსებულს“. რადგან ის, რაც არ არსებობს, იმის გმობა არ შეიძლება! ასე, რომ იესო ქრისტეს მოძღვრების თეოლოგიური არსი წარმოვლინდება არა რაიმე ახალი ჰიპოსტაზის აღმოჩენაში, არამედ სულიწმიდის ზეციური ძალმოსილების აღორძინებასა და ახლებურ გააზრებაში, სულიწმიდის დაგმობილი ზეციური ტახტის ხელახალი დამკვიდრების მოთხოვნაში. იესო ქრისტეს განცხადება, რომ „მე და მამაი ერთნი ვართ“ აღაშფოთებდა იუდეველ მნიშვნობრებს, რადგან იესო ქრისტი ამით უკვე აუქმებდა ებრაელთა ღმერთის ერთპიროვნულ ქვეყმარტებას; ამას ემატებოდა მისეული აღიარება სულიწმიდის, როგორც უზენაესი პიროვნული ძალის, რითაც მამა ქვეყნიერებისა უკვე იძენდა სრულიად ახალ შინაარსს, სრულად განსხვავებულს სულიწმიდის ძველი აღთქმისეული გაგებისაგან.

გავიხსენოთ: იესო ქრისტეს ბრალად სდებდნენ კავშირს ეშმაკეულ ძალთა უზენაეს განმგებელთან: ბელზებელის, ანუ ბელზებაალის გზით განასხამსო ეშმაკთ. იესო ქრისტი კი აღიარებდა სულიწმიდის ძალას თავისთავში (ქრისტეში) და უშატიებელ ცოდვად მიიჩნევდა იუდეველთაგან სულიწმიდის გმობას. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: არის სულიწმიდა ძველ აღთქმაში?! და თუ არის, რა არის იგი? როგორია სულიწმიდის გაგება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველისეულ ცნობიერებასა და მსოფლალქმაში?! რა არის ის, რაც არსებულია ქრისტესთვის და დაგმობილია იუდეველთათვის?!

არ არსებობს წინასწარმეტყველი ბიბლიისა, სულიწმიდის ძველი აღთქმისეული გაგებით, რომელზეც სულიწმიდა არ იყოს გადმოსული. ღვთაებრივი მთავარებისა და სულისმთაბერვის, ანუ ინსპირაციის ეს ნიშანი მთელი ბიბლიური ყოფიერების განუყოფელი და ორგანული მახასიათებელია. არ არსებობს წინასწარმეტყველება სულიწმიდის გარეშე.

„უფლის სულია ჩემზე (გადმოსული), ვინაიდან მან მცხო მე გლახაკთა სახარებლად“ (ლუკა 4,18) — ბრძანებს თავად იესო ქრისტი. სულიწმიდის ძველ აღთქმისეულ მისტერიათა შორის კულმინაციას წარმოადგენს „რიცხ-

ვთა ნიგნში“ აღწერილი „სულთმოფენობის“, უფრო ზუსტად, „სულის გარდამოსვლის“ ძველი აღთქმისეული სასწაული, რომლითაც მოსე წინასწარმეტყველზე გადმოსული სული უნდა ებრაელი ხალხის 70 რჩეულ უზუცსზე გადაზიარდეს. სულთმოფენობის ეს ძველი აღთქმისეული მისტიური აქტი უზუცსთა ღვთაებრივი შეპყრობილებითა და ქადაგად დაცემით არის გადმოცემული. რაც მთავარია, „სული ღვთისა“, რომელიც ესოდენ მკაფიოდ არის გამოხატული წინასწარმეტყველებისა და მისტიური ამეტყველების პროცესებში, ბიბლიაში, უპირველეს ყოვლისა, (რაც ყველაზე მნიშვნელოვანია), გვევლინება სამყაროს შექმნის „ექვსდღიურში“. იგი (სულიწმიდა) ფაქტობრივად მონაწილეა სამყაროს შექმნისა. სულიწმიდის ახალ აღთქმისეული მისტერია, სულთმოფენობა, ანუ 50-ე დღეს მოციქულებზე სულის გარდამოსვლა და მათი ამეტყველება მათთვის უცხო ხალხების ენებზე, არის სულიწმიდის მოვლინების ახალი კოსმიური ფორმა, როდესაც იგი მოქმედებს ერთდროული წარმოგზავნილობით მამისა და ძის მიერ. მამისაგან უკვე მოვლინებული, უკვე ჯვარცმული და ზეცად აღმდგარი, უფალსა და კაცობრიობას შორის ჩამდგარი იესო ქრისტეა უკვე ზეციური განმგებელი სულიწმიდის ამქვეყნიური მისიის მართვის. იესო ქრისტე დგას მამასა და სულიწმიდას შორის, როგორც შემაერთებული მათი ადამიანთა ცნობიერებაში. ხაზგასმით აღვნიშნავთ: შემაერთებული არა მათ ზეციურ არსებობაში, არა მათ იდეალურ, მისტიურ რაობაში, არამედ ადამიანთა ცნობიერებაში. ამიტომ ამჯერად ის მამასთან ერთად არის წარმომგზავნილი სულიწმიდის:

— „მე მამას შევევდრები და ის სხვა ნუგეშინისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ... ჭეშმარიტების სულს... ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს“. ბრძანებს იესო ქრისტე „როცა მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მე მოგივლენთ მამისაგან, ჭეშმარიტების სული, რომელიც მამისაგან გამოდის, ის დაამონმებს ჩემს შესახებ“ (იოანე 15, 16) „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში, თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს და მომავალს გაუწყობთ. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყობთ“. — ბრძანებს მაცხოვარი, იესო ქრისტე. (იოანე, 16, 13-14) (იოანე 14, 16-17—14,26.). დავაკვირდეთ სულიწმიდის მაცხოვრისეულ დახასიათებას: სულიწმიდა წარმოიგზავნება და ილაპარაკებს. მოლაპარაკეა იგი. პიროვნულობის მატარებელია!

ნიკეის პირველი საეკლესიო კრებით ჩამოყალიბებული ქრისტიანული მრწამსის მიხედვით სულიწმიდა არის ის, რომელიც გამოვალს მამისაგან. „გამომავლობა“ მამისაგან ქრისტეს მოძღვრებაში სრულიყოფა მისი, ე.ი. სულიწმიდის წარმოგზავნილობის ფუნქციით, რაც უკვე იოანე მახარობლის თეოლოგიაში ავლენს სულიწმიდის პიროვნულ შინაარსსაც.

ეკლესიის მამათა მოძღვრებამ ფუნდამენ-

ტური როლი ითამაშა სულიწმიდის ღვთაებრიობის განპიროვნებულ გაგებაში. სწორედ სულიწმიდის ამგვარმა გაგებამ განაპირობა ქრისტიანული წმ. სამების ფორმულირება, როგორც სამპიროვანი ერთარსისა და სამგვამოვანი ერთარსის. დავით აღმაშენებლის პოეტურ განცდაში ეს სამპიროვანი ერთარსი მოგვევლინება სამი მზის ერთმზეობაში. ნიკეის პირველი კრების ათანასესეული მრწამსით ქრისტიანული სამების არსი გადმოიცემა ფორმულით: „ჩვენ თაყვანს ვცემთ ერთ ღმერთს სამებაში... მამა არის ღმერთი, ძე არის ღმერთი და სულიწმიდა არის ღმერთი. მაგრამ ისინი სამი კი არა, მხოლოდ ერთი ღმერთია“. ამგვარად ჭეშმარიტება ებრაელთა ერთპიროვნული ღმერთისა — იეღოვასი — ქრისტეს და ქრისტიანული ეკლესიის მამათა მიერ დაგმობილ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა გზა სულიწმიდის ღვთაებრივ — პიროვნული გატოლები-სა მამასთან სულიწმიდის „არსებობისეულ“ გათანატოლებასაც ითხოვდა მასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ მოხდა. მამათა ძალისხმევამ მაინც ვერ შეჰბედა სულიწმიდას არსებობისეული განსაზღვრულობის მინიჭება: ანუ „ის, რაც არსებულია“, გახდა მამის გვერდით ძე ღვთისა — იესო ქრისტე, მაგრამ წმ. სამების შესამე ჰიპოსტაზი, ანუ სულიწმიდა ამგვარი სტატუსით მამათა ცნობიერებაში ვერ შეიმოსა, მიუხედავად იმისა, რომ „არსებულობა“ სულიწმიდისა ისეთივე გარდაუვალია წმ. სამებაში, როგორც „არსებულობა“ ძისა, ანუ იესო ქრისტესი.

ამგვარად ქრისტიანულმა მოძღვრებამ დაარღვია კიდეც ძველი აღთქმისეული მონოთეიზმი — მოძღვრება ერთი ღმერთის შესახებ და შეინარჩუნა კიდეც. დაარღვია სამყაროს შემოქმედი ძალის ერთპიროვნული გაგება და აღიარა სამპიროვნული, რომელშიც მამის, ძის და სულიწმიდის ერთიანობა აღიარა. მართალია, სულიწმიდისა და ძის ერთიანობა ხელშეუხებელი დარჩა, მაგრამ მამასთან გატოლების გზით, გაერთიანდა ძესთანაც. ბიზანტიის პირველივე მსოფლიო საეკლესიო კრებამ თავისი მრწამსით პერსპექტიულად განსაზღვრა ქრისტიანობის და ქრისტეს თეოლოგიური გაგების მომავალი მთელ მსოფლიოში. ამ პერსპექტივასა და თეოლოგიურ მიმართებებს ერთდროულად ჰქმნიდნენ ბიზანტიაში ეკლესიის მამებისა და ბიზანტიის საიმპერატორო გონებანი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ეკლესიის კაბადოკიელმა მამებმა გამოკვეთეს პრობლემა მაცხოვრის, იესო ქრისტესი მამალმერთთან თანაშემოქმედების შესახებ სამყაროს შექმნაში, რაც კონკრეტულად, მათი აზრით, მოსეს ხუთნიგნეულის სახელით ცნობილ ნიგნში, უკვე სამყაროს შექმნის ექვსდღიურში აისახა. ეს იყო შემოქმედება მეექვსე დღის, ანუ ადამიანის შექმნის, რომელშიაც უფალი, ღმერთი ცისა და ქვეყნის, თავის თავს ავლენს არაერთპიროვნულ შემოქმედებითი აქტის მონაწილედ. ეს აქტი ადამიანის შექმნის წინარე მომენტს გადმოსცემს ერთგვარი ზეციური თათბორისა და გადანწყვეტილებების მიღების სახით სხვა პიროვნულ

ძალასთან: „თქვა ღმერთმა: ვქმნათ კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად“, აცხადებს შემოქმედი და მიმართავს იგი ჩვენთვის მიუწვდომელსა და იდუმალ პიროვნულ ზენაარულ ძალას. — ვინ შეიძლებაოდა ყოფილიყო ეს იდუმალი პიროვნული ძალა — კითხულობენ ეკლესიის მამები და თვითონვე პასუხობენ — ვინ შეიძლებაოდა ყოფილიყო ეს ზეციური პიროვნული „მე“ თუ არა იესო ქრისტე, ძე ღვთისა, რომელიც მამაშია და რომელშიაც არის თავად მამაც. ამ საკითხს ჩვენ კიდევ განვაგრძობთ ქვემოთ.

ბიზანტიური შემოქმედი ღმერთის გაგება ბიზანტიის მფარველობაში მყოფ საქართველოში

— „ბიზანტია დასავლეთ ევროპის ხალხებისათვის აღასრულებდა ცოდნისა და განათლების უხვი წყაროს როლს. XII საუკუნის ბოლომდე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტია იდგა დასავლეთის ხალხებისათვის მიუწვდომელ დონეზე თეოლოგიის, ფილოსოფიისა და კულტურის სფეროებში. ეს უპირატესობა ბიზანტიისა (ევროპასთან მიმართებით) შეგნებული ჰქონდა დასავლეთის მხოლოდ ზოგიერთ საუკეთესო ადამიანს“ — წერს ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი — თეოდორ უსპენსკი.

XI საუკუნის II ნახევარში ბიზანტიური თეოლოგიისა და ფილოსოფიის სამყაროში ყველაზე პოპულარულ სახეებად გვევლინებიან მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი, რომელთაგან პირველი მასწავლებელია, ხოლო მეორე — მისი მოწაფე, ამასთან ინტელექტუალური მეამბოხე. იოანე იტალოსი, ანა კომნენეს ტერმინით: „ბარბაროსული გაბედულებით დაჯილდოებული პიროვნებაა და ამხედრებულია თავისი მასწავლებლის დოგმატური თვინიერების წინააღმდეგ“. მიქაელ ფსელოსი ქრისტეს მოვლინების ფილოსოფიურ წინასწარმეტყველებას უკვე პლატონის ნააზრევში ხედავდა. ბიზანტიური დოგმატური აზროვნების ამ დიდი ავტორიტეტის გზით ბიზანტიის იმპერია ქრისტიანული დოგმების განმარტებებსა და ქრისტიანული თეოლოგიის ჩამოყალიბებაში კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიას ეყრდნობოდა. მოძღვრება ქრისტესი ამით ისახებოდა საკაცობრიო გონითი ევოლუციისა და ღვთაებრივი გამოვლინების გვირგვინად.

— იოანე იტალოსმა, XI საუკუნის ბიზანტიური ფილოსოფიური აზრის ამ ბრწყინვალე და გავლენიანმა წარმომადგენელმა, ვერ შეძლო თავისი ფილოსოფიური სისტემა საეკლესიო მოდელზე თვინიერად მოერგო, რადგან უფრო მოაზროვნე იყო, ვინემ საეკლესიო თეოლოგი — წერს თეოდორ უსპენსკი.

ეს თავისუფალი ნება ჭეშმარიტების ძიებისა ძვირად დაუჯდა იოანე იტალოსს. საიმპერატორო ხელისუფლებას, რომელიც იმპერიის საეკლესიო ერთსულოვნებაზე იყო დაყრდნობილი, იტალოსის თავისუფალ აზროვნებასა და ეკლესიის დოგმატურ ტირანიას შორის არჩევანი არ ჰქონდა. იოანე იტალოსს, რომელიც ბიზანტიის იმპერიის მსმენელთა შორის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, ბრალად დაედო

უპატივცემულობა ეკლესიისა და იმპერიის ხელისუფალთა მიმართ.

1083 წლის 13 მარტს, 28 წლის განმავლობაში კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის სახელგანთქმული რექტორი — პროფესორი იოანე იტალოსი, ბრალდებული თავად ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი კომნენოსის მიერ, ეკლესიის მიერ შეჩვენებულ იქნა. ბერად აღკვეცას კი წინ არაფერი ედგა, რადგან ბერობა იყო მისთვის ცოდვა — დანაშაულთა მონანიებისა და სიკვდილისათვის მზადების თავშესაფარი. წარმოვიდგინოთ, რა მძიმე უნდა ყოფილიყო ამ ტრადიკული და შეჩვენებული მოაზროვნისა და მისი მონაფეების მდგომარეობა და ხვედრი ბიზანტიაში! და მათ შორის მისი მიმდევრის, ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრინის! იოანე იტალოსის 99 ტრაქტატიდან ერთი — 64-ე ტრაქტატი — დაწერილი ეპისტოლარული ფორმით: „აბაზგ გრამატიკოსს, გრამატიკოს ზოგიერთი საკითხის შესახებ“ — ქართულ მეცნიერებაში აღიარებული დასკვნით, მიმართულია მისი მოწაფის, იოანე პეტრინისადმი, რომელსაც დავით აღმაშენებელი, საქართველოს უდიდესი მეფე და მოაზროვნე, XI საუკუნისა და XII საუკუნის მიჯნაზე საქართველოში ინვეეს ახალი ფილოსოფიური აკადემიის, გელათის აკადემიის დასაარსებლად და სამართავად, ინვეეს ახალი და უდიდესი მისიით: გელათი, რომლის დამფუძნებლად და სამართავდაც დავით აღმაშენებელი იოანე პეტრინს ბიზანტიიდან ინვეეს, უნდა იქცეს „ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად!“ შეიძლება ითქვას, რომ იოანე იტალოსის მიმდევრისა და თანამოღვაწის — იოანე პეტრინის საქართველოში მოწვევით დავით აღმაშენებელს საქართველოში მოაქვს აზროვნების ის ჩირაღდანი, რომელიც იოანე იტალოსის მიერ კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტშია ანთებული, იმ იტალოსის, რომელიც ბიზანტიის იმპერატორისა და საეკლესიო კრების ერთობლივი ბრძანებით გაძევებულია ბიზანტიის ყველა სამოღვაწეო ასპარეზიდან. როგორც ვხედავთ, დავითი არ უშინდება ვითარებას და თავისუფალი აზროვნების ცეცხლს, ეკლესიური შეჩვენების გზით კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტიდან გაძევებულს, იტაცებს ბიზანტიის ქვემოქმედობაში მყოფ ქვეყანაში — ბიზანტიის ყველაზე განსწავლული დედოფლის, დავით აღმაშენებლის მამიდის, მართა — მარიამ ბაგრატიონის სამშობლოში. იოანე იტალოსის ქართველი მიმდევრის გზით ბიზანტიაში ჩამქრალი მისია მსოფლიოს გონითი და სულიერი წინამძღოლობისა დავითის ხედვაში უნდა გადმონაცვლებულ და გადმონათებულ იქნას საქართველოში! გელათში, რომლის თავდაპირველი სახელწოდებითი ფორმაა: „გაენათი“. როგორც ვხედავთ, თავისი აზრობრივი მისიის მიხედვით ასედაც იწოდება გეოგრაფიულად ეს სავანე მონასტრულ-განმანათლებლობითი კომპლექსისა: „გაენათი!“ ანუ ის, საიდანაც უნდა გაენათოს ყოველი.

იოანე პეტრინი, ბიზანტიური განათლებისა და ბიზანტიური ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების წარმომადგენელი, იოანე იტალოსის მსმენელად და მონაფედ ცნობილი, საქართველოში სწორედ მაშინ აღმოჩნდება მოაზროვნე

მეფის რჩეული, როდესაც მისი მასწავლებელი აღმოჩნდება ანათემაზე გადაცემული ბიზანტიის იმპერატორის მიერ, როდესაც ბიზანტიაში აღარც იტალოსის მონაფეებს ედგომებათ და აღარც ბიზანტიას სცალია ახალი თავისუფალი აზროვნებისათვის.

აღმოჩნდა, რომ დავით აღმაშენებლის მამიდა, ბიზანტიის ქართველი დედოფალი, მართა ყოფილი მარიამი, თავისი დიდი განათლებისა და ნიჭიერების გამო ღრმად დაკავშირებული ბიზანტიის ფილოსოფიურ წრებთან, ანათემაზე გადაცემულ ადამიანებთანაც იყო ღრმა სულიერ და ინტელექტუალურ კავშირში. იტალოსის ერთ-ერთი ფილოსოფიური ეპისტოლე — მარიამის მეუღლისადმი მიმართული, — აშკარად მეტყველებს იმაზეც, რომ იმპერატორი მიხეილ დუკა ბიზანტიის მამათათვის საშობ ინტელექტუალურ ლაბირინთებშია გახვეული.

სულ ახლახანს, ქ-ნმა თინათინ ცქიტიშვილმა თავის სადოქტორო დისერტაციაში: თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარებისეული განმარტებების შესახებ, განმარტებების, რომლებიც მარიამ დედოფლის დაკვეთით არის შესრულებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ განსაკუთრებულად წამოსწია წინ და, უნდა ითქვას, რომ ყველაზე მკვეთრად გააუღერა იმპერატორ მიხეილ დუკას მეუღლის, ბიზანტიის ქართველი დედოფლის — მართა-მარიამ ბაგრატიონის ინტელექტუალური ღვაწლი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში, საგანგებოდ კი — იმპერიაში ცნობილი მოაზროვნის — თეოფილაქტე ბულგარელისა და იოანე პეტრიწისეულ ურთიერთმიმართებაში. აშკარაა სრულიად, რომ ბიზანტიის იმპერატორი და დედოფალი სიღრმისეულად არიან ჩართულნი იმპერიის თეოლოგიური პრობლემების განხილვა-გადანყვეტაში. მაგრამ ეს მათთვის არის უკვე არა მხოლოდ საშიში შემეცნების საქმე, არამედ მამათაგან მხარდაჭერისა და საბოლოოდ მათ მიერ ძალაუფლების პყრობის მიზანიც. ფაქტიურად შიში, რომელიც კონსტანტინე დიდს ჰქონდა IV საუკუნის დასაწყისში, გამართლდა: ეს დოგმატური ომები დამინგრევენო იმპერიას — უთქვამს იმპერატორ კონსტანტინეს.

და უკვე დავით აღმაშენებლის დროს, წინასწარმეტყველური ნიჭით აღჭურვილ ნებისმიერ მმართველს ბიზანტიისას თუ საქართველოსას, შეეძლო განეჭვრიტა, რომ ქრისტიანობის ეს მეჩირაღდნე ქვეყანაც, ბიზანტიაც გადასარჩენი იყო და ბიზანტიის აზროვნებაც. თავისუფალი აზროვნების ცეცხლი, რომელიც იოანე იტალოსმა ბიზანტიაში დაანთო, ეკლესიურ-დოგმატური დიქტატურით ჩახშული, სწორედ იქ შეიძლება აელვარებულყო, სადაც დავით აღმაშენებლისთანა პიროვნება მეფობდა, პიროვნება, რომლისათვისაც არა მხოლოდ შინარელიგიური პაექრობანი იყო ტოლერანტობის საგანი, არამედ — სრულიად განსხვავებულ და ურთიერთდაპირისპირებულ რელიგიათმორისიც. ფილოსოფიურ აზროვნებასა და რელიგიაში ჩაღრმავების თავისუფალი შესაძლებლობები მხოლოდ ისეთ ქვეყანაში შეიძლება ხორცშესხმულიყო, რომელსაც ტოლერანტი და ღრმად მოაზროვნე მეფე განაგებდა, ქვეყანაში, სადაც

კაცობრიობის ისტორიაზე ამაღლების ძალა და დიდსულოვნება უხვად მომადლებულიყო ღვთისაგან, სადაც „ახალი ათენისა და მეორე იერუსალიმის“ იდეალი სახელმწიფო იდეალისა და სახელმწიფო მიზანდასახულობის დონეზე იყო ასული, სადაც ძალაუფლება საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის ისეთ უძლიერეს წარმომადგენელს ეპყრა ხელთ, რომელსაც შეეძლო ზემოდან დაეხედა ბიბლიურ მეფეთაგან თვით ყველაზე რჩეულთათვისაც კი, და თავისი ადამიანური და ეკლესიური სინანულის საგნად და სიჭაბუკის ცოდვად სწორედ ბიბლიურ მეფეთა გაიდევლება და მისაბამ მაგალითად აღიარება მიეჩნია:

„ვაცოდვე ერი ჩემი ვითარცა მეფეთა მათ მისთა-ისრაელი“

„ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევედ, გარნა ურჯულოთა“... —

— ჰგოდებს დავით აღმაშენებელი თავის „სინანულის საგალობლებში“, რომლებიც არა მხოლოდ მისი პიროვნული ქრისტიანული სიცოცხლისა და ქრისტიანული აზროვნების გვირგვინად არის მიჩნეული, არამედ სინანულის კაცობრიული განცდის პოეტურ შედეგადაც. „გალობანი სინანულისანის“ ზემოთმოხმობილ სტრიქონებში მოცემულ ამ თვითაღმატებულებას დავით აღმაშენებლისეული განცდისას აქვს თავისი პიროვნული და ისტორიული საფუძველი, რადგან ისტორიული რეალობით დავით აღმაშენებლის სულში, მის კაცობრიულ წინამორბედებზე, თუნდაც იმ დიდ და სახელგანთქმულ ბიბლიურ მეფეებზე უპირატესი ლამპარი ანთია, ყველა ნათელზე აღმატებული ნყარო ახალი კაცობრიული ნათლისა. მისთვის უზრალო რამ არ არის ის განგება და ბედსენერა, რომ იგი ქრისტეს მოვლინების შემდგომ დაბადებულ კაცია, რომ ნათელი ნუთისოფლისა მას ერგო წილად, როგორც მეფესა და ადამიანს. ეს ნათელი და ლამპარი, ცხადია მისთვის არის იესო ქრისტე, რომელიც დავით აღმაშენებელს, ერთის მხრივ, მოსავს უდიდესი თავმდაბლობით, და მეორე მხრივ, ადამიანური ღირსების უზენაეს მწვერვალზე აჰყავს: ჩვენს მიერ უკვე მოხმობილ „გალობანში სინანულისა“ დავით აღმაშენებელი განიცდის თავის თავს ყველაზე მდაბალ და ყველაზე ცოდვილ წარმომადგენლად კაცთა შორის: „მე უფსკრული შესაკრებელი ბლნებათა ღვართაი“ — წერს იგი. განა იგივე პათოსით არ არის დაწერილი მისი ანდერძიც, რომლითაც იგი უნდა დაიკრძალოს გელათის კარიბჭეში, რათა ფეხი დაადგას ყოველმან შემსვლელმან?! და ამავე დროს, რამხელა აღზევებაა, რაოდენი უპირატესობის განცდაა მის პიროვნულ ქრისტიანულ მეობაში, როდესაც ბიბლიურ მეფეთა მიმართ უკვე სულიერი სიმაღლითა და სულიერი უპირატესობით მონანული, ღვთისგან მინიჭებული ნილხვედრილობით განაცხადებს: „ისრაელისა მეფეთა ვბაძევედ, გარნა ურჯულოთა“.

ბიბლიურ მეფეთა პიროვნული ფენომენებით აღფრთოვანება და მიმბაძველობა მათი, სიჭაბუკისეულ ცოდვად განცდილი დავით აღმაშენებლის მიერ, უკვე დიდი ადამიანური და ეროვნული ცოდვის ხარისხშია აქ აყვანილი. ეს

დავით აღმაშენებლისეული ღრმად ქრისტიანული გოდება სინანულისა, ისრაელისა მეფეთაგან აღფროვანებისა და მათდამი მიმბაძველობის გამო, ჩვენს ხედვაში ერთგვარად ცნაურდება, როგორც მისტიური, საუკუნეთაშემდგომი პასუხი თავად ისრაელიანთა უდიდესი მეფის — დავით წინასწარმეტყველის გოდებაზე: „ვაიმე! ხიზანი ვარ მეშექისა!“ მართალია, 120-ე ფსალმუნის ეს სტრიქონი განიმარტება დავითის სახელით შექმნილად, მაგრამ ფაქტია, რომ იგი დავითისავე ეროვნული ცნობიერებისა და განცდის გამოვლენაა მხოლოდ. აქ, ამ მისტიკურიაში, საუკუნეთა წიაღ, თითქოს ერთმანეთს ესიტყვება ორი უდიდესი წარმომადგენელი კაცობრიული მოდგმის! უფლის წინაშე ჰგოდებს ორი დიდი „დავითი“! პირველი — ბიბლიური - მეფე და წინასწარმეტყველი ებრაელი ხალხისა და ავტორი ფსალმუნთა, ანუ ღვთისადმი საგალობელთა დიდი ციკლის, და მეორე — ავტორი თხზულებისა და უდიდესი ქრისტიანული ვედრება — აღსარებისა, რომელსაც ჰქვია: „გალობანი სინანულისანი“, ასევე მეფე — მგოსანი დარჩეული ქართველი ერის, წმინდანად შერაცხული ქართული ეკლესიისაგან და აღმაშენებლად წოდებული — ქართველი ხალხის მიერ. ბიბლიური „მეშექი“, როგორც ცნობილია, ნიშნავს „მესხს“, გოდება ბიბლიური დავითისა მიმართულია ზოგადად მესხური მოდგმის მიმართ, მესხები ხომ ქართველთა უმუშალო წინაპრები არიან, და თანამედროვე წარმომადგენლები ქართული მრავალფეროვანი ეთნიკური სტრუქტურისა. ეს ჩვენთვის ანბანური ჭეშმარიტებაა და არავისთან ვდაობთ. ხიზნობა, ანუ მდგმურობა მეშექისა, იმ ხალხისა, რომელიც ქართველი ერის გენეტიკურ წინამორბედად არის აღიარებული და ცნობილი, საგანია ბიბლიური დავითის გოდებისა. ამ გოდებიდან თითქმის ორჯერ თორმეტი საუკუნის შემდეგ, მეშექთა ანუ მესხთა, ანუ ქართველთა დიდი მეფე და სარდალი — დავით აღმაშენებელი, დგება რა მათზე მალა, გოდებით მოინანიებს თავის ჭაბუკურ ცდუნებებს ისრაელიანთა დიდი მეფეებით შთაგონებულობისა და მათდამი მიმბაძველობის გამო. ისრაელიანთა ბიბლიური მეფენი დავით აღმაშენებლისათვის არიან „ურჯულონი“ და ისეთი დიდი ქრისტიანისაგან, როგორსაც „მესიის მახვილი“ შეჰფერის ტიტულად ურჯულოთა მიბაძვა არ ეგების. და თუ ეს მიბაძვა შესდგა ახალგაზრდული ცდომილებით, იგი უნდა მონანიებულ იქნას, როგორც ცოდვა და შეცდომა ჭაბუკური უმნიფარი ხედვისა. ასეთია დავით აღმაშენებლის პოზიცია ისრაელიანთა ყველაზე დიდ და მისაბაძ მეფეთა მიმართაც კი. დავით აღმაშენებლის ამაღლებული სული ხედავს ახალი მსოფლიოს და ახალი კაცობრიობის იდეალს. მას აღარ აკმაყოფილებს ის იერუსალიმი, რომელსაც ურჯულო მეფეთა ტახტი და გონება განაგებდა და ახალი მსოფლიოსათვის სხვა იერუსალიმი და სხვა ათენი წარმოუდგენია კაცობრიული გონისა და ზნეობის მეჩირადღნედ. ამგვარად, იგი, აღმაშენებელი დავით, მპყრობელი საქართველოს სამეფოს სკიპტრისა და დიადი ეროვნული სულისა, ემიჯნება ბიზანტიასაც და ისრაელსაც.

თუ გავიხსენებთ, რომ დავით აღმაშენებ-

ლის მეფობამდე ბიზანტიის კუროპალატობა იყო ქართველ მეფეთა იმპერიული მოვალეობისა და თანამდებობრივი ღირსების ბიზანტიური სტატუსი, და გავიხსენებთ იმასაც, რომ დავით აღმაშენებელმა უარყო კუროპალატობა ბიზანტიისა, ამკარა ხდება, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს მეფის ღირსების შინაარსი ძირფესვიანად შეცვალა. აქედან გამომდინარე კი ლოგიკურია ისიც, რომ შეიცვალა მეფურ ცოდვათა გაგების ის სულისკვეთება და დიაპაზონიც, რომელიც დავითამდე, შესაძლოა, ბუნებრივი და მისაღები იყო. დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისა“-ში გამოხატა სრულიად ახალი, თავად ბიბლიურ მეფეებზეც ამაღლებული შინაარსი საქართველოს მეფეთა ღირსეულობისა. ამგვარი დავითი იდგა გელათის იმ ფილოსოფიური აკადემიის ქართული იდეალის მიღმა, რომელსაც იგი „სხვა ათენისა და მეორე იერუსალიმის“ — წოდებით მოიხსენიებდა.

1979 წელს ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩემს მიერ წარდგენილ მოხსენებაში: „დედაუფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“, სამზეურზე იქნა გამოტანილი იოანე პატრიწის ნააზრევის ერთ-ერთი შტრიხი, რომელიც გელათის აკადემიას, ჩვენის ფიქრით, ჭეშმარიტად ანიჭებდა ახალი ათენისა და ახალი იერუსალიმის მნიშვნელობას. ეს გახლდათ ბიბლიური ღმერთის თეოლოგიური სტატუსის, როგორც „არსებულის“ ანუ, „წამდვილმყოფის“ სრულიად საკუთარი, იოანე პეტრიწისეული განმარტება; ეს განმარტება ქრისტიანული თეოლოგიის ეპოქალურ ფონზე მთლიანად ცვლიდა ქრისტიანულ დოგმატურ აზროვნებასაც და მისგან, ანუ პეტრიწისაგან სათაყვანაბელ პროკლე დიადოხოსსაც, პროკლეს ფილოსოფიურ მოდელსაც.

როგორც მოგეხსენებათ, იოანე პეტრიწი უპირველეს ყოვლისა ქრისტიანული რწმენისა და ქრისტიანული აზროვნების წარმომადგენელი იყო. ქრისტიანულ-ფილოსოფიური აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი, გელათის აკადემიის წესდების მიხედვით, სასულიერო წოდებითაც უნდა ყოფილიყო უსათუოდ შემოსილი. ცხადია, იოანე პეტრიწი მოაზროვნე იყო და თავისი დროის გონით მონაპოვრებისათვის არ შეეძლო ზურგი შეექცია. მაგრამ იოანე პეტრიწისეული მისია გელათის ფილოსოფიური აკადემიის სულიერი წინამძღოლობისა ბიზანტიური დოგმატური ჩარჩოებისაგან თავისუფლებით ვერ ამოიწურებოდა. „ახალი ათენისა და მეორე იერუსალიმის“ იდეა მისგან, როგორც ფილოსოფოსისაგან ითხოვდა მთელი კაცობრიული აზროვნების მონაპოვართა გათვალისწინებასა და საკუთარი საყრდენების წარმოჩენას. პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ე.წ. „ბოლოსიტყვაობაში“, სრულიად გამჭვრევად იკითხება, რომ ასედაც განუსაზღვრავს იოანე პეტრიწის, როგორც გელათის ფილოსოფიური აკადემიის მოძღვართ-მოძღვარს, თავისი ამოცანა: ქალდეურისა, ელინურისა და ებრაული ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძველზე აღმოცენებული ახალი ქრისტიანული აზროვნების დამკვიდრება. იოანე პეტრიწი პლატონის



ფილოსოფიის ახალი, ქრისტიანული ეპოქის აღმავლობის, პლატონის ახალი აღზევების, ანუ ნეოპლატონიზმის მიმდევარი იყო. პლატონი იყო მისთვის დღე და ნათელი ღვთისმეტყველებისა. ფაქტობრივად ნეოპლატონიზმში იყრიდა თავს კაცობრიული შემეცნების მთელი ისტორია. მისი სათაყვანებელი პროკლე დიადოხოსი აჯამებდა ეპოქალურ მსფლმხედველობრივ მოძრაობას ნეოპლატონიკოსებისას და ამჯამს „თეოლოგიის მთავარსაფუძვლებით“ გადმოსცემდა. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლები“ პროკლესი გახლდათ თხზულება, რომელიც იოანე პეტრინმა გელათის ფილოსოფიურ აკადემიასა და ქართული აზროვნების ახალ ეპოქალურ მოძრაობას დაუდო საფუძვლად. თავისუფალი აზროვნების პეტრინისეული ტემპერამენტი იმდენად იყო შემძლე შეუძლებლის შესაძლებლად ქცევისა, რომ მან თავს ნება მისცა, გელათის ქრისტიანულ-ფილოსოფიური აკადემიის მსვენელთათვის პროკლეს სრულიად არაქრისტიანული თეოლოგიის მთავარსაფუძვლები დაედო სახელმძღვანელო წიგნად. უფრო მეტიც, მან (იოანე პეტრინმა) როგორც ნეოპლატონიკოსმა პროკლეს ქრისტიანული ნაკითხვა და ქრისტეს სამსახურში ჩაყენება დაისახა მიზნად.

ცხადია, „თეოლოგიის მთავარსაფუძვლებში“, რომელიც იოანე პეტრინმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა და განმარტებები დაურთო, პროკლე ნეოპლატონიკოსი იყო, ანუ წარმომადგენელი იმ საკაცობრიო გონითი მოძრაობისა, რომელმაც ბიბლიური თეოლოგიის მთავარი სუბიექტის — სამყაროს შემოქმედი მამალმერთის, ანუ ქვეყნიერების პირველსაწყისის ახალი, არა მამალმერთისეული განსაზღვრება შექმნა და მთელი ბიბლიური თეოლოგია დაანგრიდა.

„არც ერთი გონიერი ადამიანი არ დაიჯერებს, რომ არქიტექტორი და ხუროთმოძღვარი თავიანთი ხელებით აშენებენ შენობას, რომლის ხილვითაც ხუროთმოძღვარი ტკბება“ — წერდა ელენე ბლავაცკაია. სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არა გვაქვს ელენე ბლავაცკაიას „საიდუმლო დოქტრინის“ ინგლისური ტექსტი, ამიტომ ამ ციტატას რუსული თარგმანით შემოგთავაზებთ: *Ни один разумный человек не поверит, что чертежник и зодчий своими руками построили здание, которм он любит. («Тайная Доктрина»).*

„თანახმად ყველა ძველი თეოლოგიისა და პითაგორასეული და პლატონისეული დოქტრინებისა —, ზევსი, ანუ სამყაროს უშუალო აღმშენებელ-შემოქმედი (Строитель Вселенной) არ არის უზენაესი ღმერთი, ისევე როგორც ადამიანში არ არის გონება — უმ — უზენაესი. ზევსზე უზინარესია ქრონოსი, ხოლო ჰომეროსთან უზენაესია ღამე, რომელსაც თავყენს სცემს თავად ზევსი“ (Т.Д. გვ. 526) ამიტომ ჰომეროსი დუმილით უვლის გვერდს არა მხოლოდ პირველ პრინციპს, არამედ იმ ორ პრინციპსაც, რომლებიც უშუალოდ მოსდევენ პირველს: ეთერი და ქაოსი ორფეოსისა და ჰესიოდესი, და საზღვრულობა და უსაზღვრობა პითაგორასი და პლატონისა“ — წერს ელენე ბლავაცკაია „საიდუმლო დოქტრინაში“. (იქვე)

ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დასახელებულ მოხ-

სენებაში: „დედაუფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“, რომელიც ჩვენ ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარვადგინეთ 1979 წელს, სწორედ ეს საზღვრულობა და უსაზღვრობა პითაგორა-პლატონისა გახდა ჩვენი ყურადღების საგანი იოანე პეტრინთან, როგორც ქართველ ნეოპლატონიკოსთან და ახალი აზროვნების წარმომადგენელთან, და სწორედ ამ საზღვრულობისა და უსაზღვროებისაკენ მიგვყავს ჩვენი მსჯელობა ახლაც.

ბერძნული ფილოსოფიური ფრაგმენტების ცნობილი ინგლისელი მთარგმნელი თომას ტეილორი კატეგორიულად შენიშნავს, რომ არც ერთი ხალხი არასოდეს არ მიიჩნევდა ყოფიერების პირველ პრინციპს სამყაროს უშუალო შემოქმედად, ე.ი. იმას, რაც ბიბლიურმა ცნობიერებამ დაამკვიდრა კაცობრიობის ცნობიერებაში, და რაც წინარე კაცობრიული თეოლოგიური სისტემებით მიუღებელი და გაუმართლებელი იყო. წინარე ებრაული ცნობიერება სამყაროს უპირველეს პრინციპს ხედავდა ყოფიერების უფრო სიღრმისეულ, უფრო მეტად მეტაფიზიკურ, ანუ უფრო მეტად ტრანსცენდენტურ წიაღში, ვინემ ამას ბიბლიური თეოლოგიური ცნობიერება ხედავს.

— „როგორც ჩანს — წერს თომას ტეილორი — ებრაელები ვერ ავიდნენ უშუალოდ სამყაროს შემოქმედზე მაღლა“ («Еврей очевидно, не поднялись выше ... непосредственного Строителя Вселенной») — ელენე ბლავაცკაია თომას ტეილორის ამ სიტყვებს თავის „საიდუმლო დოქტრინაში“ გადმოგვცემს მსოფლიო თეოლოგიისა და თეოგონიის შემოქმედი ღმერთების განმარტებათა კონტექსტში: (Т.Д. გვ. 524)

სწორედ აქ, შემოქმედზე აღმატებული ძალის აღიარებაში უერთდება ნეოპლატონიზმი უძველეს თეოლოგიურ სისტემებში ასახულ ხედვას, ყოფიერების ფარული და უხილავი აღნაგობისას.

პროკლემ ყოფიერების უმაღლეს პრინციპად აღიარა ის, რაც შემოქმედ ღმერთზე მაღლა დგას, ხოლო ბიბლიური შემოქმედი და ერთი ღმერთი, როგორც უზენაესი, უარყო. შემოქმედზე აღმატებული მისთვის აღმოჩნდა უფრო იდეუმალი, უფრო წმინდა და უფრო ერთი, უერთესი ძალის მპყრობელი, აღმოჩნდა: ყოვლად ერთი: «ЕДИНИЙ ИЗ ЕДИНЫХ», ერთი ანუ უერთესი ერთთა შორის და უგამოუქმედესი იდეუმალთა შორის. (Т.Д. გვ. 526). პირველი პრინციპი, ანუ ერთიანი პრინციპი ინოდებოდა „ზეციურ წრედ“, და სიმბოლიზირდებოდა იეროგრაფით, ანუ წერტილით წრეში, ან წერტილი ტოლფერდა სამკუთხედში, რომელშიც წერტილი ნიშნავდა ლოგოსს (Т.Д. გვ. 527).

ნეოპლატონიზმმა ბიბლიურ ღმერთს, რომელიც უსათუოდ შემოქმედი უნდა ყოფილიყო და უსათუოდ მამა — ღმერთი და ამასთან უსათუოდ ერთი, უზენაესობაც მოხსნა და ერთობაც წაართვა. მისთვის შემოქმედი არ შეიძლება იყოს ის, რაც არის „ერთი“. ბრძანებდა ფილოსოფოსი ეპოქისა. პროკლემ ბრწყინვალედ და დაწურულად ჩამოაყალიბა ეს ნეოპლატონური გონითი იერიში ბიბლიურ შემოქმედზე,



იერიში, რომელიც კაცობრიობის აზროვნებაში გადატრიალების ტოლფასი იყო. „იმისათვის, რომ შემოქმედი იყო, ჯერ უნდა იყო, ანუ ჯერ უნდა არსებობა გქონდეს“ — წერდა იგი. ამიტომ „არსებობა“, „ყოფნა“ წინ უსწრებს შემოქმედებითობას. უფრო მეტი: ის, რაც ბიბლიური გაგებით შემოქმედია და ნამდვილმყოფი, მხოლოდ მომდევნო საფეხური შეიძლება იყოს იმისა, რაც არსებულია და მყოფი. „არსებული“ და „მყოფი“ უფრო მიღმეირია-ო, ვინემ „შემოქმედი“. უფრო მეტი: ის, რაც ბიბლიური შემოქმედია და ნამდვილმყოფი, მის მიღმა არისო „არსებული“, ამასთან თუნდაც, როგორც „არარსებული“. ნეოპლატონიკოსებისათვის სწორედ ეს „არარსებული“ ხდება „უფრო ჭეშმარიტად არსებული და ერთი“. ერთი სიტყვით: ბიბლიური შემოქმედის, როგორც „არსებულის“ მიღმა „არსებული“ „არარსებული“ არის უკვე უფრო მეტად, უფრო ჭეშმარიტად არსებული და ერთი“.

ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ აქ გაჩნდა ადგილი მსოფლიოს ახალ ეპოქალურ აზროვნებაში ქართული ცნობიერების შემოჭრის: იოანე პეტრიწმა კიდევ უფრო სიღრმისეულად განმარტა ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური „არსებული“, რომელიც ბიბლიური შემოქმედისა და მამა — ღმერთის იგივეობად მოიაზრებოდა პითაგორიანულსა და პლატონურ სისტემებსა და ნეოპლატონურ მსოფლალქმაში. სწორედ ამ ბიბლიურ TÓ ΛΟΓΩ-ში ანუ „არსებულში“, თავად მამა ღმერთის მიერ მოხე ნინასწარმეტყველისათვის გამხვდელი საიდუმლო სახელში, იოანე პეტრიწმა შემოიტანა პირველსაზღვრულობისა და პირველუსაზღვრობის პოტენციათა ისეთი მთლიანობა, რომელმაც ლოგიკურადაც და შემეცნებითადაც საბოლოოდ დაამხო ერთყოფნა სამყაროს შემოქმედისა. შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს შემოქმედის ბიბლიურ ცნებაში, რომელიც მხოლოდ მამა ღმერთი იყო, იოანე პეტრიწმა ამოიკითხა საზღვრულობისა და უსაზღვროების ისეთი მთლიანობა, რომელშიც საზღვრულობა ნიშნავდა მამურობას, ხოლო უსაზღვროება ნიშნავდა დედურობის ძალას, დედურობის პოტენციას. იოანე პეტრიწის აზროვნება ჯერ კიდევ მუხსნაველია და ჯერ კიდევ მოუზადებელია ის ტექსტოლოგიური და ფილოსოფიური აპარატი, რომელიც მისი სრულყოფილი შემეცნებისა და შეფასებისათვის არის საჭირო. ვიმეორებთ: იოანე პეტრიწის აზროვნებაში ჩვენ შევხვებით მხოლოდ ერთ შტრიხს ბიბლიური შემოქმედის განსაზღვრებისას, შევხვებით „პროკლეს თეოლოგიური მთავარსაფუძვლების“ იოანე პეტრიწისეული განმარტებების მიხედვით, რადგან ეს ერთი შტრიხიც მივიჩნით საკმარისად და მნიშვნელოვნად პეტრიწისეული აზროვნების ახალი, სრულიად ეპოქალური მნიშვნელობის საჩვენებლად. იმისათვის, რომ ამ ერთი შტრიხის ფილოსოფიურ-თეოლოგიური და რელიგიური ღირებულება უფრო მკვეთრად ვიგრძნოთ, შევხვებით, რომ პროკლეს „თეოლოგიური მთავარსაფუძვლების“ ჩვენს მიერ მიზანში ამოღებული პეტრიწისეული განმარტება ეხება სამყაროს შემოქმედის იმ ბიბლიურ ჰიპოსტაზს, რომელიც სამყაროს შექმნისეულ ყველა სხვა ღვთაებრივ ქმედებებთან ერთად, არის ამავე

დროს ადამიანის შემოქმედი, შემოქმედი ხატად და მსგავსად თვისად. ამასთან: მამაკაცად და დედაკაცად.

1979 წელს ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩვენეულ მოხსენებაში: „გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში გამართულ ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც გერმანელი აკადემიკოსი, ბ-ნი ირმშერი თავმჯდომარეობდა, ჩვენ დავაყენეთ საკითხი ბიბლიური შემოქმედი ღმერთისა, როგორც დედნისა და მის მიერ შექმნილი ხატის, ანუ ადამიანის ურთიერთმიმართების შესახებ. ერთი სიტყვით: ბიბლიური დედნისა და ბიბლიური ხატის ურთიერთმიმართების შესახებ. ამასთან ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე ჩვენ თავადვე ვუპასუხეთ: ბიბლიური ხატი არ არის ხატი ბიბლიური დედნისა და დედანი არ არის დედანი ამ ხატის. ისინი არ შეესაბამებიან ერთმანეთს, რამეთუ დედანი არის მხოლოდ „ერთი“, ამასთან მამა ღმერთი, ხოლო ხატი არის არაერთი, დედაკაცაცა და მამაკაცაც. და რადგან ხატი არის დედაკაცაცა და მამაკაცაც, მაშინ დედანიც უნდა იყოს შემცველი ორივე სანყისის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ცნობიერებისაგან ფარულად, მამა-ღმერთის ნეკნში ისევე დამარხული დედაუფალი, როგორც ადამის ნეკნშია — ნეკნის ამოღებამდე — დამარხული ევა. ჩვენეული მოხსენება, როგორც ფილოსოფიური განგაში ბიბლიურ თეოლოგიაში დედა უფლის კუთვნილი ზეციური ტახტის აღდგინებისა, ჩვენ ავხსენით იქვე, როგორც განგაში დედური სანყისით კოდირებული იბერიული ცნობიერებისა, რომელიც კოსმიურად იყო და არის ნიღბვედრილი დედური სანყისის ზეციური მფარველობის. ნლების შემდეგ ჩვენი მოხსენების ნაკითხვიდან, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ამგვარი მოხსენების ნაკითხვა, შეიძლებოდა უმტიკვნეულოდ განხორციელებულიყო მხოლოდ ათეისტურ სახელმწიფოში, ქრისტიანულ ქვეყანაში კი, არა თუ ისტორიულად, დღესაც შეუძლებელი გახლავთ მსჯელობა და პრობლემაში ჩაღრმავება.

ნლების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მეთხუთმეტი საუკუნეში ნიდერლანდელი თეოლოგი იოანეს კამპანუსი საგაჟეთში ჩაუკეტავთ იმის გამო, რომ ბიბლიურ ღმერთში, როგორც მისი შექმნილი ხატის დედანში, ხატის, ანუ მისი მამაკაცური და დედაკაცური „ანაბეჭდის“ ანალოგიით, დედაკაცისა და მამაკაცის ორსანყისიერება დაუნახავს და ხმამალა დაუსვამს ეს კითხვა: ანდერსენის ცნობილი ზღაპრის უმანკო გვირის მსგავსად, რომელმაც იყვირა: „მეფე შიშველია“-ო, ამ უმანკო ნიდერლანდელმაც იყვირა თურმე შექმნილი ხატის მიხედვით, რომ სამყაროს შემოქმედი უნდა იყოს ორსანყისიერი ერთი! ნიდერლანდებში ჩასული, 2005 წელს, პირადად შევეცადე მეპოვა რაიმე ცნობა ამ თეოლოგის შესახებ, მაგრამ ამაოდ. მისი სახელის გამგონესა და მცოდნეს ნიდერლანდებში ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

გაგრძელება იქნება



ბიოგრაფიული
მხატვრული

ბიოგრაფიული მხატვრული — ახალი სახე

აპრილი დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის გიორგი შატბერაშვილის თვეა — 14 აპრილს დაიბადა და აპრილშივე გარდაიცვალა. წელს დაბადებიდან მე-100 წლისთავი უსრულდება ამ სახელოვან მწერალს, რომელიც გამოირჩევა თავისი ძლიერი გამართული ქართული ენითა და ღრმა კონცეპტუალური აზროვნებით. მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა მიმართულებების ნაწარმოებები: დიდი და მცირე პროზა, სასცენო დრამატურგია, საბავშვო მოთხრობები და ენათმეცნიერული კვლევები („თვალადური ჭაშნიკი“ — დიალექტური ლექსიკონი). აქვე გვინდა, აღვნიშნოთ მისი დიდი პირადი ღვაწლი მომავალი თაობის აღზრდაში, მან უდიდესი პროფესიული ამაგი დასდო გურამ რჩეულიშვილსა და გურამ დოჩანაშვილს. მას გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა ახალგაზრდებთან — მუხრან მაჭავარიანთან, რეზო ინანიშვილთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, ტარიელ ჭანტურასთან, გივი გეგეჭკორთან, ემზარ კვიციანიშვილთან,

ოტია პაჭკორიასთან, არჩილ სულაკაურთან და სხვებთან. რა თქმა უნდა, შემხვევითი არ გახლდათ ახალგაზრდა თაობის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მწერლისადმი. სულმნათი გიორგი შატბერაშვილი, მართლაც, იყო უდიდესი პიროვნება, ნათელი და მართალი კაცი, ერთგულებითა და პატიოსნებით აღსავსე ადამიანი.

გიორგი შატბერაშვილის ბიოგრაფიაში არის ძალიან რთული მომენტები. 1935 წელს იგი გადასახლებაში წაიყვანეს. ერთის მხრივ, ამას საფუძვლად დაედო მისი პიესა, რომელსაც ერქვა „დუშმანი“. ეს დადგა სანდრო ახმეტელმა, რომელიც, როგორც ცნობილია, თავიდანვე ეჭვიმტანილი იყო ანტისაბჭოთა საქმიანობაში. მეორის მხრივ, გიორგი შატბერაშვილის ნათლიამ — გიორგი მაზნიაშვილმა იგი წაიყვანა მიხეილ ჯავახიშვილთან. მიხეილმა წაიკითხა გოგის ლექსები და მოთხრობები, მოეწონა და დაარიგა ახალგაზრდა მწერალი, შემდგომში კი მიხეილ ჯავახიშვილი მისი გზამკვლევი გახდა. ასევე გ. შატბერაშვილმა დაწერა ანტისაბჭოთა მოთხრობა „სისხლიანი ხარაჩოები“. ეს მოთხრობა და პიესა „დუშმანი“ უშიშროების თანამშრომლებმა გააქრეს და დღეს არსად ჩანს ამ ნაწარმოებების კვალი. გადასახლებისათვის ბოლო მიზეზი გახდა პატრიოტული ლექსი თ. ჩ. — თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილს. თუმცა დაკითხვაზე გიორგი შატბერაშვილმა თქვა, რომ ეს ლექსი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილს, თამარს მივუძღვენი, მომწონდაო. მაგრამ ეს აზრი არ მიიღეს. აი, ეს ზემოხსენებული გარემოებანი გახდა საფუძველი მისი გადასახლებისა.

მწერალი გადასახლებაში იყო ალმა-ატაში, სადაც მან ერთი წელი დაჰყო. კავთისხევში შატბერაშვილების გვერდით მონასელიანთ უბანში ცხოვრობდა ვინმე მიხეილ მონასელიძე — სტალინის ქვისლი, სტალინის პირველი ქართველი ცოლის დის ქმარი, რომელთანაც მივიდნენ გოგლა ლეონიძე და გიორგის მამა ვანო შატბერაშვილი და ამ ოჯახის უშუალო დახმარებით გიორგი შატბერაშვილი 1936 გამოუშვეს პატიმრობიდან, მაგრამ მას 10 წელი არ შეეძლო ქალაქში ცხოვრება. შემდეგ კი აგენტი მიუჩინეს, რომელიც გამუდმებით უკან დასდევდა. 1958 წელს გააუქმეს სასამართლოს განაჩენი გადასახლებისა და დევნის შესახებ და შატბერაშვილი აღადგინეს მწერალთა კავშირში.


გიორგი შატბერაშვილი გადასახლებიდან რომ ჩამოვიდა, როგორც აღვნიშნეთ, 10 წლით აეკრძალა ქალაქში ცხოვრება, ბეჭდვა და პრესაში გამოჩენა. იგი ჯერ ქვემო ჭალაში იყო მასწავლებლად, შემდეგ კი კავთისხევში გადავიდა, იქ ცხოვრობდა და ასწავლიდა სკოლაში. ეს სკოლა მოშორებით იყო და ერთხელ, სუსხიან ზამთარში, შებინდებისას უკან სახლში რომ ბრუნდებოდა, მგლები დაესხნენ თავს. გიორგიმ სასწაულით მოახერხა ხეზე ასვლა. მთელი ღამე გაითოშა ამ ხეზე, ქვევით კი მშვიდი მგლები ელოდებოდნენ.

1937 წელს, როცა მასწავლებლის რეპრესიები იყო საქართველოში, შუალამისას შატბერაშვილებთან სახლში მოვიდა სამეფული (პარტკომი, კოლ-

მეურნეობის თავმჯდომარე და პროფკავშირი – ესენი, როგორც ცნობილია, მონმეებივით ხელს აწერდნენ-ხოლმე კაცის დაპატიმრებაზე). აქედან ორი მათგანი ვასო შაყულაშვილი და შალვა ხომასურიძე ჩუმად მოვიდნენ, გააღვიძეს გიორგის მამა და უთხრეს, რომ გიორგის დაჭერას აპირებდნენ, ჩვენ კი თავმდებად დავუდექით და გამოვაცხადეთ, რომ ეს კაცი არ ენევა ანტისაბჭოთა საქმიანობასო. ასე ვთქვით, შეამონმეთ, თუ არადა, ჩვენც მასთან ერთად დაგვიჭირეთო. დაგვიჯერესო. ახლა კი ჩვენ გვინდა, გთხოვოთ, მხოლოდ სახლი და სამსახური იყოს გიორგისთვის, სახლიდან არ გამოვიდეს, უცხოს არავის არ დაელაპარაკოსო. გიორგის ოჯახი დიდი მადლიერი დარჩა ამ ხალხის – ვინ იცის, გიორგი შატბერაშვილი მეორედ რომ გადაესახლებინათ, რა ბედი ეწეოდაო.

კავთისხეველები სიყვარულითა და სიამაყით იხსენებენ გიორგი შატბერაშვილს. ისინი ჰყვებიან, რომ თურმე 1963 წელს ვასილ მჭავანაძემ მწერლებს დაუძახა და შეხვედრა მოუწყო. ჯერ ისაუბრეს მწერლობაზე და მერე მჭავანაძემ ჰკითხა მწერლებს – ვის რა გინდათო. ყველამ რაღაც ითხოვა: ზოგმა ბინა, ზოგმა მანქანა და აგარაკი, ზოგმა ავეჯი. გოგის რიგი რომ დადგა, მან ითხოვა, რომ სასმელი წყალი გაეყვანათ მათ უბანში, კავთისხევეში. იქ ცოტა მოდის წყალიო და გვერდით ფერდობიდან გამოგვაყვანინეთო თვალადმი. მჭავანაძეს გაუკვირდა – ნუთუ არც ბინა და არც მანქანა არ გინდათ? – არაო – უპასუხნია გიორგის. ვასილ მჭავანაძეს თურმე ძალიან გაეხარდა და ამ საკითხის მოგვარება მინისტრთა საბჭოში დაავალა კონკრეტულ პირებს. მართლაც, სპეციალისტების კომისია შეიქმნა და კავთისხევეში ჩავიდნენ დასათვალისწინებლად. შატბერაშვილების ოჯახი მათი პირადი მასპინძელი იყო. სამწუხაროდ, ეს ამბავი ვერ განხორციელდა, რადგანაც გლეხებს იქ კალო ჰქონდათ და მოინდომეს, რომ მაინცდამაინც კალოზე გადმოეწყო წყალს. ეს კი უკვე ვეღარ მოხერხდა ტექნიკური მიზეზების გამო.

გიორგი შატბერაშვილის დის შვილი გურამ ალაპიშვილი იხსენებს – ძია გოგამ ფოტოპარატი მიყიდა საჩუქრად, მაშინ სადაღაც მეექვსე-მეშვიდე კლასში ვიყავი და მერე ქვათახევეში წავიყვანა მე და ერთი მეზობლის ბიჭი. იქ ძველი კერპთაყვანისმცემლობის ძეგლები უნდა ყოფილიყო და ეს უნდა გვენახა. იმ დროს იქ მღვდელმსახურება არ ტარდებოდა. მივედით ტაძარში. იქ ყველა კუთხე-კუნჭული დავათვალისწინებთ და ვიპოვეთ კედელთან ქვაში გამოკვეთილი ქალის მკერდი. შემდგომში აღმოჩნდა რომ მეძუძური ქალები ლოცულობდნენ ამ ქვაზე, იქნებ რძე მოგვივიდესო. გადავიდით ეკლესიის ეზოში. ქვედა მხარეს არის 3-4-ე კვებერთელა ბუხარი, რომლებშიც გამართული კაცი შეეტევა შიგნით. აქ იყო სამსხვერპლო, სადაც ხალხს სწირავდნენ. მერე ორმოც ვიპოვეთ, რომელსაც გამოთლილი ოთხკუთხედი ლოდო ეფარა და შიგ ადამიანის ძვლები ეყარა. ამ ლოდის უკანა მხარეზე კი უშველებელი ფალოსი იყო ამოკვეთილი. უამრავი სურათები გადავუღეთ ამ საგნებს. ძია გოგამ ეს ყველაფერი



ბიორგი შატბერაშვილი მშობლებთან ერთად გადასახლებაში

ისტორიის მუზეუმში წაიღო და მეცნიერებს ჩააბარა.

გიორგი შატბერაშვილი საოცარი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული. მეგობრებიც ასეთი ჰყავდა, მაგალითად, ვახტანგ ჭელიძე ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, პაროდირების ნიჭით გამოირჩოდა. ერთხელ გიორგი შატბერაშვილთან აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ დარეკა ტელეფონით. შატბერაშვილს კი ეგონა, ვახტანგი მეხუმრებო და სათანადოდაც გაუმასპინძლდა – „ამხელა კაცი ხარ, არა გრცხვენია, როდემდე უნდა იმაიმუნოო...“ და ტელეფონი დაუკიდა. მერე რაღაც ეჭვი შეეპარა, ვახტანგს ამ კონკრეტული თემის კომპეტენცია საიდანო და ბატონ ევგენის დაურეკა... ორივემ გულიანად იხალისა ამ თემაზე.

გიორგი შატბერაშვილი აპრილში მოვიდა ამ წუთისოფლის სტუმრად და ისევ აპრილის თვეში წავიდა აქედან. იგი 1965 წელს ინფარქტით გარდაიცვალა თბილისში. მას ქუჩაში გული ასტკიცდა, აფთიაქში შევიდა და ვალიდოლი იყიდა. შემდეგ საავადმყოფოშიც წაიყვანეს და მეორედ ღღეს დასრულდა მისი სიცოცხლე. მაღლიერმა ქართველმა მკითხველმა მწერლის ნეშტი ფეხით მიაცილა დიდუბის პანთეონამდე. მართლაც საოცარი იყო, რომ ამ უკანასკნელ გზაზე ზეცაზე გამოჩნდა მკვდრის მზე, რომელიც სევდანარევი ღიმილით ეფინებოდა სივრცეს. ალბათ, მაშინ ყველას გაახსენდა ამ მწერლის სიტყვები: „განა ყველასათვის ანათებსო მკვდრის მზე...“



მაია სერცვიძე

„იყო ოხბანიანების...
სამოსახლო“
ოხბანიანთუბანი

„წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული“
გალაკტიონი

„მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო,
დამთვრალი ახალ სანახავითა,
რითი გავართო, როგორ გავართო?
ჩემო იარაღი, ის დრო წავიდა!“
გალაკტიონი

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ სახელგანთქმულ და პატივდებულ ორბელიანთა, იგივე ყაფლანიშვილთა საგვარეულოს თბილისში ბევრი სამოსახლო ადგილი ჰქონდა. ორბელიანები ქალაქის ცენტრში – ბატონის მოედანთან, სიონსა და ანჩისხატს შორის (ამჟამინდელი ერეკლეს მოედნის სამხრეთით) ცხოვრობდნენ და მოედნის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთითაც სახლდებოდნენ, უმთავრესად მდინარე მტკვრის სიახლოვეს, დღევანდელი გიორგი ათონელის ქუჩის მიდამოებში. ეს ადგილები XVIII საუკუნის შუახანებამდე სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა. შემორჩენილი წყალობის წიგნის მიხედვით 1751 წელს ისინი მეფე თეიმურაზ მეორეს სარდალ რევაზ ორბელიან-

ისათვის უჩუქებია. XVIII საუკუნის ბოლოს ორბელიანებს ეკუთვნოდათ ტერიტორია ყაბახსა (ყოფილი ალექსანდრეს, დღევანდელი 9 აპრილის სახელობის ბაღი) და მტკვარს შუა.

თბილისში ძველთაგანვე ორბელიანების საკუთრებას შეადგენდა აგრეთვე მტკვარზე ქალაქის ფარგლებში არსებულ კუნძულებს შორის სიდიდით გამორჩეული ე.წ. ორბელიანის კუნძული. ბალებით დაფარული ეს კუნძული, რომელსაც ვახუშტი იხსენიებს სახელწოდებით „ახალი ბაღი მეიდნისა“, დღევანდელი სანაპირო ტრასის ადგილზე მშრალი ხიდის (ყოფილი მიხეილის მცირე ხიდი, აგებული ჯოვანი სკუდიერის მიერ 1849-1851წწ) ქვეშ მტკვრის ორ განშტოებას შორის იყო მოქცეული. მეფე ერეკლე მეორის სიძემ, სარდალმა და სახლთუხუცესმა დავით ორბელიანმა (1716-1796) მტკვრის ტოტი გააღრმავა. შემდგომში მისმა მემკვიდრეებმა კუნძული ოჯახის მეგობარს გენერალ ვალერიან მადათოვს მიჰყიდეს. ამ დროიდან თბილისელები ყოფილ ორბელიანის კუნძულს მადათოვისას უწოდებდნენ. ახალი პატრონების ხელში იქაურობა თანდათან გაპარტახებულა, ბალებიც აჩეხილა და მათი ადგილი წვრილ სანარმოებს დაუკავებია. 1933 წელს მტკვრის მარჯვენა ნაპირის საყრდენი კედლის ამოყვანისას მტკვრის ტოტი ამოაშრეს, კუნძული გაქრა და ქალაქის სახმელეთო ნაწილს შეუერთდა. დღეს ყოფილ კუნძულზე სანაპირო ქუჩასა და მტკვარს შორის ბაღებია გაშენებული.

კუნძული ხიდიტ უკავშირდებოდა ალექსანდრეს ბაღსა და გალავანშემორტყმულ ორბელიანთა სამოსახლოს — ორბელიანთუბანს ანუ „ორბელიანთ აუღს“, როგორც მას უწოდებდნენ. ორბელიანთუბანი მეცხრამეტე საუკუნის ძველთბილისურ დასახლებებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. ისტორიულ ტოპონიმად ის ამ საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება. იქ, მტკვრის ტოტის გადაღმა იდგა ორბელიანების სასახლე და ყაფლანიანთ საგვარეულო ეკლესია. ეკლესიაში, რომელსაც შიდა მხატვრობა არ ჰქონია, დიდხანს მსახურობდა ორბელიანებთან კეთილგანწყობილი მღვდელი ბესარიონ ზედგინიძე. დღეისათვის ამ ადგილას შემორჩენილია გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლები.

ორბელიანთუბანი გარეთუბანში მდებარეობდა და მის ერთ-ერთ მიკროუბანს შეადგენდა.

„არც დღეს გავალ გარეთუბანს“ — ათქმევინებს სალომე ორბელიანს გამიჯნურებულ ბეჟანა მკერვალს გრიგოლ ორბელიანი „მუხამბაზში“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან“). გარეთუბნის ასახსნელად პოეტს ლექსისთვის შენიშვნის სახით მიუწერია: „სადაც ცხოვრობდნენ ორბელიანნი“.

გარეთუბანი, გარეუბანი, ფეოდალური ხანის თბილისის გალავნით შემოფარგლულ ნაწილს გარეთ მდებარე ერთ-ერთი უბანია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კალას ჩრდილოეთითა და დასავლეთით. ვახუშტი გადმოგვცემს: „ზღუდეს გარეთ უხმობენ ან გარეთუბანს, სადაც არს ასპარეზი“ (ასპარეზი, შემდგომში ყაბახი, დღევანდელი 9 აპრილის სახელობის ბაღი.) (ვახუშტი

ბაგრატიონი. "აღწერა სამეფოსა საქართველო-სა". ქართული მწერლობა. ტ.8 გვ.74).

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის გად-
მოცემით ნახსენები ზღუდე ანუ ქვეითკირის გა-
ლაგანი, ერმოლოვის ბრძანებით დაუნგრევიათ:
"შემუსრა მთავარმართველმა ლენერალ ერ-
მოლოვმა 1824 თუ 1823 წელსა. . . ბოლო დროს
დაქცევის მიზეზისა ხმა გამოვიდა: ასეთი მშ-
ვიდობა მოახდინა ლენერალ ერმოლოვმა, რომ
საჭიროდ აღარა რაცხდა საქართველოში ციხ-
ეებსაო". ("ძველი მოზღუდეილობა ქ. ტფილი-
სისა", საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა
განყოფილება, აღ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორ-
ბელიანის არქივი.)

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან
შეერთების შემდეგ ქალაქის ტერიტორია სამ
ნაწილად დაიყო. მე-19 საუკუნის დასაწყისის
თბილისის აღწერის მიხედვით, რომელიც ისტო-
რიკოს გიორგი ბოჭორიძის პირადი ფონდში აღ-
მოჩნდა, ამ სამიდან ერთ-ერთი "არის ნოდებულის
გარეთუბნად. აქ იყო და არსცა დღეს ჰოსიანთ
მონასტერი, სახელდებული ვანქად (დღევან-
დელი გრ. ორბელიანის მოედნის სიახლოვეს მდ-
გარი XIV-XVI სს სომხურ-გრიგორიანული საკათ-
ედრო ტაძარი ფაშა-ვანქი), სასახლენი თავადთა,
დუქნები, ახლად აშენებული ქარვასლა ზუბა-
ლოვისა. ესე გარემოზღუდეილ არს მითთა კლ-
დიანითა და მდინარის მტკვრისა"(საქართველოს
ეროვნული არქივი).

გარეუბანში აგებდნენ ევროპული ტიპის
შენობებს. უბნის ცენტრი ქმნიდა მოედანს (ახ-
ლანდელი თავისუფლების მოედანი). 1859 წელს
ადრინდელი ყაბახის ადგილას გაშენდა ბაღი.
ამ დროისათვის გარეუბანი ახლანდელი ძმები
კაკაბაძეების ქუჩამდე აღწევდა. XIX საუკუნის
ნაწიანი წლებიდან ქალაქის ოფიციალურ ტო-
პონიმიკაში გარეუბანი აღარ იხსენიება. მისი
ტერიტორია დღეს თავისუფლების მოედნის,
ბარათაშვილის ქუჩის, რუსთაველის პროსპექ-
ტის, ჭანტურიას ქუჩასა და მტკვარს შორის მი-
დამოებშია მოქცეული.

გარეუბანი იყოფოდა შედარებით მცირე უბ-
ნებად: მუხრანბატონიანთ უბანი, ვანქის უბანი,
ორბელიანთუბანი და შუა კარის უბანი. ორბე-
ლიანთუბანი გაშლილი იყო ვანქის უბნის გვერ-
დზე, მტკვრის აღმა, დღევანდელი ვ. ორბელიანის
ქუჩის მიდამოებში. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
იგი მტკვარს ესაზღვრებოდა, სამხრეთ-აღ-
მოსავლეთიდან მცირე ხევით გამოყოფილი იყო
ვანქის მონასტრის გალავნისაგან, დასავლეთით
"გარეთუბნის მეიდნამდე" ანუ ყაბახამდე აღწ-
ევდა.

ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი
თავის მემუარებში იხსენებს:

"ორბელიანთ საგვარეულო ცხოვრობდა
მტკვრის პირას[.] ალექსანდროვსკის ბაღის
პირდაპირ ჩადიოდა ვინრო ქუჩა, რომელსაც
უნოდებდნენ ორბელიანთ აუღს. იქ ცხოვრობდ-
ნენ: პაპა ჩემი ყაფლან [.] ბიძაჩემი გრიგოლ [.]
დეიდა ჩემი სოფიო [.] რძალი მანანასი [.] მამიდა
ჩემი ელენე [.] ლუარსაბ ორბელიანის ასული[.]
რძალი გიორგი კნიაზისა . ტასო ოგლობჟიოსი

და სხვანი". (ელისაბედ ერისთავი. ჩემი მოგონება
ბებია ჩემის ძმის ყაფლან ორბელიანზე. საქარ-
თველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტ-
ერატურის სახელმწიფო მუზეუმი 13338 ხ).

საქართველოს გ. ლეონიძის სახელო-
ბის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო
მუზეუმის თანამშრომლის გიორგი მოზდოკე-
ლის არქივში დაცულია სამეცნიერო საზოგა-
დოებისათვის მეტად საინტერესო წერილი
"სად ცხოვრობდნენ ორბელიანები თბილისში"
(მცირედი შემოკლებით გამოქვეყნდა გაზეთ
"თბილისში" 1993 წლის 2 ივნისს), რომელშიც ავ-
ტორი მოგვითხრობს თბილისში მოსახლე ორბე-
ლიანთა გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლებ-
ის და მათი საცხოვრებელი სახლების შემდგომი
ბედის შესახებ.

ელისაბედ ერისთავის მიერ დასახელებული
პირების გარდა ორბელიანთ აუღში ცხოვრობდ-
ნენ ესტატე ორბელიანის ვაჟები ნიკოლოზი და
ალექსანდრე. ნიკოლოზს ცოლად ჰყავდა ილია
ჭავჭავაძის უმცროსი და ელისაბედი, რომელიც
დაქვრივების შემდეგ მისთხოვდა ამავე ქუჩა-
ზე მოსახლე სამარაგდონ ორბელიანის სიძეს,
გროგოლ ორბელიანის ბიძაშვილის ბარბარე
ორბელიანის ქვრივს ალექსანდრე საგინაშვილს.

აქვე ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა
"ვანკა პაჟარნად" ცნობილი ივანე კონსტანტინეს
ძე ორბელიანი, მისი ძმები სოსიკო და გიგო, პო-
ეტი ქალის ნინო ორბელიანის მეუღლე.

"მაიკო ორბელიანი, ქაიხოსროს ქალი,
რომელთანაც პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს
მინერ-მონერა ჰქონდა და რომელიც ადრე გარ-
დაიცვალა, იდგა იმავე ორბელიანების ქუჩაზე.
მხოლოდ უფრო მოშორებით, ესლანდელი ბაზ-
რის პირდაპირ, სომხის ღვედლის სახლში"- გად-





მოგვცემს გიორგი მოზდოკელი.

ორბელიანთუბნის თვალი და მშვენება იყო გრიგოლ ორბელიანი – "ყაბახის გმირი, მსგავსება ლომის, ორბელიანი, რომელიც აქებდა ღვინოს და სალომეს". პოეტი მამისეულ ორსართულიან სახლში ეკლესიის პირდაპირ ცხოვრობდა. აქ გაიზარდნენ მისი ძმებიც ზაქარია და ილია ორბელიანები და და ეფემია ბარათაშვილისა, დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ფიქრები გრიგოლ ორბელიანისა, ვისაც ხშირად უწევდა თბილისის დატოვება და წლობით სხვაგან ყოფნა, მუდამ თავის ქალაქს და უბანს დასტრიალებდა. "კაცს ყოველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს" – ამბობდა პოეტი და ასრულებდა კიდევ ამას" (ი.მეუნარგია. "ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა". ქართული მწერლობა. ტომი 22. "ნაკადული" გვ. 155).

მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად სტუმრობდა პოეტს, გადმოგვცემს:

"თუ თბილისში გიცხოვრიათ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, სად და რა ალაგას არის გრიგოლ ორბელიანის სახლი:

ძველთაგანვე ამ სახლის არემარე შეადგენდა ორბელიანთა გვარის სამყოფ ადგილს და ინოდებოდა ორბელიანთა უბნად, აულად. ამ აულში ცხოვრობდა სარდლიანთ ოჯახი, ასლანის ოჯახი, გიორგის ოჯახი, ზურაბ – პოეტის მამა და სხვა. ზურაბის დიდი, ორსართულიანი, ფართო მოაჯირით შემოვლებული სახლი ისევ ისე დარჩა პოეტის ცხოვრებაში, როგორც იმის მამის დროს იყო. ადამის დროული არქიტექტურა, ფართო, ყოველ მცენარეს და ყვავილებს მოკლებული ეზო, შეუღესავი უშნო გალავნით და ალაყაფის კარებით, გალავნის ერთ ყურეში ნვიმისა და მზისაგან გახუფებული ფიცრის საჯინიბო, სახლის გვერდით სასახლის ეკლესია, — აი რა შეადგენდა სასახლის გარემოს. პოეტს არ უნდოდა სიძველეში მოსულ სახლის განახლება.

"Для меня дорог по воспоминаниям этот старый, невзрачный дом в котором жили и умерли мои родители, мои братья и, признаюсь, для меня было-бы невыносимо его обновление» — სწერდა პოეტი გრიგოლ ბატონიშვილს" (ი.მეუნარგია. "ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა". ქართული მწ-

ერლობა. ტომი 22. "ნაკადული" გვ. 133-134).

გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ ეს სახლი მის ერთადერთ მემკვიდრეს, მისი ძმის, ილია ორბელიანის ვაჟს გიორგი ორბელიანს დარჩა.

ორბელიანთუბანი მიქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა. ის იყო თბილისური არისტოკრატის შეკრების, თავშეკცევისა და დროსტარების ადგილი. "ვინ არ იზრდებოდნენ ჩვენს ოჯახში, ჩვენს ქუჩაში? ანდრონიკანანი, ჩოლოყაანანი, მაჩაბლიანანი, თარხნიანანი, მუხრანიანანი! ესენი ყოველივე მე თვით მინახავს; მახსოვს, რაოდენი შენატროდნენ ჩვენს ქუჩასა" (გრიგოლ ორბელიანის 1878 წლის 24 აგვისტოს წერილი ძალუა სოფიოსადმი. ი.მეუნარგია. "ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა". ქართული მწერლობა. ტომი 22. "ნაკადული". გვ. 113).

გრიგოლ ორბელიანის წერილების მიხედვით, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ერთგვარი მატიაზე რომაა და ეპოქის სუნთქვა და სურნელი ახლავს, შეიძლება გაცოცხლდეს ის სურათები, აქ, ამ უბანში რომ იხილავდა კაცი იმ დროს. ერთი მათგანი ორბელიანთა ლამაზმანი ქალების კრებაც იყო, პოეტის თქმით, აკადემია, ჭორაობითა და მითქმა-მოთქმით გამორჩეული.

"სალამ-სალამოდ აკადემია ჩვეულებრივ გროვდება, ხან საყდრის კარებთან, სადაც დედუფლობს ელისაბედ, რომლის მარჯვნივ ჰზის სოფიო, მარცხნივ მაიკო და პირდაპირ ნინო და მღვდელი, და ხან ესევე ყრილობა ჰსხედს სოფიოს კარებთან და ამის გამო მაშინ პირველობს სოფიო. ლაპარაკის საგანი არის ეს ქვეყანა და მისი დაუსრულებელი სხვა-დასხვაობა ამბებისა, ხანდახან, ვითომ გაკვრა-გადაკვრით შეძრუნებით მოიხსენიებენ ოხვრითა ანიხედლის ქალების ყოფა-ქცევასა, და სხვათა ზოგიერთთა სახელდობრივ, რომელნიცა მარშანდელს კაბასავით დიად ადვილად და გულუტკივრად თავს ანებებენ ქმარსა და დასდევენ ხან მამიდას, ხან ბებიდას და ამგვარს უმანკოს საუბარ-შექცევაში ატარებენ დროს". (ი.მეუნარგია. "ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა". ქართული მწერლობა. ტომი 22. "ნაკადული" გვ. 150).

სამშობლოს მოშორებული პოეტი, ვინც გამორჩეულად ანებივრებდა ნაცნობ-მეგობრებს ურიცხვი, მაღალმხატვრული პროზის სადარი წერილებით, მოუთმენლად მოელოდა მათ შეხმიანებასაც და დიდად განიცდიდა მოკითხვის დაგვიანებას. ერთ-ერთ წერილში ის თავის უმცროს ძმას ილიას საყვედურობს წერილის მიუწერლობის გამო და ამის მიზეზად თავის უბანს, ქუჩას მიიჩნევს:

"ახლა მინდა დაგინყო ლანძღვა, შე წვერ ძაღლო, რატომ ერთხელ არ მომწერე აქამდის? იტყვი, ავით ვიყავ! ეგ სულ არაფერი. მე ოთხი წელიწადი რუსეთში სულ ავით ვიყავ, ნიგნი კი არ დამიკლია; მაგრამ მიზეზი მე ვიცი რაც არის: ჩვენი ქუჩა, რომელიც სამგზის ასგზის დასწყევლოს ღმერთმა! ვერც ჭირმა დააქცია; ვერც ხოლერამ ამოწყვიტა; მინის ძვრამ ეგ გაუშო და ლისსაბონი ჩაყლაპა. — ეგ არის მიზეზი შენის ზანტობისა, შენის სულითა და ხორცით მოშვებისა, და ბოლოს შენის კუტრობისაცა. მაგ ქუ-

ჩის გარეთ სადაც ყოფილხარ, ყველგან ფულიცა გქონია, ჭკუაცა და გამოჩენაცა. მე ვიცი, შენ მაგ ქუჩიდან ველარსად გახვალ, მანამ ძალად არ გაგადებენ. აბა თუ მაგ ქუჩამ ჭკუა არ გამოგილია – ავადმყოფობას ნუ აბრალებ – რატომ ჩემის ნიგნების პასუხსა არა მწერ?" (გრიგოლ ორბელიანის ნერილი ილია ორბელიანისადმი. 1843წ. გრ. ორბელიანი. ნერილები. ტ1. 1832–1850. აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. "სახელმწიფო გამომცემლობა" თბილისი. 1936წ. გვ.79).

ორბელიანთ ეკლესიის მეორე მხარეს ცხოვრობდა უბნის სული და გული ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

"ყაფლან ორბელიანი იყო დედიჩემის ბიძა. იგი ცხოვრობდა ორბელიანთა აულში, პატარა სახლი ჰქონდა გრიგოლ ორბელიანის სახლის პირდაპირ. მტკვარს გადაჰყურებდა" – იგონებს მისი დის ეკატერინეს შვილიშვილი, ელიზბარ ერისთავის ასული ნინო ქობულაშვილისა. (გიორგი აბზიანიძე "ყაფლან ორბელიანი – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი" "ლიტერატურის მატიანე". 1-2 1940წ. გვ. 466–473.)


ყაფლანი ყოფილა დარდიმანდი, მხიარული, სიტყვამოსწრებული, მოქეიფე, ქალების მოტრფიალე კაცი. მას კარგი ხმა და ლექსების დაბღერების უნარი ჰქონია. ხშირად ასრულებდა სიმღერებს ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. გრიგოლ ორბელიანს განსაკუთრებული გრძნობით უყვარდა ყაფლანი. მესუმრებული პოეტი რა ეპითეტით არ ამკობდა საყვარელ ბიძაშვილს, თავის "საკუთარ ყაფლანს", "თვალჩინს" "ოხვრის კვიპაროზს" ეძახდა. "როცა ყაფლანი დილით ადგებოდა და მის წინ აივანზე მოსიარულე გრიგოლ ორბელიანს დაინახავდა, გადასძახებდა: "ა, კურკა, კურკა! გრიგოლიც საპასუხოდ გაეხუმრებოდა ხოლმე" (ნინო ქობულაშვილისა).

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ნინო ქობულაშვილის დის, ელიზბარ ერისთავის ასულის ელისაბედის ხელნაწერი ჩემი მოგონება ბებია ჩემის ძმის ყაფლან ორბელიანზე, 13481ბ–ხ. მემუარისტი ხშირად სტუმრობდა მას თბილისში სწავლისას. იგი იხსენებს ყაფლან ორბელიანს და მის ოჯახს, იქ მოსმენილ საუბრებს, დიალოგს მეზობლად მცხოვრებ გრიგოლ ორბელიანსა და ქეთევან ორბელიანს შორის. მოგონება წარმოადგენს ორბელიანთუბნისთვის ნიშანდობლივ სურათს და ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მისი გაცნობა ქართველი მკითხველისათვის. (ხელნაწერი ქვეყნდება პირველად, ავტორის სტილი დაცულია, დამატებულია მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნები).

"პაპა ჩემი ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა[,] მეტათ მოსწრებული და მხიარული ადამიანი ბძანდებოდა და ჩვენ მუდამ გვეხუმრებოდა[,] როდესაც გემნაზიიდამ[,] სადაც ვსწავლობდით, კვირაობით მოვდიოდით ხან პაპა ყაფლანთან[,] ხან დეიდა ჩემ სოფიოსთან[,] მანანას რძალთან, ხან მამიდა ჩემ ელინე ლუარსაბის ასულთან ერი-

სთავთან, რომლებიც ყველანი ორბელიანთ აულში იდგნენ ახლო ერთი ერთმანეთთან. აგრეთვე ბიძა გრიგოლ ორბელიანთან. პაპა ჩემი ძალიან მშვენიერი მომღერალი იყო, ასე რომ მის ხმას სათარას ხმას ადარებდნენ. დედა მეტყოდა ხოლმე, სათარას გარდაო ბიძა ჩემი ყაფლანის სიმღერაზე მეტათ არავისი არ მომწონსო, დაიძახებდა[,] მომიტანეთ ჩემი ჯურა, და მოართმევდნენ პატარა თარას" და დაინყებდა ტკბილის ხმით: "ერთხელ მეც ვიყავ ყმანვილი[,] მე მიყვარდა[,] მე ვტკბებოდი; უფროსი ერთ ბიძაჩემის ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს მღეროდა. პაპა და მისი მეუღლე [(ბარათაანთ ქალი იყო მეორე ცოლი ყაფლანისა)]. წარმოადგენდნენ სურათს "კაცია ადამიანისას." სულ ჭამაზე იყო ლაპარაკი[,] მეტადრე სადილობისას: მართლაც ქართული ნამდვილი სადილები იყო: ორაგულის სუპი[,] დურაჯები ან ხობხები[,] შემწვარი[,] ბახატაკები [,] ჩახობხილი და ფლავი სხვა და სხვანაირათ. მაგრამ ძალუა ელისაბედ მაინც შენიშვნას გაუკედებდა ხოლმე თავის ერთგულ როსტომას. დაიძახებდა[,] სად არის ჩემი ყრუანჩელა როსტომა[?!] გენაცვალეთ[,] ფლავისთვის დამი არაულია. ორბელიანთ სახლთან პატარა ეკლესია იყო.[] შაფათ კვირა ორბელიანთ რძლები ქათიბ მორთულები დეესწრებოდნენ წირვას, და ჩვენც უსათუოთ წავყვებოდი. მასხოვს შემდეგი: წინა დღეს ლოტო ჰქონდათ ძალუა ელისაბედს. და არ ვიცი[,] რაზე იყო გაჯავრებული[,] მალღის ხმით ლაპარაკობდა ვაცხარებული. ღვედელმა ტრაპეზიიდან დაუძახა: "ელისაბედ[,] რა არი მაქთენი ლაპარაკი[?!]", პასუხათ მიილო: ["]გეთაყვანე[,] მამა[,] ჩვენც ხმა ამოგვალვინე[,] ახლა კეკე [,] ძალუას და მოყვებოდა მალღა ტუტუნს, ახლა იმასაც დაუძახებდა: ["]კეკე[,] გეყოფა ამდენი ჭორაობა[!].

ნამდვილი კამედია იყო.[] ჩვენ ბავშვები იქ რას გავბედავდით[,] მაგრამ სახლში რომ მოვიდოდით[,] იმათ ვარდგენდით და ვიხოცებოდით სიცილით. აგრეთვე ბიძა გრიგოლის სახლი და აივანი იქავე საყდართან იყო.[] ასე რომ მთლათ



წირვის მოსმენა შეიძლება და ასე რომ ძალუა ქეთევან შეუძლოთ ბრძანდებოდა და არ შეიძლო საყდარში ნასვლა და ტახტზე იჯდა და იქიდან ისმენდა[.] ბიძია გრიგოლ კი აივანზე დაბანდებოდა და აჯავრებდა თავის რძალს "ქეთევან[.] თქვენ დღეს ლოტრანგი ბძანდებით[.]". ძალუა ქეთევან სურუონათ შენუხდებოდა და ნაიშენდა მუხლებში[.] "რას მიბძანებთ[.] ჩემო მახლო"[!] ბიძია გრიგოლ გადიხარხარებდა, და ეს სცენა ყოველთვის იმეორებდა[.] როცა კი ძალუა აივანიდან წირვას ისმენდა. პაპა ყაფლან ყოველკვირა თავის მხლებელი კირუშკათი გაემგზავრებოდა იარმუკაზე: აბა წამოსხმული[.] აბრეშუმის[.] ქალაღია ყელზე[.] კალმუხის ქუდი ჩაკეცილი[.] ყელმოღერებული. პაპამ მშვენივრათ იცოლა სპარსული და თათრული[.] რო შეხვდებოდა სპარსეთიდან მომდინარე ქარავანი აქლემების და ზე მჯდომ სპარსელს დაელაპარაკებდა სპარსულათ[.] ისიც სალამს მისცემდა და ჰკითხამდა: რა მოაქვთ რანიდამ[?] რო გაიგებდა[.] რომ ბამბის გარდა ტკბილეულობა: ქიშიშლაბლაბო [.] რაგათლუხუმი [.] შაქრისყინული [.] აღაჯანაბადი და სხვა[.] ძალიან გაეხარებოდა[.] პაპას ძალიან უყვარდა ტკბილეულობა. მე მომიბრუნდა ერთხელ[.] როდესაც მე თან წამიყვანა[.] მითხრა: შვილო[.] მამაშენი არ წაწყნდება[.] ერთი თვეა მოდის იდანიდან[?] ამ თავის აქლემზე ქანაობს, ბლუმ! ბლუმ! ბლუმ! ბლუმ! ისე მშვენივრათ წარმოადგინა ცოცხლათ[.] რომ ბევრი ვიცინეთ.

ე.ელიზბარის ასული ერისთავი".

უამთასვლა თბილისს აღმოსავლურ ელფერს ნელ-ნელა უკარგავდა, ევროპული ცხოვრების წესი მკვიდრდებოდა. შეჭირვებული თავადაზნაურობა ფეოდალურ-პატრიარქალურ ყოფას ეთხოვებოდა, მათ მამულებსა და სახლებს სხვა ხალხი, უმთავრესად ჩინოვნიკები და ვაჭრები ყიდულობდნენ. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში წერდა:

"მთელი ტფილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოცდაათმა წელიწადამაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა! იცით ვისი იყო სეიდაბათი-დამ დაწყებული ვერამდის მთელი ქალაქი 1805 წლამდე? სუმბათაანთი, მელიქიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი; და იცით ვისი შეიქმნა 1840-მდე, სულ 35 წელიწადში?" (ილია ჭავჭავაძე "შინაური მიმოხილვა" 1883 წელი, იანვარი. ილ. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. თბილისი, "საბჭოთა საქართველო" 1987წ. გვ. 355).

ქალაქის იერსახეს ცვლილება განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაეტყო. ორბელიანთუბნის ძირძველი მკვიდრნიც ჰყიდდნენ სახლებს. დიდად ნუხდა და განიცდიდა ამას გრიგოლ ორბელიანი, თავისი წოდებისა და გვარის, ქალაქისა და უბნის დიდი პატივისმცემელი და მოყვარული:

"ჩვენს ქუჩაზე კიდევ ჩამოეთესლა ერთი ჩინოვნიკი" — გულისტკივილით შესჩიოდა იგი ყაფლან ორბელიანს.

"ახლა, ღმერთო ჩემო, მე ისევ ვარ და სახ-

სენებელი ჩვენის ოჯახისა განჰქრა, ვითარცა სიზმარი! ჩვენს ქუჩაში, ჩემი ბიძაშვილები ნაცვლად ჩამოეთესლენ პოლოხოვები, აბოვანცები! ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის!" (გრიგოლ ორბელიანის 1878 წლის 24 აგვისტოს წერილი ძალუა სოფიოსადმი. ი.მეუნარგია. "ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა". ქართული მწერლობა. ტომი 22. "ნაკადული". გვ. 113)

"სოსიკოს სახლში ჰსდგას პოლოხოვი, სამარადღონის სახლში — საგინოვი, ალექსანდრეს ადგილს — აბოვიანცი, — ძალლი და მამაძალი" (გრიგოლ ორბელიანის 1882 წლის 29 იანვრის წერილი ვანო ორბელიანისადმი. ი. მეუნარგია. "ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა". ქართული მწერლობა. ტომი 22. "ნაკადული". გვ. 112).

დრო აფერმკრთალებდა ორბელიანთუბნის ჩვეულ სურათებს, მისი პერსონაჟები თანდათან ქრებოდნენ. უბნის კოლორიტული მოზინადრენი ყაფლან და გრიგოლ ორბელიანებიც წარიტაცა წუთისოფელმა. მათი დაკარგვა ნაღვლიანად გამოხატა ლექსში ცნობილმა არქაისტმა პოეტმა რევაზ ერისთავმა, ყაფლან ორბელიანის დისშვილმა:

"ვინღა გვყავს ჩვენ ყაფლანი? ნავიდა ქართველობა, მისწყდა იმის ტკბილი ხმა, ჩონგურით ხელოვნება,

ქართულ ჩაცმა-დახურვა, ფაქიზათ მორთულობა,

საქართველოს არშიყმაც შესწყვიტა ლექსთ თქმულება

ალარა გვყავს გრიგოლი, არ არის ბედ კრულობა".

ორბელიანთა ნათესავთ მსგავსად თბილისის ძველ სამოსახლოებსა და ყოფას დიდი გულისტკივილით ეთხოვებოდნენ სხვა პოეტებიც:

"ის დრო ნავიდა! ტფილისი ძველი მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს, და ნარიყალა ცრემლებით სველი, მატარებლების კივილს გაჰყურებს."
გალაკტიონი

კომენტარები

სალომე — სალომე იოანეს ასული ორბელიანი (1795-1847), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე.

ვანქის უბანი — უბანი მტკვრის მარჯვენა მხარეს, ბარათაშვილის სახელობის ხიდის მახლობლად, ამჟამად გიორგი ათონელის ქუჩა.

ყაფლან — ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878), ცნობილი მემამულე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი და მეგობარი. პოდპორუჩიკი. ყაფლან ორბელიანის შესახებ იხ. გიორგი აბზიანიძის წერილი "ყაფლან ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი"

“ლიტერატურის მატრიანე”. 1-2 1940წ. გვ. 466-473.

გრიგოლ – გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი (1804-1883), გენერალ-ადიუტანტი, პოეტი.

სოფიო — სოფიო შალვას ასული ერისთავი (1832-1887), რევაზ ერისთავისა და ყაფლან ორბელიანის დის ეკატერინე ორბელიანის ასული, ელისაბედ ერისთავის დეიდა. გათხოვილი იყო ივანე დავითის ძე ორბელიანზე (1824-1893), მანანა ორბელიანის შვილზე.

მანანა – დავით იოანეს ძე ორბელიანის მეუღლე, თავად მირმანოზ ერისთავის ასული (1807-1870), სილამაზით განთქმული ქალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ჰქონდა ლიტერატურული სალონი.

ელენე – ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი, მეტსახელად “ცაკალო” (1815-1888), თავად ზაქარია გიორგის ძე ერისთავის ქვრივი. ცხოვრობდა ორბელიანების უბანში, ატლანტებიან სახლში, სასტუმრო “გრანდ ოტელის” გვერდით, ამჟამინდელი გ. ათონელის 29 ნომერში. ელენე ორბელიანის შესახებ იხ. მ. ფოფხაძე. “ელენე ორბელიანი-ერისთავისა” გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2007წ. 10-11. გვ.37-47 29-36.

ლუარსაბ – ლუარსაბ (იოელ) იოანეს ძე (1793-1835), მაიორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლისძმა. ცოლად ჰყავდა ანა, თავად თამაზ (თომა) ორბელიანის ასული.

გიორგი კნიაზი — გიორგი იესეს ძე ერისთავი (1760-1863), ცნობილი გენერალი, “სენატორად” ნოდებული, რუსეთის ომების აქტიური მონაწილე, გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით. თავრიზის აღების შემდეგ მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით, ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე.

ტასო ოგლობჟიოსი – ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი (1831-1884), ჩერნიგორელი გენერალ-ლეიტენანტის ივანე დიმიტრის ძე ოგლობჟიოსის მეუღლე.

სარდლიანთ ოჯახი – სარდლისა და ქართლის სახლთუხუცესის (1800), გენერალ-მაიორის და სამხედრო მინისტრის (1808) იოანე დავითის ძე (1765-1808) ორბელიანის ოჯახი.

ასლანი – ასლან ნიკოლოზის ძე ორბელიანი (1767-1835), მეფე გიორგი XII-ის ემიკალასბაში, შემდგომში პოდპოლკოვნიკი.

გიორგი — გიორგი ნიკოლოზის ძე ორბელიანი (?-1819) მილახვარი, მეფე გიორგი XII-ის ნაზირი, სახლთუხუცესი 1801 წლიდან, შემდგომში კაპიტანი.

ნინო – ვფიქრობთ, იგულისხმება ნინო ყაფლანის ასული ორბელიანი (1839-?), თავად დიმიტრი პაატას ძე ნულუკიძის მეუღლე.

ქეთევან – ქეთევან ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარია ორბელიანის ქვრივი, ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიმესხიშვილის ქალი (1812-1895).

სათარა – სახალხო მომღერალი მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისა. მის შესახებ ლექსი აქვს

დანერილი პოეტ პოლონსკის. ქებით იხსენიებს ნერილებში ნ. ბარათაშვილი.

ჯურა – ჩონგური. “ჩვეულებრივ ჩონგურს კი რამდენიმე სახელწოდება აქვს: “ჯურა-ჩონგური”, “ყოფუზა-ჩონგური” და სხვ. “ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ. შეიძლება იგულისხმებოდეს ჯორა, საკრავის ალყის ხიდი. ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ. სიმებიან საკრავზე სიმების გადასაჭიმი ქვესადგამი ფირფიტა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული.. თბილისი. 1986წ.

ელისაბედ ბარათაშვილი – ყაფლან ორბელიანის მეორე მეუღლე, თავად ივანე ბარათაშვილის ასული (1823-1892).

ბახატაკი, ბახტაკი – მსხვილი ცოცხალი თევზი. ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ.

დამი – ფლავის ორთქლი, სარქველზე რომ ცვრებად გროვდება, ოხშივარი. ფლავს რომ ჰხარშავენ, ფლავის ქვაბს ჰხურავენ სინს. სინზე კი ზემოდან წყალში დასველებულ ტილოს დაადებენ ხოლმე (თათრები ხანდისხან ცეცხლსაც ჰყრიან სინზე), ორთქლი ცვრებად იკრიბება სინზე და როცა მოხდინან სინს და სინზე დამცვრალ წყალს გადაჰყრიან, ამბობენ: ფლავს დამი მოეხადეო. ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ.

კეკე – უნდა იგულისხმებოდეს ეკატერინე ივანე ბარათაშვილის ასული (1835-1893), ყაფლან ორბელიანის ცოლის და.

ლოტრანგი – ურჯულო. ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ.

აბა – თათრული წამოსასხამი ფეხებამდე. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ.

ქალაღაია – მანდილი. ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ.

კალმუხი, კალმუხის ქუდი – ცხვრის ტყავის ქუდი ერთგვარი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. ნაკვეთი პირველი. თბილისი. 1990წ.

ქიშიშობაბაბო, ლაბაბო – დახალული სისირი, ლაბაბოს უფრო ქიშიშთან ერთად შეექცევიან. ი.გრიშაშვილი. “ქალაქური ლექსიკონი”. გამომცემლობა “სამშობლო”. თბილისი.1997წ.

რაგათლუხუმი, რახათლუხუმი – ერთგვარი აღმოსავლური ტკბილეული. მზადდება შაქრით, ხილეულის წვნით, კაკლით და სახამებლით.

შაქრისყინული, შაქარყინული – შაქრითა და ხილეულის წვნით დამზადებული გამჭვირვალე, კრისტალური ტკბილეული.

აღჯანაბადი – გარგარის ჯიში; ნაყოფისაგან უმთავრესად ჩირს ამზადებენ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. ნაკვეთი პირველი. თბილისი. 1990წ.



გუშკამ თოფუჩიბა

ჰიოფასიონალიზმი და პასუხისმგებლობა

მე, ცხადია, არ მაქვს იმდენი სათქმელი, რამდენიც გურამ თოფურისას უშუალო კოლეგებს, ამ ინსტიტუტის თანამშრომლებს, მაგრამ თქვენსავით მეც ძალიან მაკლია ბატონი გურამი და არ შემიძლია დღეს ეს არ ვთქვა. მაკლია, პირველ რიგში, ბატონი გურამის, როგორც პროფესიონალის, პასუხისმგებლობა. ეს ყველაფერში ჩანს: დღეს ჩვენ ველარც ობიექტური სამეცნიერო აზრის დაცვას ვახერხებთ და ვერც იმ ჩვენი კოლეგების, რომელთა სახელებსაც უშუალოდ უკავშირდება ქართველოლოგიისა და ზოგადად, კავკასიოლოგიის ქცევა საერთაშორისო მეცნიერების დარგად. ჩვენ, ყველანი ერთად, ვერ ვახერხებთ იმას, რომ კავკასიოლოგიასა და ქართველოლოგიაში უდიდესი დამსახურების მქონე უცხოელ მეცნიერებს დღეს საბჭოური სტერეოტიპებით აზროვნებას და საქართველოს მტრობას არ სწამებდნენ. აი, ბატონი გურამის პროფესიონალური პასუხისმგებლობა კი ამ ყველაფერს მარტო აუდიოდა...

სვანებისგან გამიგია, სვანეთში ბატონი ვარლამის კულტია და მის სახელზე, როგორც ხატზე, ისე იფიციებენ სვანეთში. ეტყობა, კოლეგებისა თუ მეგობრების განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ხვდა ნილად ამ დიდი ოჯახის წევრებს. სწორედ ასეთად გავიცანი მე ბატონი გურამი უცხოელი, განსაკუთრებით კი გერმანელი ქართველოლოგებისა და კავკასიოლოგებისგან.

ის, რასაც ბატონი გურამი დიდი პროფესიონალიზმითა და გულმოდგინებით ემსახურებოდა სიცოცხლის ბოლომდე – მან ხომ კავკასიოლოგიური ნაშრომების უნიკალური ბიბლიოგრაფია დაგვიტოვა – ცხადია, არ იყო უბრალოდ კატალოგების შედგენა, მან მთელი კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის დოკუმენტირებული ისტორია შეადგინა, უბრალოდ, ისე დატოვა ეს ფუნდამენტური ნაშრომი, რომ ზედ საკუთარი სახელი და გვარი არ დაანერა. ალბათ, დადგა

დრო, როცა ყდა და თავფურცელი უნდა გაფუკეთოთ მის ნაშრომს.

ბატონ გურამს კარგად ჰქონდა გააზრებული კავკასიოლოგიური ნაშრომების ანოტირებული საძიებლის მნიშვნელობა. რა, ტაჟიკური ან რომელიმე სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ენა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში რომ არ ყოფილა მის შესახებ ნაშრომები ასე ფართოდ ჩართული? კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო მიმართულების, განვითარებას უცხოეთში, სწორედ ბატონი გურამის პროფესიონალური პასუხისმგებლობა და, პირველ რიგში, ეს კატალოგი უწყობდა ხელს. ბატონი გურამი თავს დაჰკანკალებდა ამ კატალოგის თითოეულ სიტყვას, არავის ანდობდა. მასხოვს, ერთხელ, ოთხმოცდაათიან წლებში, ჩემთვის უნდა გაეტანებინა გერმანიაში ბიბლიოგრაფიის ახალი მასალა და ვერ ასწრებდა, ჩქარობდა, ვინაიდან დროულად ვერ მოიპოვა ჩრდილოკავკასიაში გამოქვეყნებული ნაშრომები. მე, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებლად ვუთხარი, იქნებ ასისტენტები ან ლაბორანტები დაიხმარო თმეთქი. ეწყინა, რას ამბობთ, ეს მასალა ბატონ კარლ შმიდტს უნდა მივანოდო, სტატიას აქვეყნებს ქართველოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემაზე ცნობილ უცხოურ ჟურნალში და სხვას როგორ ვანდობო.

ეს პროფესიული თავდადება ასე გაგრძელდა ბატონი გურამის სიცოცხლის ბოლომდე. ყველას გასხოვთ, ბატონ გურამთან გროვდებოდა სადისერტაციო ავტორეფერატები და, საზოგადოდ, ამ დარგის სამეცნიერო ნაშრომები. უცხოეთში გასაგზავნად. ყველაფრის ერთად წაღება ვერ ხერხდებოდა და ბატონ გურამს დახარისხებული ჰქონდა მნიშვნელობის მიხედვით I რიგში გასაგზავნი, მომდევნო ჯერზე გასაგზავნი, სათითაოდ ჰქონდა შესწავლილი მთელი მასალა. 2006 წლის იანვარში, მისი გარდაცვალებიდან სამი თვით ადრე, მე წავიღე ავტორეფერატების ნაწილი. ერთი ჩვენი კოლეგის საკმაოდ საეჭვო სამეცნიერო ღირსების მქონე ავტორეფერატი იყო, რომელიც, ალბათ, ბატონი გურამის გარდა სერიოზულად არავის ნაუკითხავს. ბატონ გურამს სულ აჭრელებული ჰქონდა ფანქერი თითოეული გვერდი. ძალიან წუხდა, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, თეორიული ნაწილი ძალიან სუსტია, მაგრამ მაგალითებია საინტერესო.

დღეს ეს ყველაფერი, ეს პროფესიონალური პასუხისმგებლობა ბატონი ვარლამის და ბატონი გურამის უნიკალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ამ ინსტიტუტში გადმოვიდა; ვიმედოვნებ, რომ ერთიც და მეორეც აქ, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ღირსეულად „დაბინავდება“. ბატონი გურამის მომდევნო იუბილეზე, იმედია, გვეტყვიან, რომ კავკასიოლოგიის დოკუმენტირებული ისტორიის წერა სწორედ იქედან გააგრძელეს ამ დარგის სპეციალისტებმა, სადაც ბატონი გურამი გაჩერდა და რომ ეს ბიბლიოთეკა დარჩა ჩვენი უცხოელი კოლეგების ყველაზე სასიამოვნო სამუშაო ადგილად, როგორც ეს ბატონი გურამის სიცოცხლეში იყო. მაშინ შეგვეძლება გაბედულად ვთქვათ, რომ დიხაც გვახსოვს ბა-

ტონი გურამი.

და ბოლოს, მინდა მივმართო ქალბატონ დოდო აბაშიძეს, ბატონი გურამის უერთგულეს მეგობარს. ქალბატონი დოდო, ვიცი, გამიბრაზდებით, როგორ, გურამის გარეშე როგორ უნდა ვიცხოვროო. როგორ — თქვენს შემთხვევაში მართლა არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: თქვენ ბატონი გურამის უპირველესი მეგობარი და მისი თანამზრახველი ბრძანდებით, და, რაც არ უნდა ძნელი იყოს, არ შეიძლება ეს ყველაფერი თქვენი სიცოცხლით არ გააგრძელოთ.

ნიმუ დოზორჯიანიკა

ჯანსაღი სუბიექტი!

ვინაიდან პირადად ვერ ვახერხებდი ამ სხდომაზე დასწრებას, მომინდა მომეწვდინა ხმა ჩემი სოლიდარობისა და მხარდაჭერისა. გთხოვთ, თქვენთან მიგულთ ამ თავყრილობის მიერ ერთსულოვნად გამოხატულ პატივისცემაში ჩვენი საერთო მეგობრის — გურამ თოფურისას ხსოვნისადმი და მასთან ერთად მისი მეუღლის — დოდო აბაშიძისადმი, რომელიც ასევე დაესწრება ამ შეკრებას.

ნება მიბოძეთ, გავიმეორო ჩემი აზრი, რომ ეს შესაშური ტრადიცია საქართველოს სამეცნიერო ცხოვრებაში წარმოადგენს ფასდაუდებელ საშუალებას იმ ღირებულებებისა თუ პიროვნული თვისებების შემდგომ გასაღრმავებლად, რომელთაც აერთიანებს დიდი მოღვაწის პიროვნული თუ საზოგადოებრივი ხსოვნა.

გურამი იყო არა მარტო მეგობრულად განწყობილი ადამიანი და ღვაწლმოსილი კავკასიოლოგი. მას დაკისრებული ჰქონდა მეცნიერი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაც (რომელიც, როგორც მითხრეს, მემკვიდრეობად მიიღო ვაჟა შენგელიამ). გურამი იყო უცხოელებთან უაღრესად ტაქტიანი და თავაზიანი ურთიერთობის დიდოსტატიც. სწორედ უცხოელის თვალთახედვით მინდა ვთქვა, რომ გურამის მემკვიდრეობის მიღება ნიშნავს იმასაც, რომ ყოველი ღონე უნდა ვიხმართ პროვინციალიზმის ყველა იმ მავნე გამოვლენის დასაძლევად, რომლებიც არგუნა ისტორიამ საქართველოს; უნდა ვეძიოთ და მივალწიოთ დიალოგს საერთაშორისო ლინგვისტიკასთან თანამშრომლობის გზით, რათა მისანვდომი ვახდეს როგორც საქართველოს მეზობლებისათვის, ისე არამეზობლებისთვისაც ქართული ენათმეცნიერების ყველა ღირებული შედეგი — ძველი თუ ახალი.

გისურვებთ აზრით გამსჭვალულ და ამავდროს სასიამოვნო ხალისიან შეკრებას, — ისეთს, როგორც გურამ თოფურისათვის შესანიშნავი იუმორის გრძნობის წყალობით მოეწონებოდა.

პროფესორი ვინფრიდ ბოედერი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ბაჩა თოფურია — ქართული

(ფრაგმენტები)

გურამ თოფურიაზე როცა საუბრობენ, ჩვეულებრივ მას მოიხსენიებენ როგორც დიდ კავკასიოლოგს. არ არის ეს შეფასება მთლად ზუსტი: გურამ თოფურია იყო არა მხოლოდ დიდი კავკასიოლოგი, არამედ დიდი ქართველოლოგიც...

დავინწყოთ თუნდაც იმით, რომ, მისი პირველი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნდა, ქართული მორფოლოგიის საინტერესო საკითხს ეხებოდა („რ- თავსართიანი ზმნები ქართულში“). მაგრამ აქ უფრო არსებითი სხვა რამ მგონია: პირველივე ნაშრომში გურამ თოფურია არ ეთანხმება აკადემიკოს ვარლამ თოფურისას თვალსაზრისს... არ ჩანს ეს შემთხვევითი: სამეცნიერო ასპარეზზე გამოდის მკვლევარი, რომელსაც აკადემიკოს ვარლამ თოფურისას შვილობით შეღავათი არ სჭირდებოდა... ამის თქმის უფლებას მაძლევს არა მხოლოდ ეს პირველი ნაშრომი, არამედ სამ ათეულზე მეტი გამოკვლევა ქართველოლოგიის დარგში.

გურამ თოფურია ფართო პლანის მეცნიერია. იგი ზოგად ასპექტში მოიაზრებს პრობლემას და ამ თვალსაზრისიდან განიხილავს კონკრეტულ ენობრივ საკითხებს. ამის საილუსტრაციოდ იმ ნაშრომთათვის თვალის გადავლებაც იკმარებდა, ბრუნების ზოგად პრობლემებს რომ განიხილავს და ამ ფონზე სვანური სახელის ბრუნების კონკრეტულ საკითხებს რომ იკვლევს... ანდა: ონომასტიკის ზოგადი საკითხების კვლევა და, ამისდაკვალად, კონკრეტული გამოკვლევები ამ სფეროში...

ცნობილი ფაქტია: ეტიმოლოგია საკმაოდ სახიფათო დარგია. ბატონი გურამი ღიმილით იხსენებდა ორი კოლეგის საუბარს: — ეტიმოლოგიებს ისევ წერ? — კი. — ისევ საჭვოს?.. ცხადაა, ასეთ კითხვას გურამ თოფურისას ვერავინ დაუსვამდა: თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერული ეტიმოლოგიები, სწორედ ამის მაგალითია მისი ქართველური ეტიმოლოგიური კვლევაძიებანი...

ბესარიონ ჯორბენაძე წერდა ვარლამ თოფურისას სამეცნიერო სტილის შესახებ: „იგია ლაკონური, ზუსტი და ტევადი, აზრი — საოცრად რაფინირებულად და ყოველისმომცველად ხორცშესხმული. არაფერი ზედმეტი ან ნაკლები. მცირე მოცულობის ნარკვევი ხშირად მონოგრაფიული კვლევის შედეგებს იტევს“... ჩემი აზრით, ვარლამ თოფურისას შემდეგ ეს დახასიათება არავის სამეცნიერო სტილს არ მიესადაგება ისე, როგორც გურამ თოფურისას...

ანა კალანდაძეს აქვს ერთი ჩანაწერი: ივანე ჯავახიშვილის შესახებ იგონებდნენ, რომ არავის არ დაუკარგავდა მცირეოდენ დამსახურებასაც კიო; „მარიაშვილის ქალმა მითხრაო“, წერს ერთგან დამლაგებელი ქალის შესახებო. ეს ჩანაწერი ქალბატონმა ანამ ასე დაასათაურა — „უმნიკველო და უპატიოსნესი“. ბატონი ივანეს ეს თვისე-

ბა ამ ეპითეტიტობათა დახასიათებული... გურამ თოფურიას დამოკიდებულება კოლეგებისადმი შეიძლება სწორედ ასე დახასიათდეს: ზოგჯერ თითქოსდა უმნიშვნელო ინფორმაციის ზეპირ წყაროსაც არ უკარგავს ღვანლს (ამან და ამან მითხრა ზეპირ საუბარში)...

ცალკე თემაა სამეცნიერო ლიტერატურის დამონშების კულტურა. ამ მხრივ გურამ თოფურიას ნებისმიერი ნაშრომი სამაგალითოა — საოცარი სიზუსტე ახასიათებს. ერთგან მ. ჯანაშვილის აზრს მოიხმობს და მიუთითებს, რომ ამას ვარლამ თოფურიას ნაშრომიდან იმონშებს; არადა შეეძლო პირდაპირ მ. ჯანაშვილი დაემონშებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში „სიზუსტე დაიკარგებოდა“...

ფაქტია, საგაზეთო წერილში ვერც ყველა თემას გავისხენებთ ბატონი გურამის ქართველოლოგიურ შემოქმედებიდან და, მით უმეტეს, ვერც ყველა საკითხს შევეხებით... ეს მომავლის საქმეა... მანამდე კი ერთი ოცნება მაქვს: ერთად შეკრებილი ვიხილო გურამ თოფურიას ქართველოგიური ნაშრომები, ერთ კრებულად შეკრული. მნამს, რომ ეს იქნება სამაგიდო წიგნი ქართველოლოგთათვის... და მნამს ისიც, რომ ეს ჩემი ოცნება არაა აუხდენელი...

გიორგი გოგოლაშვილი

მასნიხის მისია

საქართველოსთანა პატარა ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებს, შეიძლება ითქვას, „მისჯილი“ აქვთ სხვა — საზოგადო მოღვაწეობის ფუნქცია, რომლის შესრულებაც განსაკუთრებით ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტებს აკისრიათ.

ასეთი ბედი დაჰყვათ ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან გურამ თოფურიას და მის თანაკლასელსა და ბავშვობიდანვე თანშეზრდილ მეგობარს, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულ ლაშა ჯანაშიას. ორივეს ორმაგი ტვირთი ჰქონდა დამოკიდებული — ერთი საკუთარი, მეორე კი — სახელოვანი მამების, ქართველური ლინგვისტიკისა და ისტორიის კლასიკოსთა, ასევე ახალგაზრდობიდანვე დამეგობრებულთა ვარლამ თოფურიას და სიმონ ჯანაშიას შვილობა. ახალგაზრდებს თავიდანვე მოუხდათ მშობლებივით დაბრძენება. ჯერ სრულიად ახალგაზრდა დაილუპა სიმონ ჯანაშია, შემდეგ კი — თავისი შემოქმედებითი წარმატების ზენიტში მყოფი ვარლამ თოფურიაც. დახვეწილ ინტელიგენტურ ოჯახებში აღზრდილ ყმანვილებს თავმოყვარეობა საშუალებას არ აძლევდა, ესარგებლათ გენეტიკურად ნაბობები შეღავათებით. ღირსების გამახვილებული გრძნობა მათ დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებდა თავიანთი თაობის წინაშე.

კიდევ ერთი პარალელი: გარდა უშუალო წვლილისა სათანადო მეცნიერებებში, ერთმაც და მეორემაც დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას დიდი საორგანიზაციო

მუშაობა გასწია როგორც საკუთარი ინსტიტუტისა — თვის ახალი წარმატებების მოსაპოვებლად, ისე მთელი დარგების განსავითარებლად. აქ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ გურამ თოფურიას ღვანლი არა მარტო ქართველოლოგიურსა და კავკასიოლოგიურ კვლევაში, არამედ ამსფეროში წლების მანძილზე შედგენილი ბიბლიოგრაფიისა და სათანადო კარტოთეკის შექმნაში. ლაშა ჯანაშიამ კი საფრანგეთის ქართული ემიგრაციის უნიკალური ბიბლიოთეკა დაუბრუნა საქართველოს და ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში დაუდო მას ადგილი. ნიშანდობლივია, რომ იგი ამ დიდი მისიის შესრულების შემდეგ მალევე გარდაიცვალა...


სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გურამ თოფურია ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას და ამავდროულად იყო ევროპელ კავკასიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (ეს სტატუსი ბ-ნ გურამს წლების მანძილზე სრულიად დამსახურებულად ჰქონდა მიღებული (არჩევნების წესით) უცხოელი კოლეგებისაგან და ის დიდხანს ინარჩუნებდა ამ საზოგადოების ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას.

ჩვენ, ადამიანები, აკი დროსა და სივრცეში ვცხოვრობთ. ორივე ამ განზომილებაში გურამი ხიდის როლს ასრულებდა: მისი გარჯა, ერთი მხრივ, დროთა კავშირის შექმნას ემსახურებოდა, მეორე მხრივ კი — სივრცეთა, როცა მეცნიერი ცდილობდა თავისი პატარა სამშობლოს ჩართვას მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მეცნიერულ მიმოქცევაში, და ვინც ახლოსაა ქართველურ-კავკასიოლოგიურ პრობლემატიკასთან, დამემონშება, რომ ეს ცდები მას ბევრ სხვაზე უკეთ და მსუბუქად გამოსდიოდა).

და მაინც, ყველაზე დიდი საუნჯე, რომლის შექმნა-შენარჩუნებასაც გურამ თოფურია მთელი თავისი ინტელექტუალური და სულიერი ძალები შეაღია, არის უანგარო მეგობრობა და სიყვარული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი. თავის დიდ მასწავლებელთაგან ჭაბუკობიდანვე მემკვიდრეობად მიღებულ ამ ფასეულობებზე ორიენტაცია მეცნიერისათვის იყო აუცილებელი პირობა არჩეულ სფეროში წარმატებული მუშაობისა. საბედნიეროდ, მისი ძალისხმევა უპასუხოდ არ დარჩენილა: თავისი თბილი, ნრფელი და სათუთი დამოკიდებულებით მან სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ჩრდილოკავკასიელ მოძმეთა გულლებში.

უკეთეს სულიერ ჯილდოს ვერც ერთი მეცნიერი ვერ ინატრებს!

შუპია აზრიდონია



ნიკო
 კობეჯაშვილი

არის ჩემში როდენი,
 ოღონდ ცოტაოდენი.
 არის ჩემში დავინჩი
 კარგ და მზიან ამინდში.
 არის ჩემში რუსთველი,
 მაგრამ გამოუწვრთნელი...
 და იქნება ჩემში დანტე,
 თუ ცოდვები შენი მანდე.
 ხანდახან ვგრძნობ ჩემში შოპენს,
 მაისი რომ ჭერამს მოჰფენს.
 ხანდახან კი, ჩემში ბახი
 სუნთქვას, ბორგავს, როგორც ტახი.
 ზოგჯერ კი, ნაპოლეონი
 ლაპარაკობს ჩემში მგონი.
 თქვენ ფიქრობთ — დავკარგე გონი,
 რომ ეს არის ცუდი ტონი.
 ფიქრობთ არ ვარ თავმდაბალი,
 როგორც ირგვლივ სხვა მრავალი.
 ხოლო ჩემთვის ცოდვაა,
 უცხო და უცნაური:
 თუ ხარ მხოლოდ ჯუმბერა,
 ბონდო, ანდა ზაური.

ცივი სეტყვით ამავსო
 ჩემი სულის ამინდმა.
 რაც ვიცოდი, არ მახსოვს,
 რაც მინდოდა, არ მინდა...
 გამიცვივდა საწოლი,
 სახლი გახდა გალია.
 ალბათ, წლებით დათოვლილ
 საფეთქლებს ბრალია...

ქალბატონ №-ს

ჩემო თვალის ჩინო!
 ჩემო ნატვრის თვალო!
 მათრობ, როგორც ღვინო!
 საოცნებო ქალო!

ჩემთვის, ხიბლი შენი.
 არის ხილი უცხო.
 სიყვარულის სენი,
 რად შემყარე? ურცხვო!

კარავი ხარ თბილი,
 თუ შევძვერი — ვაი!..
 დამაცადე ძილი,
 კაი ახლა, კაი!

შენ ხარ ჩემი ხვედრი...
 თუ გაკოცე — მტრისას!
 შევაგებე მკერდი
 კუპიდონის ისარს.

შენ მესტუმრე მაშინ
 — ჩემში ქარი ქროდა.
 დაჰქრის ახლა ცაში,
 რაც კი დარდი მქონდა.

შენ გაფანტე ბინდი,
 შენ დაბადე მთვარე,
 შენ გაფურჩქნე შინდი
 — ხარობს არექმარე.

ცაზე მზეა ბაცი
 სურვილი აქვს გგავდეს.
 ჩემისთანა კაცი,
 ნატრობს — გვერდით ჰყავდეს.

ფიქრები ამ ქალზე
 მომატარებს ქუჩებს.
 ვეჭვიანობ ხალზე,
 რომ უკოცნის ტუჩებს.

სონეტი №1

შეშლილი ქარი კვლავ მედავება
აფრიალებას შენი კაბისას...
ნუთუ არსებობს, რომ მე დავება,
ნუთუ გაიტანს ქარი თავისას?

სულელი სეტყვა ჭყრის მარგალიტებს,
რომ დაგამშვენოს ცივი მძივებით.
შემთვრალი მთვარე თვალს არ
გარიდებს,
გადარეულა შენი წვივებით.

წვიმა თავნება პირსახეს დაგბანს,
მოგიალერსებს სველი ხელებით.
და შეეცდება ზეცა შენს დაბმას,
ოცნების მსგავსი ცისარტყელებით...

მაგრამ უქმეა მათი ხარჯები.
ვიცი, რომ მაინც ჩემთან დარჩები!

სონეტი №2

გაგიკვირდებათ ეს ლექსი ალბათ...
„დავისვენებო, ღამეა, ბარემ“.
გადაიფარა ღრუბელი საბნად
და ჩაიძინა აგვისტოს მთვარემ.

ღამის წყვილიაღმი მე და შენ მარტო...
არ გვებზრდებოდა ჩვენი თამაში.
წოლა მოგვენონდა (არ ვიცი რატომ)
თბილი წვიმების აბაზანაში.

მივუყვებოდით ვნების მდინარეს,
მივხვდით რის გამო მიწა იძვრება...
ვემუქრებოდით მთვარეს მძინარეს,
არ გაებედა გამოლვიძება!..

გახსოვს, ნაწყენმა მზემ რა თქვა მაშინ:
მეც მინდა ვნახო თქვენი თამაში!..

- 10 ნამია რაც გაგიცანი
- 9 ნამი არის რაც გავიხარე
- 8 არის ნამი — ვიგრძენი ტანი
- 7 ნამის წინ შიგ ჩავიღვარე
- 6 გავიდა — ნამება ექვსი
- 5 ნამში გაჩნდა შენდამი ლექსი
- 4 უაზრო უშენო ნამი
- 3 ჯერ პირჯვარი, თვალეზზე ნამი
- 2 ნამში ხდება შეტევა გულის
- 1 ნამში სკდება გულის ფიცარი
- 10 ნამია რაც გაგიცანი
- საუკუნეა რაც შეგიყვარე.

მამას

ველარ აღვიქვამ მე იმ სიხარულს
(როდესაც ყალბი შეწყდება გლოვა)
— თან ნაუტირებს, თან გაიღიმებს
შვილი, რომელიც საფლავზე მოვა.
მოვა,
დაჯდება,
მონევს
და წავა.
იქ, კი, იგივე დარჩება ჰავა...

დედას

ვინ დამბადა ასე ფლიდი,
ასე წყნარი, ასე დიდი,
ასე ცუდი, ასე კარგი,
ვინ მასწავლა ასი დარგი?

ვინ აბრალებს ძუძუს წყევლას
და მიწუნებს ცოლად ყველას?
ვინ ჩამარტყამს თავში უროს
(ასე ჩემთან, სხვა ვინ ხუმრობს)?

ან, იმ ღამეს ვინ გამათბობს,
მე ჭალარა რომ დამათოვს?
ვის დავუთმობ ზედმეტ სიტყვას...
ვერც ავუხსნი როგორ მიყვარს.

ვინ იქნება მუდამ ახლოს,
მაშინაც კი, შორს თუ სახლობს?
ვინ იქნება? — ვინ და, დედა.
თორმეტ ივლისს დამებედა!..

მე რომ შემეძლოს ჩხუბის ატანა,
ქუჩა-ქუჩა კი აღარ ვივლიდი,
ჩვენ ვიქნებოდით ერთად, პატარავ
და როგორც სულთანს შენ მომივლიდი...
მაგრამ სად არის ბაირამობა
— ბედი დაგდევდეს ფეხდაფეხ სულ თან.
ეს ალბათ უკვე აღარ გამოვა,
სულთანი არის შორი შენს სულთან.



ნოდარ პაპისძე

IMAGE, ჩოქისას ახ აქს ანალოგი

ადამიანთა მისტიკური ფანტაზიის სამყაროდან ჩვენი პლანეტის არსებობის კალენდარივით აკინძულან საუკუნეები, ეპოქები... ფიქრებად დაშლილი ჟამი და Image – ანუ სახე ღირსებისა მოაგორებს ცივილიზაციებს. ყველას უნდა, რომ გამორჩეული იყოს. ძლიერი, როგორც არწივი, ლომი, ვეფხვი, შევარდენივით სწრაფი, ცურავდეს, როგორც თევზი... არადა პარადოქსიც იმაშია, რომ ყველაზე გამორჩეული მაინც ადამიანია. Image (სახეა ღირსებისა) უძველესი დროიდან აღელვებდა ღარიბსა თუ მდიდარს, მეფესა თუ ვეზირს, იმპერატორს, სულთანს, ხალიფას, ფარაონს, ყაენს... ხელოვანს თუ გამომგონებელს, მკურნალსა თუ ნათელმხილველს.

და იქმნებოდნენ მსოფლიოს საოცრებანი: ხეოფსის პირამიდა, გიგანტური სფინქსი, არტიმिდას ტაძარი, კოლიზეი, ალექსანდრიის

შუქურა... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი შედეგირი შექმნა ადამიანის ნიჭიერება... რა თქმა უნდა, ადამიანის ტალანტის სიღრმეს მასშტაბებით არ საზღვრავენ. სახეა ღირსებისა, ლეონარდოს ჯოკონდას ღიმილშიც, მთელის სისრულით აირეკლება. მიქელანჯელო კი სიქსტინის კაპელის ჭერზე უხერხულ პოზაში იყო გამოკიდული. იგი შემოქმედებითმა ინერციამ მეორე განზომილებაში მოათავსა და პოზის დისკომფორტი საერთოდ არც უგრძენია. სწორედ იმ „კოსმოსური სივრცის“ შეგრძნებით შეძლო მან ასეთი წარმოუდგენელი შედეგების მთელი სერიალის შექმნა.

თავის დროზე, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ კოპნია პარიზის ბუნებრივ პეიზაჟში უცხო სხეულივით ჩადგმული ეიფელის კოშკი ფრანგული ღირსების სიამაყედ იქცეოდა. დაახლოებით იმავე პერიოდში ლონდონშიც ააგეს ინგლისური არქიტექტურის სიახლეთა-სიახლე და Image – ბროლის სასახლე. შემდეგში აღმოჩნდა, რომ იგი უარყოფით გავლენას ახდენდა ადამიანის ფსიქიკაზე. ამის გამო რამოდენიმეჯერ მისი დემონტაჟიც კი იდგა დღის წესრიგში, მაგრამ Image-ს სიყვარულმა სძლია ჯანმრთელობის მოთხოვნის გონიერებას.

საინტერესოდ წყდებოდა ღირსების სახეების პრობლემა ნეპალშიც. გამორჩეულობის მოსურნეს თავისი ეზოსთვის თურმე ჩამოჰქონდა უზარმაზარი მთა-ლოდი, რომელიც ეზოს უდიდეს ნაწილს იკავებდა. გვალვის პერიოდში იგი ძალიან ხურდებოდა და სიცხე სახლის მფლობელთათვისაც ძნელი ასატანი ხდებოდა. წვიმების სეზონის დროს კი წყლის ნაკადების ნიაღვრები ავსებდნენ ეზოს და სახლს წალეკვით ემუქრებოდნენ. მიუხედავად ამ უხერხულობისა, სახლის პატრონი მაინც კმაყოფილი იყო. რადგან Image – ნიშნავდა, რომ პატრონს იმდენი ხარ-კამეჩი და მუშა ჰყავს, რომ მთაც კი შეიძლება მოიტანოს.

დღეს, ამ მაგალითზე, შეიძლება ირონიულადაც კი გაგვეღიმოს, მაგრამ ამ გულუბრყვილო პასაჟს თუ ჩვენს საუკუნეში გადმოვიტანთ, დავრწმუნდებით, რომ სუპერცატამბჯენებისადმი თანამედროვე დამოკიდებულება არც ისე შორს ნასულა იმდროინდელი წარმოდგენებისაგან. საქმე იმაშია, რომ მეექვსე სართულის ზევით მატულობს უარყოფითი იმპულსების შემოქმედება ადამიანის ბიოველის ნონასწორულ მდგრადობაზე. მეთხუთმეტე სართულის ზევით საგრძნობია „დროის აჩქარების იმპულსი“, რომელიც ასევე უარყოფითი დაძაბულობას ქმნის ადამიანის ფსიქიკაში. 84-ე სართულის ზევით უკვე საგრძნობი ხდება „სიმაღლის საქანელა“, მისი უარყოფითი გავლენა ადამიანზე ყველასთვის ცნობილია. მაგრამ სუპერცატამბჯენი ქვეყნის ძლიერების Image-ა. და სახელმწიფო, რომელიც პრეტენზიას აცხადებს იყოს მსოფლიოში მოწინავე, უარს ვერ ამბობს

„სახეების ღირსებაზე“. ასე იყო ძველ რუსეთშიც, როცა მეფე ზარი და მეფე ზარბაზანი აღქმული იყო ძლიერების სიმბოლოდ. ასე იყო გუშინაც, როცა ცნობილი არქიტექტორის ლე კორბუზიეს სახლი-ქალაქის სუპერპროექტი შეიქმნა; ასეა დღესაც, როცა გვსურს, ან ვქმნით თანამედროვე სუპერპროექტებს. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნება Image-სა, რომლითაც სახე ღირსებისა განსაკუთრებულ თავისებურებას და მართლაც გამორჩეულობის უმაღლეს ფორმას იძენს. ეს გახლავთ სულიერება, სილამაზე სიყვარულისა, მადლი. მადლს კი თავის მხრივ ერთი საოცარი თვისება აქვს, - იგი მრავლდება, სიყვარულიც სიმრავლისაა და ქართულმა ბუნებამ სულიერების ტაძარი „ღირსების სახეებად“ გაითავისა. სწორედ ის გახდა მისი Image - (სახეება). ის იქცა სიცოცხლის აუცილებლობად, ქართველობის აუცილებლობად. ეკლესია, მონასტერი, სამლოცველო, სავედრებელი, საეკლესიო ზარი, ლოცვა, გალობა, ენა. აი, ეს სიმდიდრე, რომელმაც როგორც ქართული ფსიქიკისა და გონის მასაზრდოებელმა ღირსებამ, ერის თვითმყოფადობა განაპირობა.

მოდოდოა გადამთიელი, ჩვენი მოსპობა სურდა, სისხლით იღებებოდა ქართული მიწა, ეკლესიები კი შენდებოდა. აქ რამ გააჩინა მართლმადიდებლობის ეს პატარა კერაო, — უკვირდა თემურ ლენგს. ლაშქრავდა, ეკლესია კი შენდებოდა. ზოგჯერ ქართველს ისე უჭირდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე „ქეჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განიღვენიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“ — ეკლესია-მონასტრები კი შენდებოდა, მონლოლებმაც შეუბრალებლად „გადაგვიარეს“, და მაინც, ეკლესიები შენდებოდა. სპარსთა და თურქთა ლაშრობები... უამთა ქარიშხლებს რა ჩამოთვლის, ბოლოს კი ეკლესიებში ფრესკები კირით შეგვიღებეს, სამრეკლოს ქართული ზარები ჩამოგვიხსნეს და გადაადნეს, ქართული გალობა ეკლესიიდან განდევნეს. ქართველი კი მაინც, მაინც, ლოცულობდა, მთელი საქართველო გალობდა, ოჯახები გალობდნენ და სალოცავებიც შენდებოდა... ჰოდა, აბა რა გასაკვირია, რომ პირველი მართლმადიდებლური ეკლესია პირველსავე საუკუნეში სწორედ საქართველოში აშენებულიყო? და მისი შენებაც სწორედ წმინდა ანდრია მოციქულს, პირველწოდებულს დაკავშირებოდა? ესეც ხომ ღვთის ნების გამოხატულების თავისებური ხიბლია. გელათის საეკლესიო ბრწყინვალე კომპლექსსაც, მეორე ათენს, თავისი მაღალი სულიერებისა და დიდი საზროვნო თეოლოგიური მნიშვნელობის გამო უწოდებდნენ, თორემ ისიც ქართულ გალობასავით განუმეორებელი ძეგლია აღმსარებლობისა. ახლა ჯვარი, თავის უნიკალური პროპორციებით და კლდეში გამოკვეთილი ბერთა მცირე აკლ-

დამებით! მარტივლის ტაძარი — დიდი სამგალობლო სკოლა, ბანა, გურჯაანის ყველანმიდა, შუამთა... მსუბუქი პროპორციების ცისკენ შემართული ლამაზი ოშკი, ატენი — გასაოცარი ფრესკებით დროის თვალსაწიერი რომ გადაულახავს, ყინვისი, ანგელოზის შესანიშნავი ფრესკით, ქართული რომანტიკული სულივით ღვთის მოკრძალებამიც რომ ბუნებრივია. მონამეთა, მთის მწვერვალი რომ ლოცვის კუნძულად უქცევია. უძლევი ბაგრატი, რომელსაც ანგრევდნენ და ვერ დაანგრეს, სწვავდნენ და ვერ დასწვეს, ფენიქსივით ისევ აღმდგარა და საქართველოსავით ისევ წელში იმართება. და კვლავ ისმის ტაძრებიდან ქართული ზარის რეკვა, კვლავ უხმობენ ქართული ზარები მლოცველებს. განა ასეთ ერს გადაშენება უწერია?

ყველა ტაძარი ხომ საქართველოში ადამიანივით გამორჩეულია, თავისი განუმეორებელი სილამაზე და, თუ გნებავთ, „თავისი ხასიათი“ აქვს. ავიღოთ თუნდაც ვაჩნაძიანის ტაძარი, თავისი ორმაგი ჭვრეტის სარკმლებით. აქ როცა მზის გამჭოლი სხივი საკურთხევილიდან აირეკლება, ტაძრის განათების ინტენსივობის ციალი პერიოდულად იცვლება, რაც ტაძრის შექმრდილს განსაკუთრებულ იდუმალებას ანიჭებს. იქმნება თავისებური სიმშვიდის აურა და მლოცველს მიმტევებლობისა და მონანიების განცდა ეუფლება.

სხივთა მისტიკური ციალი კი თავისებურ გადაძახილშია გალაკტიონის გენიალურ სტრიქონებთან, რომელიც პოეტმა ქართული არქიტექტურის შედეგს ნიკორწმინდას მიუძღვნა:

„მაქვს მკერდს მიდებულები
ქნარი, როგორც მინდა
ჩემთვის დიდებულები
სხივი გამობრწყინდა.
.....
მძლავრი ხელოვნება
ხალხის ხელოვნება-
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა“.

ლექსივით ამღერებული არქიტექტურა, მართლაც რომ ხალხის სულიერი ხელოვნება, დიდებულ ალავერდთან მიდის. ალავერდობა, ლოცვის ზეიმი, გალობის ზეიმი, დიდი საეკლესიო დღესასწაული, ალავერდის ცისკენ ასული გუმბათიდან ხედვა ამაღლებული და ამ გუმბათის სიმაღლეში ახმინებული გულიდან აღვლენილი ლოცვა სიყვარულისა... სადიდებელს უგზავნის ქართული არქიტექტურის საოცრებას — სვეტიცხოველს. ამ უნიკალურ ძეგლთან დაკავშირებით XXI-საუკუნისკენაც მოგვიწევს „მცირედ“ გამოხედვა. უახლესი ჩინური არქიტექტურის სიამაყეა სუპერ ცათამბჯენი, მის შენებას სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით უამრავი და ურთულესი პრობლემები ახლდა. მათ შორის იყო სიმყარის „პლასტიურობის“

პრობლემა. უახლეს ინჟინერიაში ამის გადან-
ყვეტა მოხერხდა ქსოვილისებურ-ღეროვანი
მიკრობზარების მეშვეობით. ეს ნოუჰაუთ იყო
აღქმული თანამედროვე არქიტექტურაში.
რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რვა საუკუ-
ნეზე მეტი ხნის წინ, პრინციპულად იგივე მიკ-
როპლასტიურობის იდეა შესანიშნავად განახ-
ორციელა გენიალურმა ქართველმა არქიტექ-
ტორმა არსაკიძემ. დიდოსტატის „მარჯვენამ“
უნიკალური პროექტი მოხაზა სვეტიცხოვლის
სადირკვლისათვის, რითაც ტაძრის სიმკვი-
დრე მნიშვნელოვნად გაზარდა. ამას უნდა
დავუმატოთ თავისებური არქიტექტურული
„ოთხთავი“. ოთხი არქიტექტურული იდეის
გამთლიანება. ერთი კედლის იდეური „კო-
ლაჟი“ და სამი კედლის არქიტექტურული „ვა-
რიაციები“, დასავლეთის კედელზე შესანიშნავი
ფრესკა: ძველი აღქმის სიმბოლოთა „შუქზე“
ახალი აღქმის სიმბოლოთა უნიკალური კომ-
პოზიცია და ამის შემდეგ ნათელი გახდება, რომ
ეს ემოციურობით გრანდიოზული ნაგებობა
ქართული აზროვნების ის ტიპური თავისებრი-
ობაა, რომლის სიღრმეშიც დაიბადა ქართული
ენა, ქართული მრავალხმიანობა, ქართული აზ-
როვნების უნიკალობა.

ვინ იცის, იქნებ ქართული ტაძრებისა და
კოშკების ბუნებასთან შერწყმის კომპოზიცი-
ურმა მთლიანობამ ამერიკამდეც მიაღწია და
ცნობილი ამერიკელი არქიტექტორის ფრანკ
ლოიდ რაიტის კვლევის საგნად იქცა. იქნებ,
მისი შესანიშნავი თეორია არქიტექტურული
ნაგებობის ბუნებასთან შერწყმის ჰარმონიუ-
ლობასთან დაკავშირებით ქართული არქ-
იტექტურის შედევრებისგან მიღებულ ხილვით
ემოციასაც ეყრდნობა? ვინ იცის... მით უფრო,
რომ მისი მეუღლე თბილისელი გახლდათ და
როგორც ამბობენ, ქართული არქიტექტურის
დიდი მოყვარული იყო.

გამოთქმა – ქართული არქიტექტურის მოყ-
ვარული, ალბათ, მეტისმეტად მოკრძალებუ-
ლია. განა შეიძლება არ აღფრთოვანდე, როცა
იდუმალ შიომღვიმეს ნახავ? ან როცა ზედა-
ზენის ტაძრიდან გადაჰყურებ ქართული ცისა
და მიწის ჰარმონიას, თითქოს ისინიც ქართულ
სამგალობლო ანტიფონიას უხმოდ „აუზღერე-
ბია“. ვარძია? იქ ხომ კესონური გამოკვეთის
თითქოსდა, ცნობილ ფორმებშიც ქართული
არქიტექტურის უნიკალური ვარიაციების ხი-
ბლია... და მიწა, ძალიან მიწა, თითოეულ
ტაძარს, მონასტერს, თითოეულ ქართული არ-
ქიტექტურის ძეგლს, რომელიც ჩემ წერილში
ვერ მოვიხსენიე, შენდობა ვთხოვო. ალბათ, მო-
მიტვეებენ, რადგან ისინი ყოველთვის ჩემთან
არიან და მეც მათში ვარსებობ, როგორც ვე-
დრება საქართველოზე, როგორც გალაკტიონ-
ის ლოცვა:

„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები.“

მძაფრი ქარტყილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გვედრები“.

ამას ევედრება ყველა ქართველი, რადგან
არაფერს ისე არ იყო მონატრებული, როგორც
მშვიდობას. დღესაც ძალიან უჭირს საქართ-
ველოს. დღესაც „მრავალნი სცდებოდნან და
მრავალნი აცდუნებენ“ (თავისუფალი ციტატა),
მაგრამ დღესაც შენდება ეკლესიები, რომ-
ლებიც ქართველთა რწმენის უკვდავებაში
ამოზრდილა და როცა მზის პირველი სხივი
ქართულ ცაზე ამოცურდება, როცა ბოლნისის
ტაძრის პირველი სხივის სარკმელს პირველად
დაეცემა, იქაც ქართული ტაძრის მეხსიერებაში
ახმიანდება ლოცვა სიყვარულისა, მშვიდობი-
სა, ნატვრა სიკეთისა. იგი ლამაზ ჩუქურთმად
ჩაექსოვება სხივის ციალს.

აღმოსავლეთის სარკმლის თავზე კი ლამაზი
ჯვარი მოკლე ფრთით ქვემოთაა გამოსახული.
მოკლე ფრთით ქვემოთ და გრძელი ფრთით
ზევით შემართული გრძნეული ნათებით ამო-
ბრწყინდება. გადამთიელს იქნებ გაუკვირდეს
კიდევ და იფიქროს, არქიტექტორს შეშლია
და ჯვარი შეუბრუნებიაო. სინამდვილეში კი
ესეც ქართული აზრის გაბრწყინებაა. ეს არის
ხედვა კოსმოსიდან, ხედვა უფლისა. ზეციური
უსასრულობიდან ჯვარი ასეა დანახული. იქი-
დან პირველი სხივის სარკმელზე სწორედ ასე
გამოჩნდებოდა ეს დიდებული სიმბოლო ამა-
ღლებისა. მზის პირველი სხივები თანდათან
განივრცობიან, ისინიც უძღვეველობისა და სიყ-
ვარულის ულამაზეს ბაღეს ქმნიან, სხივთა ნაქს-
ოვი სხვა ტაძრების სარკმლებზეც განეფინება.
ბოლოს ახალი ათონის მთას ეწვევა აფხაზეთში
და იქიდან ზღვის ჰორიზონტს მიღმა ჩაესვენ-
ება. მითიური მეტაფორაა მარადისობისა. მზე
ქართულ მიწაზე ამოდის და იქ სადღაც ზღვის
დასალიერში ჩადის, ლამის, როგორც უძველე-
სი ეგვიპტის მზე-ღმერთი — რა. ბედნიერებაა,
როცა შენ თვალწინ უძველესი წარმოდგენის
მირაჟი ცოცხლდება. სამწუხაროდ, ზოგჯერ
ჟამთა გადაძახილში დაუნდობელი ბალღამიც
გახსენებს თავს:

ამბობენ „ერთხელ“ ჩრდილოეთიდან სტუმ-
რები რომ გვწვევიან, ერთი იმათგანი ისე გაუკ-
ვირვებია ქართულ ეკლესიათა სიმრავლეს, რომ
უთქვამს: - ასეთი რა ცოცხა ჩაუდენია ამ ერს,
რომ მათი მიტევებისათვის ამდენი ეკლესია
აუშენებიაო. რას იზამ, ალბათ, ადამიანის გონს
ასეთი ჭირიც ჭირს. თუ გული კეთილია, სიმარ-
თლის გაგებისთვის ისტორიის ცოდნაც არ არის
აუცილებელი. ბრძენ სოლომონ მეფეს სწორედ
ამიტომ შეუთხოვნია უზენაესისადმი: „ღმერთო
მომეც გონიერი გულიო“. აი ეს გონიერი გული,
მოყვასისადმი კეთილი ხედვა და აზრის სი-
წმინდე ნებისმიერ ადამიანს დაანახვებდა, რომ
ტაძრების, მონასტრების და სალოცავთა სიმ-
რავლე ერის ღირსების სახეა, მისი Image, მისი
მორწმუნეობრივი სულის მოთხოვნილება და

არა ცოდვათა მოსანანიებელი გამოსასწორებელი სახლი. ასე გაფიქრებაც კი, ძალიან რბილად რომ შევაფასოთ, მკრეხელობაა.

ქართველმა ერმა სწორედ ამ ურყევი რწმენით, მიმტვევებლობით, მოყვასის სიყვარულით და ამაღლებული სულიერებით გაუძლო ურიცხვ მტერთა შემოსევებს. გადაურჩა ასომილიაციურ პროცესებს. სალოცავთა ასეთმა სიმრავლემ, როგორც ერის ღირსების სახებამ, დღემდე გამოატარა ქართული ბუნება ჟამთა არნახულ ქარიშხლებში. მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში გეოლოგიური აგებულების თავისებურებაც გამორჩეულია და ამ თვალსაზრისით, ეკლესია-მონასტრების და სამლოცველოების სიმრავლაც უფლის ნებით იყო ამაღლებული.

საინტერესოა, რომ დღესაც, როცა წმინდა სამების ტაძრის შენება იწყებოდა, მისი მამავალი საძირკველის მშენებარე ადგილას უზარმაზარი ღრმული ყოფილა. ზოგს გაჰკვირვებია და უკითხავს ამას რა ამოავსებსო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს მისთვის ჩვეული კეთილი ღიმილით მხოლოდ ორი სიტყვა უბრძანებია: უფლის ნებაო. აი, ეს ორი სიტყვა არის, იყო და იქნება ყველაფერი. და აშენდა არქიტექტურის ახალი მონუმენტური ტაძარი. იმედივით გაბრწყინებული რომ გადმოჰყურებს თბილისს და სამრეკლოს ზარებით რომ ეხმიანება სრულიად საქართველოს.

ზოგჯერ უფლის ნება სასწაულებრივი სახებითაც გაბრწყინდება-ხოლმე. ხან მაცხოვრის გამოსახულების ნათება გამოჩნდება, ხან მარიამ ღვთისმშობლისა. ჩვეულებრივად, ასეთი სახება ჩნდება ტაძრის ან მონასტრის სამხრეთის ან დასავლეთის მხარეზე. ეს არ გახლავთ მირაჟი, რადგან მირაჟი უბრალოდ ფიზიკური მოვლენაა. ეს კი არის დროის მარადისობიდან ამოსული ხილვითი ბუნება, რომელიც ჩვენი წინაპრების რწმენამ შემოგვინახა და უფლის ნებამ ხილვის შესაძლებლობად აქცია ჩვენთვის. წინაპართა რწმენა, ლტოლვა სულიერი ამაღლებისკენ, ეკლესია-მონასტრების თუ სამლოცველოების სიმრავლე, არ არის სისრულე ღირსებისა. უმნიშვნელოვანესი სწორედ ის იყო, რომ მათი სიმრავლე ნიშნავდა სამგალობლო სკოლების სიმრავლეს, ქართულ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა სიღრმეს. ქართული აზრი არასოდეს არ იკეტებოდა კუთხურ ჩარჩოებში. პეტრე იბერის მოღვაწეობა ამის ბრწყინვალე მაგალითია. სინას მთაზე ხატმწერთა ცენტრიც კი ჰქონდათ ქართველ ხელოვან მოღვაწეებს. იმ პერიოდში, როცა საყოველთაოდ ცნობილი იყო ჰორიზონტალის ჰარმონია, ოქროს ჰარმონია, სახის ჰარმონია, იოანე პეტრინმა შემოიტანა სამი, დღევანდელი სივრცისა და კი უნიკალურ ცნება:

მეყოვლება – როგორც ცნება განსხვავებული-ბათა გამთლიანებისა, უმიზეზობრიობა (ლამის ეინშტეინის ალბათობა) და სამთა სამების ანუ ცხრის უნივერსუმის თეორია. ასევე უმნიშვნელოვანესი იყო გიორგი მთაწმინდელის, გრიგოლ ხანძთელის, ევრემ მცირეს და სხვათა მოღვაწეობა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველები საგანმანათლებლო მოღვაწეობას ენეოდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. თბილისში სპეციალურად გამოყოფილი ტაძრებიც კი ყოფილა უცხოეთში ქართველ მოღვაწეებთან კავშირებითი ფორმების მოსაძიებლად.

სამწუხაროდ, ჟამმა დაუმცხრაღამა, ნაწილი ჩვენი ტაძრებისა და სამლოცველოებისა, დედასამშობლოს მოსწყვიტა. ზოგი უპატრონოდ არის მიტოვებული, ზოგიც ნანგრევებად ქცეულა. მათ შემხედვარე დამწუხრებულ ქართველს უთქვამს: „უპატრონო ეკლესიას ტურები დაეპატრონენო“.

საბედნიეროდ, ეს ნათქვამი გულის ნათქვამი არ არის. ეს ცრემლის ნათქვამი თუ იქნება, მაგრამ მასაც დავეინყებია, რომ ქართველის ცრემლშიც რაინდული სულია და არასდროს არის წუნუნად და ჩივილად ქცეული. ქართული ტაძრის ერთ ქვაშიც კი იმდენი რწმენაა ჩაქსოვილი, იმდენია ღვთის სიყვარული, მამა-პაპათა იმდენი ბრძოლის ჟინია, რომ მიტოვებულ ეკლესიასთან კი არა, იმ ერთ ქვასთანაც ტურებს ვერ მიესვლებათ და მე მჯერა „ქვათა ლაღადისა“, (ილია ჭავჭავაძე). მე მჯერა ძალი სულიერებისა... დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ... ზეგ თუ არა... უსათუოდ მოვა დრო, როცა იმ ეკლესიებშიც მივლენ ქართველები და ულამაზესი ორატორული პასაჟი: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სრულიად ახალი, კიდევ უფრო პლანეტარული მნიშვნელობით დაიტივრება. ქართული საზრისი მსოფლიოს ხელოვნებისა და სულიერი კულტურის საგანძურს შეუერთდება სწორედ თავისი უნიკალურ თვისებათა ღირებულებებით, რამეთუ სახება ღირსებისა იქნება წარმმართველი მისი ქართული ბუნებისა. ის უთუოდ გამორჩეული იქნება და საინტერესო, განურჩევლად იმისა, გაეცნობიან მას ამერიკის კონტინენტზე, აფრიკაში, აზიაში, თუ ევროპაში.

ახალ ქართულ გალობაში, ახალ ქართულ მუსიკაში, პოეზიაში, ახალ ქართულ მხატვრობაში, მწერლობაში, არქიტექტურაში, მეცნიერებათა სიახლეებში, ინჟინერიაში, სამედიცინო უახლეს მიმართულებებში, კოსმოსურ ძიებებში, ყველგან, ყველგან, ყველგან „ჟამი ქართულად შეინირვის“, უთუოდ „ქართულად შეინირვის“. ეს მე მჯერა, რადგან ამ რწმენის გარეშე უბრალოდ აღარ ვიქნებოდი ქართველი.



თემურ ჭვითელაშვილი

სალომე
გოგოლაძე

**შანთვის ველახი ჩამო
თბილის ქადაკო...**

„ხელოვნება — ესაა ჭვრეტა, ესაა გონების სიხარული, ბუნების სიღრმეში რომ შეუღწევია და ჩასწვდომია იმ ღვთაებრივ სანყისს, რომელიც მას აცოცხლებს.“

გოეთე

თბილისის ძველ უბანში ქვაფენილიან ქუჩას მიუყვება მუსიკოსი, ლამპიონების შუქზე ცაში მოფარფატე თოვლის ფანტელები მოცეკვავე ბალერინებს გვანან. კაცს ზურგით შავ ყუთში მოთავსებული გიტარა მიაქვს. თითქოს ვერ გრძნობს სიმძიმეს. წლების მანძილზე ისე შეეჩვია, როგორც საკუთარ პირმშოს. გულში მელოდიას ღიღინებს, მოცეკვავე ბალერინებს ხელისგულს უწვდის და ისინიც სახელდახელო სცენაზე თავბრუდამხვევად ტრიალებენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.


მუსიკოსმა სიონის ახლოს ჩაიარა, მეჩეთსა და სინაგოგას კრძალვით შეავლო თვალი, მერე

კი ნელი ნაბიჯებით ჩაბნელებულ სახლთან გაჩერდა, სახლი სიძველისაგან ძლივს იდგა ფეხზე, აქა-იქ კედლები ჩამონგრეოდა და წვიმასა და თოვლს ველარ იკავებდა. ეზოში უზარმაზარ ჭადრის ხეზე ბადრი მთვარე გრძნეულივით გარინდებულიყო. საოცარ იდუმალებას მოეცვა გარემო. კაცმა შავი ყუთი ფრთხილად დადო მიწაზე, გიტარა ამოიღო და გულზე მიიხუტა, მერე არე-მარეს ჩაფიქრებულმა გახედა, ცვილისფერი თითებით ნაზად შეეხო სიმებს. ერთი გაიჟღერიალა ინსტრუმენტმა და მუსიკოსის გულში მიძინებული მოგონებები მოფრთხილავ მტრედებივით წამოიშალნენ, კრძალვით გადაუფრინეს ბავშვობის ხანას და დაგმანული კარები შეაღეს.

ყვითელაშვილების ოჯახი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა თბილისში. სამი რელიგიის გზის გასაყარზე, მორწმუნეთა უბანში. ოჯახში იგრძნობოდა პატივისცემა ებრაული სინამდევებისადმი და ქართული ტრადიციების თავშერწყმა. ოჯახის უფროსი განსაკუთრებით გამოირჩეოდა გასაოცარი წესრიგიანობით. მამის მკაცრ თვალს არაფერი გამოეპარებოდა, თითქოს ყმანვილის გულში იხედებოდა და ოდნავ ცდომილებასაც კი არ პატიობდა.

ბიჭს ყოველ დილით აღვიძებდა ხარების გაბმული ხმა და დედის ალერსიანი ძახილი. დედა იყო სიკეთისა და სიყვარულის დაუმრეტელი წყარო, პატარა თემური მთელი არსებით საზრდოობდა ამ სათნო ადამიანის თვისებებით, პირველი მელოდია სწორედ დედისგან მოისმინა. ბიჭმა იგრძნო უხილავი ძალა, რომელმაც სასწაული მოახდინა მასში, თითქოს მიძინებულმა მისტერიამ გაიღვიძა ყმანვილი სათნო გულში, სისხლმა უცნაურად დაიწყო ხმაური, ჯერ ამოუცნობი ენერგია სულსა და სხეულს დაეპატრონა. ბიჭს სახეზე აღებეჭდა განცდილი, თვალები მილულა და სხვა სამყაროში გადასახლდა. ხელები კი, ჯერ კიდევ უძრავად მყოფნი, მხოლოდ ჰაერის ტალღას შეავლო.

დედა ხვდებოდა, რომ მისი პირმშო განსაკუთრებული ნიჭის მატარებელი იყო. სწორედ





მან შეუძინა პირველი გიტარა და შვილის მუსიკალური ფრთამესხმაც აქედან დაიწყო. ოჯახის უფროსი კი დიდი სიმკაცრით მოითხოვდა სწავლასა და წესრიგს, პატარა თემური არც აქ ჩამორჩებოდა და-ძმებს. მისი ერთ-ერთი გატაცება კი ფეხბურთი იყო, რომელსაც არცთუ ცუდად თამაშობდა. „რომ არა მუსიკისადმი ლტოლვა, მე ფეხბურთელი გამოვიდოდი“ — ამბობს იგი.

ბიჭის გატაცებისა და ნიჭიერებისა ნაკლებად ესმოდა მამას. თვლიდა, რომ მუსიკა მხოლოდ ხელისშემშლელი მოვლენა იყო შვილის ცხოვრებაში. თემური მამის სისასტიკეში მაშინ დარწმუნდა, როცა მან დაუნდობლად დაუმტვრია ერთადერთი სანუკვარი ნივთი, დედის ნაჩუქარი გიტარა. პატარა თემურს არ შეეძლო ეტირა, იმიტომ, რომ გრძნობა, რომელსაც ის განიცდიდა არაადამიანურ ტკივილს აღემატებოდა. ერთადერთი დამაკავშირებელი ხიდი იმ სამყაროსა და ამ სამყაროს შორის დაირღვა და ბიჭი ჰაერში დაკიდებულ მარიონეტს დაემსგავსა, უმიზნო, უსუსლო და უგრძნობი.

მალე თემურმა მუსიკის სწავლა და შექმნა დაიწყო, პარალელურად კი გამუდმებით უსმენდა იმ დროისათვის გამოჩენილ მუსიკოსებს: ჯონ მაკლაფლინს, ჯიმი ჰენდრიქსს, ჯორჯ ბენსონს, ალან ჰოლცვორდს და სხვა. მან დამოუკიდებლად ისწავლა ნოტები, (თუ არ ჩავთვლით უფროსი ძმის მიერ ნასწავლ რამდენიმე აკორდს). დაიბადა პირველი მელოდიაც, სასწაული ზემთაგონებული ძალისა. ყმანვილი ხვდებოდა, რომ მუსიკა მისგან ყველაფერს მოითხოვდა: დროს, ენერჯიას, არაადამიანურ შრომას. მის ხელებს არ ჰქონდა მოსვენება, მისი თითები ძილშიც კი ფაციფუცობდნენ, თრთოდნენ, კანკალებდნენ. ერთ დღეს, ცისფერ ეკრანზე მთელმა საქართველომ იხილა, 15 წლის ვირტუოზის, თემურ ყვითელაშვილის დაბადება. მაშინ ბიჭის მამა ცოცხალი აღარ იყო. მისი ნიჭის აღიარებას მხოლოდ დედა მოესწრო. ქალი, რომელსაც ყოველთვის სწამდა შვილისა.

შემდეგ დაიწყო გრძელი და მძიმე გზა,

რომელზეც უნდა ევლო შეუცდომლად და ეტარებინა ხელოვანის ტვირთი, არცთუ სახარბიელო ფუფუნებისა და სიამის მომტანი. საზოგადოება ისმენდა მის მუსიკას და აღტაცებული აღიარებდა მუსიკოსის ნიჭიერებას, მაგრამ არავინ იცოდა, თუ რა შრომისა და ნებისყოფის ფასად უჯდებოდა ამ შედეგების შექმნა. იგი იყო პირველი, რომელმაც კლასიკურ მუსიკაზე დაყრდნობით შექმნა არანჟირება თანამედროვე საგიტარე მუსიკისა. 1979 წლიდან თემურ ყვითელაშვილი ერთ-ერთ რეიტინგულ გიტარისტად ითვლება საქართველოში, მას ინვედენენ ყველაზე ცნობილი ანსამბლები. ამ პერიოდში მუსიკოსს არ ჰქონდა ელემენტარული პირობები შრომისა და შემოქმედებისთვის. პატარა ოჯახი ვეღარ იტევდა ნოტებისა და ფირფიტების გორებს. თემურს შინაგანი მონესრიგებულობა ავალდებულებდა მოეთხოვა გარშემომყოფთაგან იგივეს, რასაც თვითონ თვლიდა მართებულად. შრომა, პასუხისმგებლობა საქმისადმი და ერთგულება, უბრალო ადამიანური თუ მეგობრული. ეს იყო ერთადერთი დაუნერელი მცნება, რითიც სულდგმულობდა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ ახლობელს არ აღმოაჩნდა ეს თვისებები. გულსატკენი და მტკივნეულია მუსიკოსისთვის ამის აღიარება. „რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მე ამის პატიება არ შემეძლო, ამიტომ ბევრი მათგანი დავკარგე“ — ამბობს იგი.

შინაგანი წვისა და სრულყოფილების გრძნობა ავალდებულებდა სხვაგვარად ეცხოვრა, ხელოვანის რთული და დალდასმული ცხოვრებით. ერთხელ უწმინდესმა და უნეტარესმა მოისმინა მისი მუსიკა, მას მერე ბატონ თემურ ყვითელაშვილს პატივი ერგო პატრიარქთან ხშირი სტუმრობისა. ეს უდიდესი მადლია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის. უფლისმიერი გონი აერთებდა ორ შემოქმედ ადამიანს, ერის მოძღვარსა და შეუდარებელ მუსიკოსს, აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანი დაუნერელი რამ — ადამიანურობა.

სიყვარული გაზაფხულივით ეწვია. რომელიც სატელევიზიო არხზე გადაცემას





ამზადებდნენ. თემური უკრავდა ისეთივე გრძნობით, როგორც ჩვეოდა. მუსიკაზე ბალერინები ცეკვავდნენ, სწორედ ერთ-ერთი სიფრიფანა და თოვლივით თეთრი გოგონა აღმოჩნდა მისი ცხოვრების მეგზური და ერთადერთი სიყვარული. სიტყვები საჭირო არ იყო, მუსიკა ყველაფერს ამბობდა. მალე იქორწინეს და ცხოვრებამ ორი ულამაზესი საჩუქარი უბოძა.

ცხოვრების სიძნელეების გადალახვა, საკუთარ ტკივილთან მარტოშენის უნარი მუსიკოსს ბავშვობიდანვე დაჰყვა. მას არავისთვის უთხოვია, არავისთვის მიუმართავს, მეგობრობა ისაა, როცა თვითონ გინვდიან დახმარების ხელს. თემური ახლაც მეგობრის ნაჩუქარ სახლში ცხოვრობს, ყიფშიძის ქუჩაზე, მოკრძალებულად და საკუთარი წესების დაცვით.

მუსიკოსისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია დედის გარდაცვალება იყო. თემური ცრემლმომდგარი თვალებით იხსენებს მშობელს. ამ დროსაც მისი ერთგული ჭირისუფალი საყვარელი მუსიკა აღმოჩნდა. მუსიკაში შეეძლო ეპოვა ის, რაც რეალობაში არ არსებობდა.

1994 წელს, ჰოლივუდში, საერთაშორისო გიტარისტთა კონკურსზე ალან ხოლდსმორმა აღიარა იგი „წლის საუკეთესო გიტარისტად.“ შემდეგ კი ამერიკელ გიტარისტთან, მაიკლ ანჯელოსთან ერთად გამოვიდა სცენაზე.

1989 წელს მიიღო უმაღლესი შეფასება ცოცხალი ლეგენდისაგან მსტისლავ რასტროპოვიჩისაგან, რომელმაც უწოდა „უდიდესი მუსიკოსი“

1996 წელს დაასახელეს „საუკეთესო გიტარისტად საქართველოში“.

1998 წელს თემურ ყვითელაშვილი მაშინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ღირსების ორდენით.

თემურ ყვითელაშვილს შექმნილი აქვს ექვსი ალბომი: ნოსტალგია-1991წ, კლასიკა-1992წ, ყვავილების ქვეყანა-1996წ, მე საქართველოდან ვარ, — 2002წ, თემურ ყვითელაშვილი-2005წ, 11 სექტემბერი-2002წ, დამზადებულია საქართველოში—2010წ.

მისი ნიჭიერება შვილს, პატარა თემურ

ყვითელაშვილს მემკვიდრეობით ერგო. შრომისმოყვარეობა ბიჭს მამამ ჩაუნერგა „კარგი პედაგოგი ბევრს ნიშნავს, სწორი მმართველობა მუსიკაში გზის გაკვალვის ტოლფასია“.—ამბობს უფროსი თემურ ყვითელაშვილი. მომავალში მამა უფრო მეტს ელოდება.

თემური ხშირადაა გასტროლებზე, მთელი ქვეყნიერება აღფრთოვანებული უსმენს მის მუსიკას. მსოფლიოში ცნობილი ჯაზმენები და გიტარისტები მასთან ერთად უკრავენ დიდ სცენებზე. მისი შემოქმედება მსოფლიოს ნამყვან დარბაზებში გაჟღერდა: ნიუ-იორკში, „ბერდლენდსა“ და „ირიდიუმში“, ლოს-ანჯელესში— ბეიქ პროტიეტოსა და ლავილში, მოსკოვის „დომ მუზიკში“. ისმენ მის შედევრებს და თითქოს იძირები“ თბილ, სასიამოვნო ჟღერადობაში, ყოველი ბგერა ზუსტი და სულშიჩამწვდომი. ეს ენით აუწერელი სიამოვნებაა, მუსიკის ზეიმი. ალბათ, ამიტომაც არ იყო ძნელი თემურ ყვითელაშვილისათვის 35 საათის განმავლობაში შეუჩერებლად დაკვრა და გინესის რეკორდების წიგნში საპატიო ადგილის დაკავება.



ივლისის თვეში „კარ-ნეიგ-ჰოლში“, „ნიუ-იორკში ჩატაერებულ გიტარისტთა საერთაშორისო ფესტივალზე თემურ ყვითელაშვილი იქნება პირველი მუსიკოსი პოსტ-საბჭოური სივრციდან. ლოს-ანჯელესში „ნემ-მოუზე“ იგი წარსდგება, როგორც ოთხი ბრენდის სახე გიტარის კომპანიებისა: „ჰექტორი“, „ერნი-ბოლი“, „ენგელი“, „კლოდსი“.

ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა, ახლა კი საყვარელ ქალაქში გაზაფხულის მათრობელა სუნი იგრძნობა და იწყება ხანა სილამაზისა. ძველი თბილისის უბნებში ჭაღარაშერეული მუსიკოსი დადის, როგორც დაულალავი მეხოტბე ბავშვობის ქალაქისა.



გია შვაჩავა

მთა მთა

„საქ სოსოსხა მინოლა“

ნიჭიერი და კოლორიტული ადამიანების მიმართ ინტერესი მათი გარდაცვალების შემდეგ არათუ ნელდება, უფრო მძაფრდება კიდევ. ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებაში მომხდარა, მოგონების თბილ ბურუსში ეხვევა, ქრება ყველაფერი უარყოფითი და რჩება პერსონა — საინტერესო ჭრილში დანახული. ცდილობ გაიგო, რა იყო მის მიმართ ასეთი დამოკიდებულების მიზეზი, რატომ უყვარდათ, რატომ უმეგობრდებოდნენ, ან რატომ შურდათ?..

ფერაძეების მრავალრიცხოვანი ოჯახობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წევრი, უნიჭიერესი მსახიობი — გია ფერაძე, მიუხედავად ყველა მისი წარმატებისა, ბედის ნებიერად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს. როგორც მისი უფროსი ძმა, ილიკო ფერაძე ბრძანებს გიასთვის მიძღვნილ წიგნში — „მე, ბებია-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“ — ბატონი გიას ცხოვრება ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველი ნაწილი — „ანკანაკება“, ანუ გაბმული ლხინი, გასტროლები, წარმატებები, ცხოვრების ხალისით გაფერადებული დღეები და მეორე — თავისუფლების უსაზღვროდ მოყვარული ადამიანისათვის კომმარად ქცეული წლები...

გია ფერაძეზე ბევრჯერ დანერილა, ბევრი მოგონება გამოქვეყნებულა, წიგნებიც დაიბეჭდა, მაგრამ ეტყობა არ ამონურულა მასალა, უფრო სწორად კი, არ განელეზულა მის მიმართ სიყვარული და ინტერესი. საოცრად კოლორიტულმა, იუმორის დიდი გრძნობით დაჯილდოებულმა, უნიჭიერესმა მსახიობმა მეგობრებში, ნათესავებში, ნაცნობებში თუ მაყურებლებში წარუშლელი კვალი დატოვა და მის ხსენებაზე ყველას სევდიანად ელიმება.

რეჟისორებისთვის ის იყო ნიჭიერი მსახიობი, რომელსაც კინოგადაღებისას ორ-სამ დუბლზე მეტი არ სჭირდებოდა, მეგობრებისთვის — შეუსვლელი ადამიანი, სული და გული ყველა სუფრისა თუ შეკრებისა, მაყურებლებისათვის საყვარელი „არასერიოზული კაცი“. გია ფერაძემ ორმოცზე მეტი როლი ითამაშა კინოში. ზოგი მთავარი, ზოგიც ეპიზოდური, მაგრამ ყველგან საინტერესო და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიდა. ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სახასიათო როლად მის კინოკარიერაში, მე პირადად, სწორედ ნიკო მიმაჩნია დიმა ბათიაშვილის ფილმში „არასერიოზული კაცი“. ეს არის სევდიანი ცხოვრება გზაბნეული, უიღბლო, მაგრამ კეთილი ახალგაზრდა კაცისა, რომელიც უვლის მოხუც, დაბრმავებულ მამას და მუდმივად ეძებს გადაკიდებული უიღბლობისგან გამოსავალს. ამ ფილმს საბჭოთა კინოს ცნობილმა მოღვაწეებმა ქართული კინოს შედევი





უნოდეს და ფილმის წარმატება სწორედ გია ფერაძის ბრწყინვალე თამაშმა განსაზღვრა. ფედერიკო ფელინის თურმე უტირია, როცა „არასერიოზული კაცი“ მოსკოვში ნახა.

„მე თქვენ ყველას გიცნობთ, თქვენ ან თქვენისთანა ამხანაგებმა წამაქციეთ, თქვენ ან თქვენისთანებმა მე გადამიარეთ...“ — ნიკოს ეს სიტყვები თითქოს ცხოვრებაშიც აუხდა მსახიობს.

გიორგი შენგელაიას ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომელმაც ბერლინის ფესტივალის „ვერცხლის დათვი“ მიიღო, გია ფერაძემ ლეკო თათაშელი განასახიერა — ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დრამატული სახე ქართულ კინემატოგრაფიაში. ბევრი სხვა როლი, ცნობილი მოვლენების შემდეგ, უბრალოდ და უმოწყალოდ ამოუჭრიათ ფილმებიდან, ფერაძის გვარგც ამოუშლიათ ტიტრებიდან, ხოლო „კავკასიური ცარცის წრის“ სატელევიზიო ვარიანტში ახალი მსახიობი ჩაუმონტაჟებიათ. არადა, „კავკასიური ცარცის წრე“ სწორედ გია ფერაძის მონაწილეობით იყო მაყურებლისთვის ყველაზე დაუვიწყარი. პირველად სწორედ ამ თეატრალური როლით გახდა იგი სერიოზული აუდიტორიის საყვარელი მსახიობი.

საოცრად ოხუნჯი, მხიარული ადამიანი ყოფილა. მისი იუმორის გრძნობაც და მსახიობური ნიჭიერებაც გენეტიკური იყო. მამა — ბიძინა ფერაძე, ცნობილი პედაგოგი, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, უნიჭიერესი ადამიანი ყოფილა, რომელსაც ეკუთვნის რამდენიმე სიმღერის ტექსტი, მათ შორის ცნობილი სიმღერისა „ყვავილების ქვეყანა“. დედა, ქალბატონი თინა — ჟორჟოლიანების გვარის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ და თავის ძირითად საქმიანობას წარმატებით და ხალისით უთავსებდა მწერალ-იუმორისტობას. ქართველებისთვის საყვარელი კომიკოსი მსახიობი სანდრო ჟორჟოლიანი ქალბატონი თინას ბიძა იყო...

„მე მიყვარს ყველა, ვისაც ვუყვარვარ, ვისაც არ ვუყვარვარ და — თავის გზაზე გაუმარჯოს“

— ამბობდა გია ფერაძე. სიყვარული მართლაც შეეძლო, ამაშიც საოცრად ნიჭიერი იყო — უღვავად გაეცა და მიედო. ისე იყო შეჩვეული ასეთ დამოკიდებულებას, რომ მერე, როცა ციხიდან დაბრუნებულს შეცვლილი ქალაქი, შეცვლილი ცხოვრება და ურთიერთობები დახვედრია, ძალიან დაბნეულა.

„რა მინდა ამქვეყნისგან, ვინა ვარ, რა გავუჭირვე საქმე?!“ — კითხულობს ფილმის გმირი და მსახიობსაც იგივე კითხვა შეეძლო დაესვა. ცხოვრებას, რომელიც თავისი გზით მიედინებოდა, თითქოს დაგინწყებოდა და გაერიყა ერთ დროს ასე პოპულარული და სათაყვანებელი მსახიობი. ბოლო როლი სოხუმის თეატრში ითამაშა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის სცენაზე. ეს იყო პრემიერა გორკის პიესისა „ფსკერზე“. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს მონატრებულ მსახიობს, თვითონ თურმე ძალიან ნერვიულობდა, „ახლა კი მივხვდი, რომ ჩემში, რომელიღაც „კრიტის“ კამერაში მოკვდა მსახიობი გია ფერაძე“ — უთქვამს მას.





„ისე, ხომ მაინც კარგი ბიჭი ვარ?“ — ეკითხება ნიკო მამას („არასერიოზული კაცი“). გააფერაძეს მეგობრების შეძენის არაჩვეულებრივი ნიჭი და უკვე შეძენილ მეგობრებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მეგობრებს შორის იყვნენ ყველასთვის ცნობილი ქართველი და რუსი მსახიობებიც. როგორც მისი ცხოვრების პირველი პერიოდი, ისე ციხის წლები მეგობრებმა ერთგულებით და სიყვარულით გაუფერადეს.

ბევრმა არც იცის, რომ გააფერაძე საოცრად ტკივილიან და სევდიან ლექსებს წერდა, წერდა ყველაფერზე — საკუთარ განცდებზე, ციხის ამხანაგებზე, ამინდზე, გაუთავებელ ეტაპებზე. სწერდა დედას, მონატრებულ შვილებს, ძმას და მეგობრებს. მისი მოუსვენარი ბუნება და ნიჭი ახლა წერაში ეძებდა შვებას:

„სულ სიცოცხლე მინდოდა,
სიცილი და ხუმრობა,
ბედნიერი ვიყავი,
მუდამ თქვენთან მყოფელი,
ასე მწარედ დასრულდა
ჩემი თქვენთან სტუმრობა,
ასე ცრემლით აივსო
ჩემი წუთისოფელი...“

ლექსად ამოთქმული მონატრების ტკივილი ძმისა და მეგობრების დახმარებით ერთად შეიკრიბა და „სევდის კრებულში“ გაერთიანდა. თუმცა ლექსები მერეც დაინერა და გართიმულ სევდად დარჩა.

„...სასაფლაო,
სუსტი ქარი,
ცრემლი,
სევდა,
გულზე ბზარი,
ისევ ქრისტე,
ისევ ჯვარი,
ცოლის მომტირალი ქმარი...“

რუსეთის ცივ, მკაცრ და ბინძურ ციხეებშიც კი შეძლო მეგობრების შეძენა. თუმცა მაინც

მარტოსულად გრძნობდა, ალბათ, თავს, რადგან წმინდა მარიამს ასე ევედრებოდა:

„მარიამო, წმინდა ქალო!
საქართველოს ნატვრისთვალო,
ერთი თხოვნა ამისრულე
ოცნებების დედოფალო!
ჩემს მიწაზე დამაბრუნე,
დედა მკერდში ჩამახუტე,
შვილი მომაფერებინე,
რა? შენც ხომ არ გამებუტე?..“


სიცოცხლის ბოლოს კი, უკვე მძიმედ ავად-მყოფი წერდა:

„მორჩა ლექსი,
თვითონაც სანთელივით მივქრები...
სული თითქოს დაჭრილი,
მოფარფატე გედია...
ისევ შენსკენ მიხმობენ
ეს სწეული ფიქრები,
კომედია დასრულდა?...
დასრულდა ტრაგედია!“



აპრილში იყო დაბადებული, აპრილივით აფეთქებული, მოსიყვარულე, ენერგიული, მოსვენარი და... ფერადი — მსახიობი, ფეხბურთელი, ნაღდი თბილისელი კოლორიტი, პოეტი... უნიჭიერესი გააფერაძე.





დავით ანდროსაძე

თუცა ჯანია მხახვანი...

აწა

ნაოჯახოიანი დახაზობა ფანიცაჲ ბიბლიოთეკაში

გამომცემლობა „ვიტა-ნოვა“-მ (სან-ქეტ-პეტერბურგი) 2007 წ. განახორციელა ქართულ-რუსული პროექტი და გამოსცა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ტირაჟით 1300 ც.

წიგნი ინახება ერმიტაჟში, სორბონაში, სანქტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასა და უნივერსიტეტში, მოსკოვის კალიგრაფიის მუზეუმში.

„ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოიცა ბილინგვის სახით. პოემის ორიგინალს თან სდევს რუსული ბნკარედი (თარგმანის ავტორი სოლომონ იორდანიშვილი), რაც საშუალებას აძლევს რუსულენოვან მკითხველს კარგად გაერკვეს პოემის შინაარსში. წიგნს დართული აქვს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნესტან სულავას კომენტარები და განმარტებები (ქართულიდან თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ირინა მოდებაძემ). წინასიტყვაობა ეკუთვნის ქართველ მწერალს, პოეტს და დრამატურგს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს თამაზ ფილაძეს. წიგნი დასურათებულია 40 ფერადი ილუსტრაციით.

წიგნს ერთვის პოემის რამდენიმე თავი კ. ბალმონტის, შ. ნუცუბიძის, ი. ზაბოლოცკის თარგმანით.

წიგნი მომზადებულია როგორც ექსკლუზიური სასაჩუქრო გამოცემა. გარეკანი დამზადებულია ტყავში (ვაბრა), ოთხ ფერიან ფოლგაში.

ილუსტრაციების ავტორია საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის მიმართულების პროფესორი, წიგნის და ილუსტრაციის სახელოსნოს ხელმძღვანელი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი — ლორეტა შენგელია-აბაშიძე. მხატვარს ჰქონდა პერსონალური გამოფენები თბილისში, საარბრიუკენში, ბერლინში, რომში, ბრიუსელში, მისი ნახატები ინახება საქართველოს კულტურის სამინისტროში, საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, რომის სენატში, რუსეთის მხატვართა კავშირში, ბერლინის, მოსკოვის, პარიზის, რომის, ჰამბურგის კერძო კოლექციებში.

ტარიელი ხატაელებს ამარცხებს და რამაზ მეფეს ინდოეთში, თავის პატრონს მიჰგვრის.

ფარსადანმა ტყვედ ჩავარდნილ მტერს „უალერსა“ და „ორგული და მოლალატე ნამსახურსა დაამგვანა“-ო.

როგორც კრიტიკოსს, ორგულობა არასოდეს გამიმჟღავნებია.

და მგონი, არც ღალატი გამივლია გულში...

თუმცა, არა! ჩემი ხელობა ისეთია, „კონცეპტუალურ“ ღალატს ვერ ასცდები; აკილე ბონიტო ოლივასი არ იყოს, „მოლალატის იდეოლოგია“ არტკრიტიკის ერთგვარი სტრატეგიაა.

ჩვენ ხომ, გამცემები ვართ; მხატვრის გამცემები?!

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ — ეს უკვე რუსთაველისეული აფორიზმის პოსტკრიტიკული ინტერპრეტაციაა!

და მეც, სხვა გზა არა მაქვს — უნდა „გავცე“ მხატვარი, „შუშანიკის ნამებიდან“, დიდი ანტრაქტის შემდეგ, ჩვენი მწერლობის უპირველესი ქრესტომათიული ტექსტი — „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაასურათა და ორმოცი, პასტელში დახატული გრაფიკული ფურცელი და მისი ამდენივე ოფორტული ვერსია დაგვიღაგა.

დიახ, უნდა „გავცე“ ლორეტა შენგელია-აბაშიძე, რათა „ნამსახურსა“ დავემგვანო.

ამას წინათ, კვლავ ვწვიე მხატვარს: „დავყავ ხანი მის წინაშე, ერთმანეთსა ვეუბნით“...


მერე კი, „დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო“ - მეთქი და, კიდევ ერთხელ გადმოვალაგებინე სურათები: „მას ვუჭვრიტეთ დიდი ხანი“ და... უკანა გზად წამოსულს თავში გამიელვა:

ქართველი მხატვრები ისევ „გადიან“ ამ საკრალურ ტექსტს, როგორც მონაფეები...

სკოლებშიც ხომ ტექსტებს — ლიტერატურულ ტექსტებს კი არ კითხულობენ, არამედ... გადიან...

ტექსტზე გავლა და არა ტექსტზე შეჩერება(ან/თუ ტექსტთან დარჩენა)— ესეც ერთგვარი დისკურსია, დასურათებაზეც რომ ვრცელდება.

ეტყობა, ილუსტრაცია თავისებურად თხოულობს ასეთ „გავლას“; ამ ჟანრის გრაფიკული ტექსტი კი, არა მხოლოდ საგულდაგულო თვა-



ლიერებას ანუ თვალთ „განჩხრეკას“, არამედ გადა-თვალერებას — პერლუსტრაციასაც გულსხმობს.

ასეა, ილუსტრატორის ნამუშევარს პერლუსტრატორის თვალთაც აღვიქვავთ ხოლმე.

„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“ — წერდა პოეტი.

ასეთი „გადამკითხველი“ მხატვრებიც მოიპოვებიან; და არცთუ ცოტანი...

„მაგრამ, სულ სხვაა“ ტექსტში მოგზაურობა, ხეტიალი, ყარიბობა, მით უფრო, პილიგრიმობა...

ესაა „მიმოსვლის“ ჟანრი ილუსტრატორულ პრაქტიკებში, რომელსაც „ნომადური ილუსტრირებაც“ შეიძლება ვწოდოთ.

დავუშვათ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ლორეტა შენგელია-აბაშიძეც, ნებსით თუ უნებლიეთ, ბახტინისეულ ტერმინს თუ მოვიხმობთ, „მიმოსვლათა რომანად“ (Роман странствования) კითხულობს;

კონკრეტული ისტორიული დრო-სივრცე მათში არ აღინიშნება; და არც ამ გმირების იმიჯი იცვლება — ხანი მათ არ ემატებათ და ჟამი მათზე არ მოქმედებს; მოკლედ, არ ბერდებიან...

მხატვარი რუსთველს „განსაცდელის რომანდაც“ კითხულობს. აქედან: ილუსტრაციათა ავანტურული დროის დაუსრულებლობა, ისტორიული ლოკალიზაციის შესუსტება და შესაბამისად, გრაფიკული ენის „ნონ-ფიზიტო“...

ამ ფურცლებში ვერც ორიენტალისტურ „საზღაპრო დროს“ ნაანყდებით; და ამიტომაცაა,

რომ ორნამენტული მოტივებისადმი აპელირების მიუხედავად, ლორეტა შენგელიასეული ილუსტრაციებიდან აღმოსავლური არაბესკები და უთავბოლო ამალგამები განდევნილია.

ფაქტია, „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ნებისმიერ კლასიკურ ტექსტს მასობრივად არავინ კითხულობს; და ამასობაში, პარადოქსია, მაგრამ, ეს „გაკერპებული“ ტექსტიც, მით უფრო პოპულარული ხდება.

„ვეფხისტყაოსანი“ ხელუხლებელი სამზივო ნივთივითაა; უძვირფასესი განძივით, რომელსაც ჟამი-ჟამ თუ ამოიღებენ ხოლმე ხსოვნის სკივრიდან; მტვერს გადანმენდენ, გადაფურცლავენ და... ისევ უკან ჩააბრუნებენ.

როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსანიც“ უნდა დავივიწყოთ, რათა მერე... გავიხსენოთ.

ასევე იხსენებენ მხატვრები ამ ტექსტს, თუმცა, ვოლტერი რომ ამბობდა დანტეზე, შესაძლოა, მათაც, რამდენიმე აფორიზმი თუ ახსოვთ რუსთველისა.

მაგალითად: „ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

ეს აფორიზმი ჩვენი ესესე კონტექსტშიც აქტუალურია.

მხატვარ ქალთა გენდერულ სეგრეგაციადისკრიმინაციას ვინ დამწამებს, მაგრამ ისიც ფაქტია:

ადრე იყო მოტივი „მხატვარი და მისი მოდელი“; და ეს მოდელი ქალი იყო...

ეს „მოდელი“ რახანია თავად გახდა მხატვარი.

და ლორეტა შენგელია-აბაშიძეც რახანია გვარნმუნებს, რომ „თუცა ქალია მხატვარი“...

შაპიენტი შატ!

და ამ მხატვარ ქალთანაც, კლასიკური ფალოცენტრული ტექსტი ერთგვარი იდეოლოგიური ტოპოსია, თუგინდ, უ-ტოპოსი, მისი კითხვით მიღებულ სიამოვნებას მკრეხელურ გართობად რომ რაცხავს.

ლორეტა შენგელიაც, უტოპიური მარშრუტით გადის გზას „ვეფხისტყაოსნამდე“; მამაპაპურად — „მარცხნიდან-მარჯვნივ“ კითხულობს ტექსტს და ასევე ასურათხატებს; თუმცა, შიგადაშიგ, ისეთ მარგინალურ სვლებს აკეთებს, რომ ძალაუნებურად გაგვრავს ეჭვი: ხომ არ ღალატობს საკრალურ კლასიკას?

ნეტავ, მართლა ღალატობდეს!

ასეა თუ ისე, ქალბატონი ლორეტაც, „სამზოთვო ვეფხისტყაოსნის“ ხელიხელსაგომანებ დისკურსულ ველში რჩება, თუმცა, „ფამილარულ“ ჩარჩოში ჩაკეტილი, გაუცხოებულ პეროიკულ შესტებსაც არ გაუბრძის.

ცნობისათვის: ეს ილუსტრაციები მხატვარს პრესტიჟულმა სანკტ-პეტერბურგულმა გამომცემლობამ — „ვიტა ნოვა“ — შეუკვეთა და გამოსცა კიდევ სერიით „Фамильная библиотека. Героический зал.“

ეტყობა „ვეფხისტყაოსნის“ ხელოვნების სხვა ენაზე თარგმნა მართლაც შეუძლებელია და ლორეტა შენგელიაც, უბრალოდ, ხატავს — „კარგად“ ხატავს რუსთველისეულ რეალებს და ასე მიგვანიშნებს, რომ უწინარეს ყოვლისა, მხატვრობის ენას ერთგულობს — საკუთარ თავზე მიუთითებს და არა მის მიღმა არსებულ პოეტურ ფენო(უ)მენებზე...

ასეა თუ ისე, ჩვენს წინაშეა „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული ვიტა ნოვა, რომლის ავტორიც ტაქტით მიმართავს ტექსტის მიმირებასაც, რეპრეზენტაციასაც, პლასტიკურ არტიკულაციასაც, ემბლემატიზაციასაც და სიმბოლიზაციასაც; ოღონდ, როგორც რესპექტაბელურ ოსტატს შეეფერება, არასოდეს ვარდება ზედმეტ მისტიფიკაციაში, სულაც არ ლამობს, შეეჯობოს კულტურის ხელით განგმირულ „ავტორს“ და პაპზე უფრო კათოლიკედ მოგვაჩვენოს თავი; იცის, (ყოველ შემთხვევაში, გრძნობს) რომ მხატვრის „ტენენ“ ტექსტის ზედაპირთან მუშაობაა; და სწორედ, „სიღრმისაგან“ — ამ, სინამდვილეში, „ზედაპირული უნარ-ჩვევისაგან“ გათავისუფლებით თუ გახდები საკუთრივ ვიზუალურ ეიდოსთან წილნაყარი.

წერა(მწერლობა), როგორც ასეთი, ძალაუფლების დისკურსს მოასწავებს; მხატვრობას კი, ამგვარ დისკურსთან რა ხელი აქვს?!

თუმცა, მხატვრის გენოტიპს გააჩნია — გრაფომანი მხატვრებიც ხომ არსებობენ?!

და მაინც, ლიტერატურა, როგორც მანქანა, დღეს, როგორც არასოდეს, სხვა მანქანებზე — სოციალურ პრაქტიკებზეა მიბმული; და ლიტერ-

ატურულ ტექსტთა დასურათების პრაქტიკებიც ლიტერატურის ამ მეტამანქანაზეა მიბმული.

ამგვარ დეტერმინაციას, ცხადია, ვერც ლორეტა შენგელია ასცდებოდა; „როლში შესული“ მხატვარი, ალბათ, იმასაც ატყობს, რომ ძალაუფლების დისკურსის გამომხატველი ტექსტის გადამკიდე, რაღაც „ავანტიურაშია“ ჩათრული; ცდილობს, რაც შეიძლება ელეგანტურად აუაროს გვერდი რუსთველის პოემის ფალოგოცენტრულ დისკურსს და მაცდური ფემინური შესტებით მოგვანოდოს ეს „სამზოთვო ნიგნი“, გონებისმიერად კი არ დაჭრას, დაკეპოს, დააქუცმაცოს, დაანანევროს ტექსტი, არამედ ისევ და ისევ, „ზედაპირით“ წარმოგვიდგინოს ვეფხისტყაოსნის მიმოსვლანი, თანაც, გვიჩვენოს არა ერთი, არამედ მრავალი ვეფხისტყაოსანი; ვეფხისტყაოსანი, როგორც კრებითი პროტაგონისტი.

ეს უკვე ახალი ავანტიურაა, რომელიც „წერაში“ გამოვიგონე!

შოთა რუსთველი ავტორია; „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი...

და ამ ავტორს თავისი კონკრეტული და აბსტრაქტული ინსტანციები გააჩნია.

კონკრეტული ავტორი — რეალური, ისტორიული პიროვნებაა; ნაწარმოების შემქმნელი...

თავად ნაწარმოებს ის არ ეკუთვნის და არც მისგან დამოუკიდებლად არსებობს.

მაგალითად, დანტე ისედაც იარსებებდა, სტრიქონიც რომ არ დაეწერა.

კონკრეტული მკითხველიც, ნაკითხული ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად არსებობს.

ცხადია, ერთი, ცალკეული მკითხველი კი არ იგულისხმება, არამედ ყველა იმ ადამიანის უსასრულო სიმრავლე, რომლებიც ნებისმიერ დროსა და სივრცეში ოდესმე ყოფილან ანდა იქნებიან მოცემული ტექსტის რეციპიენტები.

მაგრამ, რუსთველის წარმოდგენა „ვეფხისტყაოსნის“ გარეშე წარმოდგენელია!

რუსთველი პარ ეხელენცე აბსტრაქტული ავტორი უფროა; თუმცა, როლფ ფიგუტისეული სქემით, რუსთველი — კონკრეტული ავტორიცაა ანუ „ავტორი“ ყველა მის ბიოგრაფიულ როლში (თუნდაც, პავლე ინგოროყვასეული „რეკონსტრუქციებით“) და ნაწარმოების, სახელდობრ „ვეფხისტყაოსნის“ ადრესანტიცაა ანუ ლიტერატურულ კანონთა დისპონენტი, კრეატიულ აქტთა სუბიექტიც.

ამასთან, რუსთველი „აბსტრაქტული ავტორია“ იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს კონსტრუქტს, მკითხველის მიერ რომ იქმნება(აკი, აღარ კითხულობენო?) და რომლის პერსონიფიცირებაც არ ეგების.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორიც — მკითხველია, ვისთვისაც რუსთველი, როგორც „აბსტრაქტული ავტორი“ რეალურია, ოღონდ,



არა — კონკრეტული; თანაც, ილუსტრატორი — არა უბრალოდ, მკითხველია, არამედ, საკუთრივ, აბსტრაქტული მკითხველი; აბსტრაქტული მკითხველი, როგორც აბსტრაქტული ავტორის ატრიბუტი...

ილუსტრატორი, როგორც აბსტრაქტული მკითხველი — კონკრეტული ავტორის მიერ, საკუთარი „მკითხველის“ წარმოდგენის იპოსტასია.

ასეთ „მკითხველს“ არაერთი „მეტსახელი“ აქვს: „იმპლიციტური მკითხველი“, „ვირტუალური მკითხველი“, „ინტერდირებული მკითხველი“, „წარმოსახული მკითხველი“, „კონცეპირებული მკითხველი“, მკითხველი-მოდელი...

ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს „აბსტრაქტული მკითხველის“ ნაირსახეობებთან, „იდეალურ რეციპიენტამდე“ რომ რედუცირდება.

ლორეცა შენგელია, „იდეალური რეციპიენცია“, ოღონდ, იდეალი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ფინალური ნაკითხვა ანუ ილუსტრირება მისთვისაც მიუწვდომელია, მით უფრო, რომ მ. ბახტინისა არ იყოს, „იდეალურ რეციპიენტს“ არაფერი თავისის, არაფერი ახლის შეტანა არ ძალუძს იდეალურად გაგებულ ნაწარმოებსა და ავტორის იდეალურად სავსე ჩანაფიქრში.

გივი მარგველაშვილის ერთ-ერთ ტექსტში „ვეფხისტყაოსნის“ მდარე თარგმანის პერსონაჟები — სამტროდ წაკიდებულიც კი, მთარგმნელის წინააღმდეგ ერთიანდებიან.

ისინი გარბიან გაუსაძლისი ტექსტიდან და ორიგინალში ბრუნდებიან.

ერთ მშვენიერ დღეს, „ვეფხისტყაოსნის“ მდარე ილუსტრაციების პერსონაჟებმაც, შეიძლება პირი შეკრან და გამოიქცნენ ორიგინალში...

მაგრამ, რომელია ორიგინალი?

თავქარაშვილი თუ ზიჩი, თოიძე თუ ქობულაძე, ცუცქვირიძე თუ მალაზონია?

„ორიგინალობის პრეტენზია“ არც ლორეცა შენგელიასეულ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს უნდა ჰქონდეს.

ისიც, „სხვათა“ ვიზუალურ თარგმანებში კითხულობს ტექსტს.

ეს — ფიგურალურად!

მხატვარი ასურათებს „ვეფხისტყაოსანს“ როგორც განდობილთათვის, ისევე არაგანდობილთათვის; მისი გრაფიკული ენა ერთი შეხედვით, ცივია, უკარება, ანემიური... პროდუქტიული ესთეზისისაგან, მგრძობელობისაგან თითქოსდა, დაცლილია; ოღონდ, სწორედ ეს „გაუცხოება“ განაპირობებს პასტელში დახატულ ფურცელთა თუ ოფორტში შესრულებულ რეკომპოზიციათა „სტილგარეშე ხაზს“ (ე. პანოფსკის ტერმინია); არც ხელოვნურად ღარიბს და არც უადგილოდ

მდიდრულს...

რაც მთავარია, ილუსტრატორული დისკურსის ასოციაციურობის კვალობაზე, მხატვარში მაინც ფხიზლობს სიტუაციათა საგნობრივი მოტივირებულობის განცდა.

მოკლედ, ლორეცა შენგელია განაფული ხელით გადმოგვცემს პოემის სიუჟეტური პერიპეტეების გრაფიკულ ტრანსკრიპციებს, როგორც არტისტული „რწმუნების სიგელებს“, პოეტური თხზულების ტროპულ ფიგურებს ცხად იკონიკურ ეკვივალენტებს უძებნის და პოულობს „გამჭოლ მოქმედებათა“ ერთიან ტემპო-რიტმულ ფორმულებს... ექსპრესიულსა და იმპრესიულს, გეოტექტონიკურსა და სფეროიდულს, სქემატურსა და ვიტალურს შორის ვირტუალური ხიდების გადებით გვაგრძობინებს, რომ საქმე გვაქვს არა მედიევალურად „მკვდარ სულებთან“, არამედ რენესანსულად ცოცხალ და ჯანსაღ ადამიანებთან.

რაც შეეხება ქრომატულ პარტიტურას, აქაც გააზრებულია ემოციური სპექტრი და მისი ვარიანტული ხასიათი.

ამ ამბებზე „უფრო-რე წყნარად გიამბობ(თ), თუ ჟამი ჩვენ გვექონების“.

თუმცა, რატომ?!

აქვე შეგვიძლია მივაცოლოთ, რომ ჩვენს წინაშეა მოდალური გრაფიკული მუსიკა, სპეციფიკურად შეზღუდული ტრანსპოზიციური კილოცებითა და შეუქცევადი რიტმებით, რომელთაც მხატვარი „უმისჟამისოდ“ (არათავისდროზე — აკ. შანიძე) კი არ აბრუნებს, არამედ ჟამიერად (თავისდროზე) აკონტროლებს.

ლორეცა შენგელია წარმოგვიდგენს მთელ ქრომატულ მელოსს: იისფერიდან იასამნისფრამდე; ალუბლისფრიდან ვარდისფრამდე; ზეთისხილისფერიდან ფიროუზისფრამდე... მთელი ეს ფერადოვანი მასები იესება მოზაიკური პუანტებით და ქალაღდის შეუვსებელ, თეთრ სიბრტყეზე „ამოტვიფრულ“ კონტურებთან უნისონში, არა მხოლოდ საგნობრივ რეალიათა, არამედ თავად ლირიკულ-ეპიკური სტიქიის მოძრაობის ილუზიასაც ქმნის.

მხატვარი თითქოსდა, დედანში კი არა, თარგმანში, თანაც პნკარედულ თარგმანში კითხულობს ტექსტს და „თარგმანის თარგმანს“ ანუ პლატონისეული მღვიმის ფილოსოფემას თუ მივმართავთ, „აჩრდილის აჩრდილს“ წარმოგვიდგენს.

და ესეც, ალიბია იმისა, რომ ყველაფერი, რასაც ილუსტრატორი გვთავაზობს, „გვაქვს (არა)უთვალავი ფერთა“, არამედ იმ რეგლამენტირებული იკონიკურ-პლასტიკური დიაპაზონით, რაზეც ხელი მიუწვდება საკუთრივ მხატვარს...

აი, კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც ირჩევს მხატვარი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ჟანრულ ასპექტს — „მიმოსვლის რომანის“ დისკურსს და გვთავაზობს არა პოეტურ-ვერბალური ქსო-

ვილის უმწეო მიმირებას, არამედ პერსონაჟთა პლასტიკურად მოტივირებულ მიმოხვრათა(და არა საქციელთა) ქორეო-დრამატულ გადათამაშებას — ამ თავისებურ ტრანსლიტერაციას.

ლორეტა შენგელია „ვეფხისტყაოსანს“ პროზაულ ანუ „შეუწყობელ ამბავად“ კითხულობს; რუსთველისეული პოეტური ტექსტი, „ვით მარგალიტი წყობილი“ მისთვის, თითქოსდა, მიუწვდომელია.

ამ გაგებით, ილუსტრატორისათვის, სარგის თმოგველისეული პროზაული ნარატივი უფრო მნიშვნელოვან (ეს უკვე, სარგის კაკაბაძისეული ვერსიას!).

ილუსტრაციული თხრობის ნაცადი პრინციპია, როცა მხატვარი არა მხოლოდ პროლეპსისის ანუ წარსულიდან წინსვლის პოზიციაში, არამედ „ყოველმცოდნე ნარატორის“ მეტა-პოზიციაშიც დგება.

გამონაკლისი — არც ლორეტა შენგელიაა.

რუსთველის მარტოოდენ „ჭერი-კულ იპოსტასში“ დასურათებას ახლა ვინდა თხოვლობს?!

არათუ დასაშვებია, ლამის აუცილებელიც კია ირონიული ინტონაცია; ოღონდ, გამომწვევად „დაბდაბლებული“ და პარადიზეზული სახვითი ლექსიკაც რომ არ ეგებს?!

სხვა რამეა, რომ ორმაგი ნაკითხვის სტრატეგია უკვე ერთგვარი მოდაა; და ამ მოდურ სამოსსაც მორგება უნდა.

არანაკლებ გასათვალისწინებელია, ილუსტრაციებს საკუთრივ ნიგნის, როგორც არტეფაქტის კონტექსტში ვკითხულობთ თუ საექსპოზიციო გარემოში. ყოველ შემთხვევაში, თავად ის კონტექსტი, რისთვისაც დაიხატა ეს ილუსტრაციები, ამჟღავნებს ესთეტიზირებული(მეტიც, ჰიპერესთეტიზირებული) ნიგნი—ნივთის, ნიგნი—არტეფაქტის ტენდენციას.

არა მხოლოდ ორმხრივად გადაშლილი ნარატიული კომპოზიციები, არამედ ტექსტუალური მასალაც, კერძოდ, პოემის ქართული ტექსტი და კალმით შესრულებული, სტილიზებული თავსართ-ბოლოსართებიც, „გაფორმების“ წრედში რთავენ მთელ ამ ვიზუალურ ანსამბლს; და ამ გაგებით, გარეგანი მანერია უფრო ფასობს, ვიდრე პოეტურ დედანთან სიახლოვე.

ლორეტა შენგელია ცდილობს, ასცდეს „ლამაზი ილუსტრაციების“ კეთების საფრთხეს და მკაცრ გემოვნებას დაუშორჩილოს ტექსტის არა მხოლოდ ვიზუალური თხრობა, არამედ იმ ამბების „მოყოლაც“, რაც სახელდობრ, მისი გრაფიკული ფურცლების სასურათე სიბრტყის ველში ხდება და არსებითად, მხატვარ-ნარატორის ფუნქციას წარმოადგენს.

მხატვარი დროდადრო ივინყებს, „სასაჩუქრე გამოცემის“ ილუსტრაციებს რომ ხატავს; და სულ უფრო და უფრო შედის თავის ავტონომიურ სტიქიაში.

ამ ილუსტრაციათა შემხედვარე, იმასაც

ფიქრობ, რომ ავტორი მაინც დამაინც, უსიტყვოდ არ ემორჩილება „ძვირფასი“ და „ელიტარული“ ნიგნის კონიუნქტურას და ახერხებს კიდევ, „შეკვეთის“ ჩარჩოებში შეძლოს ილუსტრაციათა „განნიგნება“.

ასე იხატება „სხვა“ ნიგნი; ნიგნის „სხვა“ ხატი, სადაც ტექსტის მკაფიო სინქრონიზებული სახვითი რიგი, — პარადოქსულია, მაგრამ მით უფრო შეესატყვისება თუნდაც, „ლამაზი ნიგნის“ კონცეფციას.

და მაინც, ლორეტა შენგელია „ვეფხისტყაოსანს“ არა მხოლოდ პენიანი, არამედ „საქმიანი“ ხელითაც ასურათებს; ეს ილუსტრაციები თვით ნიგნის ილუსტრაციის ჟანრის ჩარჩოებშია ინოვაციური; ავტორი ჟამი-ჟამ ამ „ტრადიციულობის“ გადამონმებას, პროვოცირებასაც მიმართავს, თუმცა, მუდამ ახსოვს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს გამოსახულებათა იერარქიული ადგილი პოეტურ-ტექსტუალურ ველში და როგორ უნდა რეპრეზენტირდეს იგი ნიგნის ქრონოტოპოსში.

მხატვარი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ასოციაციური მეტალოგიით მიჰყვება; და ესაა გზა, რომლის კვალობაზეც, თვით ნაწარმოები კი არა, მისი აურა უფრო სურათდება.

ასე ვუთამამდებით კლასიკას და მის ინსცენირებას ვინყებთ, თუმცა, აქ ერთი საფრთხეცაა ჩასაფრებული; თეატრალიზებული რეპრეზენტაცია არ ჩაიკარგოს კოსტუმირებულ პერსონაჟთა თუ სცენოგრაფიათა დეკორატიულ ფეერიაში.

კლასიკური ტექსტის ვიზუალური რეინტერპრეტაციის წყარო არც მარტოოდენ ტექსტუალური ქსოვილია, არც მისი ენა, არც ექსპრესიული ინსტრუმენტარია... არამედ თავად ჟანრი; ჟანრი, ჩვენს თვალწინ რომ თამაშდება; ილუსტრაციათა აუთენტურ შინაარსად კი ლიტერატურული ფიქციის იკონიკურ მეტაფიქციად „თარგმანების“ საავტორო მეთოდი ყალიბდება.

ლორეტა შენგელიასეულ პრეცედენტში — ესეც გათვალისწინებულია.

ახლა, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ ილუსტრაციებს:

თითოეულ მათგანში რამდენიმე სიმულტანური სცენა და ეპიზოდი, რამდენიმე ტემპორალური რიგია გამოსახული: ყოველი გამოსახულება გარკვეულ მომენტს კი არა, დროში „განელილ“ ქმედებას წარმოგვიდგენს.

თითოეული ფურცელი ეპიკურ ხდომილებათა მეტნაკლებ ხანიერებას აღბეჭდავს; და ასე გადაილახება გამოსახულების დროითი შეზღუდულობა ანუ სურათდება არა დრო, როგორც გარკვეული ვადა, არამედ დროულობა, როგორც ჟამიერობა ანუ „ხელსაყრელი“, „შესაფერისი“ დრო.

მხატვარიც, „შესაფერის“ დროს ირჩევს ამა თუ იმ ეპიზოდის დასასურათებლად და ცდილობს, პერსონაჟები „შესაფერისად“ დაახასიათოს — ხანიერი ანუ მუდმივი, უცვლელი, სტა-

ბილური იმიჯის ჩარჩოებში წარმოგვიდგინოს.

ამ გაგებით, ყველა პერსონაჟი წინასწარი დახასიათებითაა “ხნიერი”, მეტიც, “ხანდაზმული”...

ხანდაზმული კი ისაა, “ვინც დრო გაატარა”.

ძველი მინიატურებიდან დაწყებული, მხატვრის ინტენცია ასეთია: დროის რაც შეიძლება დიდი მონაკვეთი წარმოგვიდგინოს, რაც შეიძლება მეტი სივრცე, თანაც არა ქვანტიტეტური, არამედ ქვალიტეტური სივრცე დაიტიოს ფურცელმა. მაგალითად, როდესაც ილუსტრატორი გამოსახავს პერსონაჟის ერთი ტოპოსიდან მეორეში გადასვლას, იმავდროულად რაღაც შუალედურ სივრცესაც წარმოგვიდგენს და ასე იძლევა ხანგრძლივი მსვლელობის და არა მომენტალური “ძვრის” შესიჯს.

ამრიგად, საქმე გვაქვს ხერხთან, რომელსაც აკად. დ. ლიხაჩოვი “თხრობით შემცირებას” (Повествовательное уменьшение) უწოდებდა.

ეს — უკვე კანონია!

ზემოსხენებული “შემცირება” (თუ “შემოკლება”) ნარატიულია, იმდენად, რამდენადაც განსხვავებული ამოცანებითაა დეტერმინირებული; სახელდობრ, გამოსახულების კონკრეტული ობიექტის (რეფერენტის) იერარქიული სტატუსის წარმოჩენითაა მოტივირებული.

ესეც — წესია; წესი და რიგი!

ლორეტა შენგელიაც, ამ “წესრიგით” ამცირებს ხან ადამიანებს, ხანაც ნაგებობებს; და ამგვარი “დე-გრადაციით”, მკვრივ მეტონიმურ პლანებთან კონტრასტში, ხან ანთროპოლოგიურ, ხანაც — არქიტექტურულ სტაფაჟამდე დაჰყავს იგი. რაც შეეხება ფლორას, ანდა ლანდშაფტს, გარკვეულწილად, მცენარეულ ხატთა “დე-ფლორაციას” მიმართავს, მინიერ გარემოს კი, ზეციურ კონოტაციას უძებნის და სივრცეში გაბნეული სუპრემატული კონსტრუქციებით აღწევს ქრომატულ/ლაქობრივ და ტონალურ/ნახევარტონალურ ორკესტრობას.

მხატვარი კომფორტულად იყენებს პარს პროტო-ს პრინციპს და გვთავაზობს იკონიკურ-პლასტიკურ სინეკდოქეთა კამერულ ანსამბლს, რომლის ერთი ფურცლიდან, როგორც ინსტრუმენტული პარტიიდან მეორეში ტრანსფერიც, ამ ნამუშევრებს ჰარმონიულად შემჭიდროებულ ციკლადაც განამტკიცებს და ინვარიანტულ სერიადაც ჰკრავს.

ცალკეული ილუსტრაცია ხშირად, ნარატიულ ერთეულთა რამდენიმე რიგზეა გათვლილი და თითოეულ კომპოზიციაში, შეიძლება განთავსდეს ერთი, ორი, თუნდაც სამი ეპიზოდი, მცირე მიზანკადრული სტაფაჟებით რომ იზოლირდებიან და თავთავისი, ავტონომიური ჰორიზონტის ხაზი გააჩნიათ.

ერთი ილუსტრაციის ქრონოტოპოსში, ეპიზოდთა რაოდენობის შესაფერისად, არაერთხელ შეიძლება განმეორდნენ ერთი და იგივე მოქმედი

პირები.

ესეც — ნაცადი ხერხია!

ლორეტა შენგელიასეული “ვეფხისტყაოსნის” ენაც “სემიოტიკური სისტემის” ფორმალურ ლოგიკას ემორჩილება და მხატვარიც, მაქსიმალურად იცავს იკონიკური რიტორიკისა და ეტიკეტის წესებს.

ესაა თავი და თავი...

ყველაფრის სული და გული კი, გრაფიკული ბგერათკომპლექსებით მიღწევადი ჰარმონიის დაუძლეველი წყურვილია; მოუხელთებელი ნადილი, მაყურებელიც განიმსჭვალოს მოულოდნელ პლასტიკურ ხატთა მდინარებით, მნახველმაც განიცადოს სრბოლა პოეტურ პლანეტათა; ვარსკვლავთ კრთომა; რაინდების ცეცხლოვან ფარ-ხმალთა ელვარება; იისფერი აჩრდილები, მათი სპექტრალური გარდატეხვანი, ხაზოვან და ფერადოვან კილოთა ინვერსიები...

ლორეტა შენგელიასეული პროტაგონისტები მდუმარე ინტროსპექტულობით გამოირჩევიან; შესტებით მეტყველებენ; და სწორედ მათი “ესტუს“-ია მხატვრის ძირითადი პერფორმანტული რესურსი, რომელსაც დუმილისა არ იყოს, ოქროსავით უნდა გაფრთხილება.

ეს გმირები თითქოსდა, “ადგილზე მოძრაობენ”; და ამგვარი “მოძრაობაც” განაპირობებს შესტების ფორსირებულ და ექსპრესიულ რიტმს; შესტებისა, რომლებიც სპეციფიკურად მექანიკურიცაა და მარიონეტულიც, ოღონდ, ყველა შემთხვევაში, რაღაც ზეპიროვნული ვალენტობებით ინსპირირებული, ჯადოსნური ძალებით შთაგონებული...

ამ ვალენტობათა მატარებელი თვით კომპოზიციური სინტაქსია, მაყურებლის უეცარ მზერასაც და გახანგრძლივებულ პერცეპციასაც სხვადასხვა რაკურსში რომ წარმართავს.

ასე მიიღწევა გამოსახულების შინაგანი მობილიზაცია; არქიტექტონიკური დისკურსი კი, თავისი დიაგონალური სქემებითურთ, სუბსტანციურ-ჰიერატულ საგნობრივ სიტუაციებს გამოიხმობს.

ეს უკვე მზერის დე-მობილიზაციაა.

პასტელურ ვერსიაში, გამოსახულებებს რაღაც უხილავი აპკი განაშორებს ჩვენს სამაყურებლო სივრცეს; აი, ოფორტებში და მათ ლითო-გრაფიულ კოლორიტში, წმინდა ლინეარული და ფაქტურული მეტყველება “სხვა” თვალთა აღიქმება — უნატიფესი აბრისებისა და ბრუტალური შტრიხების ვიბრირებადი როტაცია, უმცირესი ორნამენტული დეტალები, სამმაგი ბექდვის შრიული ეფექტები, აკვატინტით მიღებული აქციდენტური კაზუსები, დაჟანგულ ადგილებში “ამოკენკილი” სტიგმატები...

მთელი ეს იმპერსონალური მანესტრია მონოდებულია, გადმოგვცეს პერსონაჟთა ცოცხალი “ვარიეტა“-ც და ფაქტიური ნარატივის უსხეულო როკვაც...

თვით ყველაზე ძლევამოსილი გმირებიც

კი, სხეულებრივ სიმძიმეს განემიჯნებიან და თითქოსდა, მიწას კი არ ეხებიან, ჰაერში ლივლივებენ... ესაა იმ პოეტური სივრცის და საერთოდ, ქრონოტოპოსის მეტაფორული ხატი, ოფორტულ ვერსიაში სპეციფიკურად რომ მდიდრდება ფაქტურა-ტექსტურულ მატერიათა სიმულაკრებით.

ასე ივსება ნაკაწრი ლითოგრამები რბილი ქრომატული ლაქებით; ასე იმსჭვალება ფერადოვანი "აფეთქებისა" თუ გამოსხივების ილუზორული ეფექტით...

მთავარია, არ გაგექცეს უწყვეტი ატმოსფერული ხილვა და ფურცლიდან-ფურცელში, სივრცული ცეზურა-პაუზებითა და შესაბამისი ტემპორალური "ყოვნებით" გადმოსცე, დასასურათებელი მიზან(კადრ) სცენისა დამისი თანამდევი ხდომილობის ეპიკოლირიკული სუნთქვის სიხშირე... ყოველივე ამის კამერტონი კი, ისევ და ისევ, ზუსტი კომპოზიციური გრაფიკია, საგანთა სივრცეში განლაგების, უწონადობისა და სიმძიმის ზღვარზე თამაშის რეგლამენტირებული წესები...

ლორეტა შენგელიამ კარგად უწყის კომპოზიციის კანონები და მხატვრულად ლოგიკური სვლებით ახდენს სასურათე ველის ზედა და ქვედა რეგისტრთა, მარცხენა და მარჯვენა მხარეთა განონასწორებას; მკაფიოდ ითვალისწინებს ვირტუალურ-ფორმალურ ჩარჩოს; მერე ამ ჩარჩოს ხაზობრივად გამოჰყოფს და მასში წარმართავს თვალის მოძრაობას; მოძრაობას ხაზიდან-სიბრტყისაკენ, სიბრტყიდან-სივრცეში... ხაზისა და სიბრტყის პერმანენტული კონტრასტით წარმოაჩენს ნარატიულ ხდომილებათა შინაგან პათოსსაც და ეთოსსაც; ტექსტუალური ფიქციების შესაფერისად თხზავს ოპტიკური ილუზიების აღმძვრელ რიტმულ ლექსიკოდებს და სასურათე ველში წარმოგვიდგენს "ვეფხვის პოემის" გმირთა მთელ "საჯარო რეესტრს"; თანაც, მაფი ფარული, იმპლიციტური "დიალოგების"(თუ კვაზიდიალოგების) სტატიკურ და ექსტატიკურ ნიშანთა მონაცვლეობაში...

მხატვარი საგულდაგულოდ მიმართავს ფრონტალურ, დიაგონალურ თუ ცირკულარულ გეომეტრიულ გრაფიკთა სინთეზს და ჟამი-ჟამ, რედუპლიკაციური ფორმებით აფართოებს კომპოზიციურ ველს; მერე, ისევ უბრუნდება მიკროკადრირების ხერხს და თითქოსდა, გვიჩვენებს თუ რა გზით მიდის, ვიზუალურად პროდუქტიული მომენტის დაჭერამდე.

მიკროკადრირების გეომეტრიზმს ერთმება პერსონაჟთა თავსაბურავების პლასტიკა,

რასაც მხატვარი როგორც ქრომატულად, ისე ლინეარულადაც რითმავს დრაპირებული კოსტიუმების "მძიმე" დიზაინთან. ამ კოსტიუმების მატარებლები "დიდხან დგანან შეჭედილნი"... ამასობაში, შეუმჩნეველად ნათდება დეკორატიულად სახასიათო ადგილები და მათი სამგანზომილებიანი ფიგურატიულობის ილუზიაც, სიბრტყულ-გეომეტრიული ფიგურატიულობის (რესპ. ტრანსფიგურატიულობის) კონტექსტში, მზარდი ექსპრესიული კონტრასტით ჟღერდება.

ამ ილუსტრაციებს ესკიზური მანერაც შეენის — ნახატის დაბადების პროცესუალური ჩვენების პრინციპი... პროტაგონისტთა "ცნობიერების ნაკადის" ამსახველი მიკროფილმები, ნოსუპრემადისტულ ჩარჩოებში ჩასმული კადრსცენები და კადრეპიზოდები მით უფრო ამრავალფეროვნებენ სიმულტანურ ხდომილებათა სპექტრს და სასურათე სიბრტყეზე გამოჭრილი "სარკმელებით" გვიხსნიან ვიზუალური თხრობის ახალ-ახალ ტრამალებს.

ესაა ერთი და იგივე, პლასტიკური მიზანსცენის "რეპეტიციები", თავისებურად რომ ეხმიანება სერიულ დისკურსს.

სხვათა შორის, თავად "ვეფხისტყაოსანი" განიხილება, როგორც დასავლური რენესანსის ერთგვარი რეპეტიცია, ანდა სულაც, რენესანსის "დილის სპექტაკლი"(თამაზ ჭილაძე).

"ვარდის ფურცლობის ნიშანი", როგორც რენესანსის გზავნილი, მსჭვალავს ლორეტა შენგელიასეულ ილუსტრაციებსაც, თითქოსდა ვირტუალურ რეფრენად რომ გასდევს: "მონურვილ იყო ზაფხული"...

დაბოლოს, ილუსტრაციის ჟანრში, ყველაზე მეტად მაინც მხატვარ-კომპოზიტორის დისკურსი ფასობს; კომპოზიტორისა, თავად რომ აორკესტრებს თავის ოპუსებს.

ლიტერატურა ბანალობის გაორკესტრებააო — უთქვამთ... და ეტყობა, მხატვრობა, მით უფრო, ილუსტრაციაც, ამ ბანალობის გაორკესტრებაა; კამერული გაორკესტრება...



"ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის"—ო...

ჩვენი დრო რუსთაველის დამსურათებელსაც ელის; ახალ დამსურათებელს...

რუსთაველისეული რაინდები პოსტმოდერნულ ეპოქაში თავისებურ ბეტმენებად გვევლინებიან; ქსლის მბეჭველ დი(დ)კაცებად...

ჰიპოლოგია, როგორც ტექსტის ბექ(დ)ვის სტრატეგია კი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ახალ ავანტიურას შემოგვთავაზებს...

"რადღა ვაგრძელებ სიტყვასა? ჟამია შემოკლებისა".



გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ უახლესი გამოცემები
„ტატო ნინუა“ – სრული ერთტომეული, A4 ფორმატის, 576 გვ. რბილი ყდიით;
კიტა ბუაჩიძე „რჩეული თხზულებანი“ – ერთტომეული, A4 ფორმატის, 608 გვ. მაგარი
ყდიით.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებბიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.


„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი
ლექსო ოთარაშვილი

კორექტორი:
მაია მიქაია

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ლორეაბა აბაშიძე-შენგელია "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები

653/18

საქართველოს
განმანათლებლო
საბჭო



ISSN 1512-3189

საქართველოს
განმანათლებლო
საბჭო

